ალეფბეი



4 2024

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 66-ე წელი | ივლისი-აგვისტო | №4 | 2024 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
გენრი დოლიძე
დავით თედორაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
თინა შიოშვილი
ცისანა ანთაძე
იაშა თანდილავა
ლალი კონცელიძე
გურამ ფუტკარაძე
ვახტანგ ღლონტი
მალხაზ ჩოხარაძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

კორექტორი

მაია ჯაფარიძე

სტილისტი

გურანდა ნიჟარაძე

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2024

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პროზა, პოეზია

გოდერძი ტოტოჩავა – მოთხრობები 3
მარიამ ბუკია – ლექსები 23
ვენიკო ხურციძე – ლექსები 32
გია ხოფერია – ლექსები 36
სანდრო ბერიძე – ნიამორის კოპლებიანი დღიური (გაგრძელება) 41
ნინია ჩხაიძე – ლექსები 55
ლაშა ბაბილუა – ლექსები 62
შაქრო ფუტკარაძე – ლექსები 68
ალექსანდრე კაკიაშვილი – მოთხრობები 70
ლეილა ხინთიბიძე – ზღაპრები 79

თარგმანი

დაიანა დი პრიმა – ლექსები (ინგლისურიდან თარგმნა **ეკა ჭითავამ**) 86
სტივენ კრეინი – ლექსები (ინგლისურიდან თარგმნა **ეკა ჭითავამ**) 89

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

შორენა მახაჭაძე – „პოეტის იუბილე – დავით თედორაძე – 75“ 93
„ნატყვიარ-უარყოფილი სულის აღსარება“ 98
ჟუჟუნა შაინიძე – ახალი ცისა და ახალი მიწის მონატრება „ქარვისფერ ოკეანეში“ 103
ნანა ანთაძე – ფიქრები წიქარაზე 106
ჯერართქმული სიმართლე 111
რომელია უფრო დიდი 114

ისტორია

ოთარ გოგოლიშვილი – გურიის 1841 წლის აჯანყება 117

წერილები

საშა ლეკვეიშვილი – ხარიტონ ახვლედიანი – 120 122
ლელა დუმბაძე – სულის სიმაღლე 127



ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲢᲝᲢᲝᲠᲐᲕᲐ

ᲐᲜ-ᲐᲜ

(რომანი, რომელიც ფსიქიატრიული საავადმყოფოს სანაგვეში იპოვა სანიტარმა მიშომ)

იგი ტელეფონთან შემხვდა. ორი ქუჩის კუთხეში პირქუშ სადარბაზოსთან ტელეფონია ჩამოკიდებული. უფულოდ რეკავს. იქ იდგა, გ. უცნაურად მომესალმა. მე შევჩერდი. იგი შეცბა. ყურმილი ჩამოკიდა. ხელი ჩამომართვა. უხერხული დუმილი. მე გიჟი ვარ. ეს არაა გიჟი. მე იგი მახსოვს. დიდ ეზოში ცხოვრობს, სადაც მე. თმებში ჭაღარა შერევია. მე უფროსი ვარ, მე მეტი მიცხოვრია, მაგას კიდევ ვიღაცაზე მეტი. ვიღაცას სულ არ უცხოვრია. ვერც იცხოვრებს. ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენ არ ვცხოვრობთ, ჩვენ სულ არ გვიცხოვრია. „კარგად“. „მცალია“. „სიამოვნებით“.

ჩვენ ბაღში წავედით. იგი ხმას არ იღებდა, არც მე. ჩვენ უხმოდ მივდიოდით. ქუჩა ხმაურობდა. კვიცები იცინოდნენ. ვიცინოდი მეც. მერე წამლებს მასმევდნენ. ახლა არ ვიცინი, ახლა ვწუხვარ. ბავშვები მიდიან. ამ შენობაში მუსიკა ისმის. აქ მუსიკას სწავლობენ. მე ფიზიკას ვსწავლობდი. ბაღი ლამაზია. აქ მსიამოვნებს. ჩვენ ორივეს გვსიამოვნებს ბაღი. ზღვაც გვსიამოვნებს ჩვენ. ჩვენ უხმაუროდ ვსეირნობთ.

მზე ჩადის. ჩამავალი მზე მოლეკულას ჰგავს. პალმები ჟირაფებს ჰგვანან. ჰაერი დაბრეცილია. იგი ლაპარაკობს: ხმა იკარგება ჰაერში. არაფერი მესმის. მხოლოდ ზღვა შხუის, მე მესმის მისი.

„შენ ნუ გამიგებ სხვანაირად, მე მინდა გელაპარაკო შენს... შენს ავადმყოფობაზე“. დუმილი. „შენ ეს ხომ არ შეგაწუხებს? მაშინ გეტყვი. შენ ეს ამბავი გაცნობიერებული გაქვს?“ „რა თქმა უნდა, ნაწილობრივ გექნება, თორემ მთლიანად რომ გააცნობიერო, იგი გაქრება“. „შეიძლება არც გაქრეს?! შეიძლება, თუმც მაგას თავი გავანებოთ. მე მინდა სულ სხვა რამ გითხრა. ლექსებს წერდი არა?“ „პროზას? ჰო! მე მინდოდა მეთქვა დაგეწერა შენს ავადმყოფობაზე, აი ხომაა „ცხოვრება იდიოტის“ ან კიდევ... თუმც შენ მასეთი არ გინდა. შენ მხოლოდ შენი ავადმყოფობა დაწერე. შენ შენს სამყაროზე, ავადმყოფურია თუ რაც არის, ის დაწერე, შენით დანახული შენი სამყარო. „შენ სამყარო არ გაქვს?“

არა მაქვს სამყარო. მე არ ვარ. მე არ ვყოფილვარ, თქვენ ხართ.

ისევ შემხვდა გ. თავი შორი სალამით მოვარიდე. ისიც მომერიდა, მე მისთვის არ ვარ. მაშინ ჰაერი დაბრეცილი იყო. იგი ჰაერის მეორე მხარეს მოხვდა. ასე მოხვდება ხოლმე კაცი ჰაერის მეორე

მხარეს, ვერც კი შეამჩნევს ამას, თუ სამუდამოდ არ დარჩა იქეთ. სამუდამოდ რომ მოხვდება, მაშინ იტყვის, აქ უწინაც ვყოფილვარო, მე იქეთა მხარეს უკვე დიდი ხანია მოვხვდი. იმ შეხვედრამ, როცა გ. ჰაერის მეორე მხარეს აღმოჩნდა, დამაფიქრა. მე ვწერ. ვწერ იმიტომ, რომ წავიკითხო მხოლოდ მე. რომანს ვუძღვნი ჩემს თავს, ჩემი სამყარო... ასე ჰქვია ჩემს რომანს, ჩემი სამყარო, რომელიც არ მაქვს, მახსოვს მქონდა ბავშვობა. ბავშვობა სიზმარია, სადაც მე დამესიზმრა, რომ სამყარო მქონდა, ახლა მესიზმრება, რომ არ მაქვს. მე ჰაერის მეორე მხრიდან ვხედავ სამყაროს, სადაც მე არ ვარ. ხარ შენ.

როცა შევამჩნიე ჰაერის იქეთა მხარეს მოვხვდი-მეთქი, ფიზიკის შესწავლას ვასრულებდი. ფიზიკა დუმს, მან არ იცის ჰაერს მეორე მხარე რომ აქვს.

თავი პირველი, მეორე, უკანასკნელიც

დედა. დედას სამყარო აქვს. იგი ხარ შენ.

ქალი. ქალის სამყარო არის მამა.

მამა. მამის სამყაროა ქალი.

კაცი. კაცის სამყაროა დედა.

წვიმს. წვიმს გაუთავებლად. დავხატე უხილავი ფუნჯით გონებაში წვიმა. პატარა გოგოს მინაზე მიუჭერია პაწია ცხვირი. გონებაში ხატვა მიყვარს. „ისე არ ვხატავ. ასე უფრო ნაყოფიერია. ერთხელ ასი ჩანახატი გავაკეთე. ტილოებიც გამომსვლია. წვიმს. წვიმიან დღეს ბევრს ვხატავ, ზღვისპირა ყავახანაში აწვიმს ყავის ფინჯნებში, ყავის ფიგურები ჩარეცხა წვიმამ, აწვიმს მთვრალ დედაკაცს სადგურთან“. „მგზავრობის ჟინი მომეძალა ანაზდეულად, გავემგზავრე და ჩამომხდარმა მატარებლიდან აწ აღარ ვუწყი საით წავიდე. სადგურის ახლოს ვდგავარ ეულად“. „აწვიმს მატარებელს, აწვიმს ქალაქს. რკინიგზის ორი ლიანდაგი ერთდება იქ, სადაც იწყება ჰარის მეორე მხარე“.

მე ვხედავ წითელპალტოიანი ბიჭი პირზე ცისკარგადაფენილი მიტანტალებს სველ ასფალტზე. მე მესმის ხმა. ეს საიდან მეძახიან. ვინ? ნაცნობი ხმაა, ნაცნობი ხმა მიხმობს. საიდან გამოუღწევია? რად მიხმობს, ვისთვის ვარ მე? მე არ მეძახიან, მე არ ვარ. ხმა წითელ პალტოიან ბიჭს უხმობს.

მე ვიყნოსავ ძუძუების მათრობელა სუნს. მაგნოლიები გაზაფხულზე ჰყვავიან. ახლა წვიმს. ძუძუებს წვიმის სუნი ასდით. მე ვგრძნობ თითები მეხებიან. თითები თმებში დასრიალებენ. მე თმები აბურძგვნილი მაქვს. აღარავინ დამივარცხნის თმებს თითებით, მხოლოდ საძაგელი რკინის კბილება სავარცხელი თუ. მე ვგრძნობ შაქარმოყრილი მარწყვის გემოს. „გველის მარწყვი რამ გაჭამა?“ „ჰო, გველი ჭამს მაგ მარწყვს“. „თბილი რძე დალიე“. „კიდევ ცოტაც, ნახე რაღა დარჩა“.

წვიმს. აწვიმს სახლებს, ბაღებს, წვიმს გადაუღებლად, მომქანცველად.

აქ სხვა სახლი იდგა. სად არის თეთრი სახლი? სად არის კატერინა? სად არის ძაღლი „ბემბი“? „სად გადააგდეს ძველი კალენდარი“? „სად არის თოვლი შარშანდელი“?

წვიმს. სად მირბის გაწუწული მურიანი ძუკნა? ვის ელოდება შავტუხა უშნო გოგო? რას ეძებ შენ?

წვიმებს იქეთ იმალება მზე. ძუკნა მირბის იქ, სადაც მზეა. მზეს ელოდება შავტუხა გოგო. მზეს ეძებ შენ.

ახლა კი აწვიმს მოგონებებს. აწვიმს ოთახში აშლილ საწოლს. ხრიწიანი ხმები მღერიან კედელს იქით.

ოფლი ასდის ნაწვიმარ ასფალტს. გადაუღია. დაღლილა მზე. მსიამოვნებს დაისი. იქ სადაც ცა უერთდება ზღვას, იწყება ჰაერის მეორე მხარე. მე მქონდა საოცარი სიზმარი. ქალი. ცხელი ჩურჩული ჩამესმის ყურში.

გონებაში უხილავი ფუნჯით დავხატე მზე. პატარა ბიჭი ჩაწოლილა ამოტეხილ ასფალტში დამდგარ გუბეში. თითზე, დაჩირქებულ ნაკაწრში ფუსფუსებენ მიკრობები.

ნაძვის ქვეშ შეუფარებია თავი ღიმილს, ო! ეს ღიმილი. იღიმებიან ბედნიერებისაგან, ზოგი მწუხარების ჟამსაც იღიმება. იღიმებიან ისე უბრალოდ. ეს ღიმილი კი სხვა იყო, იღიმებოდა ქალი. რადგან ლამაზად იცოდა გაღიმება. ჩვენ მივდიოდით. მე, ქალი. სიცხიანი მზე ბოდავდა. არეული იყო ყველაფერი. სიცხისაგან უელავდა თვალები. დამსკდარ ტუჩებს ნერწყვით ისველებდა. ნერწყვი დამშრალი ჰქონდა. პლაჟი ბოლავს, ქალი იწვა. მკლავები ქვებივით ეყარა. ტალღები ფეხებს ულოკავდნენ. ქალი ზღვას უცქერდა. მზერა სიცხეში დნებოდა. იგი ზღვას მიეცა, ტალღა შემოევლო, გაიტაცა, ალერსით ევლებოდა ნასიცხარ ტანზე, უკან არ უშვებდა. ქალიც მიჰყვა. სიამოვნებისაგან ტრიალებდა ზღვაში, ხმაური შეწყდა. სიჩუმე, თავდავიწყება გამეფდა ირგვლივ, ყველაფერი გაქვავდა. მხოლოდ გულისცემა ითვლიდა დროს. ქალი დაბრუნდა კმაყოფილი. ცხვირიდან ტუჩებს მლაშე ზღვის წყალი ეწვეთებოდა. ჩვენ ისევ მივდივართ, მე, ქალი. სიცხე განელდა.

ჩვენ მივდივართ ისევ. ჩვენ ვივლით ისევ. ჩვენ. მე, ქარი. მწუხრის ჟამია. ჩრდილები დაცოცავენ აგრილებულ ასფალტზე.

ვწერ. წავიკითხე. დავწერე ის, რაც მქონდა ჰაერის მაქეთა მხარეს. ორი სიზმარი: ბავშვობა, ქალი, ახლა მეოთხე სიზმარს ვხედავ. ეს სხვა სიზმარია, სიზმარი რომელსაც ჰაერის მეორე მხარეს ვხედავ. სიზმარი გამჭვირვალეა, სიზმარს იქეთ გხედავ შენ. ჩამომხმარხარ. ყვრიმალები გამოგჩენია. თვალებში ცისკარჩაქრობილი ნელი ნაბიჯით მივჰყვები ხეივანს. ქარიც ხეივანს მიჰყვება. ხეივანი მიჰყვება ზღვას. ზღვის თავზე კი ღრუბლები მიჰყვებიან ცას.

ოთხია სიზმარი. ბავშვობა, ქალი, სიბერე, სიზმარი, სადაც ვერაფერს ხედავ. მესამე სიზმარი არ მინახავს. მაგრამ მე ვიცი, ეს კოშმარული სიზმარია, სადაც ნესტიანი კედლების სუნია. „და ყოველი რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი არა მოკუდეს უკუნისამდე. გრწამსა ესე?“

ორი ქუჩის კუთხეში პირქუში სადარბაზო. ტელეფონი, რომელიც უფულოდ რეკავს. ყურმილი ჩამოვხსენი: — — —, ისმის ყურმილში, ურნაში ვიღაცამ მკვდარი ვირთხა ჩააგდო — — — ისმის გაბმულად, შენ ხარ? შენ ხარ? შენ ხარ?

1976

ჩარჩო

კატების დეიდას ვეძახდით ბავშვები გაურკვეველი ეროვნების მარტოხელა დედაბერს, ჩვენს სახლში პირველ სართულზე რომ ცხოვრობდა. მართალია, კატებს სახლში არ აჩერებდა, მაგრამ საღამოობით მთელი ეზოს კატობა იყრიდა თავს მის ფანჯარასთან. დედაბერიც წუთს არ დააყოვნებდა და თევზის კუდებს გადაუყრიდა. ტანთ გამოუცვლელად ეცვა ერთი და იგივე კაბა, რუხი ფერისა, ძველმოდური, კოჭებამდის, იგი მაღალი და გამხდარი წელში მოხრილი დადიოდა, შეხვედრისას ღიმილით იცოდა მოსალმება. არავის დაუნახავს ვინმე სტუმრებოდეს, საერთოდ მის ბინაში შეჭვრიტინებასაც კი ვერ მოახერხებდით. ქალების ამბავი ხომ იცით, ყველაფერს გამოიკითხავენ, ყველაფერი იციან, ვის რამდენი შვილი ჰყავს, ვის ოჯახში რა ამბავი ტრიალებს და სხვა წვრილმანები. დედაბერზე კი ქალებმა ვერაფერი შეიტყვეს. ვერც ვერაფერს გამოჰკითხავდი, ისეთი გაუგებარი პასუხი ჰქონდა მომზადებული ცნობისმოყვარეთათვის. რახან ვერაფერი შეიტყვეს მასზე, ჭკუამოკლედ ჩათვალეს და მისი გამოჩენა ამხიარულებდა საჭორიკნოდ შეკრებილ დედაკაცებს, ბავშვებთან დიდი მტრობა ჰქონდა, რადგან ისინი საღამოობით მის ფანჯრებთან თავმოყრილ კა-

ტებს დაერეოდნენ ხოლმე. დედაბერი თითქმის მუხლებამდის გადმოიწეოდა ფანჯრიდან და უცნობ ენაზე იწყევლებოდა, მერე კი გარეთ გამოვიდოდა შეუჭმელი თევზის კუდების შესაგროვებლად.

დღეები გადიოდა, თვეები თვეებს მიყვებოდა, მრავალი წელიწადი დაუბრუნდა თავის დედას.

ერთ დილას კარები გამოაღო, პარმაღს ფეხი გადმოაბიჯა, მაგრამ ცის ხილვა მეტი აღარ ეწერა, ამოყირავდა იქვე და სული განუტევა, კატები იმ საღამოს ტყუილად უხმობდნენ დედაბერს კნავილით.

მეზობლებმა ფული შეაგროვეს, იაფფასიანი კუბო შეიძინეს და შუა ოთახში დადეს ტახტზე. ეს პირველად იყო, მის ოთახში რომ ვინმე მოხვდა. ტახტი ლომისფეხებიანი იყო, ახლა რომ დედაბერი ესვენა, კომოდი ძველებური, მრავალუჯრება, კომოდის თავზე ოვალური ბრინჯაოს ჩარჩოიანი სარკე ეკავა ორ ანგელოზს, ოთახში იდგა აგრეთვე პატარა ჩუქურთმებიანი მაგიდა და გრძელფეხებიანი სკამები. კედელზე კი ცარიელი შავი ჩარჩო ეკიდა. სიკვდილიდან მესამე დღეს დასაფლავებას უპირებდნენ. დილით მეზობლის ქალმა კარი შეაღო, მიცვალებულს დავხედავო. კუბოსთან უცნობი მამაკაცი იჯდა. მოკაუჭებულ ცხვირზე მსხვილი რქის სათვალე ემაგრა, თავზე შავი ყუნწიანი ბერეტი ეხურა, სკამზე შავი ორბორტიანი ლაბადა მიეგდო. „მე განსვენებულის ვაჟი ვარ“, თქვა კაცმა, ორმოციოდე წლის იქნებოდა, „გუშინ დეპეშა მივიღე და ჩამოვედი“, დეპეშა იქვე კუბოსთან იდო: „გარდაიცვალა, ჩამოდი – მეზობელი“. დედაბერი გაასვენეს. მეზობლებისაგან შემდგარ პროცესიას მეც მივყევი, კუბო ჩაუშვეს, ბერეტიანი საფლავს დიდხანს ჩასცქეროდა, ჩასცქეროდა მანამ, სანამ მიწით არ ამოივსო. უკან დავბრუნდით, მან ოთახში მიგვიწვია, დედაჩემი ვახსენოთო. სუფრას შემოვუსხედით, კედელზე შავი ჩარჩო აღარ იყო ცარიელი. შიგ ორმოციოდე წლის ქალის სურათი ჩაესვათ, სურათისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, არავის უკითხავს ვინ არისო. დავაკვირდი, ქალი იერით დედაბერს ჰგავდა, რაღაცით ბერეტიანს ჩამოგავდა. ქელეხი მალე დამთავრდა. დედაკაცები ერთმანეთს უჩურჩულებდნენ, დედის სიკვდილი როგორ გაიგოო, რადგან დეპეშის გამგზავნი მეზობელი ვერავინ აღმოაჩინა. მეორე დღეს ბერეტიანი სახლიდან ადრე გამოვიდა, იგი მარტო არ იყო, გვერდით შავი პუდელი მოჰყვებოდა. საიდან გაჩნდა, არავინ უწყის და გაგრძელდა ასე: ძალიან ჰგავდა მისი ყოფა დედაბრისას, არავინ შედიოდა მასთან, არავინ გამოდიოდა. მხოლოდ კატები გადაეჩვივნენ მის ფანჯარასთან კნავილს პუდელის შიშით. ბერეტიანმა ზრდილობიანად იცოდა მისალმება, ისე როგორც გარდაცვლილმა. პუდელი მუდამ თან ახლდა. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ შეხვედრისას პუდელიც დაიქნევდა თავს და ღიმილის ნიშნად ღოჯებს გამოაჩენდა.

დღეები გადიოდნენ, თვეები თვეებს მიჰყვებოდნენ, მრავალი წელიწადი დაუბრუნდა თავის დედას.

მის ცხოვრებაში არაფერი იცვლებოდა... ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი შემინიშნავს. ერთხელ კი... გვიან დავბრუნდი შინ მთვრალი, სადარბაზოში შემოვედი და ქეიფით დაღლილი მის კარებთან შევყოვნდი, კიბის მოაჯირს თავი ჩამოვადე წელში წახრილმა. უცებ კისკისი ჩამესმა, თავი წამოვწიე და მივაყურადე, არა მისი ოთახიდან ისმოდა, კისკისებდა ქალი, მგონი შიგადაშიგ ბერეტიანიც ქირქილებდა. ხმები ოთახიდან უცებ შეწყდა, თითქოს და იგრძნეს, ვიღაც გვიყურადებსო. ერთი ამას დამიხედეთ-მეთქი გავიფიქრე და ზევით ავუყევი. მეორე დღეს პირველ სართულს ჩამოვაღწიე თუ არა, კარები გაიღო, გამარჯობათ, ვთქვი მე, ბინიდან კი მის ნაცვლად პუდელი გამოვარდა, შეჰყეფა, თითქოს სალამზე მიპასუხაო, სადარბაზოდან გავარდა და სადღაც მოცოცხა. გუშინდელი კისკისი გამახსენდა და ვიფიქრე: მთვრალს მომეჩვენა, თორემ ქალს ამასთან რა უნდოდა.

დღეები გადიოდა, თვეები თვეებს მიჰყვებოდა, მრავალი წელიწადი დაუბრუნდა თავის დედას.

იგი ოდნავ შებერებული ღიმილით ურიგებდა ყოველდღიურ სალამს მეზობლებს, მაგრამ არავის გამოელაპარაკებოდა, თუ ჰკითხავდით, როგორ ბრძანდებითო, გიპასუხებდათ, გმადლობთ, არა მი-

შავსო. ახლა გული მწყდება, ახალგაზრდობის გამო აზრად რომ ამ მომსვლია, დავკვირვებოდი დედაბერს, არც გამოვლაპარაკებივარ, თუმცა საუბარი დიდად არ უყვარდა. შევსწრებივარ მეზობლის დედაკაცთან საუბრისას და სულელურად მომჩვენებია მისი ლაპარაკი. გადავწყვიტე ბერეტიანს გამოვლაპარაკებოდი. რამდენჯერმე შემხვდა ამ გადაწყვეტილების შემდეგ, მაგრამ არც კი მომსალმებია, ისე შევიდა სახლში, თითქოს განზრახვას მიმიხვდა და თავი ამარიდა. ასე არასოდეს მოქცეულა. მეც მომერიდა, უკვე უამრავი წელი გავიდა, რაც ჩვენს სახლში გადმოსახლდა და არასოდეს გამარჯობის მეტი არაფერი მითქვამს, ისიც სალამის მეტს ხომ არაფერს იტყოდა, ჰოდა ვიფიქრე: რად უნდა გამოველაპარაკო, იაროს თავისთვის, როგორც სურს, კაცს მარტოობა მოსწონს, თავი რად უნდა შევაწყინო.

დღეები გადიოდა. თვეები თვეებს მიჰყვებოდა, მრავალი წელიწადი დაუბრუნდა თავის დედას.

ერთხელაც ისე, როგორც მაშინ, როცა კისკისით გავიგონე, მთვრალი გვიანი ღამით შევჩერდი მის კარებთან. ჩემს სმენას უცნაური მუსიკა მოაწყდა. არ ვიტყვი, მუსიკის ისეთი მცოდნე ვარ, სმენით ვარჩევ ბეთჰოვენსა და ვაგნერს, მაგრამ მუსიკა უცხო იყო. ვერაფრით მივხვდი, რა ინსტრუმენტს შეეძლო გამოეცა ასეთი ხმები, მგონი კაცობრიობისათვის უცნობი საკრავი ჟღერდა. გავირინდე, მუსიკა გაძლიერდა, თვალები დამეხუჭა, მუსიკა კი ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა, ტვინის ყველა უჯრედი ამ მუსიკით გაიჟღენთა. არავითარი ასოციაციები. გრძნობების გამოხატულება არ იყო ეს მელოდია, თუ იგი საერთოდ მელოდია იყო. გაავსო რა მუსიკამ ტვინის უჯრედები, გარეთ გადმოიღვარა ყურებიდან, ახლა თითქოს იგი ჩემი თავიდან ისმოდა. იგი იყო ჩემში და ჩემს გარშემო. სადარბაზო აივსო, მუსიკაში ჩავიძირე, თვალდახუჭული ვხედავდი, თუ როგორ გადადიოდა ცისარტყელას ფერები ერთმანეთში, უეცრად გაქრა. გაქრა ისე, როგორც ტელევიზორში გამოსახულება, როცა სინათლეს გამორთავენ. სადარბაზოს კარებს გავხედე. დილაბნელი იდგა. რა დიდხანს ვიდექი ამ ჩვეულებრივ კარებთან, ახლა უცნაურად და ერთადერთად რომ მეჩვენებოდა. გადავწყვიტე შეხვედრისას აუცილებლად გამოვლაპარაკებოდი. საღამოს შევხვდი სადარბაზოსთან. წვიმდა. შავი ლაბადა, რომელიც დედის სიკვდილის ჟამს სკამზე იყო მიგდებული, ყელამდის შეეკრა. მომესალმა და შეჩერდა, შეჩერდა პუდელიც, თითქოს განზრახვა შემატყო, გამოლაპარაკებას რომ ვაპირებდი. ბოდიში! ამოვილუღლუღე, ბატონო... „ქინგუ“, მითხრა მან. ქინგუ, მე გუშინ... და ვუამბე, თუ როგორ შევჩერდი მთვრალი მის კარებთან და როგორ ვუსმენდი მუსიკას, რომელსაც უცნობ ინსტრუმენტზე უკრავდნენ. უცნობი ხმები გამოდიოდა მისი ოთახიდან, ისიც ვუთხარი, როგორც წყალმა, ისე გაავსო სადარბაზო მუსიკამ და დილამდის ვიყავი შიგ ჩაძირული-მეთქი. ღიმილმა აუწია ტუჩის კუთხე. „დილამდის არ ვუკრავდი, მითხრა მან, თქვენმა აღგზნებულმა გონებამ გააზვიადა ყველაფერი, გათენებამდის კი არ გისმენიათ მუსიკა, უბრალოდ დროის მსვლელობა გაჭიანურდა, მამაჩემის სუიტას ვასრულებდი, მუსიკის მასწავლებელი იყო და მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაწარმოები დასტოვა ვიოლინოსათვის: „უკვდავების სურვილი“. პუდელი გავარდა, ქინგუც მიჰყვა.

დღეები გადიოდა, თვეები თვეებს მიჰყვებოდა, მრავალი წელიწადი დაუბრუნდა თავის დედას.

დიდი ხანია არავის დაუნახავს იგი. მხოლოდ პუდელი თუ გამობრძანდებოდა სასეირნოდ. ორშაბათ დილას პუდელი გამოვარდა სადარბაზოში და ღმუილი ამოუშვა. მეზობლები გამოცვივდნენ, კარები ღია იყო. მოკვდა, თქვა ვიღაცამ.

ამჟამად კუბოს ფული აღარ შეგვიგროვებია. კუბო ოთახის კუთხეში იყო აყუდებული. ლომისფეხებიან ტახტზე დაასვენეს. ოთახი ისევე გახლდათ გაწყობილი, როგორც მრავალი წლის წინ, დედაბერის სიკვდილისას. ჩარჩო ისევე ცარიელი ეკიდა, გავიკვირვე, დედის სურათი რად ჩამოხსნა მეთქი. ოთხშაბათს უპირებდნენ დასაფლავებას, რადგან ყველანი ებრაელად თვლიდნენ. ვინ იცის,

იქნებ არც იყო. დილით მიცვალებულის დასახედად შევიდა მეზობელი. სკამზე ორმოციოდე წლის ქალი იჯდა. სკამზე ძველმოდური შავი ფრთებით გაწყობილი შლაპა იდო. „მე განსვენებულის ქალიშვილი ვარ“, თქვა მან. „დეპეშა მივიღე და ჩამოვედი“. დეპეშა კუბოსთან იდო: „გარდაიცვალა, ჩამოდი – მეზობელი“, საოცრად გავდა ეს ქალი იმ სურათს, შავ ჩარჩოში დედაბრის ქელეხზე რომ ვნახე, უამრავი წლის წინ. პროცესიას ბოლომდის მივყევი. დაბრუნებულები ისევ შეგვიპატიჟეს პატარა ქელეხზე. ჩარჩოში ბატონ ქინგუს პორტრეტი ჩაესვათ, ზუსტად ისეთი, როგორც აქ, ჩვენს სახლში მოვიდა. მომეჩვენა, რომ სურათიდან მომესალმა და გამიღიმა. პუდელი გაქრა გასვენების დღეს.

დღეები გადიოდა, – თვეები თვეებს მიჰყვებოდა, მრავალი წელიწადი დაუბრუნდა თავის დედას. ახლა ყველა ბავშვმა იცის, სად მიდიან საღამოობით კატები.

1976

უკანასკნელი სპექტაკლი

ძველებური, ფართო, მაგრამ უმზეო, ბნელი სადარბაზო, იტალიური ყოფითი სურათებით მოხატული, შიგადაშიგ შორეული მავრიტანიის პალმებიანი პეიზაჟებით. ახლა კი, მამაკაცებისათვის თვალები ამოუკორტნიათ, ხოლო დედაკაცებს უწმაწური სიტყვები აქვთ ამოჩხაპნილი, სადარბაზოს მძიმე კარს ლომის თავები ამშვენებს. მარცხენა მხარეს, სადაც კარის გულია, ლომი კარგად შემონახულა და მრისხანედ შემოაცქერდება შემომსვლელს. მეორესთვის პირი წაუთლიათ და თვალებს მრისხანება დაჰკარგვიათ. უყბო ლომს სადღა შეუძლია მრისხანედ გამოიყურებოდეს. სწორედ ამ საპყარ ლომს ადარებს თავს მოხუცი მსახიობი, ბატონი ერასტი. სადარბაზოში შესვლამდე შეჩერდება, ჯერ ერთ ლომს მიაჩერდება, ახალგაზრდობა რომ დაარქვა, გალაკტიონის სიტყვების გახსენება უყვარს ამ დროს: „ო, როგორ მიდის ახალგაზრდობა, დაუნდობელი სურვილი ლომის“. მერე თვალს გადაავლებს პირათლილ ლომს. ცრემლების სითბო შემოეპარება და ჭრიალით შეაღებს სადარბაზოს მძიმე კარს. მერე კიბეებს აუყვება ზევით, კედელზე ნახატებს შეათვალიერებს. ეჰ! როგორ გავს ეს სადარბაზო მოგონებას, მოგონებაც ხომ ასეა დაჩხაპნილი“.

ბ-ნი ერასტი ყავის მოყვარულია და ყავახანის მუდმივი სტუმარი. დილით სხვადასხვა დროს მოდის, საღამოთი კი აუცილებლად ექვსი საათისათვის ამოჩემებულ ადგილას დაჯდება. ამ დროს ყავახანაში ხალხმრავლობაა, ლაპარაკობენ გაუთავებლად, ლაპარაკობენ ქართულად, ლაპარაკობენ სომხურად, ბერძნულად, რუსულად და მგონი კიდევ ასირიულად. მოკლედ, უცხოთა ენა ისმის მრავალი. ყავის მხარშველი სომეხი ქალი დაღლილი თვალებით და მხიარული სულით ადუღებს ყავას. დუღს ჯადო-ტალახი, ყავისფერი და იდუმალი, ვით მალაიზიის ღმერთები. ერასტი ტუჩების ცმაცუნით დალევს პირველ ყლუპს და გარინდებული გრძნობს, თუ როგორ მიჰყვებიან ყავის მოლეკულები გაცრეცილ ცისფერ ძარღვებს. მთელი ქალაქი შეპყრობილი ჰყავს ყავას, სული თუ ხორცი ითხოვს მას და მოდიან ყოველ ცისმარე დღეს ყავის მსმელნი. ყველას საკუთარი რიტუალი აქვს, წვეროსანი აბრსკილი ნალექს თეფშზე გადმოღვრის და ასანთის ღერით გამოჰყავს მომაკვდავთა სულივით გაფრენილი თოლიები. აქ არ მკითხაობენ, ეს რიტუალი მხოლოდ დედათა კუთვნილებაა. აქ მყოფადის გამოცნობას არ ცდილობენ, ყველამ იცის, მომავალი გამოუცნობია. უამრავ მაგალითს მოგიყვანთ ბებერი ბერძენი: ...კონსტანტინოპოლშიც ასეა, იქაც ქალები მკითხაობენ. ბედისწერის შეცნობის სურვილით გამწვანებული თვალების მზერა ყავის ნალექის უცნაურად განლაგებული ფიგურების ხლართებში იკარგება, მაგრამ, ვინ იცის, რას გვიქადის ბედი? ყავაც ვეღარ გაათბობს სისხლს ძარ-

ღვებში. ცივ წყალს დააყოლებს ბერძენი ცხელ ყავას, ტუჩებს გაატლაშუნებს და... იცის ბერძენმა, რომ მალე ერთ დილას ვეღარ მოვა ყავის დასალევად, გაქრება ბავშვობა, კონსტანტინოპოლი, პალმები გაუჩინარდებიან, ყავის სუნს წარიტაცებს ქარი... ერასტი პირველი ყლუპის შემდეგ შეუყოვნებლად, სწრაფად დალევს დანარჩენს და საუბარში ჩაებმება. გადმოღვრის დაჩხაპნილი მოგონებების ნიაღვარს, არაფერს დამალავს, ყველაფერს მოჰყვება, გარდაცვლილ მეუღლეს გაიხსენებს, სიყვარულით გაიხსენებს თავის ქალიშვილს, მოჰყვება საყვარლებისას, ათას ჭორს იტყვის ცნობილ მსახიობთა ცხოვრებიდან, მაგრამ არ მახსოვს, ოდესმე ეამბოს თავის წარმატებებზე, თავის როლებზე. მოხუცები კი ამბობენ, კარგი მსახიობი იყოო, მაგრამ ეს უბრალო სოლიდარობა მეგონა და სხვა არაფერი. იგი სცენაზე ბავშვობაში მინახავს და მისი ანტიკური ქანდაკების მსგავსი სხეულის გარდა, ჩემს მეხსიერებას არაფერი გამოჰყოლია. ყავახანაში ახალგაზრდებმა რამდენჯერმე შესთავაზეს, თეატრში ხომ არ წამობრძანდებითო, ბატონო ერასტი. იგი უარზე იყო: მთელი ახალგაზრდობა მანდ გავატარე, ნეტავი, მსახიობი არ ვყოფილიყავი, არაფერი მინდოდაო, გააგრძელებდა ერასტი და აუცილებლად მოჰყვებოდა რაიმე შემთხვევას, რაც, აქტიორული ცხოვრების არაპრაგმატულობას ამტკიცებდა. ეს ნამსახიობარი, პოეტური ბუნების ბერიკაცი, საოცრად პრაგმატულ აზრებს ისროდა, ამიტომაც ჭკვიან კაცად ითვლებოდა ზოგიერთ წრეში. მე კი რატომღაც არ მჯეროდა მისი აზრებისა. სადარბაზოს ლომების ამბავი რომ მიამბო, კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ სხვების გასაგონად ცდილობდა ასე ელაპარაკა, ვითომდა, დროს არ ჩამოვრჩენილვარო.

მარტო ცხოვრობდა ერასტი. ცოლი კარგა ხნის წინ მიიცვალა, ისიც მსახიობი. ქალიშვილი კი გათხოვილი იყო, ერასტისაგან შორს, დიდ ქალაქში, ასე ეძახდა თბილისს იგი, სადაც ახალგაზრდობის ყველაზე „ლომური“ წლები გაატარა... როგორც მოგახსენეთ, იგი ყავახანაში ერთსა და იმავე დროს მოდის, ექვს საათზე, დალევს ყავას და რვა საათისათვის ნელა წამოიშლება მაღალი, წელში ოდნავ წახრილი ბერიკაცი, ყავახანის კიბეებს დაუყვება. ყავახანის მუდმივ სტუმრებს თუ დაუკვირდებით, ყველას აქვს ამოჩემებული ჟამი ყავის სმისა. ამოჩემებულ დროს სხვადასხვა ახსნა მოეძებნება. ზოგი შესვენებისას მოდის, ძველი მეგობრების ჯგუფს საგანგებოდ აქვს შერჩეული თავყრილობისთვის დრო. მე ერთი კაციც ვიცი, ყავახანაში ამოჩემებულ დროს მოდის იმიტომ, რომ ამ დროს მისთვის საძულველი კაცი მიდის იქედან. ზოგნიც კი მოდიან, როცა სურვილი გაუჩნდებათ და მიდიან ასე სურვილისამებრ. ერთ-ერთი მათგანი მეც ვარ, რა ოცდაათს გადავცილდი, ვცდილობ დროის დავიწყებას, განა ისიც არ მეყოფა, ჟამი სიკვდილისა რომ არსებობს. ბატონი ერასტი თუ რად მიდიოდა ყავახანიდან რვა საათისათვის, ვერაფერს გეტყოდით. მასთან სახლში მისვლა რომ არ მომწეოდა.

ერთ საღამოს ერასტი ყავახანაში არ მოვიდა. ყველამ შეამჩნია მისი მოუსვლელობა. შეწუხდნენ. გაახსენდათ. ერთე დღეს გედევანი რომ არ მოვიდა, მერე გედევანი აღარასოდეს მოსულა. მეორე საღამოს გადახედეს მოხუცებმა ერთმანეთს და არაფერი უთქვამთ. ყაყანით დაყრუებული და თამბაქოს ბოლით გაგუდული ყავახანა სამ დღეს ელოდებოდა ერასტის. ერასტი აღარ მოვა, ჩაიბურტყუნა ხასანმა. იქნებ ავადაა, თქვეს სხვებმა, მე დამავალეს, წადი, ნახე, ერასტის თავს რა ამბავიაო. გულდამძიმებული გავუყევი ქუჩას. შემოდგომის საღამო ჯერ კიდევ თბილად სუნთქავდა, ტუჩის კუთხე ნერვიულად მიკანკალებდა, ასე ვიცი, როცა უსიამოვნო გრძნობა შემიპყრობს. სადარბაზოსთან შევჩერდი. იქვე, გაზონში, მაგნოლიები წამომართულიყვნენ. შემოდგომაზე მეორედ ყვავილობენ ისინი. „თეთრი სიკვდილია მაგნოლიის ყვავილი“, იტყოდა ერასტი, თეთრი ყვავილები სიკვდილის სუნს აფრქვევდნენ. ახლაღა ვიგრძენი სიკვდილის გამაბრუებელი სუნი ტრიალებდა ქალაქში. ლომები სადარბაზოს კარიდან შემომაცქერდნენ. ერთი მხრიდან მრისხანება, მეორე მხრიდან კი ლმობიერება. წარმომიდგა, რვა საათისათვის ყავახანიდან დაბრუნებული ერასტი

შეჩერებულა სადარბაზოსთან. პირწათლილ ლომს მივაცქერდი. ლმობიერების გრძნობამ ამავსო, სადარბაზოს კარი შევაღე და კიბეებს ავუყევი.

„ეჰ! როგორ ჰგავს, ეს სადარბაზო მოგონებას, მოგონებაც ხომ ასეა დაჩხაპნილი“, – მესმოდა ერასტის ხმა. ერთ სურათზე თვალებამოკორტნილი ვაჟი მანდოლინაზე უმღერდა კაბა ამოჩხაპნილ ქალს, ფართო ნაოჭებიანი კაბა ფარდასავით ჩამოშვებულიყო. უცებ მივხვდი, რომ კაბის კალთა თეატრის ფარდაა, იმას იქეთ კი სცენაა, საიდანაც ოიდიპოსის დაშრეტილი თვალები იცქირებიან ბრმა მზერით. კიბემ მოუხვია და მეორე სართულზე შეჩერდა. აქ სამი კარია, შუა კარი ერასტისაა. დავაკაკუნე, არავინ გამიღო, თუმცა გასაგონად და დიდხანს ვაკაკუნებდი. კარს მივადექი, ღია აღმოჩნდა და ფართო ოთახში მოვხვდი, არავინ იყო. მარტოხელა ბერიკაცის სიბერის სუნით გაჟღენთილი ოთახი ხომ წარმოგიდგენიათ. ისეთია ერასტის ოთახი. მეორე კარს მივადექი: არა! მეორე ოთახს ვერ წარმოიდგენთ, თუ არ აღგიწერთ, მეორე ოთახი მიკროთეატრია, მარჯვნივ ოდნავ ამაღლებული ფიცარნაგია, სცენის მაგვარი, მარცხნივ სკამების სამი რიგი, თითოეულ რიგში სამი სკამი, სკამებზე თივით გატენილი ფიტულები ისხდნენ, ბრტყელ სახეებზე ფერადი საღებავებით ფართოდ გაღებული თვალები და მხიარული ღიმილი ეხატათ, ზოგსაც მწუხარედ ჩამოეშვა ქვევით მზერა, ზოგის ღიმილშიც დაკარგულით გულდაწყვეტა ჩანდა. სცენაზე ერასტი იწვა, გულაღმა, ხელებგაშლილი, უპატრონოდ მიტოვებულ სხეულს თითქმის მთელი სცენა ეკავა. მარჯვნივ ტრაგედიის თეატრალური ნიღაბი ეგდო. კუთხეში სხვადასხვა გრძნობათა დამტვერილი ნიღბები ეყარა: სიყვარული და სიძულვილი, ბედნიერება და ტანჯვა, მრისხანება და ლმობიერება. ანტიკური თეატრის ყველა წესი დაცული იყო: დრო და სივრცე ერთი, ერთი მსახიობი და ათასი ნიღაბი.

რვა საათისათვის თეატრში ეჩქარებოდა თურმე, მაყურებელს ხომ არ ალოდინებდა ბებერი აქტიორი.

1976

ნეცკე

(ციკლიდან – საურმაგზე ნაამბობი მოთხრობებიდან)

მე ძალიან მომწონს იაპონური ნეცკე, პატარა ამბავი თან რომ ახლავს. იქნებ შენც მოგეწონოს, ჩემო საურმაგ. გიამბობ ერთ ნეცკეზე, ერთმა მეგობარმა მეორეს რომ აჩუქა დაბადების დღეზე. იგი ახლაც შენახული მაქვს... მერე გიჩვენებ.

როგორც გითხარი, საურმაგ, ერთმა მეგობარმა მეორეს ნეცკე აჩუქა. ალუბლის ხისაგან გამოთლილი, პაწაწკინტელა კაკლის ოდენა, ვიღაც იაპონელი ოსტატის გამოთლილი. ბედის ტრიალმა ნეცკე ამ კაცს არგუნა ჩვენთან კავკასიაში, ჩვენს ქალაქში. ეს კაცი მეძველმანე იყო, ანტიკვარი. მას ძალიან უყვარდა ძველებური ნივთების შეძენა. შემდეგ მათთან მარტოდ დარჩენილს შეეძლო საათობით ეცქირა და დამტკბარიყო ნივთის სინატიფით, დროის სურნელითა და ოსტატის ხელოვნებით.

ახლაც მარტო დარჩა თუ არა, მიუჯდა ძველებურ უზარმაზარ საწერ მაგიდას, ალუბლისფერი ნეცკე მწვანე მაუდზე დადო. საღამოს ჩაბნელებული ოთახი ძველებური ბრინჯაოს შანდალში ჩადებულმა წყვილმა სანთელმა გაანათა. იგი დიდებული ჩანდა, წარსულის სურნელი გამძაფრდა ოთახში, ნეცკე ნატიფად გამოთლილი მამაკაცი იყო, ოსტატი კი დიდოსტატი. ეს ყველაფერი ისე აღიქვა უცებ, ჯერ არც კი იცოდა, რა სიუჟეტი იყო გამოქანდაკებული ალუბალში. სახე ახლოს მიიტანა შანდალთან, რომლის ქვეშაც იდგა ნეცკე და უცებ ნათლად იგრძნო, რომ იგი გაცოცხლდა, თუმც

ასევე ნათლად ხედავდა, სანთლის ალით გაბრწყინებული ქანდაკება უძრავად იდგა. შეცბა, თავი სწრაფად გაარიდა, მაგრამ გრძნობა იმისა, რომ ქანდაკება ცოცხალია, არ გაუქრა. გადაწყვიტა კარგად შეეთვალიერებინა. უჯრიდან უზარმაზარი ძველებური ლუპა გამოათრია და დახედა. ნეცკე გაიზარდა, იგი შუახნის კაცი იყო, იაპონური კიმონოთი შემოსილი. ზურგზე გუდა მოეგდო. გუდაზე კი ვირთხები დახოხავდნენ, თვითონ კაცს ხელში ოსტატურად გამოკვეთილი შანდალი ეკავა, რომელსაც შემზარავი მზერით შესცქეროდა, პირზე კი შიშნარევი კივილი შეჰყინვოდა. თვითონაც შეძრწუნდა, ისე ვით ნეცკე, ორივენი შეძრწუნებულები შესცქეროდნენ შანდალს, ერთი ბრინჯაოს, მეორე ალუბლისას. ამ დროს ჭრიალით გაიღო კარები, კაცი შეხტა შიშისგან და უცებვე დაწყნარდა, კატა შემოსულიყო ოთახში. შიშმა და იმის განცდამ, რომ ნეცკე ცოცხალია, გადაუარა, თუმცა გული ისევ გამალებით უცემდა. სინათლე აანთო, სანთლებს სული შეუბერა და კვლავ მოიმარჯვა ლუპა. ნეცკე ჩვეულებრივი გამოდგა, კარგი ნამუშევარი, მოკლედ ისეთი არაფერი. მერე ისევ ეჭვით დახედა, გაუკვირდა, რატომ გამოიწვია ამ ფიგურამ ასეთი უცნაური განცდა. გაახსენდა, ნეცკეს ლეგენდაც რომ ახლდა. ეს ბრინჯის ქაღალდის პატარა გრაგნილი იყო. ზედ შავი ტუშით გაწაფულ ხელს იეროგლიფები დაეხატა. გული დაწყდა იაპონური რომ არ იცოდა, ძალიან უნდოდა გაეგო რა ეწერა გრაგნილზე. სურვილიც ისე ძლიერი იყო, რომ მაინც დააცქერდა იეროგლიფებს, დიდხანს, დიდხანს უცქირა ქაღალდის ქათქათა ფონზე გამოსახულ შავ ნიშნებს და... წაიკითხა:

მეძველმანე და ჯადოსნური შანდალი

მისთვის ბედნიერად დაიწყო დღე, მივარდნილ სოფელში რამდენიმე კარგი ნივთი შეიძინა. დღის ბოლოს, როცა მზე დასავლეთს გარდავიდა, კიდევ უფრო გაუმართლა, გზაზე ერთი ობოლი შემოეყარა. მის სანახავად მოდიოდა თურმე. ხელში ისეთი შესანიშნავი ძველთაძველი შანდალი ეკავა, რომ სიხარულისაგან ზურგიდან გუდა ჩამოუცურდა. ო! რა მშვენიერი იყო შანდალი, წყვილ ფრთოსან დრაკონს ზეციური ცეცხლით ანთებული ჩირაღდანი ეჭირა.

– ას იენს მომცემთ? – ჰკითხა ობოლმა.

ას იენს ითხოვს, სულელი, მან არც კი იცის, რომ ჯადოსნური შანდლის მფლობელია. უცებ დათანხმება არ ივარგებს, იფიქრებს, რა ადვილად დამთანხმდა, ალბათ მეტი ღირსო.

– ორმოცდაათს მოგცემ, – უთხრა მეძველმანემ და ობოლს თვალები უცოდველად აუფართხალა.

– მე, ბატონო, მეძველმანევ, აუცილებლად მჭირდება ასი იენი, პური და სანთლები უნდა ვიყიდო, თორემ ღამით ვერ ვიმუშავებ, მე ხომ ნეცკეებს ვაკეთებ.

– აი შენ ოთხმოცი და გავათავოთ, – თქვა მეძველმანემ აგდებულად და შანდლისაკენ წაიღო ხელი.

– მე ხომ გითხარი, უფალო მეძველმანევ, ასი იენი მჭირდება მეთქი, სანთლები უნდა ვიყიდო, სამუშაო მაქვს ბევრი.

– ოთხმოცდაათი და მოვრჩეთ, – გაცხარდა მეძველმანე, რად გინდა შანდალი, თუ სანთელი არ გაქვს.

– ასი იენი გითხარით და ნაკლებად არ მოგცემთ.

– კარგი, აიღე, ოსტატი რომ ხარ, ამიტომ გაძლევ, მე ნეცკეებიც მიყვარს.

სიხარულს ვეღარ მალავდა, ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა ბიჭი, რომ შანდალი უკეთ შეეთვალიერებინა. ობოლი გაშორდა. მეძველმანე შანდალს დააცქერდა. დრაკონებს ბრინჯაოს ქერცლები შავად უბრწყინავდათ, თუმცა მზე ძლივსღა ბჟუტავდა, თითქოს შანდალი მართლაც ჯადოსნური იყო. უცებ დრაკონები გაცოცხლდნენ, ჭრიჭინას სიფრიფანა ფრთები ააფართხალეს და ჰაერში ჩამოეკიდნენ, პირით ჩირაღდანი ეკავათ, რომელიც უეცრად აკიაფდა და ისე განათდა,

რომ კოღოს კბილებს დაუთვლიდა კაცი. სინათლის შუაგულში, დრაკონებს ქვემოთ, მიწაზე ვირთხა იჯდა, ვირთხა მეძველმანის თვალებით იმზირებოდა. დაზაფრულმა შეჰკივლა. იგი მიხვდა თავის შემდგომ გარდასახვას რომ ხედავდა. ულმობელია კარმა. (კარმა, ჩემო საურმაგ, მიზეზ-შედეგობრიობის კანონია, ბედისწერას უდევს იგი საფუძვლად), მეძველმანე სიბნელეში იდგა და შანდალს დაჰყურებდა.

ობოლმა სანთელი იყიდა, მიუჯდა მაგიდას და დილამდე ალუბლის ხიდან გამოაქანდაკა შიშისაგან აკივლებული მეძველმანე, ჩაზაფრული თვალებით რომ შეჰყურებდა შანდალს.

ჰოდა საურმაგ, წაიკითხა ეს ამბავი იმ კაცმა, ნეცკე და გრაგნილი სხვენზე შეინახა. მას შემდეგ ძველი ნივთების შეგროვებას თავი გაანება. ვირთხები თურმე იაპონიაში სიმდიდრის ღვთაების თანამდევნი არიან, თანაც ნათქვამი გაახსენდა:

სადაც არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი.

1984

ამბავი, რომელიც არ მომხდარა

იდუმალების მდინარე მდორეა
დორიან, დორიან, დორიან.
მე-20 საუკუნის უცნობი პოეტი

არსებობს კოლექციონერების ერთი ტიპი მამაკაცებს შორის, რომელთა ჰობი დიდი აზრების შეგროვებაა (მათ თავი გულისხმიერ და ჭკვიან ადამიანებად მიაჩნიათ), ისე კი ღმერთმა უწყის, რას არ აგროვებენ: მონეტებს – ნუმიზმატები, გრამფირფიტებს – მელომნები, მარკებს – ფილატელისტები, ძველ ნივთებს – ანტიკვარები, უმეტესად მდიდრები, წიგნებს – ბიბლიოფილები. აგროვებენ სიგარეტის კოლოფებს, ასანთის ეტიკეტებს, სპირტიან სასმელებს (უმეტესად ისინი, ვინც არ სვამენ). მოკლედ ათასგვარ რამეს. ერთი ნაცნობი ძველ კალენდრებს აგროვებდა, გამოხუნებული, დაჩრჩილული კარადა ნაირ-ნაირი კალენდრებით ჰქონდა გამოტენილი, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ – „გარდასულ დროთა ასდის სურნელი“.

აწმყოსა და წარსულს შორის ჩაშლილი ხიდი უნდა აღადგინოს თითქოს ძველი ნივთების კოლექციებმა; ზოგიერთი მუზეუმის დათვალიერებისას არის კიდევაც კულმინაციური მომენტი, როცა დრო მთლიანდება, წარსული და მომავალი მარადიულ აწმყოში ერთვის ერთმანეთს. მეორე მხრივ, ადამიანების მიდრეკილება კოლექციონერობისაკენ თითქოს და ატავიზმია. უკუმიქცევა შორეულ სამყაროში. მიზანი კი მაინც ერთი რჩება, განუზომელი სამყარო. მაგრამ ამას თავი გავანებოთ. ჩვენს მოთხრობას სულაც არა აქვს მიზნად ამ მოვლენების ახსნა. მე სულ სხვას ვაპირებ, მინდა გიამბოთ ამბავი, რომელიც არ მომხდარა.

ერთ ჩემს მეგობარს უცნაური ჰობი ჰქონდა. იგი ჩვეულებრივ აზრებს აგროვებდა. დადიოდა კაფეებსა და კინოებში, ბაზრებსა და სადგურებში, გამოელაპარაკებოდა ვინმეს, გაცნობისა და სწრაფი დაახლოების ნიჭი ჰქონდა, შეეძლო ერთ საათში დამეგობრებოდა მისგან სრულიად განსხვავებულ ადამიანს. არამც და არამც არ აგრძნობინებდა მოსაუბრეს, მისი აზრის გაგება რომ სურდა. ამას დიდი ოსტატობით აკეთებდა. როცა მისთვის საჭირო ინფორმაციას მიიღებდა, იმწუთშივე კარგავდა ინტერესს მოსაუბრისადმი. თვალები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მზერით იკარგებოდნენ ჰორიზონტს იქეთ და მსუბუქად უკრავდა თავს მოსაუბრეს, რომელიც უკვე მზად იყო გული გადაეშალა მისთვის.

შეგროვებული აზრები ფურცელზე არ გადაჰქონდა, არც მოსვლია აზრად ჩაეწერა, იგი არც კოლექციონერად თვლიდა თავს, მის საქციელს ასე აგიხსნიდათ: ადამიანებს ვსწავლობო. ახლობლებთან საუბრისას ხშირად იცოდა სხვისი აზრების დამოწმება, აფორიზმები იცოდა უამრავი, პირდაპირ ხალხში ნაშობი. ზოგიერთი ისეთი საინტერესო იყო, რომ დღემდე მახსოვს სადგურში გაგონილი: მატარებლები არ ბრუნდებიან ან რასაც ვფიქრობ ბორბლებიც იმას იმეორებენ, ან მოლოდინი ცხოვრებას ახანგრძლივებს.

ხანდახან ახალგაცნობილნი თავის ცხოვრებიდან მოუთხრობდნენ შემთხვევებს, თვითონ კარგი მთხრობელი იყო და ხშირად გვართობდა მოსმენილი ამბებით. განსაკუთრებით სადგურში მოსმენილით. ვინმეს, დაუჯდებოდა გვერდით, მათ საუბარს დაუგდებდა ყურს და მოხერხებულ დროს ჩაერეოდა, თვალებს დიდი ინტერესით მიაპყრობდა ახალ გაცნობილს და უმალ ქმნიდა ინტიმურობის გარემოს, მერე ლუდზე დაპატიჟებდა, კათხა ლუდი საუბრის გაგრძელების უებარ ხერხად მიაჩნდა. როგორც გითხარით, საკვირველად კარგი მთხრობელი იყო, ხავერდოვანი ხმაო, რომ იტყვიან, სწორედ ასეთი ხმით იცოდა თხრობა. უმალ მოგაჯადოებდა, ფერადოვნად დახატავდა ოფლის სუნით აქოთებულ სადგურებს, ხახვით გატენილ ტომრებზე მიყრილ გლეხებს. თუ კაფეებზე ლაპარაკობდა, ჰაერში ალკოჰოლის მათრობელა სუნი დატრიალდებოდა. ვურჩევდი დაწერე, რასაც გვიამბობ მეთქი. რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ერთ ამბავზე მეტი ვერ დაწერა. მე მაინც ვაძალებდი წერე-წერე, აუცილებლად გამოგივა, წერე ისე, როგორც გვიამბობ-მეთქი. ისიც ცდილობდა. ბოლოს გადაწყვიტა, აქედან არაფერი გამოვაო და ისევ ზეპირად გვიამბობდა თავის მოთხრობებს.

კარგა ხანი რომ არ გამოჩნდა, მივაკითხეთ. მგონი მაისი იდგა. მეზობელმა გვითხრა სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულაო. ათასი ვერსია ავაგეთ, ვიღაცამ ისიც კი თქვა, სადგურში მოკლესო. ზოგმა, ზოგმა კი არა, კაპიტომ, მისმა მეგობარმა თქვა, ქალაქ-ქალაქ ხეტიალობს აზრების შესაგროვებლადო. ისე მიილია ერთი წელი, მასზე არაფერი ისმოდა. სადგურში მისი სურათი ვნახე გამოკრული: „19... 21 მარტს სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა რენე ბოჩიას ძე ბუალავა, 24 წლის, საშუალო სიმაღლის, განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს. თუ სადმე გინახავთ ან იცით მისი ადგილსამყოფელი, გთხოვთ შეგვატყობინოთ“.

სადგურში ნანახი სურათი თითქოს თან გამომყვა. ვერც ძილში მოვიშორე მისი სახება, სიზმარშიც მას ვხედავდი, მერე თანდათან გადამავიწყდა, იშვიათად თუ გამახსენდებოდა, როცა ჩვენი ქალაქის ყველაზე მოკლე ქუჩაში ჩავივლიდი პატარა ბაღიან ერთსართულიან სახლთან. სახლი ხის იყო, ხუთკუთხედი, ყვითლად შეღებილი, წინ სვეტებიანი აივანი ჰქონდა. ბოჩი ბატონი, თეთრწვერა მოხუცი ყვავილებთან დაფუსფუსებდა ეზოში, ღიღინით რწყავდა პატარა წარაფს. მეზობლები ამბობენ, დედამისი სახლიდან აღარ გამოდის მას შემდეგ, რაც შვილი დაკარგაო. ქმარს სქელი შავი ფარდები ჩამოაშვებინა ფანჯრებზე, მზის სხივებს რომ არ შემოეღწიათ, არც ნათურის ანთების უფლებას აძლევდა ბერიკაცს, მხოლოდ ძველებური ბუს ქანდაკებიანი ნავთის ლამპა უნათებდათ დაღვრემილ სახეებს. ხშირად მომნდომებია შემეხედა ფარდაჩამოშვებულ ოთახში, მაგრამ რაღაცნაირი მოწიწების გრძნობა დედამისის მიმართ მაკავებდა. ასე მეგონა, ჩემი იქ შესვლა დაა-ფრთხობდა შვილის ლანდს, ბუიანი ლამპით განათებულ მაგიდას რომ ეწვეოდა საღამოობით შინდისმურაბიანი ჩაის დასალევად. ხანდახან ეზოსთან ჩავლილი მოხუცს გავესაუბრებოდი. შვილზე ლაპარაკს ვერ ვუბედავდი: ყვავილებით გართულს მწარე ტკივილი არ გავახსენო-მეთქი. რომელიმე ყვავილზე მივუთითებდი – რა ყვავილია? მოხუციც გადაგიშლიდა ყვავილის სიცოცხლეს. მის ბაღში ყველა ყვავილს საკუთარი სახელი ერქვა. მათი გამრავლების საქმესაც მებაღე განაგებდა, ის ჯერ ნიშნობას მოაწყობდა, მერე კი ქორწილს გადაუხდიდა. საქორწინო ღამეს კი ფუნჯით გადაიტანდა ერთი ყვავილის მტვერს მეორეს ბუტკოზე. მისი ყვავილები ცხოვრობდნენ ადამიანური ცხოვრებით, მოხუცი კი ცხოვრობდა ყვავილების ღმერთის ცხოვრებით.

მრავლისმრავალჯერ ჩავიდა და ამოვიდა მზე. დაკარგულის არსებობა თითქოს და მინელდა ჩემში, მოხუცთან შეხვედრა აღარ მახსენებდა შვილს. პირდაპირ ყოველგვარი თანამგრძნობი მზერის გარეშე მოვითხოვდი საუბარს და მიამბობდა მოხუცი, თუ რატომ დაჭკნა მიხაკი „სალამბო“. თუ ვით მეტი სიმძაფრით ყვავილობს სიკვდილის წინ ნარგიზი „კლაუ„დია“. პატარა ფერად ბაღს იქეთ ყვითლად შეღებილი სახლის ფანჯრებზე უცვლელადაა ჩამოშვებული შავი ფარდები.

ათი წელი მიილია მისი დაკარგვიდან, არაფერი შეცვლილა ჩვენს ქალაქში, მხოლოდ ჩვენ შევბერდით ოდნავ, მოხუცს არაფერი დასტყობია – იგი ისევე თეთრწვერა იყო, როგორც ამ ათი წლის წინათ. 21 მარტს ზუსტად 10 წლის თავზე მისი დაკარგვიდან დაიწყო ის უცნაური ამბავი, მთელი წლის მანძილზე თან რომ მსდევდა. ვიდრე ამას გიამბობდეთ, მინდა თვალები წარსულს მივაპყრო.

იგი დეკემბრის თვეში გავიცანი ზღვის პირას, ნაქეიფარი მოვწყდი თანამოსუფრეთა გუნდს და ზღვიდან მონაბერ ქარს მივუშვირე გახურებული შუბლი. საღამოს ზღვა ავად იღრინებოდა, ტალღები ბოროტად აწყდებოდნენ ჯებირს. გავყურებდი ჩამუქებულ ჰორიზონტს, დროგამოშვებით პროჟექტორის მოლურჯო თეთრი სხივები რომ გაანათებდნენ. მომეჩვენა რომ ჩემი ცხოვრება ჰგავდა ჰორიზონტს, ჩამუქებულს და ბნელს, მხსნელ იმედად მხოლოდღა პროჟექტორის სუსტი სხივები რომ დარჩენიათ, თუმცაღა რა გადაურჩება ზღვას, გავეშებულ და გაუმაძღარ ურჩხულს. შიში დამეუფლა, ზღვის შიში. უკან ხტომით მოვცილდი ნაპირს მიახლოებული. ჩემი შეშინებული მზერა პროჟექტორის იისფერ მზერას შეეფეთა. „ლამაზად საშიშია ზღვა“, გაისმა ხმა. უცებ პროჟექტორის სხივმა ჰორიზონტზე გადაინაცვლა და სიბნელეში ლანდად იდგა უცნობი. შიშმა კიდევ ერთხელ დამზაფვრელად დამიარა ტანში. „მეც მიყვარს საღამოობით ზღვაზე გამოსვლა“, განაგრძობდა უცნობი. „თუმც მეშინია ზღვისა, გამოუცნობი და უძიროა ზღვა, როგორც ცხოვრება, პროჟექტორის სხივები კი ჩვენი მზერაა, უმწეოდ რომ მისჩერებია ჰორიზონტის უკუნს“.

სხივი ისევ მოვარდა და გაანათა უცნობის სახე, მარცხენა ხელისგული სახის მარცხენა მხარეზე დაედო და მარჯვენა თვალით მისჩერებოდა ზღვას. მსუქან სახეზე კი მზერასთან შეუსაბამო ეშმაკური ღიმილი დასკუპებოდა. რახან ხელისგული ნახევარ ტუჩსაც ფარავდა, ღიმილსაც მხოლოდ სახის მარჯვენა ნახევარი ეკავა. სხივმა ისევ სხვაგან გადაინაცვლა და სიბნელეში ჩაძირულმა მარცხენა ხელი ნელა დაუშვა. რატომღაც ვიფიქრე: მარჯვენა მხარე ტუჩისა მწუხარედ ექნება-მეთქი ჩამოშვებული. მას მერე კიდევ სამი წელი ვიცნობდი მას, საღამოობით შემოივლიდა ჩემთან, თავაზიანი ღიმილით გაანათებდა ჩემს ოთახს. საუბარში ჩარევა არ უყვარდა, თუ ლაპარაკს იწყებდა, ლაპარაკობდა თვითონ, მონოლოგივით დიდხანს და პოეტურად.

დღეს 21 მარტს, მისი დაკარგვიდან 10 წლის შემდეგ, ზღვაზე გასულს მომაგონდა ის დღე, დღეს არაა ისეთი ზღვა, როგორც მაშინ დეკემბერში. გაზაფხულის ზღვა იყო მშვიდი და ლურჯი, ახლობელი და საყვარელი, ჰორიზონტს დამავალი მზე გვირგვინად ადგა, შეწითლებული, ნაფლეთ-ნაფლეთი ღრუბლები ზღვის, სარკეზე ირეკლებოდნენ ნაკვერჩხლებად და ვიფიქრე, ოცდათოთხმეტ წელს მიახლოებულმა, რომ ჩემი ცხოვრება დამავალ მზეს ჰგავს. მზე არაფერს ჰგავს, მომესმა ხმა, შემოვბრუნდი, უკან თმაშეთეთრებული შავსათვალიანი კაცი იდგა. თქვენ ალბათ მიმიხვდით, რადგან ათი წლის წინანდელი შეხვედრისას და ამ შეხვედრის ანალოგიურობამ უნდა მიგვანიშნოს, რომ აზრთა კოლექციონერი დაუბრუნდა სახლს. უმალვე ვირწმუნე, რომ ჩემს წინ ის იდგა, მის შეცვლილ სხეულში ნაცნობ ხაზებს ვხედავდი. მხოლოდ მისი მზერაღა მჭირდებოდა, იგი უტყუარი ნიშანია. თქმა კი სათვალე მოიხსენით-მეთქი, მომერიდა. თავი შევიკავე, თითქოს ვერ ვიცანი. „მართლაც მზე არაფერს ჰგავს, არც შეიძლება რამეს ჰგავდეს მეგობარო“, ჩამესმა ჯადოსნური ხმა. კიდევ ერთხელ მომცა თითქოს დასტური: ეს კაცი დაკარგული მეგობარია, მაგრამ სათვალის იქეთ მიმალული მზერა არ მაძლევდა საშველს. „მზე ერთადერთია, დიადი და მიუწვდომელი“. იგი

დადუმდა, გასცქეროდა შავი მინებიდან დაისს, მე კი მივჩერებოდი მას, იქნებ მზერა გაუშიშვლდეს მეთქი. უცებ ვიგრძენი, თუ როგორ მძულდა სათვალე. ბუნებამ შიშველი შვა ადამიანი, მან კი ტანი შეიმოსა. შიშველი მზერა რჩებოდა, სანამ სათვალეებმა არ შემოსეს მზერა, და აღარ ჩანს ადამიანი საკუთარ ძველმანებში შემძვრალი. სათვალის იქეთ გადამალულნი ავაზაკურად ჩაუსაფრდებიან ხოლმე კუთხეში. თითქოს იგრძნო ჩემი ფიქრები „უცნობმა“, თუ დაჟინებულმა მზერამ შეაწუხა, სათვალე მოიძრო და მზერამ მაუწყა, რომ იგი არ იყო. უცნობის ნაღვლიანი მზერა რუხად იკარგებოდა დაისის ფერში. ორივენი გავცქეროდით დასალიერს. მზე ნელ-ნელა დაჯდა ჰორიზონტზე, უხმოდ ვუყურებდით ჩასვლას და საღამოს მწუხარებამ ჩაისადგურა თვალებში. როცა სრულიად ჩაინთქა მზე, ორივენი მოვბრუნდით, ვლაპარაკობდი, იგი უხმოდ მომყვებოდა, ერთხელაც არ ჩამრევია. ვლაპარაკობდი მზის ჩასვლაზე, თუ როგორ შემოეპარება გულს სევდა ნათელზე, რომელმაც მიგვატოვა მთელი ღამით სიბნელის ურჩხულთან მარტოდმარტო და უსუსური ადამიანი პატარა უძლური ხელებით უნდა შეებას ბოროტ უკუნს, იმედად კი დილაა, როცა დიადი მნათობი ამოგორდება მთებს იქედან და მწველი სხივებით მოგვიალერსებს შეშინებულ სახეებზე. სათვალე ისევ ეკეთა, ისევ შემიჯდა ეჭვის ჩრჩილი. რატომღაც მეგონა, ნაცნობ მზერას მალავდნენ შავი მინები. უნდა გითხრათ წინასწარ, რომ მერეც ასე იყო, როცა სათვალე არ ეკეთა, იგი ტანტრე იყო, როგორც გამეცნო. სათვალეებს გაიკეთებდა თუ არა, ეჭვი შემიჩნდებოდა, რენეა მეთქი. თუმც ერთხელ პირუკუც მოხდა. ეს საღამო იყო დასაბამი ჩემი მეორე უცნაური ნაცნობობისა. ტანტრე და მე დავვახლოვდით, ხშირად მოდიოდა ჩემთან, ვსაუბრობდით მზეზე, ადამიანებზე. იგი დარაჯად მუშაობდა ადგილობრივ მუზეუმში. ჩვენს ქალაქში კი ახლახან ჩამოვიდა სხვა ქალაქიდან. მეუღლის მშობლები აქ ასვენია და ცხოვრებაც აქ ისურვაო. მისი ცოლი უცხო ენას ასწავლიდა სკოლაში. უცნაური ჩვევა ჰქონდა ტანტრეს: მზის ამოსვლას ეგებებოდა დილით, საღამოთი კი ზღვისქვეშა სასახლეში მიაცილებდა მნათობს.

ეჭვი მოსვენებას არ მაძლევდა, მაშინ იგი ჩემს მეგობარს კაპიტოს გავუზიარე. ის თავის მხრივ „დაკარგული მეგობრის“ მეგობარი გახლავთ. ახლა მოსვეხება ერთად დავკარგეთ, ტანტრეს გარდა აღარავინ და აღარაფერი გვაინტერესებდა. გადავწყვიტეთ ტანტრეს დავვახლოებოდით, კაპიტოსთან მოვიწვიეთ სახლში მეუღლესთან ერთად. ერთად მობრძანდით-მეთქი, მარტო მოვიდა. სუფრას სამნი შემოვუსხედით. ქართული სუფრის ამბავი მოგეხსენებათ, კაპიტონი თამადობდა, მისი სადღეგრძელო ყოველთვის სუფრაზე წარმართული საუბრის რეზიუმე იყო. მეგობრობაზე კი ერთხელაც არ ყოფილა საუბარი. ბოლოს კაპიტოს მივმართე, მოდი მეგობრობის სადღეგრძელო დავლიოთ-მეთქი. მინდოდა ჩვენი „დაკარგული მეგობარი“ ეხსენებინა, როგორც ვიყავით შეთანხმებული, ტანტრეს რეაქცია გვაინტერესებდა. კაპიტომაც არ დააყოვნა, გვიამბო გრძელი ლეგენდა პიტიასსა და დაიმოსზე, როგორც მეგობრობის სიმბოლოზე, არც რუსთველი დავიწყებია, ცხოველისა და ადამიანის ამაღელვებელ მეგობრობაზეც ილაპარაკა, მთავარ სათქმელს კი არ იქნა და არ მიადგა. ტანტრე თვალებში მისჩერებოდა. ყურადღებით თითქოს, მაგრამ ეტყობოდა არ უსმენდა, სხვა ფიქრის ნაპერწკალი ჩანდა მის თვალებში, ილაპარაკა ბევრი და არაფერი არ თქვა, ეს მისი სტილი იყო. სადღეგრძელო ჩემზე გადმოვიდა. მეგობრებს გაუმარჯოს! კაპიტომ ჩინებულად ახსნა, თუ რა არის ეს გრძნობა. მე ესღა დამრჩენია ჩვენი მეგობრები ვადღეგრძელო, ვუსურვო ბევრი სინათლე და სიხარული, უდროოდ წასულების შესანდობარსაც ვიტყვი. იცი, ტანტრე, ერთი მეგობარი გვყავდა, საოცარი კაცი, აზრების კოლექციონერი იყო, ბაზრებსა და სადგურებში, ყავახანებსა და კაფეებში უსმენდა და აგროვებდა ხალხში გაბნეულ სიბრძნეს. ერთ დღეს, მგონი ათი წლის წინათ, 21 მარტს გავიდა შინიდან და აღარ დაბრუნებულა, ახლა არ ვიცი, როგორც ცოცხალი ვადღეგრძელო, თუ როგორც გარდაცვლილის შენდობისა ვთქვა, ამ სიტყვით მივუბრუნდი ტანტრეს, მან სათვალე

მოიძრო და... მომეჩვენა, რომ ეს დაკარგული მეგობრის მზერა იყო. სწორედ ეს შემთხვევაა ზემოთ რომ მოგახსენეთ. ახლა ყველაფერი პირუკუ იყო. მისი დანისლული თვალებიდან სევდისა და აღტაცების ნარევი მზერა გამოსჭვიოდა, რა გითხრა არ ვიცი, არც ცოცხლებშია, არ მკვდრებში, ვახსენოთ ჩვენ მისი სახელი... რა ერქვა? რენე, რენე ლაზურად არის ნიშნავს. ჩვენ ვახსენებთ, რენე! როგორც სანთელ-საკმეველი არ ჰკარგავს გზას, გულწრფელი გახსენებაც გაიკვლევს გზას. გადალახავს სივრცეებს და მივა. სათვალე მოირგო, ისევ ტანტრედ იქცა. ღვინო ერთი სულისმოთქმით დალია და წამოდგა. ბოდიში, მაგრამ უნდა წავიდე. საით ტანტრე? იცით, მე დილაობით ვეგებები მზის მოსვლას, საღამოობით კი მივაცილებ.

სამივენი მივადექით ზღვას. დიადი მნათობი ცხადად გამოიკვეთა დასალიერზე, ნელი სვლით ეშვებოდა ჰორიზონტს იქეთ. დიდი ხანია რაც მზეს ეგებებით და მიაცილებთ? ვკითხე ისე, რომ მზისთვის თვალი არ მომიშორებია. არა, რაც აქ ჩამოვედი, მას შემდეგ, მიპასუხა მზეზე მზერამოუწყვეტლად. მზე უფრო და უფრო ინთქმებოდა. რატომ მეკითხებით, თქვენი რენეც ხომ ასე არ იქცეოდა? რა ვიცი, იქნება კიდეც... თუმცა არასოდეს მსგავსი რამ არ უთქვამს. ზღვაზე გამოსვლა კი უყვარდა, უფრო ზღვის კაცი იყო, ვიდრე მზის. ჩვენ ყველანი ზღვისეულები ვართ, თქვა დახშული ხმით, სული კი მზისკენ მიისწრაფვის. კაპიტო კენჭებს კენჭებზე ისროდა ჰორიზონტისაკენ. თითქოს დამავალ მზეს უნდა უწვდინოსო. მზე ჩაცხრა. ღრუბლებს შერჩენოდა სიწითლე და სახეებს ვარდისფრად ედებოდა. ნელი ნაბიჯით მივყვებოდით ზღვისპირა ხეივანს. ტანტრეს სათვალე მოეძრო, თვალებში გავხედავდი დროგამოშვებით, უცხო მზერა იყო, ნაღდად უცხო.

მე და კაპიტომ შევადგინეთ გეგმა კოდური სახელწოდებით „მისტერია“. პირველ რიგში კიდევ უფრო უნდა დავვახლოებოდით ტანტრეს, გაგვეცნო მისი მეუღლე და ხელში ჩაგვეგდო საოჯახო ალბომი, თუ კი ასეთი რამ ჰქონდათ. შემდეგ უნდა მოგვეწყო ვითომც შემთხვევითი შეხვედრა რენეს მამასთან. კაპიტო მარწმუნებდა, მამასთან შეხვედრით დაგვეწყო, რაღა შორიდან მოვუაროთ, როცა შეიძლება ამ შეხვედრის დროს ყველაფერი გაირკვესო. ჩვენც დავიწყეთ მზადება, გადავწყვიტეთ შეგვერჩია მზიანი დღე, რომ ტანტრე ზღვის გასაცილებლად წასულიყო ბაღისაკენ, თანაც მოხუცს ბაღში მოფუსფუსეს ვითომ შემთხვევით მოვკრავდით თვალს. მერე გადავწყვიტე წინასწარ მოხუცთანაც შემევლო.

დიდი ხანია აღარ მენახა ბოჩი ბატონი, მას შემდეგ რაც მომლოდინე მეუღლე გარდაეცვალა, მძიმე ფარდები მოხუცს მაინც არ ჩამოუხსნია, ელექტროსინათლეც არ აუნთია, ისევ ბუს ქანდაკებიანი ლამპა ანათებდა მრგვალ კაკლის მაგიდას. შუადღეს გადაცილებული იყო, ზღვისპირა ქალაქის ყველაზე მოკლე ქუჩაზე რომ გადავუხვიე. ჩემდა გასაოცრად მოხუცი ბაღში არ იყო, მოწყენილად იდგა მიხაკი „სალამბო“. კარზე ფრთხილად მივაკაკუნე, ცოტა ხნის შემდეგ კარები გაიღო, მოხუცს შავი ხალათი ეცვა, თავზე მასხარასავით წითელი ჩაჩი ჩამოეცვა. გაცრეცილ თვალებში სიხარული აუციმციმდა, ოო! უჩარდის ვახლავარ, მობრძანდი, მობრძანდი, ჩემო უჩარდია. ყოველთვის რატომღაც გვარით მომმართავდა. „ბაღში იქნებოდით მეგონა, ბატონო ბოჩი!“ კოლხური სული ტრიალებდა. ამ დღისითაც ჩამობნელებულ ოთახში, კედელზე ბუხრის მარცხნივ მეუღლის სურათი ეკიდა, ბუხარში ნელი ცეცხლი ენთო. დაბალ სავარძელზე მიმითითა ბუხრის მარცხნივ. ტაბლაზე გაჩნდა არაყი, თხილი და დამჭკნარი ნაზამთრალი ვაშლი. „დღევანდელ დღეს გაუმარჯოს, უჩარდია, დიდი ხანია, რაც არ მსტუმრებიხარ“, თქვა და გადაჰკრა მოხუცმა. „გაუმარჯოს, გაუმარჯოს“, წავილუღლუღე უხერხულობით შემკრთალმა. რამ შემოგაგდო აქეთ? „იცით, რენეს ამბავი მინდოდა მეკითხა... რაიმე ხომ... არვის დროზე არ გიკითხავთ, ყვავილებზე მეკითხებოდი, ისე ვერ ბედავდი უხერხულობით ხომ?“ ქო პატენი... რატომღაც წავუკოლხურე. გასაკვირი ამბავია, უჩარდია, გასაკვირი. ათი წელიწადი ველოდებოდით მე და მარო. მე რომ ეჭვს შევიტანდი, ალბათ მოკ-

ვდა-მეთქი, ხმას გამაკმედინებდა, უჭირს, ბოჩი, რაღაც უჭირს. ჩვენი რენე ცოცხალია და უჭირს, უწმინდური უღობავს გზას ჩვენსკენ, საღამოს ჩაიზე აუცილებლად სამ ჭიქას დაასხამდა, შინდის მურაბით, ზუსტად იმ ადგილას, სადაც რენეს უყვარდა ჯდომა. თიდალიე ჩაი, ჩემო რენე სანამ ცხელია, დალიე, სანამ ცხელია, დალიე, ჩურჩულებდა გაუთავებლად. ასეც მიიცვალა, უჩარდია, რენეს სახელი პირზე არ მოსცილებია. ფარდების ჩამოხსნა არ გაბედოო, „სანამ ჩემი ბიჭი არ შემოაღებსო სახლის კარებს. ახლა გასაკვირი ამბავი, გასაკვირი“. იგი წამოდგა. ძველებური სეკრეტერი გამოაღო და დეპეშა მომაწოდა: мале чамовал, Учардиас утхари дамхвдес. Рене.

თარიღი და გამოგზავნის ადგილი არ ემჩნეოდა. გავშრი. „რა იყო, უჩარდია. რა მოგივიდა?“ ვუამბე ტანტრეს ამბავი, ჩემი ეჭვები, საძულველ სათვალეზეც, ქეიფ-ექსპერიმენტზე. მოხუცი თვალებგაფართოებული მიცქეროდა. როდის შეგხვდა პირველად? 21 მარტს, ბატონო ბოჩი. 21-ში მივიღე, 21-ში, ღრიალებდა მოხუცი. დამშვიდდით, ბატონო ბოჩი. ექსპერიმენტს გთავაზობთ, ხვალ მზის ჩასვლის სანახავად რომ წავა. რენე ხომ არ ეგებებოდა მზის ამოსვლას? მოხუცი ჩაფიქრდა. არა, არა მგონია. ხვალ მზის ჩასვლის სანახავად რომ წავა, აქეთ შემოვუხვევთ, ბაღში დაგვხვდით, ყვავილებთან, თუ ისაა, შეიკავე მოხუცო დიდი ხნის სიხარული, მხოლოდ მანიშნე.

ლოდინის ღამე იყო ის ღამე, თვალი არ მომიხუჭავს, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი, ისე ავაკვამლე ოთახი, რომ შეწუხებულ ცოლს გამოეღვიძა, რა არ გაძინებს, რა მოგივიდა. შენი ბატების ყიყინი-მეთქი, ვუთხარი, როგორც ხუთკუნჭულამ დევს. წაყვინთა ისევ. ცისიერი ნელა უჩუმრად შემოიპარა, ქუთუთოები მხოლოდ ახლაღა დამიმძიმდა, ძილმა შემიპყრო და გამომეღვიძა, როცა მზე თითქმის ზენიტში იყო. სწრაფად ჩავიცვი და ტანტრესკენ გავსწიე. კაპიტო უკვე მის სადარბაზოსთან მელოდებოდა. ტანტრე! შევკიჟინეთ ორივემ ერთად, ძახილი არც კი მინელებულიყო, ის სადარბაზოს კარებში გამოჩნდა. ყავაზე წავიდეთ, ტანტრე, ბაღში. თავი დაგვიქნია, იცით სიზმარი ვნახე: პატარა მწვანე ჭინკა შემომსკუპებოდა ზურგზე და თვალებზე ამაფარა თავისი დაგრეხილ თითები, გამოიცანი, ვინა ვარ? ჩამწიოდა შიგ ყურებში. ჭინკა ხარ ჭინკა, ვყვიროდი მე, ვერ გამოიცანი, ვერა, წიოდა ისევ და კიდევ უფრო მიჭერდა ხელებს, ვერაფერს ვხედავდი, მხოლოდ მისი მწვანე ხელების ფერი მედგა გუგებში. ასე გამომეღვიძა ტანჯვით და სანამ მზეს არ შევაგებე თვალები, ყველაფერს მწვანე ფერში ვხედავდი. მზემ ჩამიღვარა სითბო, მწვანე ყინულოვანი ხავსი, გუგებს მოდებული გალხვა და აღდგა სამყარო მრავალფერი პლაჟის კენჭებივით. ენაჩაგდებულები ვუსმენდით მოსალოდნელი ექსპერიმენტით აღელვებულები. აქეთ ჩავუხვიოთ, ტანტრე, ერთი ჩვენი ნაცნობი მებაღე მოვინახულოთ, მგონი გიამბეთ, ყვავილების ღმერთი რომაა. როჯორ არა მახსოვს, დაკარგული მეგობრის მამა არა?

მზე თითქოს ხელს გვიწყობსო, ზედ ბაღის თავზე იყო ჩამოკიდებული. მოხუცი ფუსფუსებდა, ჭიშკართან შეგვეგება, უჩარდია გაგიმარჯოს, კაპიტოს ხელი მწყრალად ჩამოართვა, სად დაიკარგეო, მაგრამ ზედაც არ გვიყურებდა, ორივე თვალით მისობოდა ტანტრეს. გაიცანით, ჩვენი ახალი მეგობარია, ტანტრე, ამოილუღლუღა კაპიტომ, მღელვარების დროს ყოველთვის ენა ებმებოდა. მოხუცმა ხელი მძლავრად მოუჭირა, ეს ოხერი სათვალე არ გვაძლევდა საშუალებას ტანტრეს რეაქცია გამოგვეცნო. მობრძანდით აქეთ, აქეთ მობრძანდით, სახლისაკენ გაგვიძღვა მოხუცი, ტანტრე წინ გავატარეთ. როგორ ჰგავს, როგორ! ჩამჩურჩულა მოხუცმა. ბუხარი, როგორც გუშინ, ნელა ღუღუნებდა, ტაბლაზე არაყი თავისი ატრიბუტებით წინასწარ გაემზადებინა, დავსხედით. ჭიქა ხუთი იდგა, გაავსო. ეს ჭიქა ჩემი რენესია, მწარედ ჩაიჩურჩულა, ტანტრემ სათვალე მოიძრო; თქვენ გაგიმარჯოთ, ბიჭებო! ერთადერთი სიხარული თქვენი მოსვლაა, იცოცხლეთ! გადაჰკრა, არა ეს არაა, გადმომჩურჩულა მოხუცმა. მომეჩვენა ტანტრემ ყური მოჰკრა-მეთქი, სათვალე ისევ დაიბნია, როგორ, ჰგავს, როგორ, ჩუჩულებდა მოხუცი. ჩემი ბიჭი იყოს აქ ნეტავ, ეჰ, რას ვიქეიფებდით,

რა თამადობა იცის მერე, რა! რენეს ოთახი გინდათ გაჩვენოთ. ჩვენ დავინტერესდით. სამი წლის ნაცნობობის მანძილზე ბევრჯერ ვყოფილვართ ყვითელ სახლში, მაგრამ არასოდეს გამეგონა, რომ თავისი ოთახი ჰქონოდეს. ხის ხვეული კიბით სხვენში ავედით. სახელოსნო იყო ნამდვილი მხატვრის სახელოსნო. სურათები მრავლად ეკიდა კედელზე. ფართო ხალიჩაგადაფარებული ტახტი იდგა სხვენზე ირიბად გაჭრილ ფანჯარასთან. ოთახი სინათლით იყო სავსე. სურათებს ვაკვირდებოდი, ნატურმორტები უცხო შეხამებით: გადაშლილ წიგნზე დაუდევრად ეგდო შებოლილი ტარანი და პირამდე ქაფმოდებული ლუდის კათხა, კონტრასტული ფერებით აეგო კომპოზიცია, „რენეს ნახატებია“, თქვა მოხუცმა. არასოდეს გამიგია, ბატონო ბოჩი, რომ რენე ხატავდა. ეს მისი საიდუმლო იყო, არსად დაგცდესო, სულ მეუბნებოდა. ჩვენ განვაგრძობდით მოულოდნელი გამოფენის დათვალიერებას. ოი! საოცრებავ, ფართო ტილოზე რენეს მარჯვენა მხარეს მთებს იქედან ამომავალი მზე დაეხატა. ლურჯ-მომწვანო ფერებით დახატული მთა მარცხნივ დაბლდებოდა და იმავე ფერის ოდნავ ღია ტონალობის ზღვაში გადადიოდა, რომელსაც ჰორიზონტზე ჩამავალი მზის მკრთალი ფერი დაჰკრავდა. წინა პლანზე ზურგშექცევით იდგა კაცი, თითქოსდა, თითქოსდა კი არა, მართლაც ერთდროულად შესცქეროდა ამომავალ და დამავალ მზეს. ტანტრე გვერდით მედგა, სათვალე მოეხსნა და აღფრთოვანებით შესცქეროდა ნახატს. შედევრია, როგორც შესრულებით, ისე აზრით, არასოდეს მსგავსი რამ არ მომსვლია თავში, თუმც მზის ამოსვლა-ჩასვლის სილამაზის ტრფიალი ვარ, რა იდეაა! რა ბედნიერებაა უცქირო ერთდროულად ორ საპირისპირო მოვლენას. მოხუცი ოთახის კუთხეში იდგა, სადაც რენეს ავტოპორტრეტი ეკიდა. საღამოსეულ ბაღში იდგა, ხელში სანთელი ეჭირა ოდნავ მბჟუტავი, რომელიც ოდნავ უნათებდა სახეს, სხეულს კი კონტურებით თუ გაარკვევდით, ქვემოთ წარწერაც იყო: ავტოპორტრეტი სანთლით. ქვემოთ აღფრთოვანებულები ჩამოვდიოდით: კაპიტო მოხუცს ევედრებოდა, გამოვაფინოთ, ბატონო ბოჩი, გენიოსიყოფილა, არა კაპიტო, არ იქნება, დაბრუნდება რენე და მერე... დეპეშა ხომ მივიღე, რა დეპეშა, დაინტერესდა ტანტრე, მალე ჩამოვალ, უჩარდია დამხვდესო. საოცარია, თქვა კაპიტომ. ვის უნდა გამოეგზავნა? თანაც ტანტრეს გადახედა, ტანერტრემ – მოხუცს. რა ვიცი, გავეპასუხე მე. ვინ გამოგზავნა და რენემ, დარწმუნებით თქვა მოხუცმა, მალე ჩამოვა. უჩარდია, არ დაგავიწყდეს შეხვედრა. არყის სმა საღამომდის გაგრძელდა, მზის ჩასვლის დრო რომ მოახლოვდა, შემთვრალი ტანტრე აიზიდა: ბოდიში, უნდა წავიდე... მზეს... ჭიშკრამდე მიაცილა მოხუცმა. არა, ეს რენე არაა, კარებიდან შემოგვძახა მან, თუმც ვინ იცის, იქნებ არის. კი მაგრამ თუ არის, რატომ გვემალება, რატომ არ ამხელს. ვერ გამიგია, თქვა კაპიტომ. არ არის და ეგაა, ცოტათი მივამგვანეთ, თან ქვეცნობიერი სურვილიც გვაქვს, რომ რენე იყოს. მერე შენი ბრალია, უჩარდია, 21 მარტს დაიკარგა, ამავე დღეს შემხვდაო, მერე რა 21, 21 დაგვიჩემებია, გაზაფხულის ბუნიობაო, ჩმახავ რაღაცეებს. ჩვენ მოვუწამლეთ გონება ბატონ ბოჩის, სათვალეს მოიხსნის არაო. გაიკეთებს, არისო. კი მაგრამ, გავაწყვეტინე მე, სურათებზე რაღას იტყვი, მზის ჩასვლა-ამოსვლა – ამაზე რას იტყვი? რას ვიტყვი და დამთხვევაა, უბრალო დამთხვევა, ჩვენ კი ვასაიდუმლებთ, ეს შენი ბრალია, უჩარდია, შენი დაავადმყოფებული დეტექტიური ტვინის, ყველაფერში საიდუმლოს ეძებ. ბატონი ბოჩის კიდევ მესმის, მამაა და ყველა იმედს ეჭიდება. დეპეშა, დეპეშა, წამოიხროტინა მოხუცმა. ჰოო! დეპეშაზე რას იტყვი, კაპიტო, ახლა არ თქვა, რომ მე გამოვგზავნე, იმაზე რას იტყვი, თარიღი რომ არ ამჩნევია, ტანტრე და დეპეშა ერთად რომ გაჩნდნენ თვალსაწიერზე. დეპეშა არ ვიცი, თქვა კაპიტომ, 21-ში რომ მიიღო ბატონმა ბოჩიმ და შენც ზღვაზე შეხვდი, ამასაც ხომ ვერ გამოთვლიდა, დამთხვევაა, თორემ რაში სჭირდება ტანტრეს, რომ გვაწვალებს ჩვენ, მამას. იქნებ, შიში დაეტყო კაპიტოს ხმას, ის სიზმარი სინამდვილეა. რა სიზმარი? იკითხა მოხუცმა. კაპიტომ სხაპასხუპით უამბო ენა აღარ დაბმია. მარო ამბობდა, ჩემი მარო, უწმინდური უღობავს გზასო. მოხუცმა თავი ჩამოადო სავარძლის სახელურს და ქვითინებდა

გულისმომკვლელად. ჩვენ ფრთხილად წამოვდექით, ჭიშკარი ისე ფრთხილად გამოვხურეთ, რომ არ აჭრიალებულა, მოხუცი მარტო დარჩა.

დეპეშა ბლეფია, – თქვა კაპიტომ. თვითონ გააკეთებდა და მერე დაიჯერებდა, რენეს გამოგზავნილიაო. ვინ იცის, იქნებ მასეცაა, გავეპასუხე ჩემდაუნებურად, მაგრამ სურათი არ მასვენებს, თანაც თვითონაც შეშფოთებული და შეწუხებულია, დააკვირდი შუბლი როგორ ეჭმუხნებოდა. არა! საოჯახო ალბომი უნდა ჩავიგდოთ ხელში. იქნებ ათი წლის წინანდელი სურათი აღმოვაჩინოთ შიგ. როგორმე ისე უნდა მოვიქცეთ, სახლში მიგვიწვიოს, მაგრამ როგორ? ვიკითხე მე. პირდაპირ სახლში ვესტუმროთ, თქვა კაპიტომ. კი მაგრამ, უხერხული არ იქნება? რა უხერხულობაზეა ლაპარაკი, დავწყდით ხალხი, შემომიღრინა მან და გადავწყვიტეთ სახლში ვსტუმრებოდით. ოღონდ ჯერ საჭირო იყო გაგვეგო, როდის იყო თავისუფალი მორიგეობისაგან. მუზეუმში დავრეკეთ დაცვის ტელეფონის ნომერზე, ტანტრეს ხმა იყო ყურმილში, სწრაფად დავაგდე და ორივენი მუზეუმისაკენ გავეშურეთ; თუმც ასეთი გადაწყვეტილება წინასწარ არ მიგვიღია, მხოლოდ მუზეუმის კარებთან მისულებს გაგვიკვირდა, თუ რად წამოვედით აქეთ. კარები ჩაკეტილი იყო, კაპიტომ მძლავრად დააკაკუნა. ვინ არის? შემოგვესმა ტანტრეს ხმა, უცნაურად შორეული, თუმც ერთი კარი გვაშორებდა მისგან. ჩვენ!!! ვუპასუხეთ ერთხმად. ჯაჭვმა გაიჩხაკუნა და კარი კი არ გაიღო, გადაიღო თითქოს, როგორც აღსავლის კარი. დღის სინათლის ნათურები ბნელად ბჟუტავდა. მობრძანდით, გვითხრა ღიმილით, რაღაც დამცინავიც იგრძნობოდა ღიმილში, თუმც არც გულწრფელობას იყო მოკლებული. კარი მძიმედ დაიხურა. ტანტრემ ჯაჭვი სწრაფად ჩამოაცვა და მკვეთრად შემობრუნდა. გული ისე შემიქანდა, ვიფიქრე აქედან ვერასოდეს გავალ-მეთქი.

ეზოში გავედით, თბილი საღამოა, ეზოში აუზთან ჩამოვსხედით, ნათურები ვიტრინიდან, სადაც ვეშაპ-ფინვალის 18 მეტრიანი ჩონჩხია, წყალს აშუქებდა და სინათლე მის ზედაპირზე ლივლივებდა, თევზები ზანტად ურტყამდნენ წრეს აუზში და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდნენ. ვიტრინაში სხვადასხვა ზღვის ცხოველები განლაგებულიყვნენ. ზედ ჩვენ წინ უზარმაზარი კუ ესვენა გადმოკარკლული მინის თვალებით. „ჰაგავარა!“ ზუზუნის მაგვარი ხმა ამოვიდა ტანტრეს პირიდან. „ეს კუ ჩემი მეგობარია“, თქვა მან სერიოზულად. „ჰჰააგგაავვაარრა“ ჰქვია. ხშირად როცა ვმორიგეობ, ვსაუბრობთ მე და ჰაგავარა. იგი სიკვდილის სიბრძნითაა სავსე და მარადისობაზე მიამბობს. იგი ახლაც ჰყვება გარდასულ დროთა ამბებს, რომელთაც კვლავ უწერიათ განმეორება, თქვენ ვერ გაიგონებთ, რადგან ფიტულები სხვა სიხშირეზე ლაპარაკობენ და ადამიანის ყური არაა აწყობილი მის მოსასმენად. მე ხშირად ვესაუბრებოდი ჰაგავარას და ერთ დღეს მისი პასუხიც მისწვდა ჩემს ყურთასმენას. იგი შეჩერდა უცებ, თითქოს ჩაფიქრდა. ახლა რაღა ვთქვაო, ხმას არ იღებდა. ჩვენც მონუსხულნი შევყურებდით თვალებგადმოკარკლულ კუს და არაფერი გვესმოდა, გარდა სიჩუმისა, რომლის ხმაურიც თევზების წყალში სრიალს ჰგავს. დანარჩენ ფიტულებსაც გადავავლე თვალი, კუს მარცხნივ სელაპის ნაშიერის თეთრი ფიტული იდო საცოდავად, მინის თვალებში პირველყოფილი შიში შეჰყინვოდა, შიში რომელიც ჩადგება თვალის გუგუბში, როცა ისინი საკუთარ მკვლელობას უმზერენ. მე სელაპის ხმა არ მესმოდა, მაგრამ ვიცოდი რას ჰყვებოდა. მე იმ კაცსაც ვხედავდი უკვე, თავისი დაუნდობელი ტორით მძლავრად რომ ჩაებღუჯა ნაჯახის ტარი და ნავიდან გადაწეული ეს-ესაა თავს გაუჩეხავს პატარა თეთრბეწვა სელაპუნას, უცებ წივილიც ჩამესმა ყურში, თითქოსდა კასპიიდან მონაბერმა ქარმა სასიკვდილოდ განწირული სელაპის ხმა მოიტანაო. კაპიტოს გადავხედე, იგი დაზაფრული თვალით შეჰყურებდა ვიტრინას, უკვე მრავალნაირი ხმა აღწევდა ვიტრინიდან, დელფინის წრიპინი, ვეშაპის სევდიანი უკიდეგანო ბღავილი. წამოვდექით. ტანტრე ჩვენს გვერდით აღარ იჯდა. მე და კაპიტო ვესტიბიულში დავბრუნდით, ტანტრე ტელეფონზე ლაპარაკობდა: დიახ, ყველაფერი რიგზეა, სიგნალიზაცია მუშაობს.

ჩამოვსხედით. ტანტრე ისევ სდუმდა. ასე ვიყავით დიდხანს, თითქმის მთელ საათს, უხმოდ და გაუნძრევლად. მერე ერთდროულად წამოვდექით მე და კაპიტო, თითქოს ვიღაცამ გვიბრძანაო. ხვალ საღამოს ჩემთან შემოიარეთ, წავივახშმოთო, გვითხრა ტანტრემ. ქუჩაში გამოსულებსაც არ ამოგვიღია ხმა, მხოლოდ როცა კაპიტოს გამოვემშვიდობე, მაშინღა ვთქვი: თითქოს-და იცოდა, მასთან სტუმრობა რომ გვინდოდა. „დამთხვევაა!“ მომიჭრა კაპიტომ და სადარბაზოში შევარდა.

სადარბაზოში შემწვარი ტარანის სუნი იდგა. მართლაც, როცა მაგიდას შემოვუსხედით, ტარანიც მოგვართვა ტანტრეს მეუღლემ. მაღალი ტანის მწვანეთვალება ქალი იყო, ქართულს რუსული აქცენტით ლაპარაკობდა. გამოხედვა მზაკვრისა ჰქონდა. როცა შემოგვხედავდა, ჯერ თითქოს ჩხვლეტას იგრძნობდი, მერე კი სითბოს. არაყსა და ლუდს ვსვამდით. საარყე ჭიქები პატარა იყო, ვერცხლის, მოსევადებული. ცივი არაყი სასიამოვნოდ მიდიოდა, ლუდის კათხებიც ძველებური იყო, თიხისა. ვწრუპავდი და თან ვათვალიერებდი. ტანტრეს მეუღლემ შემნიშნა. „მოგწონთ?“ „ძალიან!“ „ძველებურია, ჩვენი საოჯახო, ტაგანროგიდან ჩამომყვა, თქვენ ყოფილხართ ტაგანროგში?“ „არა, არასოდეს“. „ჩვენ ჩეხოვების სახლთან ახლოს ვცხოვრობდით, როგორ მომენატრა ჩვენი აზოვი, ტაგანის რქა“, ამოიოხრა ქალმა და ტანტრეს გადახედა. შავი ზღვაც ხომ მშობლიურია შენთვის. ჰო! ამოიგმინა ამჯერად, მწვანე თვალები აახამხამა, ჩვენ მოგვიბრუნდა. დედა აქაურია, ტაგანროგში გარდაიცვალა, აქ ასვენია. ასე დაიბარა, მამაც აქ ჩამოვასვენეთ, დედას გვერდით დამასაფლავეთო და მის ცხედარს გამოვყევით მე და ტანტრე. ტაგანროგი მაინც სხვაა, კაკლების ხეივანი მწვანე ხასხასა კაკლებისა. საგიჟეები თეთრ-თეთრი, ჩაიბურტყუნა ტანტრემ. ქალმა ალმაცერად გადახედა. ვიგრძენი, თუ როგორ მწარედ უჩხვლიტა მზერამ. ტანტრემ სასწრაფოდ სათვალე ამოიღო გულის ჯიბიდან და საკუთარი გრძნობები შავი მინების იქეთ გადამალა. თვალს აქეთ-იქეთ ვაცეცებდი, იქნებ საოჯახო ალბომს მოვკრა თვალი მეთქი. უცებ ერთი აზრი დამებადა. „ქალბატონო ძალზე საინტერესოა, სურათებზე მაინც ვნახოთ თუ როგორია ტაგანროგი“. „სიამოვნებით“, დელფინივით დაიწრიპინა ქალმა და კარადა გამოაღო, ძველებური მძიმე კაკლის კარადა. ალბომიც ძველებური იყო, ტყავის ყდიანი, მომაწოდა და თვითონაც გვერდით მომიჯდა. ვათვალიერებდი: ოჯახის ისტორია იყო ქრონოლოგიურად განლაგებული. იგი მიხსნიდა, ვინაა, მე კი არც მესმოდა, არც მაინტერესებდა, ტანტრეს ვეძებდი ალბომში, ძველი ფოტოსურათები მიილია, უამრავი ბიძები და მამიდები მიილივნენ, ჩეხოვების სახლიც გაქრა, გაყვითლებული ფოტოები ახალმა თეთრმა ფოტოებმა შეცვალა, დიასახლისი მეგობრებთან, დიასახლისი თანამშრომლებთან, სდექ! თეთრი ხალათი, საავადმყოფოს ფონი, ევკალიპტთან საავადმყოფოს ბაღში. თქვენ სად მუშაობდით, ამოიკვნესა უხერხულობით სულშეხუთულმა კაპიტომ. მე ტაგანროგის ფსიქიატრიულში, ამაყად ასწია თავი და ახლაღა შევამჩნიე გრძელი, ჟირაფივით ლამაზი კისერი ჰქონდა. ჩეხოვის №6 პალატაც აქაურ საგიჟეთზეა, თქვა მან. ჩვენი ფსიქიატრიული გამორჩეულია შესანიშნავი მკურნალობით, იცით გიჟებიც ყველაზე უცნაურები და გამორჩეულები არიან, აქ რომ შეხვდებით შიზოფრენიის ფორმას, სხვაგან მსგავს კლინიკურ სურათს ვერ იპოვით. ალბომი ჩავათავეთ. ბოლოს ტანტრეს სურათი იყო, მაგრამ ის ისეთივე ტანტრე იყო, როგორც აქ, ჩვენს გვერდით. „ოპერაცია „საოჯახო ალბომი“ ჩაიშალა“, წამიღიღინა ყურში კაპიტომ. ტანტრემ ვერცხლის ჭიქას წამოავლო ორი თითი, გახსენებას გაუმარჯოს, გახსენებას. ძველი ფოტო, სიძველისაგან გაყვითლებული გარდასულ დროთა ცხოვრება რომ აღუბეჭდია, გაუქვავებია სიხარული თუ მწუხარების ჟამს ნაღვლიანი მზერა, მორცხვად ნასროლი ობიექტივისაკენ. სურათები ხშირად გადაიღეთ, ხშირად მეგობრებო. დახედავთ და კვლავ განიცდით წარსულს. ფოტოებიდან შემოიპარება იგი აწმყოში და გაგრძნობინებთ დროის ერთიანობას. გახსენებას გაუმარჯოს, გახსენებას! გადაჰკრა, მისი ხმა გაბზარული ზარივით ჟღრიალებდა და უსიამოვნოდ ზანზარებდა ყურის ნიჟარებში. სადღეგრძელო კაპიტომ აიტაცა, „მა-

რთლაც რა შესნიშნავი რამაა გახსენება, განსაკუთრებით როცა საკუთარი ბავშვობა გახსენდება. პირზე გადაშლილი ნაზი ღიმილი, თავისუფალი ტვინი, გახურებულ ასფალტზე დამწვარი ფეხები, დედის ტკბილი ალერსი, მამის მოსიყვარულე ბუზღუნი, ბავშვობის გახსენებას გაუმარჯოს! „ჰმ! კარგია გახსენება“, ჩავერიე მეც, „როცა გახსენდება, მაგრამ არ გქონიათ ასეთი შემთხვევა, როცა რაიმეს გახსენებას ცდილობთ, სულ დაძაბული ხართ, თითქოს-და აგერ-აგერ უნდა გაგახსენდეს, მაგრამ არა, არაა საშველი, ვერ იხსენებ, წვალობ, სხვა რამეზე ვეღარ ფიქრობ, მთელი ტვინი მიმართულია იქეთკენ, რომ გაიხსენო. თუ გაიხსენებ, მოვა შვება, სხეული მოეშვება, შეკუმშული ტვინი ნარნარი ღელვით აავსებს ტვინის კოლოფს, ფეხის წვერებზე წამოწეული სული განაფენს სხეულს ვერტიკალურად და მოვა უმაღლესი მოსვენება. გაუმარჯოს გახსენებას მტანჯველსა და მხსნელს“. ტანტრეს გადავხედე, რადგან მეგონა მას უნდა გაეგო ჩემი ნათქვამი. სათვალის მინები შავად ბზინავდა. მარჯვენა ხელის საჩვენებელ და შუათითს ნერვიულად ათამაშებდა, არაყის დონე ძველებურ ლიტრიან ბოთლში ნელ-ნელა ქვემოთ ეშვებოდა, მე და კაპიტოს გადაგვავიწყდა ტანტრეს ამოცნობის სურვილი და ქეიფის ჭინკას დავემორჩილეთ, ბოთლის ტუჩზე ფეხებგადაჯვარედინებული რომ ჩამომჯდარიყო და ჩვენს საძერწ თიხასავით დარბილებულ ტვინებს მისთვის სასურველ ფორმას აძლევდა. მზის ჩასვლის დრომ რომ მოაღწია, ტანტრემ ძლივს აყარა ტანი სავარძლიდან და ჩახრეწილი ხმით გვაუწყა, მზე გავაცილოთო მეგობრებო. ქალმა გამოგვაცილა, ნათურის შუქზე მისი თვალები კიდევ უფრო მწვანე იყო, ნამდვილი მწვანე, ბაყაყისფერი.

პლაჟზე გავედით. სკამძელზე ჩამომსხდარნი მივაცქერდით დასალიერს, სადაც მზე ნელ-ნელა ნებაყოფლობით ეშვებოდა გველვეშაპის მუცელში. დამავალი მზის სხივებმა თვალის გუგები გაგვინათა. არყისაგან გონებადაბინდულები ხმას ვერ ვიღებდით. გველვეშაპმა ხახა მომუწა და სიბნელემ დაისადგურა. არაყი სიმამაცეს ანიჭებს ადამიანს, მე კი რატომღაც შემეშინდა, შემეშინდა სიბნელის, ძველი ჭაბუკობის დროინდელი შიში გამეპარა ძარღვებში, გული გამალებით მიცემდა, ვაითუ აღარ გათენდეს-მეთქი. უცებ კაპიტო წამოხტა: „გვეტყვი თუ რა, რომ შენ ხარ რენე!“ საყელოში ჩაფრინდა და შეანჯღრია. „ხმა ამოიღე, რას გვერჩი, რას?! დაგვაბნიე, შეგვიტყუე ბნელ ლაბირინთში და გამოშვებას აღარ გვიპირებ, კაცი ხარ თუ მინოტავრი?“ ხელები ჩამოუშვა კაპიტომ, ცრემლი ღვარად მოსდიოდა, თავი მხარზე მომაყრდნო, მინოტავრია, მინოტავრი. ტანტრე ფეხებგაბრჯნილი იდგა, სათვალე ყუნწით ხელში ეკავა და ფართოდ გახელილი თვალებით, პირდაფჩენილი, გამოლენჩებული გვიცქერდა მე და კაპიტოს. „არა!“ დაიღრიალა უცებ. „მე თვითონ ვარ დაბნეული, მე თვითონ“... გაიქცა, კენჭების ხმაური უკან მიჰყვა, ბულვარში გავარდა და ხეივანში მიიმალა.

მე და კაპიტო გაოგნებული ვიდექით, ინერციით შემორჩენილი სინათლეც მიილია და წყვდიადში ჩავრჩით, ქარმა წამოუბერა, შავი მძიმე ღრუბლები ჩამოწვა ქალაქის თავზე. ზღვის სანაპირო მივატოვეთ, როცა გაწვიმდა, უკვე ხეივანში ვიყავით, გიგანტური მაგნოლიის ქვეშ. ხის ტანს მივეკარით. წვიმა ოდნავ წვეთ-წვეთ ატანდა. კაპიტომ დაარღვია მდუმარება: „ხვალ აუცილებლად ვნახოთ და ვუამბოთ ყველაფერი დალაგებით და ზუსტად“. „კარგი“. დავეთანხმე და მდუმარებას მივეცი ისევ. ფიქრმა მიმატოვა, ტვინი თავისუფალი მქონდა, მხოლოდ წვიმის წვეთების კაკუნი აღწევდა შიგ ყურების ხვრელიდან.

მეორე დღეს ტანტრეს ნახვა ვერ მოვახერხეთ, მესამე დღეს სამსახურში მივაკითხე, მისი მორიგეობის დღე იყო, სამსახურში მის ნაცვლად სხვა იყო. გადავწყვიტე ცოლი მენახა, შუადღისას სკოლასთან დავხვდი. „გამარჯობა ქალბატონო!“ მივესალმე, ღიმილით მიპასუხა: „როგორ ბრძანდებით, ერთხელ რომ გვეწვიეთ, მას შემდეგ აღარ გვკადრულობთ, ალბათ ჩვენებური ტაგანროგული მასპინძლობა არ მოგეწონათ!“ „არა, როგორ გეკადრებათ“, უხერხულად წავილუღლუღე, „ტანტრეს ნახვა მინდოდა“, „იცით ტანტრე მოულოდნელად გაემგზავრა ტაგანროგში, ერთი კვირით“. უცებ გა-

დავწყვიტე ამ მწვანეთვალება ქალისათვის მეამბნა ყველაფერი. „იცით, ქალბატონო, ჩვენ ერთი...“ „ვიცი“ თქვა ქალმა და სახეზე სერიოზული მამაკაცური გამომეტყველება მიიღო, „ტანტრემ ყველაფერი მიამბო, იმ უცნაური დამთხვევებზე, დეპეშაზე, რენეს ნახატზე, მოკლედ ყველაფერი ვიცი. იმ დღეს ძალიან აღელვებული იყო, როცა კაპიტომ მინოტავრი უწოდა. „მე მინოტავრი?!“ იმეორებდა იგი ყოველი წინადადების შემდეგ, როცა ამ ამბავს მანდობდა. თქვენ რომ არ მოსულიყავით, მე თვითონ გნახავდით და გიამბობდით, რომ ტანტრე აქ არაფერ შუაშია. მე დედით ქართველი გახლავართ და ქართულიც ვიცი, ტანტრე ტაგანროგის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გავიცანი, მე ფსიქიატრი გახლავართ, მის ავადმყოფობის ისტორიაში ეწერა, რომ იგი იპოვეს სადგურის ახლოს უსაბუთოდ. დიაგნოზი – ტვინის შერყევა, რის შერდეგიც მეხსიერების ნაწილობრივი დაკარგვა გახლდათ, მაგრამ რა ნაწილის? – მთავრის, თავისი პიროვნებისა არაფერი ახსოვდა. მე მისი მკურნალი ექიმი ვიყავი, სწორედ მაშინ შევიყვარეთ ერთმანეთი. სახელად ტანტრე დაირქვა, ვაჭარ ტანტრეს ვგავარ, ვირი რომ დაკარგაო, დასცინოდა თავის თავს. შემდეგ აქეთ გადმოვსახლდით, ეს ამბავი მოგეხსენებათ. იგი თქვენთან ერთად იტანჯებოდა, როცა რენეს მამას შეახვედრეთ, იგი ძლიერ განიცდიდა ყოველივეს, მაგრამ სამწუხაროდ მაინც ვერაფერი გაიხსენა. იგი წუხდა, ლოგიკა გვეუბნება, რომ მე ნამდვილად რენე ვარ, უამრავი პირდაპირი და ირიბი ფაქტი. ფსიქოლოგიურ ეჭვსაც მაქეთკენ მივყავარ, მაგრამ რწმენა იმისა, რომ ნამდვილად ვიპოვე ჩემი დაკარგული პიროვნება, არ გამიჩნდა, იქნებ იმიტომ, რომ „ახალი მეს” დათმობა შინაგანად არ მსურს. მეგონა, რომ არაფერი დამიკარგავს, პირიქით, ვიპოვე ჩემი თავი ტანტრეში, ვინც ახლა ვარ, იმის დათმობა არ მინდა“. ტაგანროგში წავიდა, იქ ჩემი ძმაა, დიდი მეგობრები არიან. მისი აზრი აინტერესებს, როცა დაბრუნდება, აუცილებლად გინახულებთ.

ერთი თვე გავიდა. ტანტრე არ ჩანდა. სახლში მივაკითხეთ. კარები უცნობმა გაგვიღო. ტანტრეს ცოლიც ტაგანროგში დაბრუნებულიყო. იმავე საღამოს ბატონ ბოჩისთან ვისხედით მე და კაპიტო. გაოგნებულნი ვსვამდით არაყს და ვინ იცის, მერამდენედ ვაანალიზებდით მომხდარ ამბებს. კაპიტო ამჯერად საბოლოოდ დამიპირისპირდა, მას აღარ სჯეროდა ტანტრეს რენეობა, ბატონი ბოჩიც გამოვიდა თამაშიდან და ამიკრძალა ამ საკითხზე ლაპარაკი. ყველაფერი ბედისწერაა და მას მივენდოთო.

მე? მე კი ვერ მოვიშორე ეჭვი, მოსვენებას არ მაძლევდა რენე-ტანტრეს ქიმერული ხატება. სხვა რამეზე ფიქრი არ შემეძლო, არა! ტაგანროგში უნდა გავემგზავრო, როგორც კი ვიშოვი თავისუფალ დროს, როგორც კი თავს დავაღწევ ყოველდღიურობას, რომელსაც მიჯაჭვული ვყავარ ოჯახთან და სამსახურთან, ტაგანროგს გავემგზავრები აუცილებლად, აუცილებლად გავემგზავრები ტაგანროგს.

1979-80 წ. წ. ივლისი

მარიამ ჯუკია

* * *

კანის ყოველ ნააცრალში შემომეჭერი სიჯიუტით,
თითქოს არ იცოდე,
რომ მიწისფერ შენობაში ცისფერხალათიანმა ექიმებმა
ღრუბელივით თეთ კანზე მიჩხვლიტეს ტკივილივით სწრაფი ნემსი.
გვამივით ნელა მოგორავდა თვალებიდან ის წვიმები,
რომლებიც გვალვიან მიწებს
სიცოცხლის უსარგებლო წუთების მისანიჭებლად ევლინებიან.
გისოსებიდან დანახულ სამყაროს ფანტაზია
ვერასდროს აშორებს სვეტოვან სიშავეებს.
წყეული იყოს დეგა,
რადგან თვალის ჭრილში შემოპარებულ სინათლეზე მეტად,
ბნელი უბნებია ფიქრის ობიექტი.
შთაბეჭდილებები გონებაზე ლაქად მაჩნია და ისე რბილდება,
მსუბუქდება ისე,
როგორც ბუმბულს გამობმული ოცნება
და ღია ფანჯრიდან გაფრინდება წინა ეზომდე.
გრძელი მოგზაურობისთვის არ ჰყოფნის სურვილი ან ნაბიჯი.
სამყარო დიდი სამზარეულოა,
სადაც არავინ გთავაზობს რეცეპტების წიგნს
მიხაკისფერი ფურცლებით,
სადაც ყველა ინგრედიენტი შენს ირგვლივაა მანამ,
სანამ მიაღწევ დროს,
როცა ხელებს გახდი მოქნილს,
თვალი მიეჩვევა სინათლეს და ღუმელის ცეცხლის ენა
შიშის ნაცვლად მოგიტანს სისხლის სიმხურვალეს,
როცა უკვე იცი, რომ სამზარეულოს შენი კუთხე დახავსდა,
კერძები დაიშალა და მაგიდის დასაჯავშნად მხოლოდ ერთი იცდის,
იცდის და ნებართვას სულაც არ ელის.
უნაყოფო მიწის ქვეშ რომ დაიკარგები,

მიკროტალღური და
რამდენიმე ახლობელი კოვზი იდარდებს ცოტას,
სანამ ხრწნის სამყაროში დაგიმეზობლდება.
გულის მარანში საპირისპირო პრინციპი მოქმედებს –
სანამ გრძნობა გაუხუნარია, მანამ უნდა შესვა.
ემოციათა აბაკი ბევრსაც რომ ითვლიდეს,
სულის ბაქანს ერთი მგზავრი ჰყავს, ერთი მარადიული მგზავრი,
და ჩასხდომის დრო არც მან იცის და არც შენ.
ადამიანები და მოვლენები მოგონებებად გადადუღდებიან
ბაქმაზივით და ფიქრს, როცა გაყვები წარსულის სივრცეში,
გემოს გაუხსენებ თითოეულს,
ფილტვებიდან ხვნეშად ამოგივა „გამოცდილება“.
ჯაკომო ბალა ვერ დამარწმუნებს, რომ ფუტურისტებსაც
სადღაც ამ ხვნეშისა და
წარსულის ექოზე არ შერხევიათ სმენა და ადგილს,
სადაც ფეხს აიდგამენ,
ზოგჯერ კი არ დალოცავენ, დაბრმავებულები ტკეპნიან.

* * *

ჭურჭლის სხეულებისგან
განშორებული ნარეცხი წყლებით რომ მიწა გაიჟღინთება,
ცოდვის მომლოდინე კაქტუსები
მაშინ დაარღვევენ შეკავებული ღიმილის საბანს.
ღალატებზე მონერვიულე ნაკვნეტ ფრჩხილებს რომ შეგამჩნევ,
როცა თითებს თითებს შორის ჩამაჭდობ,
გამაკვირვებს სინაზეთა მრეცხავ ხელებად ფერისცვალება,
მაგრამ გპატიობ მტკივნეულ თვალის უპეებს,
სიშავეებს,
ხრამად რომ გვექცა,
დანაშაულის განზრახ დავიწყებებს,
სიბრმავეებს,
როცა თვალია წყლიანი და ძილის მცდელობებს,
როცა სიკვდილად მიღირს, წამით ვიყო ისევ ცოცხალი.
და ისევ მიგიღებ.
ცოდვებს წყალობს ღმერთი,
რომელსაც ჰქვია „უკვე ავრიე ყველა საქმის ავან-ჩავანი“.
პრინციპების ღმერთები კაქტუსებზე ეკლებად ამოვლენ
და ღირებულებებს ისე დავივიწყებ,
როგორც ჩანთაში ჩარჩენილ ქაღალდს,
პროდუქტების სიით.

შენი თვალები ვეღარ გამოდგება ბეგონიების საწყისად,
შენი კანია ცვრიანებით დაფარული და
არც მე გშორდები,
როგორც მომაკვდავი მწერი მშიერ თავშესაფარს,
როგორც ქარიანი დღეები გატეხილ ფანჯრებს და
სიჩუმის მთხოვნელ ყურის ნიჟარებს.
მშრალი გულიდან თითო წვეთად
გამოვითხოვ ფსკერზე შერჩენილ სიყვარულს,
მაგრამ თრთოლვით მომლოდინე პეშვში
მზისგან გახუნებელი ქვიშები მეღვრება მხოლოდ
და წმინდა ხელისგულებს მიწვავს.
გულის უნაყოფო კედლები ის დიუნებია,
ბედუნიები რომ დაგიტკეპნიან და როცა
მრავალქარიშხალგადავლილი მოხუცი კაქტუსები დაგრჩება ობლად,
გაქცეულ ოაზისებს მიაყოლებ მზერას,
თვალს დაიწურავ ცივი სარეცხვით და აღმოაჩენ,
ცრემლისთვის აღარ შემოგრჩა ძალა და გრძნობა.
წითელი ღუბლების ქვეშ გაჩენილ ფორმებს დააკვირდები და,
ნეტავ, თუნდაც ერთი მარტოხელა ჩრდილი,
დამდგარიყო ახლა შენ გვერდით.
ნეკნებს შორის ამოსული გვიმრები დაგიყვავებენ ხისტი სიმშვიდით,
ხმელი პალმები შენი ფიქრებივით გაიტოტვება.
იმ განცდას ვერ უღალატებ,
ასლს რომ ვერ შეუქმნი და ჩვენი შემთხვევის
განუმეორებლობამ წვრილ მაჯებზე შეგვასხა ის ბორკილი,
რომლის ტყვეობაც სიცოცხლის ბოლომდე
გულის იმდენადვე საუცხოო სისავსეს გულისხმობს,
როგორც საწყისში.
იმ საღამოს,
როცა ერთმანეთის აღმოჩენით დაბადების აბსოლუტი ვიპოვეთ,
ბუდეში ჩასმულმა ჩიტებმა,
ფაზლის ორმა ნაწილმა,
რომელიც ელოდა შერწყმას,
შექმნა სიმშვიდისა და ჰარმონიის სივრცე,
სულიერი თავშესაფარი,
სადაც ორს შორს ერთი თავშეკავებული დიალოგი უდრის სამყაროს.
შენთან საუბარი გავს დუმფარას,
მაგრამ ართქმული სიტყვების სიჩქარის სიდიდეში
დამარწმუნა უსიტყვოდ გაცემულმა სპეტაკმა ურთიერთპირობამ,
რაც ახლა მხოლოდ განცდაა სიმშვიდის.
როცა ყოფიერების ქაოსს დააღწევ თავს,
როცა წენგოსფერ სამოსს კართან ვტოვებთ და ვრჩებით ნედლი,

ხელის მტევანი ფრთხილად შეეხება
სკივრში შენახულ საერთო ბედნიერებას.
ცანგამ მომენტად დაგვიჭირა.
დრო მოლუსკივით არ იწელება,
მაგრამ საათები ვერასდროს მტრობენ
გრძნობათა ოკეანის მარადიულ მდგარ აისბერგს.
ჩვენი სკივრი სამყაროს ყველა გათოშილ არსებას გაათბობდა,
მაგრამ ჩვენ პირობების დაურღვევლობა ვარჩიეთ
და ბედნიერი ვართ უსიზმროდ.
გონების ყველა კუთხეში ისე ჩავსახლდით,
რომ არასდროს არის საჭირო მოკითხვა – „ხომ ისევ აქ ხარ?“.
ჩემი გულის ქუჩიდან შენი გულის ქუჩამდე
კოსმოსური ფოსტალიონი დაატარებს ფიქრებს,
ჩვენს შორის კი გაბნეული წერილები არ არსებობს.
მდინარეებად ქცეული ჩემი სიტყვები
მხოლოდ მაშინ აორთქლდება,
როცა გულწრფელობის მზე იმცხუნვარებს
და დაშრეტილ კალაპოტში რჩები შენ,
როგორც ერთი ყველაზე ნამდვილი რამ,
რაც ცხოვრებამ შემამთხვია.
რას ვიზამთ,
თუ საცერს ზემოთ არაფერი რჩება,
როცა სული დაუჯერებელი სიწმინდითაა სავსე.
მაშინ, როცა სიცოცხლის დასტური მხოლოდ მოგონებებია,
როცა სიტკბოსფერი თვალები კაკლის კუბოსავით ცივდება,
როცა სხეული ბრაზის მსხვერპლი ქაღალდივით იკუჭება
და თითები ვეღარაფერს ეჭიდებიან,
წვიმიანი დღეებია.
მარადიული ტროპიკის ქალაქში
ყელი მიუშვირე ზეცას და
ჭირულისთვის წყალობად ნაგზავნით,
დანამული მიწებივით
მადლიერებით ეთაყვანე ცვალებადობას.

* * *

სილამაზისგან შობილნი
სიკვდილის შემდეგ მოხვდებიან ყვავილთა ფესვებს შორის
და სიცოცხლის მზღუდველი
ხის ფიცრებისგან ამოიწვდიან ხელებს,
ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ ხელის მტევანს აამუშავებენ
და ეცდებიან,

თითები მიაწვდინონ ერთმანეთს.
სიცოცხლეში განცდილი დანაკლისის
სიცოცხლის შემდგომი ანალიზისას აღძრული მწუხარებით,
გაუტარებელი ბედნიერებით,
უნახავი მზის ამოსვლებით,
ჩაისთვის დაკლებული შაქრის ნატეხით,
მოუნანიებელი ცოდვებით,
გაუაზრებელი შეცდომებით,
გადაუხდელი ვალებით და დაუბრუნებელი კომპლიმენტებით,
ბავშვობაში წაუკითხავი ზღაპრებით და უგულებელყოფილი წვრილმანებით,
თავშეკავებული სიყვარულის სინანულით,
არყოფნის სევდით,
იჟღინთება სივრცე მკვდარ სხეულთა ირგვლივ.
ყოველი ადამიანის სიკვდილისას
ჩვენ გვაკლდება ერთი ყვავილი, გაზიარებული სადილი,
წყვილი კეთილი თვალი და ავი ენა;
რჩება გაუწმენდავი ფანჯრის მინები,
გამოუცხობი ფუნთუშები,
სულიდან განუთავისუფლებელი ხვნეშა
და ქრება რაღაც აბსტრაქტული და ბოსტნეულისფერი.
სიცოცხლის დაფაზე ჭიკარტებით ვართ დამაგრებულნი
და აქ მბრძანებელ ხელს არც რაიმე სტრატეგია აქვს, არც გეგმები;
იმპულსურად და სპონტანურად მოქმედებს
და ეს შეგუებადს ხდის მის არსებობას,
შეგუება კი დასასრულია,
რადგან ჩვენ ძილში ვხედავთ მშვენიერ სიზმრებს
და გაღვიძებაზე ფიქრისას
მაღაროებიდან ამოსაზიდი
წიაღისეულივით გვიმძიმდება ქუთუთოები.

* * *

შორეული სიმინდის ყანები უცვლელად და აუღელვებლად დგანან,
რადგან იციან, მსხვერპლი ყოველთვის ეყოლებათ,
გარანტიები კი მოლოდინის დაძაბულობას ამსუბუქებს.
სიმინდის ყანები არიან ვერაგები და ცრიატ სულებს ეჭიდებიან.
ნავი ტბის გლუვ ზედაპირს არღვევს.
ზოგჯერ საოცრად ლამაზია ილუზიები,
რომელსაც ცხოვრება გვთავაზობს.
ხიბლავდა სულის სიფაქიზე და ესმოდა,
რომ შედეგებს სურვილები, ან ძალისხმევა, იშვიათად განსაზღვარვდნენ.

დღეები ისევე სწრაფად მიდიან, როგორც ფიქრები –
უწყვეტად, შეჩერებების გამოტოვებით.
ერთადერთი, რასაც ტოვებენ, არის გააზრება იმისა,
რომ წარსულში მათი ყოფნა ბუნდოვანია,
ახლა აქ არსებობა – ვარაუდს ჰგავს,
მათი მოსვლა კი ეჭვშეპარული იმედია.
იგი იყო მიჯნა, გარდასახვის პროცესის სახე,
ვიდრე მისი შედეგი ან საწყისი,
იყო მოქმედება, და არა სიტყვა.
იგი იყო სინათლის კანქვეშ შეღწევის და გადანაწილების შეგრძნება,
და არ იყო მზე.
ციურ ბილიკზე ჰარმონიული სიმსუბუქით სვლას მიჰყავხარ ღმერთთან
თუ შლამში ტერფებჩაძირული ელი ამაღლებას?..
დაუსრულებელ ფიგურებს ტოვებს მოქანდაკე,
რადგან გრანიტივით ხისტ მიწას მხოლოდ უფრო დაამძიმებს
ცოდვისა და სინანულის ფესვებისგან შეკრული
კიდევ ერთი გუნდა.
აქ, ჩვენთან, ნაყოფიერი მიწებია შეცდომისთვის,
რომ არ დააგვიანოს სინანულის მოსავალმა.
იმ ხაროში, სადაც მარცვლეული უნდა შეგენახა,
შენ გიბიძგებენ
ბნელეთიდან მასში ჩაძირულნი,
რადგან მოზიარის ყოლა ამსუბუქებს სასჯელის ტკივილს.

* * *

სიტყვათა აბლაბუდებს
შორის ჩაკარგულო ჩუმო მნიშვნელობებო,
თავს აფარებთ წარმოთქმულთა სიმარტივეს,
თითქოს ობოლი ბავშვების წასაყვანად მოვლენილი ვერაგი ხელი ვიყო.
კუთხიდან იპარება დამნაშავის მზერა,
მზერა კი ყოველთვის ჩადენამდე იცვლება,
რადგან ზოგჯერ ჩაფიქრებული დანაშაულებია მძიმე
და აღსრულება ნიშნავს ტვირთისგან გათავისუფლებას.
ჯალათის მარჯვენა ხელივით
მოწყვეტით და გამეტებით ეცემა საწოლზე.
ეშაფოტზე აყვანილთა ქუთუთოსავით ეღლება ცხოვრება და,
როცა თვალებს ხუჭავს,
სასრულის ნაცვლად ახალი დღე იწყება,
ფიქრთა განმეორებული წყობით.
ღირებულებებს კი ცვლის დღეთა საჭიროება და გადარჩენის

მშვიდი აუცილებლობის გააზრება.
თუკი ყოველდღე ხარ ის, ვინც გუშინ არ იყავი,
არათუ მიმყოლი, ცოცხალი ხარ,
რომ ცვლილებათა კრიალოსანში შეინარჩუნო შენი ყოფნის არსი,
მსუბუქი ძაფი,
რაზეც მარგალიტებადაა ასხმული შენი ყოველი დანაყოფი.
...და თვითონ გავხარ თერმომეტრის კოლბას,
სადაც ცხოვრება მართავს მოვლენათა სიცივეს ან სიმხურვალეს.

* * *

ხანგრძლივი დროის მანძილზე
აგურით ნაშენები კედლის ნაპრალებში
გაუგებრობისა და ბუნდოვანების ფენა იპარება;
მოძრაობს წვრილად,
აუღელვებლად და მიმართულად.
ჯერ კიდევ აუყვავებელი კვირტი ყოველთვის ყველაზე სასტიკია.
სიტყვათა წყობას ფრთხილად მოკიდება სჭირდება,
რომ კრიალოსანი შენს ირგვლივ წნულ თოკად არ გექცეს.
ტროპიკული ფოთლის გლუვ ზედაპირზე
გაცურებული წყლის წვეთივით
სწრაფად და მარტივად ხდება ცვლილებები.
სულის ფორებში კი ჯდება კატაკლიზმები,
როცა გაყინული ტოტებივით იმტვრევა
უკვე გამორკვეული მოლოდინები.
ხის ფოთლებში ჩაძირული საგზაო ნიშნები
და მზის ბადეებში გახვეული ცხენები
იმ მიღმიერ სამყაროს ქმნიან,
სადაც ვერასდროს დაარღვევს ჰარმონიულ მელოდიას
ცხოვრების უმწვავესი პერიპეტიები.

* * *

დაღარულ შუბლზე
დროის მსვლელობისგან გაჩენილ ხნულებში,
ატმის რტოები უნდა აღმოგიცენო
სიყვარულის იმ მარცვლებით, რომლებიც ჩემში ჩაგიდია.
მე ყვავილი ვარ,
მაგრამ ფესვებსაც ამოვგლეჯ მიწის საბანიდან,

რომ შენ,
ჩემი მებაღის დაღალულ ხელებს,
მოგწვდე და მოგეალერსო.
ერთად ვუძლებდით მზეებს, როცა მე გვირგვინს მიჭკნობდა
და შენ – ახალგაზრდობის წლებს.
მდელოზე მყოფ ყველა კეკლუც ყვავილს,
გართობებს და ფლანგვას, აარიდე თავი
და შენი ყოველი ფიქრი მომიძღვენი მე.
შენ ხარ თავმიძღვნის განმარტება.
ძველისძველ კედლებზე აყოლებულ ბებერ გვიმრებივით
დარდი მიაყოლე სათითურს
და მჩხვლეტავ წერტილებად ჩაიქსოვე რბილ,
მთლიან სხეულში.
მე-19 სართულის ფანჯრის მინის მიღმა გაელვებულ
ნეკერჩხლისფერ თმას
ვეღარ შენიშნავს შენობის წინ მდგარი ახალგაზრდა, –
ასე ასრულებენ რომანტიკოსების არსებობას სამშენებლო კომპანიები.
თუ სიყვარული არა,
ობობები გადმოცოცდებიან სხეულიდან.

* * *

გავცქერი მინის მიღმა
საღამოს ღმერთებისგან შექმნილ ცის კოლაჟს.
ფერები გარდამავალია, როგორც განწყობები.
...და ყველაფერს, ღიმილსა და მწუხრს,
ჰყავს საკუთარი ღმერთი,
რომელიც სხივოსნდება, როცა ფიქრად დაიტოვებ,
თუნდაც მცირე დროით.
ფიქრები ან იდეები არ იბადებიან;
მოთავსებული არიან ნაჭუჭებში
ან ქსოვილში
და
როცა კი მათ მთელი სურვილით გამოიხმობ,
ნაჭუჭს ტეხავ და მზეს აიძულებ გაახუნოს ქსოვილი,
რომ ფიქრმა გამოჟონოს,
როგორც ვენიდან სისხლმა და პროცესი გტკივა,
მაგრამ გათავისუფლების განცდით ბედნიერად გრძნობ თავს,
როგორც ხის აკვანს შემოვლებული
ნამღერის ცენტრში მყოფი ძველი სამყაროს ახალი შვილი.

თეთრ კაბაზე დაღვრილი აკვარელივით
არეულა ყვავილები ერთმანეთში.
სადღაც ცენტრში გაიჭრება მიწის სივრცე,
დავიწყების ცოდვის გასამართლებლად მის მიმართ,
ვინც ყველაზე მეტად ითხოვს დარჩენას.

* * *

მაგიდაზე დაუსრულებელი გზებით,
მეორე შანსის მოლოდინით,
სინანულით და ახლად დაშვებული შეცდომების
მძაფრი სუნით გაჟღენთილი, დაჭაობებული სითხით სავსე ქილა დევს.
ქილის ეკოსისტემას
წევრები ემატებიან და იმ წრეს კრავენ,
რომელსაც არასდროს არავინ ისე არ მიუბრუნდება,
როგორც წლების წინ შექმნილ რომელიმე უსარგებლო
კვლევას აბსურდული სტატისტიკით.
ისინი მშვიდად ატარებენ დროს სადგურივით,
რომელმაც მნიშვნელოვანი მგზავრი უკვე გაუშვა,
არსი დაკარგა და ახლა
სიცოცხლეს მხოლოდ იმ ვალდებულების გამო განაგრძნობს,
რომელიც შეუცნობელმა ძალებმა ოდესღაც მიანიჭა.
ყველაფერი ფერმკრთალი კიდევ უფრო ცარიელი ხდება მას შემდეგ,
რაც მასში ფერი ხვდება და ტოვებს.
თუმცა სინათლის შეგრძნება მათთვის არ არის ის,
რაც გაივლის და ქრება.
რაღაც დიადის მათ ცხოვრებაში არსებობა და იმის ცოდნა,
რომ ეს არსებობა მათი მიზეზითაა შეწყვეტილი,
ისეთ ღიობს უტოვებს მათ სულში,
როგორიც დარბაზულ სახლს ჰქონდა;
სულში შედის კვამლი და სულს ტოვებს სინათლე.
სულში ღიობის დამტოვებელი ბავშვი კი
ახლა სათევზაოდ გამზადებულ ანკესზე
ჩამოკიდებულ ჭიას ესაუბრება.

ვენიკო ხურციძე

არსიყვარული

შენს არსიყვარულს შესძლებია ჩემთან დარჩენა,
და დარწმუნება ჩემი თითქოს გიყვარდი მართლა.
ჩემი მკაცრი ხმაც ვერ გავიწყებს ახლა ამ ჩვევას,
და ქარებისგან აწეწილ თმას თითებში ხლართავ.

შენს არსიყვარულს ღიმილის და სევდის ფერი აქვს,
ხდება ასეც და ხდება ისეც, ცხოვრება ცდაა,
გული კი მაინც იწყებს რაღაც უცხო ფორიაქს,
როცა სიმართლეს არქმევ, რასაც მიიჩნევს მცდარად.

შენს არსიყვარულს სიკეთის და შიშის გემო აქვს,
ისიც გემონა, რასაც ფიქრი უნდა დაეფრთხო,
ახლა ყველა წამს ჩემგან თითო წყენა გამოაქვს,
მაგრამ დარჩენას ვერასდროს და ვერასგზით ვერ მთხოვ.

შენს არსიყვარულს შესძლებია გატიროს კიდეც,
მუხლებზეც დადგეს, თუკი სურს, რომ გერქვას მიჯნური,
მახსოვს შენს მკრთალ გულს, ძირს დაგდებულს, ხელი მოჰკიდე
და სადღაც გაქრა ყველა სხივი შენი გიჟური.

ყაყაჩოები

ისეთი სუნი აქვთ ყაყაჩოებს,
ფიქრები სულ შენკენ გამორბიან,
მთის კალთა ნისლებს რომ აახრჩოლებს
და ცაზე ირაოს ან ორბი ან

არწივი შეკრავს და მომიგონებ,
ილოცე მზის სხივის მოთოკვამდე,

შორია ჩემამდე, ცის ვაგონებს
ნუ უცდი, სიმშვიდის თოთო კადრებს

ვეჭვობ სიყვარული შეაგებო,
უფრო ოცნებებში იფრთიანებ,
გული კი, რომელიც ჩემად გერგო,
თუმცა გაგებზარა, გიმთლიანებ.

შეხე ამ ყოყოჩა ყაყაჩოებს,
თვალებს დამიფარავს სტრიქონები,
ღრუბლები ყანწებით ყეყეჩობენ,
მუდამ შენ გარშემო ვიქროლებდი,

მაგრამ რას იტყოდა უკვდავება,
როგორ ყელყელაობს ბაცი მთვარე,
გული კვლავ გონებას ედავება,
ერთხელაც გონებას გასწირავენ.

ყაყაჩოს ყანებში თუ მომძებნი
ქარების მოსასხამს ვგავარ ისე,
მომავლის იმ საგზურს გიბოძებდი,
წარსულეთს აწმყოდ რომ გადაგიქცევს.

* * *

ამ მრავალწერტილებს რა ზნე უვლის,
ტკივილებს კვამლივით ახრჩოლებდა,
სტკენს შენი თვალების ნამზეური
ჩემს ლექსებს, გრძნობების სახრჩობელას,

ვერ ვწვდები შენს გუმბათს, უმზეებოს,
რა უნდათ ოცნების მკვლელ ქიმერებს,
გსურდა ჩემს იმედებს გულზე ევლოთ,
მიდიხარ, სიყვარულს მიიმღერებ.

რაც უნდა დუმილში ჩაიკეტო,
ქარია სევდების გამფანტავი,
ვიქროლებ ლექსებად, გაიგე, რომ
ქარი ვარ, წვიმაც და ზღვის ფანტანიც.

მტრედისფერ თოლიას შევხაროდი,
წერტილი კარივით გიჯახუნე,

ღრუბელი მოგიყვანს ჩემთან როდის,
ვიტრინებს ვუსინჯავ ცის ჯიხურებს.

აღარ წვიმს, საათის თორმეტია,
დგახარ და დუმილი ხელს არ გიშვებს,
ვიქროლებ ამ სევდის მომენტიდან,
ეს ლექსი გახდება ცის სანიშნე.

ცისფერი ვარდები რომ შესუდრო,
შენ მქრალი ღიმილით მასურათებ,
ასე სასურველს და ასე უნდოს
ამხელა სიჩუმე რად დამმართე.

მაშინ

სახრჩობელადან ჩამოგხსნის ქარი,
მზეს გაიტაცებს მთვარის კარეტით,
ცაზე ოცნების ნამოსახლარი
გული ცრემლია, სულის ნამეტი.

გაუქრეს იქნებ ტკივილებს კვარი,
თოკიც კი ზოგჯერ მხოლოდ თოკია,
ხვალინდელ დღეზე ხარ გადამკვდარი,
მაინც რაც უნდათ, იმას მომკიან.

მაინც რაც უნდა, იტყვიან იმას,
არვის ადარდებს, რად გეწვის ფრთები,
ზოგჯერ სამყარო მაშინაც გრგვინავს,
როცა ზეცასაც აოცებ თმენით.

შენ კი თუ მართლა ჩამოგხსნის ქარი,
ეშაფოტიდან დააღწევ თავსაც,
ზღვას გადახედავს თვალები მქრალი,
მაშინ გაარჩევ კარგსაც და ავსაც.

ვერ

ვერ ავწვდი შენი დუმილის ცას,
არ მომწონს შენი სიჩუმის ფერი.
მხოლოდ ლექსებად ჩურჩულის მწამს,
მხოლოდ სიტყვების მდინარე მშველის.

ვერ აწვდი ლექსის სტრიქონებს შხამს,
არ მოგწონს ქართან ვსაუბრობ რადგან,
მხოლოდ წვიმებთან სიმღერა ხამს,
მხოლოდ წვიმებთან, ქარი თუ ჩადგა.

გააცლის ქარი ტკივილს და დარდს
ამ ჩვილი გულის უმანკო ყლორტებს,
და ფუტკრებივით მეხვევა თავს
მყრალი სიჩუმე, ფიქრით რომ კორტნე.

ჩავვარდი შენი ტკივილის ხნარცვს,
ზოგჯერ მზესაც კი არა აქვს ფერი,
არც თბილი სიტყვა არც სული არც
მზერა, იმედის გამომსახველი.

ვერ ავწვდი შენი დუმილის ცას,
არ მომწონს შენი სიჩუმის ფერი.
მხოლოდ ლექსებად ჩურჩულის მწამს,
მხოლოდ სიტყვების მდინარე მშველის.

სარკევ, სარკევ

სარკევ, სარკევ,
მე არ გკითხავ ვინ არის ამქვეყნად ყველაზე ლამაზი,
სევდადჩამოქნილი სიჩუმეა ჩვენ შორის,
არ გკითხავ ხედავ თუ არა ჩემს ღაწვებზე მიხატულ სიმშვიდის ლოლოებს,
არ გკითხავ, როგორ ბნელდებიან ნათელი დღეები,
როგორ მარცხდებიან შეყვარებული პეპლები სატრფოსთან მიახლოებისას,
განკითხვის სიჩუმე მახრჩობს,
სიჩუმე, რომელიც სიბნელეში კელაპტარს ანთებს,
სიჩუმე, რომელიც სიტყვებით მავსებს
და სიჩუმე, რომელიც გრძნობებით მღლის.
სჯობს არც ერთი კითხვა არ დაისვას შენ წინაშე,
უბრალოდ უცქირე ჩემს კითხვებით შეფერილ თვალებს,
ამ უფერებელ და უფერო თმას,
ბევრისარმთქმელ და ბევრისმთქმელ ბაგეებს,
და თუ არ მეტყვი დაფიქრდე იქნებ,
განა ყველა ღიმილია სიხარულის გაელვება?
განა ყველა სევდაა მწუხარების მახარობელი?
განა ყველა სიშორეა ტკივილი?
სარკევ, სარკევ,
მე არ გკითხავ დღეს ვინ არის ამქვეყნად ყველაზე ლამაზი,
რადგან სილამაზეს ყოველთვის არ მოაქვს ბედნიერება.

გია ხოფერია

* * *

შენ რომ მოდიხარ,
მუსიკას ვუსმენ,
სხეულში მივლის მუსიკის ქარი,
ჩამივლი და ვგრძნობ პატარა ქუსლებს
მიაკაკუნებს მუსიკის ქალი.

ჩემი თვალები და ჩემი გული
მაიმედებენ, რომ არ მოვკვდები,
შენი მუსიკა ჩაესმის ყურმილს,
შენს ნოტებს ვხედავ ჩემთან მოკრებილს.

შენ ეს დატოვე და სულ არ იცი,
გაიარე და რა დამიტოვე,
შენ გზაში კარგავ მუსიკის სიცილს
და ცრემლებს ადენ ჩემს ბარიტონებს.

ცხელ გულზე დაწერილი

მზე ახლა ტირის, მოლივლივებს მზიდან გამზირი,
ისეა სუფთა, ვერ იკადრებ ფეხი შებედო,
ვდგავარ და ვფიქრობ გაყუჩული ობოლ ვაზივით,
რისთვის მიყურებს გზა მაცდური საიმერეთო.

მე ვარ წერტილი უმნიშველო და მიჩქმალული,
ჩემზე დიდების სანაოსნო ტბები დამშრალა,
აღარ მიჯერებს სხვისი კავით მიწა დახნული,
და არ უხდება ჩემს ქურანას სხვისი ავშარა.

ვერ მოვათავე ამ პატარა ქოხის აგება,
დროა სათოფო და ნერვები წეწავს ქვეყანას,

ერისშვილების გაიწყვიტა ძარღვი ნაკრებმა,
პროფესორები უგემურად ჭამენ ეკალას.

მოგჩერებივარ და ამტკივდა სველი თვალები,
შენი გამზირი სხვა ფერია და სხვა ორღანო,
ეს სოფლის ქარი ძველებური დატრიალებით
კვლავ თავზე მაზის ჭაობებში რომ ვიბორღალო.

ვინც გინდათ მოდით, საწინაპროს ყველა დევგმირი,
სურათებს თქვენსას აუვსიათ ჩვენი კედლები.
მაგრამ ნამდვილებს ვერ გიგუებთ დღეის ხერგილი,
მოგკლავთ და ისევ გადარჩენას შეგევედრებით.

მზე ახლა ტირის, მოლივლივებს ციდან გამზირი,
ისეა სუფთა, ვერ იკადრებ ფეხი შებედო...
კვლავ დაშლიგინობს სხვა მეფეთა ასი ვაზირი,
გვიქნევენ ხელებს შარაგზები საიმერეთო.

შეიძლება ასეცაა!

ჭკუა რომ გქონდეს, არ იხმარ მათრახს,
ის კაცს გიმხედრებს, არათუ ნათლავს,
ვერც კი მოასწრებ ათამდე დათვლას,
შენს ზურგზე იგრძნობ, სიმართლით ნათქვამს.

შენ რომ გგონია, დამიგებ ხაფანგს,
და წარმოიდგენ, ხაფანგი მღაფავს,
თავს დადგომილხარ საკუთარ საფლავს,
შენითვე გაჭრილს სიცოცხლის მხაპავს.

რადგან ქვეყანას გაუჩნდი ლეღვად,
ნუ გინდა იქცე სხვა მანჭვა-გრეხვად.
განგებამ ბევრჯერ მეც მაგრად მრეხვა,
არ მსურდა გლეხს, რომ მეცხოვრა გლეხად.

სასათაურო

ვინაც ოდესღაც ეს მიწა დაბადა, დამიპლანეტა,
ნეტავი, საით გარეკა ცხენებშებმული კარეტა!

ერთხელაც ვერ შევესწარი მოსიარულე გარედან,
სხვადასხვა ფერი ჰქონია ჩვენი ცხოვრების კალენდარს.

ჩემსავით ბევრი ჯახირობს, ზეცას მოწყალედ ახედავს,
იქ მხოლოდ ერთი ავიდა, აქ რომ დაჰყავდა სახედარს.

მაქ იყავიო, ხომ მითხრეს, უფრთხილდი შენსას ვაკე-ბარს,
შენს ნაცოდავ თავს მიხედე, სხვის თავში არ გაგებნას.

ეს მიწაც მიტომ მოგეცი და მიტომ დაგიპლანეტე,
ჩემს კარეტას ნუ დაეძებ, სდიე მაქაურ კარეტებს.

წერილი ახალ ქარს

ოდნავ მაინც შეაშფოთე ფოთოლ-ბარდი კვახის,
ჩვენებური ქარი რომ ხარ, საუკუნის ახლის.

დაიცალა ჩემებისგან წუთისოფლის დახლი,
გადაფრინდა სხვა ქვეყნებში აქაური ხალხი.

გადახვეტე სკამთა ჭია ქარის ყველა განხრით,
ცოტა დავრჩით, შენ მოგიწევს ბოლო დასამარხი.

გააცილებ ბოლო ქართველს ცარიელი ეტლის,
გაიქროლებ, წახვალ შენთვის, მადლობას ვინ გეტყვის.

დამიბრუნე შვილები და დედები და ძმები,
შენ ყველაფრის მაქნისი ხარ, თუკი შეიძვრები.

გადახვეტე მინდვრები და გადახვეტე გზები,
კვახის ძალა შენ რას მოგწევს, როცა აიგზნები.

დამიბრუნე, გეხვეწები, ჩემი ჯიშის სისხლი,
თორემ ქვედა საქართველო აზანზარდა რისხვით.

ველარ ვითვლი სოფელ-სოფელ ატირებულ სახლებს,
კვახები კი მილიონურს იშენებენ ახლებს.

არ იფიქრო, რომ იმედად, მხოლოდ შენით დავრჩი,
კაცი შენსას რას გაიგებს, ქარი ხარ თუ ჩარჩი.

რას მახვეწებ, დაუბერე, მზე ჩაუქრე კვახებს...
დავიჯერო, ძაღლი გახდი, ძაღლის ტყავს რომ დახევს.

საით მიდიხარ?

საით მიდიხარ, თუ ზღვა გაშეშდა,
თუკი მყვირალა ლოდად იქეცი,
არ დაგჭირდება ცეცხლი და შეშა
სახემოღრეცილს და ფრთებშეკეცილს!

საით მიდიხარ, თუკი გაშმაგდა
კანონმდებელთა სემინარია,
თუ ყველამ თავის ქოხი აშალა
და სხვისი დედის ხსენი დალია!

საით მიდიხარ, ერთ დროს ვეფხვების
გამთენებელო წიგნო – ბიბლია,
შენი კიდობნის კედლებს ვეხლები,
ვტირი, რომ შენთვის ვერ მომივლია!

საით მივდივართ, ჩვენი პატრონი,
სხვის ხელისგულზე ცეკვით გამგელდა,
ეტრატიანებს უეტრატონი
როდის იყო, რომ ლუკმას არგებდა!

საით მივდივართ, ფრთონავს შავი ზღვა,
და ყალყზე დგება კავკასიონი,
რომ მოხვალ, სახლში სხვა თუ შეგიძღვა,
ნიშნავს, შენ თვითონ დაკალ სიონი!

რომელიღაცა მემილიონეს ამონათქვამი

მოდის თოვლი და მოლაპარაკობს,
შენი სიტყვები ცვივა მიწაზე,
ქალაქში ვიღაც მონა არაკობს,
მისი არაკი კვდება იმწამსვე.

და მე ავხვეტე თოვლი სათბობად,
და მე ახლა ვარ თოვლით გამთბარი,
პირველად ვიგრძენ სიტყვით დათრობა,
პირველად ცხადი გახდა ზღაპარი.

და მე ვიჭერდი მფრინავ ფანტელებს,
ველარ მაქცევდა ქარი მრისხანე,

კარგია, როცა სიტყვა გათენებს,
დილას ზეციდან ჩამოგისხამენ.

და ჩემი სული გახდა კარღია,
გათბა ქალაქი თოვლის ალებით,
სახლში არ ვუშვებ ფანტელს ნაღვლიანს,
მას უნდა ჰქონდეს შენი თვალები.

თოვლი ხარ, მაგრამ შენ ხარ წამალი,
ვინ იტყვის, ტანჯვას ვერ მიიოლებ,
მოდი და უცებ გავხდი ფრთამალი
რომელიღაცა მემილიონე.

ვითომ...

მოღრეცილი აქვთ ცხვირ-პირი სახლებს,
სიცრუეს ყმუის დიდი ორღანი,
მეძიეს, მაგრამ ვერასდროს მნახეს,
ან ვინ იქნება ჩემი მომყვანი.

ყრუების ტყესთან ამაოდ ვყვირი:
შენი თითებით კარი კაკუნებს!
მილიონობით ლამაზი ვირი,
ვირი არ ვარო, თავს იკატუნებს.

სოფლის ტალახი გახდა მალამო,
გამოქვაბულის მოჩანს სურათი.
რამდენი ღორი უნდა ალაგმო,
სიცოცხლეს ჰქონდეს მეტი ყუათი.

მოფენილია ქუჩა ხურდებით,
მეეზოვეს კი ნიკო ვერ ხატავს,
ისევ დახეულ შარვლით ვბრუნდებით
და მივუჯდებით ისევ ძველ ღადარს...

დღეს ნერვიული ხელმწიფე მიტევს,
ჩვეულებრივი იშლება ტვინი,
უმისამართოდ ვაგზავნი სიტყვებს,
უმისამართო სიმღერით ვტირი.



სანდრო ბერიძე

ნიამორის კოპლებიანი დღიური*

12 სექტემბერი, 1987 წ.

მოსაბეზრებელია უკვე ამდენი შეგონება: „სევდა მოიშორე, სევდა გააგდე, სევდამ არ დაგიჯაბნოს, სევდას ნუ შეაქმევინე თავი“...

მოგცლიათ ერთი, ვის რაში სჭირდება და ანაღვლებს სხვისი სევდა, ვინ იხლის თავში...

ეგდოს იქ სადაცაა, იყვავილოს, მთავარია არ გაეკლდეს, არ გაბოღმდეს, არ გაბოროტდეს... იყოს გულწრფელი, ნაღდი, უშუალო და ბუნებრივი, ისეთი, ცხოვრებამ როგორიც გიბოძა და გარგუნა, რომელსაც ვერც ერთი ცინიზმი ვერ მიეკარება.

24 ოქტომბერი, 1988 წ.

„საით მიდიან მაცოდინა, ნეტა, ეს გზები“... დავიწყე და ამ სტრიქონის შემდეგ ვეღარ გავაგრძელე... ასე მჭირს და მემართება ხოლმე, ვერა და ვერ ვიმახსოვრებ ლექსებს, გინდა ჩემი იყოს და გინდა სხვისი... ნიამორი წამომეხმარა, ჩემს ნაცვლად წაიკითხა ჩემი ლექსი და თან დამიყვავა, ეს ჩვენი გზები სიყვარულისკენ მიდის, სანდროუკა, მარადიული სიყვარულისკენ და ამ გზაზე მარტო არასოდეს დარჩები, მე ვიქნები შენი მარადი მეგზური, ვიდრე სიკვდილი არ გაგვყრის და მისი ულმობელობით საბოლოოდ არ გაიყორება ჩვენი გზებიო, თან ხელკავი გამიკეთა და პიონერთა პარკისკენ გავეშურეთ, ტბაზე ნავით გასეირნებას ვიყავი დაპირებული...

ეს იყო მაშინ, ჰო, მაშინ, როცა ყველაფერი ნაირფერებში ყვაოდა, სიყვარულისფრად ფერადდებოდა და მღეროდა – ხეცა და ქვაც, წყალიცა და ჰაერიც, მიწაცა და ზეცაც, ყვაოდა და მღეროდა, მანამ, ვიდრე მოულოდნელად გარუხდებოდა და განაცრისფერდებოდა მთელი მზისქვეშეთი, მთელი სამყარო...

ბედისწერის გარეშე არაფერი ხდება ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, მე და ნიამორს ჩვენი ხანმოკლე ურთიერთობის მანძილზე არაფერი გვქონდა გათვლილი და მაინც გვწამდა, მარადიულობისა თუ არა, სიკვდილამდე ერთარსებობისა მაინც, მაგრამ... კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... ბედისწერამ უმალ გადაგვყარა სხვადასხვა მხარეს, დაგვაცალცალა, არ კიარა და, ვერ წავიდა ჩვენი გზა სიყვარულისკენ...

მაშ საით, საით? რა მიმართულებით უნდა წავიდეს ჩემი ბურუსით მოსილი გზა, მარტოსულისა და ეულად დარჩენილი, ხელჩაქნეული, ყველაფერში დამარცხებული და ბრძოლებწაგებული კაცის გზა? პოეზიისკენ?... ჰო, მარა, აქაც, ამ სამყაროშიც რომ მომეცარა ხელი? ჩემს ასაკში, ბევრი თუ არა, ორი-სამი ღირებული ლექსი მაინც ხომ უნდა ჰქოდეს პოეტს დაწერილი?... მე კი, გადამღერებულებსა და

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ჭოროხი“, №2, №3, 2024 წ.

გადააზრებულებს ვერ გავეცალე, ჩემეული ხალათი ვერ შევუკერე ლექსებს, ვერ ჩავაცვი... კი, ყველა პოეტს მისი ცრემლი ჰკიდია წამწამზე და მისი ღიმილი ამშვენებს ბაგეს, მაგრამ...

და მაინც... „საით მიდიან მაცოდინა, ნეტა, ეს გზები“... გზები, ყველგან მიმავალი და არსად მიმავალი გზები, მგზავრები რომ უნდა გაიყოლიონ, თუმცა... ზოგჯერ წვეთი ცრემლი უფროა მღელვარე, ვიდრე ზღვა და ოკეანე, მოკლე, გაწყვეტილი, მაგრამ ცეცხლოვანი ბიოგრაფია სჯობია უსაშველოდ გაწელილსა და მცონარობით გაბექსნილ ბიოგრაფიას...

გზა და მგზავრია სიცოცხლე, გზებითა და მგზავრებითაა ცხოვრება ლამაზი, რომელსაც დღეები ქსოვენ... გზები ბევრია, უამრავია, არის სიყვარულის გზა, სიკვდილის გზა, სამოთხის გზა, უდაბურების გზა, გულგრილობის გზა, ჭაობის გზა... ყველა მათგანს თავად ირჩევს ადამიანი და ყველა გზა არყოფნისაკენ მიემართება...

და მაინც, საით სანდროუკა? სიყვარულის გზამოცარულო? რა მიმართულებით აპირებ წასვლას? ოთხივე მიმართულებითაა გზა ხსნილი, ოთხივე კი არა, სულაც ექვსივე მიმართულებით... გინდა ესენინს მიბაძე, გინდა გრანელის ტირილით წადი, გნებავს მაჩაბელივით გადი კარში და უკან აღარ მობრუნდე, გნებავს მიატოვე სიყვარულისა და წყევლის ქალაქი, მთას მიაშურე, სადაც სამად გატეხილი გული სიჩუმეს ჩაიცვამს და ფრთადაძრულ ნისლებს მოუყვება დიდი სიყვარულის ზღაპარს, აგერ ახლა რომ გადაგხდა თავს, უცებ რომ შეითხზა და უცებვე გაქრა...

და კიდევ, არის სრულიად ახალი გზა, რომელიც ახლახან გაიჭრა, სხვისთვის თუ არა ჩემთვის სრულიად ახალი და ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი გზა, რომელსაც პოლიტიკა ჰქვია... პოლიტიკა?... ო, პოლიტიკა!

17 მაისი, 1989 წ.

გუშინ ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კურთხევას დავესწარი. ხუთი ათასამდე ადამიანი მოინათლა. საოცარი ზეიმი და სიხარული იყო. ილია მეორემ ტაძრის წინამძღოლად მღვდელი დავით შიოლაშვილი დანიშნა და თან დეკანოზად აკურთხა.

გულწრფელად ვიტყვი, ათეისტურ ოჯახში გავიზარდე, მაგრამ მეამაყება, რომ ათას ხუთას წლიანი ქართული ქრისტიანული ლიტერატურის იდეებითა და მიზანსწრაფულობით ვიყავი აღზრდილი და სხვა რა გზის მგზავრი შეიძლებოდა ვყოფილიყავი, თუ არა იმ ჭეშმარიტი გზისა, ეკლესიისაკენ რომ მიემართება და რომელსაც ყოველთვის მტკიცე რწმენით ადგა ჩემი შორეული წინაპარი.

რასაც ახლა ვწერ, იმედია, მკრეხელობაში არ ჩამეთვლება და არც ათეისტობა დამბრალდება, თუმცა, რომც დამბრალდეს, რა გასაკვირია, მეც ხომ მონობისა და უღმერთობის ეპოქაში დავიბადე და გავიზარდე... ეკლესიაში პირველად რომ შევედი, თვრამეტი წლის ვიქნებოდი, საბჭოეთში ხომ ეკლესია, და საერთოდ, ყველა სახის საკულტო ნაგებობა ან მაღაზიებად ჰქონდათ გადაკეთებული, ან კიდევ საწყობებად. მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ძალისხმევითა და თავგანწირვის შედეგად მოგვეცა საბჭოეთში დაბადებულებსა და გაზრდილებს, დავბრუნებოდით მშობლიური რწმენის იმ მარადიულ სამყოფელსა და წიაღს, რომლიდანაც გაუგონარმა ბოლშევიკურმა ტერორმა ცეცხლითა და მახვილით გამოაძევა ჩვენი მამების, დედების, ბებიებისა და ბაბუების თაობა...

უნდა ვაღიარო, ე.წ. „პერესტროიკამ“ ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი. უამრავი ჟურნალ-გაზეთებისა და უცხოეთიდან მოზღვავებული თავისუფალი ლიტერატურის შემოდინებამ, სულ სხვანაირი სამყაროს მომსწრენი გაგვხადა. თავისუფლების ქარიშხალი ჩვენს აზროვნებას და შემეცნებას ისე მძაფრად მოედო, ვერანაირ წნეხსა და ცენზურას ვეღარ შეეძლო მისი შეკავება.

სამწუხაროდ, მეოცე საუკუნის დასასრული ასეთი მკაცრი რეალობების წინაშე დადგა: მეცნიერები სხვადასხვა სახის კონფესიების შერწყმასა და გაერთიანებაზე ალაპარაკდნენ, ე. წ.

ეკუმენიზმი თანდათან მყარად იკიდებს ფეხს. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და ამ უკონტროლო პროგრესს მოყოლილმა, უმისამართოდ მიშვებულმა აღვირახსნილობამ, გარკვეულწილად, დაუცველი ადამიანის რწმენასაც კი შეურყია საძირკველი.

ორი ათასი წელიწადია ქადაგებს რელიგია: „არა კაც ჰკლა“, „არა იმრუშო“, „არა იპარო“ და ასე შემდეგ. მაგრამ ადამიანები უფრო თავხედობენ, ზღვარს გადადიან, უფრო იპარავენ, უფრო კლავენ, უფრო მრუშობენ...

კაცობრიობამ პროსტიტუცია ლამის შემოსავლის წყაროდაც კი გადააქცია. დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში ხმამაღლა და დაუფარავად ლაპარაკობენ ჰომოსექსუალისტთა უფლებების დაცვა-დაკანონებაზე. რელიგია კი ეგუება ამ ყველაფერს, არადა, ოდითგანვე, სოდომურ გარყვნილებას ებრძოდა.

რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნება კარგია და ლამაზი, ბრძნული და შინაარსიანი, უდიდეს სულიერ ნეტარებას ანიჭებს ადამიანს, ამდიდრებს მის შინაგან ბუნებას, მაგრამ კაცობრიობის განვითარებისა და წინსვლის საქმეში არსებით როლს ვეღარ და აღარ ასრულებს. სულიერი თვალსაზრისით რა საკითხებიც აწვალებდა და ადარდებდა ედემიდან გამოდევნილ ადამს, აგერ ლამის ოც საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა და ისევ ის საკითხები ადარდებს, რაც ედემის ჭიშკარს გამომცდარმა თან გამოიყოლა.

7 სექტემბერი,1989 წ.

„ნამეტანი მჭლეა ქედური სახელისუფლებო ელიტა, პარტიული ბობოლები და მოპარულ ქურქებში გახვეული მათი ხეპრე, გაუნათლებელი და უნიჭო ცოლები, ისე მედიდურად გადმოგვყურებენ მაღლიდან, მარია ანტონია იოზეფა იოჰანა ფონ ჰაფსბურგ-ლოთარინგიას არაფრად დაგიდევენო“... ეს, ჯერ კიდევ, სამი წლის წინ, ქედის ხიდზე ფეხით რომ მოვდიოდით და ბათუმში წამოსვლას ვაპირებდით, მაშინ მითხრა ნიამორმა... მას შემდეგ არაფერი შეცვლილა, პირიქით, უფრო და უფრო გამიმყარდა ნიამორის ნათქვამისადმი ჩემეული დაჯერება.

ჩემთვის, ისევე როგორც ნიამორისთვის, იმხანად ქედური ელიტური საზოგადოების სახე და სახელი ბრწყინვალე პოეტი რეზო თებიძე იყო, ენციკლოპედიური განათლების მქონე ნოდარ გათენაძე, გივი დევაძე, გურამ ქობულაძე, ძმები – ჯუმბერ და ასლან ბოლქვაძეები იყვნენ... მზისა ნაკაშიძე, ქეთო საფარიძე, დები – ვარდო და ნანული დიასამიძეები, დები – ციური და დინარი აბულაძეები, პოეტი ნათელა დუმბაძე, ლია ასამბაძე იყო, მანანა ვადაჭკორია, ციალა ბოლქვაძე, დიანა სურმანიძე... და კიდევ, ის... ჩემი ცხოვრების ამრევი და თან ორიენტირი, ვერსალის ბროლივით ლამაზი ნიამორი იყო, კულტურის სახლში გამართულ პოეზიის საღამოზე გალაკტიონის საოცარ ლექსთან ერთად, ვალერიან გაფრინდაშვილის „სენტიმენტალური ტრიოლეტი“ რომ წაიკითხა და... უმისამართოდ გაუჩინარდა...

რა თქმა უნდა, სილამაზის აღქმა ყველა დროში ყველასთვის განსხვავებულია და ყველა ქალიც თავისებურად ლამაზია, ეშხიანია, ბრწყინვალეა და მშვენიერია.

გამორჩეულები არიან ქედელი ქალბატონებიც. ვიზუალის მომხიბვლელობითა და ინტელექტის მასშტაბურობით, თითოეული მათგანი, ნებისმიერი დიდი ქვეყნისა და ქალაქის თეატრალურ სცენას დაამშვენებდა. ისინი, როგორც სათნოები, კდემამოსილები, ლამაზები, მშვენიერები და გონიერები, ღიმილიანი სიცოცხლისთვის არიან გაჩენილები...

ჟაკ ოფენბახს, ჟიულ მუანოს და სახელგანთქმულ ალექსანდრე დიუმას მათი არისტოკრატული ნაკვთები რომ ენახათ, ალბათ, ლეგენდებსაც კი შეთხზავდნენ.

13 აგვისტო, 1990 წ.

ფინაულის აბიბინებულ ჭალებში თვრამეტი წლის უმშვენიერეს გოგონას მოულოდნელად რომ დაეცემა მეხი და მოკლავს, ჩვენ, თანატოლი და თანასკოლელი, მის სილამაზეზე შეყვა-

რებული ბიჭები, ცრემლდამშრალ ჭირისუფალთან ერთად დავწყევლით სიკვდილს...

სიკვდილი კი არაფრად ჩაგვაგდებს და არხეინად გააგრძელებს მისეულ მკვლელობებს...

შუბნის პირქუშ ხეობაში ავტომანქანით გადაჩეხილ და დაღუპულ ოცი წლის თანაკლასელს რომ გამოვიტირებთ, სახედახოკილ დედამისთან ერთად გულჯავრიანები დავწყევლით სიკვდილს...

სიკვდილი კი, ისევ გააგრძელებს მორიგი მსხვერპლისკენ მსვლელობას...

აჭარისწყალის აბობოქრებულ ტალღებში გაუჩინარებულ ოცდარვა წლის მეგობარს, ორი კვირის ძებნის შემდეგ დამხრჩვალს რომ ვიპოვით, თმააწეწილი და სახეშეშლილი დედის ცრემლებთან ერთად ჩვენც მივაწყევლით სიკვდილს...

სიკვდილი კი, აქაოდა, ვითომც არაფერი, მხარზე ცელგადებული ისევ გაუყვება უმისამართო შარა-ბაწარას...

უზარმაზარი ხის კენწეროდან რომ ჩამოვარდები და ქვებზე დავენარცხები, ნეკნებდამტვრეული სიკვდილს რომ ჩავხედავ არაამქვეყნიურ, უცნაურ და უფერო თვალებში, და მადიანად შევუკურთხებ მის გამჩენს, რატომ მაგინებო, მისაყვედურებს უხმოდ და უხმაუროდ... მე ადამიანის მოკვდინების ერთადერთი საშუალება ვიცი და ეს მისი ასაკია, მხოლოდ სიბერის შედეგად მიმყავს მიწიონელი საქაოდან საიქიოში, რათა ფერნაცვალმა და სახენაცვალმა იქ გააგრძელოს ცხოვრება. მოკვდინების სხვა ათასნაირი ხერხი თავად თქვენ – ადამიანებმა გამოიგონეთ, ამიტომაც სხვათა ცოდვებს ნუ ამკიდებთ, მე ჩემიც მეყოფაო...

და მაინც, რა არის სიკვდილი?

მახსოვს, ეს კითხვა მაშინ დავუსვი ნიამორს, თიბათვის წვიმიან დღეს პონტოს ნაპირზე რომ ვსეირნობდით და ბათუმური წვიმით გალუმპულები, სიკვდილ–სიცოცხლის ჩვენეულ ფილოსოფიას უკომპრომისო დავა-კამათში ვძერწავდით, ვქმნიდით და ვაყალიბებდით...

– გარდაცვლილ და ცოცხალ ბრძენთა ყველა გონი ერთად რომ შეიკრიბოს და გაერთიანდეს, მაინც ვერავინ ახსნის რა და ვინ არის სიკვდილი. აბა გაიხსენე ეკლესიასტე: „რადგან ცოცხალმა იცის, რომ მოკვდება; მკვდრებმა კი არაფერი იციან და აღარც საზღაური მიეზღვებათ, რადგან მათი ხსოვნა დავიწყებას მიეცა“.

ეს იყო ამ თემაზე ნიამორის საბოლოო პასუხიც, დასკვნაცა და დასასრულიც.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბედისწერამ ნიამორი მისეული გზით წაიყვანა, მე ჩემეულ გზა-შარას დამაყენა და გამიყენა...

ულმობელი დროის გამოისობით ნაწილობრივ შევიცვალე მე... ალბათ შეიცვალა ნიამორიც... ვინ იცის...

ბუნების კანონზომიერება რახანია შეიცნო ადამიანმა, სხვა გზა რომ არ ჰქონდა, მიენდო, შეეჩვია და დაემორჩილა მას.

და თუკი, დადგება დრო და მეტაბუნების კანონზომიერებასაც შეიცნობს, აქამდე სიკვდილისაგან ხელჩაქნეული და მისდამი მორჩილი ადამიანი, იმ ოცნებასაც აიხდენს, მარადიულობა და უკვდავება რომ ჰქვია.

ისე, ყველაზე საცოდავი და უბედური მაინც სიკვდილია. მან არ იცის რა არის ბედნიერება.

სიცოცხლეს სიცოცხლეც შეუძლია და სიკვდილიც.

სიკვდილს სიცოცხლე შეუძლია და სიკვდილი არ შეუძლია.

სიკვდილის გზა ცალმხრივია...

„ვაი, სიცოცხლევ, ფეხაკრეფით სიკვდილი მოდის,

უი, სიკვდილო, სიკვდილიც კი არ გიწერია“.

11 ოქტომბერი,1990 წ.

ნიამორის მაგნოლია აღარ არსებობს. აღარც ძელსკამი დგას. თებერვალში მოულოდნელად მოსულმა თოვლმა და ქარიშხალმა ასწლოვანი ხე მთლიანად მოგლიჯა. ახლა მის ადგილას ხელოვნურად აბიბინებული ბალახია, ისეთი, ქალაქების პარკებსა და სკვერებში რომ თესავენ გამწვანების მიზნით.

ამ მაგნოლიას ნიამორის სურვილით ვუწოდეთ „ნიამორის მაგნოლია“. აქ ვხვდებოდით ხში-

რად. ეს იყო ჩვენი პაემნის ადგილი. მე ვიცოდი, ლექციებს რომ მორჩებოდა ამ მაგნოლიასთან, ძელსკამზე დამხვდებოდა და თავადაც უწყოდა, იქ რომ მიპოვიდა ნერვიულად მომლოდინეს.

ვისხედით საათობით, ვკითხულობდით ლექსებსა და ვუსმენდით პიონერთა პარკის ადმინისტრაციის შენობიდან გამომავალ, ხმამაღლა ჩართულ მუსიკასა და სიმღერებს. ნიამორს განსაკუთრებით კლაუდია მორეს სიმღერები, უფრო სწორად, ტირილნარევი სიმღერები უყვარდა. მთვარისებრ ქვას, ზღვის ნაპირზე ხეტიალისას რომ იპოვა და ამ მაგნოლიის ქვეშ თავისებური, ლამაზი კალიგრაფიით წააწერა: „ბათუმი. კიპლინგი. ქარი“... ახლაც დავატარებ ჯიბით.

სამი წელიწადია აღარ შევხვედრივარ. მე ის აჭარის მთებში დავკარგე. თუმცა, ვიცი, ახლა აქ არის, ამ ქალაქში, ჩემი სიყვარულისა და წყევლის ქალაქში ცხოვრობს.

დღეს სამსახურს რომ მოვრჩი, გაზეთ „აჭარის“ რედაქციიდან პიონერთა პარკისაკენ ფეხით გავეშურე. ნელა წვიმდა, არაბათუმურად, კოპლებიანი დღიური თან მქონდა...

მივდიოდი აღარარსებული მაგნოლიისაკენ, მივდიოდი და ასე მეგონა, ნიამორი გალას იმ ლექსს მიკითხავდა, გამორჩეულად რომ უყვარდა:

„მიდიოდი, როგორც მკვდარი,
როგორც მკვდარი, სანანი.
ქროდა ქარი,
კრთოდა იასამანი“.

...„და აჰა, ვცანი – ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა“...

ეჰ... ასე ყოფილა, ეკლესიასტე!

4 მარტი, 1991 წ.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აჭარაში დასანიშნი პრეფექტების კანდიდატებიდან პირველი მე გამომიძახეს. ჩემს გამო ზვიად გამსახურდიასა და თენგიზ ხახვას შორის დაპირისპირება მოხდა. ზვიადი თანახმა იყო, ხახვა – წინააღმდეგი. მან ქედის რაიონის მოქმედი მოსამართლის დავით ანანიძის კანდიდატურა წარმოადგნია, ზვიადი შეეწინაღმდეგა, მოქმედი მოსამართლე პრეფექტად რომ დავნიშნოთ, საზოგადოება არასწორად გაიგებსო და მე უპრობლემოდ დამნიშნა.

ჩემს მერე დაინიშნენ აჭარის სხვა პრეფექტებიც. გარეთ რომ გამოვედი, ასე მეგონა, თითქოს, კაბინეტიდან გამოსულს კლდე და ლოდები მქონდა აკიდებული ზურგზე. სულ სხვანაირი სიმსუბუქე შევიტანე სხდომაზე და საშინლად დამძიმებული გამოვედი იქიდან. ეს მხოლოდ დიდი პასუხისმგებლობის შეგრძნებით იყო გამოწვეული, მეტი არაფერი.

დასრულდა ვითომ ჩემი რომანტიკა? დაესვა ვითომ შავი წერტილი ცხოვრებასთან ჩემეულ შეურიგებელ ემოციებსა და რუტინასთან პოეტურ დაპირისპირებებს? დამთავრდა ვითომ ჩემი მარტოობა, რომელიც მარადი მაყარივით თან მახლდა ნიამორის დაკარგვის შემდეგ?..

თავადაც არ ვიცი რა მოხდება მომავალში. მე თვითონ, საკუთარი სურვილით ვარჩიე რომანტიულ ხალათს, პოლიტიკოსის სამოსლის ჩაცმა და ვნახოთ, როგორ შევძლებ და როდემდე მომიწევს მისი ტარება...

15 აპრილი, 1991 წ.

კვირა სოფელში გავატარე. მძღოლი ორშაბათისთვის დავიბარე. თბილისში ვაპირებ წასვლას. გოდერძის უღელტეხილით ვარჩიე მგზავრობა. შედარებით მოკლეა გზა, ვიდრე ქუთაისის გავლით. ზაური აბაშიძე, ჩემი მძღოლი, დილით ამოვიდა რაიონიდან. სახლში დედა და მამაა მხოლოდ. შვიდი შვილიდან სიბერეში არც ერთი აღარ შევრჩით მშობლებს, გოგოები დათხოვდნენ, ბიჭები დაქორწინდნენ, ყველამ ქალაქში არჩია ცხოვრება, სოფელი მოხუცი მშობლების ანაბარა დარჩა. მე თუ გამოვნახავ ზოგჯერ დროს და შემოვუვლი, ისიც ერთი ღამით. ყველაზე უფრო მოუცლელი მე ვარ. დედაჩემი კარგა ხანია ავადმყოფობს. მამაჩემი ბავშვივით მარიგებს ჭკუას, თუმცა ბოლოს ისიც მეტყვის,

მე რა უნდა გასწავლო, გამოსული კაცი ხარ, შენი საქმის შენ უკეთ იციო.

მე და მძღოლმა წავიხემსეთ. ზაური კარგი ადამიანია. ჩემამდე რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ატარებდა. მე რომ მივედი, პირდაპირ მითხრა, ნუ გამიშვებ სამსახურიდან, ცოლ-შვილი მყავს, უმუშევარი დავრჩებიო. რა თქმა უნდა, დავტოვე. მე მას და მის ახლობლებს ადრეც ვიცნობდი.

წასასვლელად რომ მოვემზადეთ და მანქანაში ვჯდებოდი, დედაჩემი მოვიდა, მალე ამოდი, არ დაიგვიანოო, მითხრა და პიჯაკის წინა ჯიბეში რაღაცა ჩამიდო. მალე ამოვალ, არ ინერვიულო-მეთქი, ვუთხარი. ვაკოცე და მანქანაში ჩავჯექი. ჩაჯდომისას დედამ თითქოს საყელო გამისწორა, ხელის მოძრაობაზე ყურადღება აღარ მიმიქცევია. სოფლიდან რომ დავეშვით, გზად ერთი-ორი მეზობელიც დავიმგზავრეთ. ცენტრალურ სამანქანე გზამდე ჩაგყვებითო. შუახევში შოთა ფუტკარაძე გველოდებოდა. ტაშისკარს რომ გავცდით, დედაჩემი გამახსენდა, პიჯაკის წინა ჯიბე მოვიჩხრიკე და... სახტად დავრჩი. ხელში 27 მანეთი, დედაჩემის პენსია შემრჩა. იმ დროისათვის მოხუცებულობის ყოველთვიური პენსია 27 მანეთი იყო. ჩემი, როგორც რაიონის თავკაცის, ხელფასი – 1400 მანეთი.

მძღოლს რომ არ შეემჩნია, ფანჯარაში დავიწყე ყურება, თვალებზე მომდგარი ცრემლები დავმალე, უფრო სწორად, ჩემივე თვალებით ჩემივე ცრემლები გადავყლაპე.

დედა ღმერთია, დედა სასწაულია, დედა საოცრებაა, დედა ყველაზე სათნო, კეთილი და ლამაზია. ყველა დედაა ასეთი, მარტო დედაჩემი კი არაა ლამაზი, დედამიწის ზურგზე დედაზე ლამაზი არავინ და არაფერი დაიარება.

ღმერთო, ყველას კარგად უმყოფე და დიდხანს უცოცხლე დედა.

29 აპრილი,1991 წ.

პოეტსა და პოლიტიკოსს აქვთ რაღაც საერთო. ამასთან, დიდი განსხვავებებიც.

ყველა დიდი პოლიტიკოსი დასაწყისში ხელმოცარული, არშემდგარი პოეტი იყო.

ყველა დიდი პოეტი ვერ იტანდა პოლიტიკოსს.

პოეტი მხურვალე გულია, აბრიალებული ხანძარია.

პოლიტიკოსი – ცივი გონება და რაციონალური სიმშრალეა.

საკუთარი მოღვაწეობის გახანგრძლივებისა და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის პოლიტიკოსი ყოველთვის ცდილობს შექმნას სტაბილურობა და სიმშვიდე. ზოგჯერ ქაოსიც კი...

პოეტი ყოველთვის მოჯანყეა. ღმერთი გაჩუმდა და პოეტი ალაპარაკდაო, უთქვამთ. მისი დაუდგრომელი და ბობოქარი სულით შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოები, უფრო მეტად, მემარცხენეობით სულდგმულობს. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერ დროსა და სივრცეში ხელისუფლისა და შემოქმედის ანუ პოლიტიკოსისა და პოეტის ურთიერთობა გამორჩეული იყო დაძაბულობით, შეურიგებლობითა და მუდმივი კონფლიქტით.

პოლიტიკოსი ცდილობს, პოეტი თავის ჭკუაზე მოაქციოს, პოეტი კი, მისი ნიჭიერებიდან გამომდინარე, სულ ეურჩება პოლიტიკოსს და ვერ ეგუება მოსათვინიერებელი ხუნდების დადებას.

შემოქმედისათვის სიკვდილ-სიცოცხლე, მათი დუელი, დაუბრება და დაზავება ყველაზე საინტერესო და ყველაზე გამძლე, თან ბოლომდე ამოუხსნელი თემაა. მიუხედავად ამ ორი ტანდემის გაუთავებელი დუელისა, ისინი მაინც ალამაზებენ ერთმანეთს.

არსებობს არყოფნის შემდგომი სიცოცხლე და არსებობს სიკვდილის შემდგომი სიკვდილი. ამ ორიდან პირველი ყველა ნაღდ პოეტს სწყალობს, იშვიათად კი – პოლიტიკოსს.

პოლიტიკოსთა უმეტესობა სიკვდილის შემდგომი სიკვდილის ლუკმაა. ამ ხაფანგს იშვიათი ნიჭის პოლიტიკოსები უსხლტებიან ხოლმე და ამ გასხლტომაში გამჩენის ხელიც ურევია.

სიკვდილის შემდგომი სიცოცხლე უდიდესი ბედნიერებაა, სიკვდილის შემდგომი სიკვდილი – ორმაგი ტრაგედია. თეთრი უფლისწული – სი-

ცოცხლე, შავ უფლისწულს – სიკვდილს, ყოველთვის ამარცხებს, ოღონდ, მსხვერპლის გაღების ფასად, თვითშეწირვით. მათი დუელი მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ეს ორი უკვდავი ტანდემი მოკვდავად არ გადაიქცევა.

დრო კი არ იცვლება, ჩვენ ადამიანები ვიცვლებით, ჩვენ ვამკაცრებთ მას, სუსხიანსა და სისხლიანს ვხდით ხოლმე.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ორი ქართველი პოლიტიკოსი გადაეკიდება ერთმანეთს – ედუარდ შევარდნაძე და ზვიად გამსახურდია.

პირველი – წითელი ჭირის შურიან და ბოღმიან უბეში გამოცხვება, უძღები შვილის ხალათში გაეხვევა, მტრის სამსახურში გაფლანგავს ნიჭს და პირად განდიდებასა და ამბიციას ლამის გადააყოლებს ქვეყანას.

მეორე – ეროვნულ სამოსს მოირგებს, მშობლიურ ფესვებზე გაიზრდება, გამოიწრთობა, სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოუტანს, ზვარაკად შეწირვის ფასად.

ამ ორი, ერთმანეთზე გადამტერებული და შეურიგებელი პოლიტიკოსების ხანაში მოუწევთ ცხოვრება და მოღვაწეობა ორ უნიჭიერეს პოეტს – მურმან ლებანიძესა და მუხრან მაჭავარიანს. ორივე მათგანმა კარგად იცოდა ერთმანეთის ნიჭი და ფასი. სამაგალითო მეგობრებს, სამწუხაროდ, პოლიტიკა დააშორიშორებს და დააუბრებს ერთმანეთს.

მურმანი ეჭვითა და ყოყმანით შეხვდება ეროვნულ მოძრაობას და ედუარდ შევარდნაძის ნავში მოკალათდება. გაუკვირდებათ ეროვნულებს მისი საქციელი, ასევე გააკვირვებს მურმანს მათგან მისდამი უყურადღებობა და ლექსად ამოთქვამს საყვედურს:

„მრგვალ მაგიდას“ ვხედავ ბაღში, –
არ ჩამოვთვლი მაგათ გვარებს, –
აღარ მირეკავენ სახლში,
აღარ „ვევასები“ მრგვალებს...
(„ზაფხული – 1990“).

მუხრანი კი...

„ახალს რას მეტყვი, ყურთასმენა რომ დავიძაბო,
საქართველოო, გოლგოთაზე უფრო ციცაბო“...

ამოთქვამს თავისებური რიხიანი ხმით და ხმაურით გადაეშვება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ლაშქარში, ზვიად გამსახურდიას ნავს მიაშურებს და შიგ საპატიო ადგილსაც დაიმკვიდრებს.

ერთიც კარგი პოეტი იყო და მეორეც, ერთსაც უყვარდა საქართველო და მეორესაც...

რაც შეეხება ნავს, ალბათ მეორე უფრო სჯობდა, მაინც ეროვნული იყო, მაინც შინაური იყო, მაინც მშობლიური იყო.

7 ივნისი, 1991 წ.

თბილისში ვარ. ამ დილით ჩამოვედით მე და შოთა ფუტკარაძე...

უზენაესი საბჭოს სესიაზე შესვენება გამოცხადდა. მომბეზრდა ოპოზიციონერი დეპუტატების ქაქან-ყაყანი. „მერანის“ წიგნების მაღაზიას მივაშურე. ზვიად გამსახურდიას „წერილები და ესსეები“, აკაკი ბაქრაძის „რწმენა“ ვიყიდე. ეს უკანასკნელი ყდაში უკუღმაა ჩასმული, თუმცა ყდას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ისაა, წიგნში რა წერია.

ვათვალიერებ წიგნებით გადაჭედილ თაროებს და პეტერ ალტენბერგი მახსენდება: „ჰერცოგმა ლაროშფუკომ იმდენი აფორიზმი დაწერა, გულწრფელად გული მწყდება, რატომ მე არ მომივიდა ისინი აზრად, მაგრამ რადგან ისინი სამი საუკუნის განმავლობაში ვერავის ვერაფერში გამოადგა, ამიტომ მიხარია, რომ მე არ გამიწევია ეს უმადური შრომა“... და მეც მიხარია, რომ ეს აზრი ახლოსაც არ ეკარება იმ წიგნებსა და წიგნებში განფენილ აზრებს, ამ წუთში მე რომ იღლიაში მაქვს ამოჩრილი.

ორი ბუმბერაზი ქართველის ხელთუქმნელი შედევრებით მივაბიჯებ ქუჩაში და ვფიქრობ, რატომ არ დაუდგა გვერდში ზვიადს აკაკი ბაქრაძე, აკი, ზვიადი თავად ეახლა სახლში აკაკი ბაქრაძეს და პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო სიაში რიგით პირველობა შესთავაზა, მეორე მე ვიქნებიო, აკი, კომპარტიას სურდა „რუსთაველის საზოგადოების“ თავკაცად მათი კანდიდატურა

გაეყვანა... ზვიადის ჩარევითა და ძალისხმევით ამ საზოგადოების თავკაცობა აკაკი ბაქრაძეს ერგო.

და მაინც რამ გაყარა მათი გზები? რუსულმა სუკმა თუ ქართულმა შურმა? ალბათ, სამწუხაროდ, ერთმაც და მეორემაც.

11 ივნისი, 1991 წ.

დღეს მახუნცეთის სკოლა-ინტერნატში პედაგოგიურ კოლექტივს შევხვდი. მზისა მახლდა. დანიშნულ დროზე ერთი საათით ადრე ჩავედით. მიყვარს აწჰესის დასახლება. პატარა, მაგრამ კოხტა, სუფთა და კეთილმოწყობილი, მოვლილი დასახლებაა, ადგილობრივებთან ერთად, აქა-იქ რუსებსაც შეხვდებით და სომხებსაც. ისინი 20-30-იან წლებში აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს სამუშაოდ მოსული მუშა-მოსამსახურეების შთამომავლები არიან, რომლებმაც აქ დაიმკვიდრეს არა მარტო სამუდამო საცხოვრებელი, სამუდამო ძვალთშესალაგიც კი.

1986 წელს, როცა ქედის რაიონულ გაზეთში ვმუშაობდი, აწჰესის დასახლებაში, ახალგაზრდებმა, კულტურული დაწესებულების საკმაოდ ლამაზ და კეთილმოწყობილ შენობაში ახალგაზრდული კლუბი „დიალოგი“ ჩამოაყალიბეს. ისინი თვეში ორ-სამჯერ იკრიბებოდნენ, ატარებდნენ პოეზიის საღამოებს, მართავდნენ სხვადასხვა შინაარსის დისკუსიებს. ხშირად იმართებოდა კარნავალებიც. მათ კლუბში მეც გამაერთიანეს და ამა თუ იმ ღონისძიების შესაჯამებლად სპეციალურად შექმნილი ყველა ჟიურის საპატიო და მუდმივი წევრიც გახლდით.

ახლა, აგერ ხუთი წლის შემდეგ, ისევ აქ მოვედი. მოვედი არა როგორც კლუბ „დიალოგის“ წევრი, არამედ რაიონის პრეფექტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი... და ვიდრე პედაგოგებთან შეხვედრას გავმართავდი, ერთი საათით განვმარტოვდი, სკოლა-ინტერნატის შენობიდან ორასიოდე მეტრში მდებარე კლუბისა და ბიბლიოთეკის ნაცნობ შენობას მივაშურე. ახლებიდან ვერავინ ვიცანი, ძველებიდან აქ აღარავინ იყო, გარდა ბიბლიოთეკარი გოგონასი, რომელიც მგლოვიარესავით შავებში იყო გამოწყობილი. ვერ შემამჩნია, არც მე გამოველაპარაკე... როგორც გავიგე, ახალგათხოვილს ქმარი გარდასცვლოდა...

დაცარიელებულ კლუბში შესულს, 1986 წლის საახალწლო კარნავალი დამიდგა თვალწინ. აქ სანთლების შუქზე ნიამორმა ჩემი ლექსი წაიკითხა. მე მაშინ ამ სასწაულ გოგონას არ ვიცნობდი. ჰო, პირველად აქ გავიცანი ნიამორი, გოგონა, რომელმაც სრულიად მოკლე დროში შეცვალა ჩემი ცხოვრება, სამყაროს ხედვა და ცნობიერება, სულ სხვა სიმაღლეებს დამაუფლა, სულ სხვა ცა და ცის იქითა ცა მაჩვენა...

> მოსავდა ქუჩებს თოვლი და ძილი,
> გამოუცნობი ფიქრების შერთვით,
> მე კი ღმერთისგან გამოგზავნილი,
> თეთრი სამყარო მომქონდა შენთვის.

დაამთავრა თუ არა წაკითხვა, თავჩაღუნულმა მისი მაგიდისკენ გავიხედე... ლექსი ვერაფერი ლექსი იყო, აი, წამკითხველი კი საოცრებას ჰგავდა. იყო თოვლივით თეთრი და ხმათაფლა. ვეღარ მოვითმინე, არ მახსოვს როგორ მივედი მასთან, ეს მისვლა კი არა, ნელი მივარდნა უფრო იყო. ვინ ხარ-მეთქი, ვკითხე. სახე აეფაკლა, თუმცა მე უფრო დაბნეულს ვგავდი, დამუნჯებულსა და დარეტიანებულს...

ეს ყველაფერი იყო, იყო ლამაზი დასაწყისი, ლამაზი დღეები და იყო მოკლე, მაგრამ ყველაზე გრძელი და მარადიული შეხვედრები, ნიამორივით წმინდა, ფაქიზი და ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი.

ახლა კი ამ შორეული გადასახედიდან, როცა აგერ რამდენიმე წუთი მოვპარე ჩემი პროზაული ცხოვრების დღის წესრიგს, გამოვეპარე მიწიერ ჭუჭყს მოგონებათა ზეციურ კაბადონზე და ვტკბები, უცებ მზისას ხმა ჩამესმის: წავიდეთ, სანდრო, შეხვედრაზე, ხალხი გველოდება დარბაზშიო.

1 ივლისი, 1991 წ.

აგერ ახლა, როცა ოცდამეთორმეტე ადამიანის მიღებით მოქალაქეთა მიღებას მოვრჩი, პირად მდივანს ვეუბნები, ვინც არ უნდა მიკითხოს, უთხარი, ადგილზე არ იმყოფება-თქო.

კაბინეტის კარი ჩავკეტე. მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტში სიგარეტს არ ვეწეოდი, სიგარეტს მოვუკიდე და ნიამორის ნაჩუქარი გურამ ასათიანის წიგნი „როგორ უყვარდათ საქართველოში“ გადავშალე. ძალიან მიყვარს ეს წიგნი, ათასჯერ წაკითხულს, ათასმეერთედ წავიკითხავ, ისევ თავდაპირველი მონდომებით, ჟინით, წყურვილით, აღტაცებით და აღფრთოვანებით.

...და მაინც, რა არის, ვინ არის და როგორია სიყვარული? რა ფერისაა მისი თვალები, რას იწონის მისი ცრემლი ან ღიმილი?

რა არის? არ ვიცი, მაგრამ ვინ არის, ვიცი...

სიყვარული ნიამორია... მიწიერი, მზისქვეშეთელი, ცისკიდელი და ცისკიდის იქითა ცისკიდელი...

...მშვენიერების ოქროსთმებიანი სასწაული, ნაზი და ნატიფი, მსუბუქი და ჰაეროვანი, ხმათაფლა და ენამწარე, გიჟი და გადარეული, შეშლილი და შლეგი, აბორგებული სულის მიჩუმათებული ხანძარი, ყვავილების ფრთებზე გასუსული ქარიშხალი, ღამაზი წვა და მშვენიერი წვალება, სევდაგადაცმული ღიმილი და ღიმილგადაცმული სევდა, აუტანლობამდე ასატანი ნეტარება, დამონებული ბატონი და გაბატონებული მონა, სისადავე სირთულეში და სირთულე სისადავეში, მაჟორის მინორად და მინორის მაჟორად მქცეველ-გადამქცეველი, რომელიც გშლის, გყრის და გამხობს, რათა ისევ წამოგაყენოს ჯადოსნური ძალით, ნელი ფრენითა და არეული ნაბიჯებით წაგიყვანოს შორზე-შორეთში, სადაც იელვებს და ააღდება განათების წამი, აღტაცების წუთი, აღფრთოვანების დღეები, გაფრენილი წლები და ყველა დანაწევრებული დროის დაჯამებით შემდგარი – ზეშთაგონების საუკუნე.

მხოლოდ სიყვარული, სულში დავანებული და გულში განფენილ-ჩაბუდებული სიყვარული უძლებს დროის ულმობელობას.

მხოლოდ სიყვარულს შეუძლია, საცეკვაოდ გამოიწვიოს თეთრი სიცოცხლე და შავი სიკვდილი, წაკიდოს და მოარიგოს ისინი.

მხოლოდ სიყვარულს ძალუძს, გააუკვდაოს სიცოცხლე და გაამოკვდავოს სიკვდილი.

მხოლოდ სიყვარულს ხელეწიფება, კაზმულ სიტყვასთან ერთად, გააცოცხლოს გაქვავებული ისტორიები, რომლითაც ვიქარვებთ ნაღველს, ვიმსუბუქებთ მარადი მაყარივით თანამდევ ტკივილს, ვიურვებთ სინანულის ტევრებით დამძიმებულ სულსა და მოგონებებით დახუნძლულ პაწია, ციდა, მაგრამ მთელი სამყაროს დამტევ გულს.

ნიამორისგან ნაჩუქარი წიგნის ბოლო არშიას, წლების წინ დაწერილი და წაწერილი, ჩემეული ლექსი შეჰკედლებოდა, შეჰფარებოდა და შეჰბუდებოდა, როგორც ეკლესიას ლამაზსევდაგადაცმულთვალებიანი მონაზონი.

არყოფნის მერეც

რა მწუხარებაც განვიცადე, უწყის არავინ,
მას შემდეგ, გზა რომ გაიყარა და შენ წახველი,
გატეხილ გულში გულზე დიდი დამრჩა ნაღველი,
სადა ხარ?... ღამის დამავიწყდა შენი სახელი,
უშენოდ ჩემი ჩაიშალა თეთრი კარავი...
რა მწუხარებაც განვიცადე, უწყის არავინ.

ძახილის დროა... ვეგებები მწუხრით ალიონს,
ხსოვნის ცრემლები წარსულ დღეთა სოლოს
მღერიან,
სევდის ქუჩაზე ძველ მეტრფეებს ისევ გველიან,
გადავიწყება, (ღმერთო ჩემო), საშინელია...
შენზე ფიქრები რამ მოკლას და რამ გადალიოს...
ძახილის დროა... ვეგებები მწუხრით ალიონს.

გადავიღალე, მოლოდინის შემკრეს ხუნდებმა,
ამ გრძნობით მსურდა გაცივებულ დროსთან
მედავა,
შენი ხელებით გული ჩემი დიდხანს მეკავა,
ძველი ფიქრები კვლავ მოქრიან წასალეკავად,

ოღონდ წარსული, ფრთაშეჭრილი, აღარ
ბრუნდება...
გადავიღალე, მოლოდინის შემკრეს ხუნდებმა.

დალუქულ მკერდში გაუხსნელი მტკივა ჭრილობა,
მაყრიონივით მიმაცილებს დარდი ორწილი,
ყვავილობისას ვერშემდგარი ტირის ქორწილი,
აღსავლის კართან ძლივსღა ვდგავარ
ქანცგამოცლილი,
სადაც მლოცველებს არ ატყვიათ უმარტვილობა...
დალუქულ მკერდში გაუხსნელი მტკივა ჭრილობა.

ბედი ცბიერი გაჩენილა ჩვენდა საცილოდ,
შეაწყდა სიმი მომღერალი ლერწამის ღერებს,
სულის დაფაზე ისევ ვხატავ მგლოვიარ ფერებს,
ჩვენი შეხვედრა კვლავ მოხდება არყოფნის მერეც,
მანამდე სევდა მუდმივ საგზლად გავინაწილოთ...
ბედი ცბიერი გაჩენილა ჩვენდა საცილოდ.

დასრულდა უკვე. განვლილ სამანს ბურუსი
ფარავს,
ყველას ხვედრია მზისქვეშეთში გლოვა და ვიში,
ოდეს ყოფილთა მოგონების უსახო ჩრდილში,
წვითა და დავით, სიყვარულის დაკარგვის შიშით,
სხვა მეწყვილენი საცხოვრისად აგებენ კარავს...
დასრულდა უკვე. განვლილ სამანს ბურუსი
ფარავს.

5 ივლისი, 1991 წ.

თბილისი-ბათუმის მატარებლის გასვლამდე ერთი საათით ადრე მივედი რკინიგზის სადგურში. ვიხეტიალე. მიყვარს მარტო ხეტიალი, მით უმეტეს ისეთ გარემოში, როცა არავინ მიცნობს. უფრო თამამი და თავისუფალი ვარ. კომპლექსებს, ზოგჯერ ბორკილებად რომ მადევს, სადღაც ვტოვებ, დამტვრეულებსა და დამსხვრეულებს ვისვრი სანაგვეზე, თუმცა ნაცნობ გარემოში ისინი ისევ მრთელდებიან და მზღუდავენ.

აი, ახლა ვზივარ სადგურში, მატარებლის მოლოდინში და ვფიქრობ, თან მუხლებზე ნიამორის ნაჩუქარი კოპლებიანი დღიური მიდევს გადაშლილი, პასტას ვაწვალებ, ხანდახან კბილებით ვღეჭავ მის ერთ ბოლოს. გაქცეულ, მიმოფანტულ ფიქრებს ვაი-ვაგლახით ვუყრი თავს და ძლივს გადამაქვს ქათქათა ფურცელზე:

შეიძლება, განა, ამ ტოტალური ავტომატიზაციისა და ავტოსტრადების, ტექნიკისა და რობოტების ეპოქაში ადამიანის იდეალი ისევ დონკიხოტი ან ჰამლეტი იყოს?

მათი მიამიტობა და გულუბრყვილობა, განა, უსუსურობად არ გამოიყურება ამოდენა სიცივისა და რაციონალიზმის წინაშე?

შეიძლება განა, ამ გაუგონარი გულგრილობის ეპოქაში, სადაც ტყუილი სიმართლედ საღდება, დაცემა – ამაღლებად და სიმახინჯე – მშვენიერებად, ადამიანმა იცხოვროს ისე, რომ ჭუჭყი არ მიეკაროს მის გულსა და გონს?..

ნიამორს თუ დავუჯერებთ, შეიძლება.

მე ახლაც, ამ სიშორეზე, მახსოვს და მარადი მაყარივით თან დამდევს, სტუდენტობისას ზღვისპირა ქუჩებში ჩვენი ერთად ხეტიალისდროინდელი, როგორც მე მას ვუწოდე, „ნიამორისეული შეგონებები“... თეთრ ქათქათა ქურთუკში გახვეული რომ ჩამჩიჩინებდა, როგორც ძნელადაღსაზრდელ, ჯიუტ, უჯიათსა და გაქირ პოეტ-ბავშვს.

თურმე:

ჯუნგლის კანონებით მოსაწყენსა და მოსაბეზრებელ ცხოვრებას რომ გაექცე, საამისოდ საჭიროა სულის კანონებით იცხოვრო.

თურმე:

სულის კანონებით რომ იცხოვრო, საამისოდ საჭიროა სულის კანონების ცოდნა.

თურმე:

სულის კანონებს რომ ისწავლი და ამ კანონების ნიადაგზე დააპირებ ცხოვრებას, უპირველესად, შიშს უნდა სძლიო.

თურმე:

შიში რომ განაგდო და სულის კანონებს ეზიარო, ამისათვის ჯოჯოხეთის ცხრა გარსი უნდა გაიარო.

თურმე:

ეს ჯოჯოხეთი კი აგერ, ჩვენ წინ, არის, თავისი ტკბილი შხამითა და უმწარესი სიტკბოთი.

და ამ ყველაფერს

ყოფითთან ერთად, არყოფნის მერმინდელი ცხოვრებაც ჰქვია.

7 ივლისი, 1991 წ.

დღეს კვირაა. მე და ნათელა ჩემს პატარა ძმას – თამაზს ვსტუმრობდით 9 მარტის ქუჩაზე. დედაჩემი მოვინახულეთ. უკეთაა და გამიხარდა, დედიკოც აღფრთოვანდა ჩვენი სტუმრობით. სახლში ფეხით წამოვედით. ღვთისმშობლის ეკლესიას რომ მოვუახლოვდით ნათელას ვუთხარი, შენ წადი და მე მოგვიანებით მოვალ-მეთქი...

იმ ძელსკამზე ჩამოვჯექი, წლების წინ მე და ნიამორი რომ ვისხედით... დროის უკიდეგანო ოკეანიდან უამრავი კადრი ამომიტივტივდა თვალწინ...

ნიამორს არ უყვარდა მიტინგები, რომ ვეტყოდი, ხვალ მიტინგს მართავენ ეროვნული ძალები და ხომ არ წამოხვალ-მეთქი, აიმრიზებოდა, გაბუტვა დაეტყობოდა, მიტინგის გაგონებაც არ სურდა, მორიდებით მეტყოდა, შენ წადი და მიტინგის მერე ჩემს მაგნოლიასთან მოდი, მე იქ დაგელოდებიო.

მხოლოდ ერთხელ მახსოვს, თვითონ რომ შემომთავაზა, წამოდი, თეატრთან მივიდეთ, მოშიმშილეები მოვინახულოთო. უარს როგორ ვეტყოდი. წავედით და რამდენიმე საათს დავყავით მათთან. წამოსვლისას აქ, სადაც ახლა ვზივარ, კათოლიკურ ეკლესიასთან გავჩერდით. მაშინ, როგორც ამბობდნენ, ეკლესიის შენობაში კულტურის ცენტრი იყო გახსნილი. მანამდე კი, ამ ულამაზეს და ღვთიურ შენობაში, მაღალი ძაბვის ლაბორატორია და არქივი ჰქონდათ კომუნისტებს განთავსებული.

კათოლიკური ეკლესია, როგორც იქნა, სახელმწიფოსგან დაიბრუნა საპატრიარქომ და მისი ამოქმედება გადაწყვიტა, მაგრამ ადგილობრივმა პარტიულმა ბოსებმა აქაური ინტელიგენცია გამოიყვანა ეკლესიის გახსნის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდნენ ბათუმელი ხელოვანები – მწერლები და პოეტები. სამწუხაროდ, მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩვენი საყვარელი ლექტორები და ცნობილი მწერლებიც იყვნენ...

იმხანად ყველანი საშინლად განვიცდიდით ჩვენთვის პატივსაცემი ადამიანების უცნაურ და გასაკვირველ პოზიციას, მაგრამ, რა გაეწყობოდა...

მე და ნიამორი საათობით ვისხედით ამ ძელსკამზე, სადაც ახლა ცალფად რომ ვზივარ... რადგანაც ეკლესია უმოქმედო იყო და შიგნით შესვლა არ შეიძლებოდა, შორიდან ვუმზერდით ადამიანის საკვირველი ხელით აშენებულ უფლის სახლს და ვტკბებოდით მისი მშვენიერებით.

14 ივლისი, 1991 წ.

ყველა წიგნის მთავარი მოქმედი გმირი, უმეტესწილად, ავტორია. მწერლის სულისა და შინაგანი ბუნების სრულქმნილება, უფრო მეტად, მისივე ნაწერებშია განფენილ-დავანებული. ნიჭს უფალი უბოძებს ხოლმე შემოქმედს. ყველაზე პირველი და დიდი შემოქმედი თავად უფალია, მის მიერ „თვისად შექმნილი ხატი“ – ადამიანი კი – მზისქვეშეთის გამალამაზებელი. ამიტომაც მწერლის ნიჭიერება, მისი წარმატება, მის მიერვე განვლილი ცხოვრების გზა-წავერნებზე აკრეფილი დარდებისა და სიხარულების სუფთა ქაღალდზე გადატანა-დაჯამების ოსტატობაზეა დამოკიდებული.

ვინ როგორ ცხოვრობდა და ცხოვრობს, ისე წერს. მარტო ნიჭიერება და წიგნიერება როდი ნიშნავს განათლებულობას. ვინც ჭუჭყში მოხვდა და ჭუჭყი არ მიიკარა, ვინც უხამსობას გაუძლო და მსახვრალმა დრომ ვერ გადააკეთა, ისაა პიროვნება, ინტელიგენტი, მწერალი, ადამიანი. კმაყოფილი მწერალი ან პოეტი მკვდარი მწერალი ან პოეტია, რა თქმა უნდა, ფიზიკურ სიკვდილს არ ვგულისხმობ. ორივესთვის კმაყოფილება მუდამ გზაშია.

კარგი წიგნი დღესაც იწერება, იწერებოდა ყველაზე ჟამიანობის დროსაც. უბრალოდ ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების მოუგვარებლობის გამო, მკითხველი ვეღარ იცლის მისთვის. ძველის ნგრევისა და ახლის დამკვიდრების დროს, ვიდრე ქაოსი სუფევს, საზოგადოება შიმშილს განიცდის, პრობლემებით აღსავსე ქმედითი ცხოვრების შემყურე ადამიანი ვეღარ იცლის ჭვრეტითი ცხოვრებისათვის. ორ-

ივე მათგანის თანხვედრა რომ მოხდება, გაწონასწორებული სამოქალაქო საზოგადოებაც მაშინ იწყებს ჩამოყალიბებას.

დაწერს კი ვინმე ჩვენი ბოლოდროინდელი ბობოქარი დროების ისტორიას? გამოჩნდება კი საქართველოში ქართველი ჰიუგო, ქართული „93 წელი“ რომ დაუტოვოს შთამომავლობას? ვინ იცის, იქნება და ახლა, ამ წუთში, ზის სადღაც ბუხრის წინ ანდა შუქჩამქრალ, ნესტიან ოთახში ჩასჩერებია სუფთა ფურცელს ვინმე, ჯერ კიდევ უცნობი, ნიჭიერი ქართველი მწერალი და მხატვრული სიტყვით ცდილობს გააცოცხლოს აზვირთებული ეროვნული მოძრაობის უკვე გაქვავებული ისტორია...

ღმერთმა ქნას, ასე იყოს.

27 ივლისი, 1991 წ.

ლამაზი შაბათია. სოფელში ვარ. გუშინ საავადმყოფოს მთავარ ექიმთან ვიყავი, თამაზ მგელაძე არ მიცნობს, მამაჩემის სახელით მივედი, საოცარი ყურადღება გამოიჩინა, დედიკოსთვის ყველა საჭირო წამალი მომცა.

მე და ნათელამ დედა სოფელში ამოვიყვანეთ. მომენატრა აქაურობა... დედის ხელი აკლია ეზო-კარს, ავადმყოფობის გამო ვეღარ რგავს მასავით ლამაზ და კოპწია ყვავილებს...

სხვანაირი ფერი, ხმა, გემო და სურნელება აქვს ძველ მამისეულ სახლს, ბუხარს, კიბესა და ყველაფერს, ყველა ნივთიდან ჩემი ბავშვობა მიყურებს, მაბრუებს და მამხობს ნოსტალგია...

ღია ფანჯრიდან გავყურებ პერანგას მთას. უნებლიეთ ნიამორი გამახსენდა. როგორც იტყვიან ხოლმე, ჩუმად, ჩაბრუნებული ცრემლებითა და გულის თვალებით ვკითხულობ ადრეულ ტრიოლეტს:

ტრიოლეტი – 1987

ბიბლიოთეკა...
ნიამორი... ოქროსთმიანა,
ქალაქის ტყეში ჩაკარგული სოფლელი რემბო,
დაუწერელი
ცას შეასკდა ლექსი-ფრთიანა.
ბიბლიოთეკა...
ნიამორი... ოქროსთმიანა.

მაჟორთა ბალზე ცალფა სევდამ დაიგვიანა,
თქვენ ხომ არ იცით,
ის გოგონა რა იქნა, მთებო?
ბიბლიოთეკა...
ნიამორი... ოქროსთმიანა,
ქალაქის ტყეში ჩაკარგული სოფლელი რემბო.

კოპლებიან დღიურს მაგიდაზე ვდებ, მეორე სართულზე ავდივარ და სიგარეტს ვეწევი.

დღიურს ხშირად კი არა, ყოველთვის ვმალავ ხოლმე, მერიდება ნათელასი, არ მინდა წაიკითხოს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ჩემი ნებართვის გარეშე არ წაიკითხავს.

10 სექტემბერი, 1991 წ.

გამახსენდება და ჩემთვის გამეღიმება, ხოლმე...

შვიდ წლამდე დიდნენესთან, დედაჩემის დედასთან ვიზრდებოდი. ჩემს გაჩენაზე დედა ავად გამხდარა, მთელი ცხოვრება ავადმყოფობდა, უმეტესწილად ლოგინად იყო ჩავარდნილი. რომ გავიზარდე და გავიგე მისი ავადმყოფობის მიზეზი მე ვიყავი, საშინლად განვიცდიდი, რაღაცა გამუდმებით მქენჯნიდა, რომ არ გავეჩინე ხომ კარგად იქნებოდა-მეთქი.

მამაჩემი მასწავლებელი იყო, მეზობელ სოფელში ასწავლიდა, დილით წასული გვიანობამდე იქ რჩებოდა. სახლის საქმეები ჩემს უფროს დას, მავილეს, დააწვა მხრებზე. ამიტომაც მე, როგორც ძალიან პატარა, ერთი წლისაც კი არ ვიქნებოდი, დიდნენემ წამიყვანა თავისთან. რომ წამოვიზარდე, დიდნენე მეგონა დედაჩემი. ის ოცდახუთი წლის დაქვრივდა, ვაჟკაცი ქმარი ჩასაფრებითა და ზურგში მიპარვით მოუკლეს გარეწრებმა. ორი ბიჭი და ორი გოგონა დარჩა, იმდენ ჭაპანწყვეტას გაუძლო და ისეთი გაჭირვება გამოიარა, მხოლოდ კალო და კევრი არ დატრიალებულა მის თავზე.

სასკოლო ასაკს რომ მივაღწიე, მამა მოვიდა და ჩემს ნამდვილ სახლში წამიყვანა. მეგონა, სა-

დღაც გადაკარგულში, უცხო გარემოში უცნობ ადამიანებთან მოვხვდი. იმდენი ვიტირე, დიდნენესთან დამაბრუნეთ-მეთქი, შეეშინდათ, სახლიდან არ გაგვეპაროსო და ოთახში ჩამკეტეს.

დიდნენე, რომელსაც მეტად უცნაური სახელი – ხოშნეთი ერქვა, იმდენ მის მიერვე სახელდახელოდ მოგონილსა და შეთხზულ ზღაპარსა და საინტერესო ამბავს მიყვებოდა, იმათზე კარგები და უკეთესები შემდგომში აღარაფერი წამიკითხავს.

დიდნენეს სახლიდან ხელისგულივით მოჩანდა აჭარისწყლის გაღმა ხედი, განსაკუთრებით კი პერანგასა და გვანცას მთები. ღია ფანჯრიდან ხშირად გავცქეროდი მთებზე შეფენილ სოფლებს: ბალაძეებს, გორგიულს, მოსიაშვილებს, ახალდაბას, ჭალას, ხაბელაშვილებს... მთელ ჭვანის ხეობას... ეს იყო ყველაფერი, რასაც სწვდებოდა თვალი, ამიტომაც დიდნენეს ხშირად შევეკითხებოდი დაღონებულივით: ნენი, ამაზე მეტი თუ არ ვართ, მტერს რაფერ გავუმკლავდებით-მეთქი. დიდნენე გულში ჩამიკრავდა და მეტყოდა: იმ შავი ტყეებისა და მთების გადაღმა ძალიან ბევრი სოფლები და ქალაქებია და მას, ერთად აღებულს, საქართველო ჰქვიაო.

11 სექტემბერი, 1991 წ.

ხალხი ბრძენია... ხალხმა იცის რა არის ჭეშმარიტება... ხალხი ყოველთვის მართალია... ხალხს არაფერი ეშლება...

გაჩენის დღიდან მესმოდა ასეთი შეგონებები, ახლაც მესმის და, ალბათ, განგებამ თუ დამაცალა, მომავალშიც მოვისმენ...

ჰო, მაგრამ... ხალხი ბრბოც რომაა? ხალხი მასა რომაა? ერთად აღებულ მასას ჭკუა რომ არ აქვს?..

და მაინც... რა და ვინ არის ხალხი? ხალხმა ხომ ჯვარს აცვა მაცხოვარი, ხალხი გაიმეტებს და უყოყმანოდ გადათელავს გმირს, ტყვიას მიახლის შუბლში. მერე კი... მერე დაჯდება და იტირებს. ხალხი გააღმერთებს მკვლელს და ხალხივე დაამხობს მის მიერვე კერპად და ღმერთად აღიარებულს.

ხალხსა და ბრბოს შუა ერთი აბზაცია. როცა ხალხი შემოქმედებიდან მომხმარებლობაში გადაინაცვლებს, გადაეშვება და გადაბარგდება, როცა ხალხი რწმენიდან ურწმუნობაში გადავარდება, როცა ხალხი იმედიდან უიმედობაში აღმოჩნდება, მაშინ ბრბოს ემსგავსება. ბრბოს ხვედრი ხელის ჩაქნევაა, მონობაა, ნიჰილიზმი და სასოწარკვეთილებაა.

11 სექტემბერია, ოთხშაბათი. მტკვრის სანაპიროდან შემოპარულ ნიავს ადრეული შემოდგომის სურნელება დააქვს ქალაქის ქუჩებში.

ვდგავარ აგერ, რუსთაველზე, ჩაფიქრებული, ავტობუსებით გადახერგილი ქუჩის მეორე მხარეს, ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა მიტინგზე. ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს. არავინ მიცნობს. რომ იცოდეს ვინმემ, პრეზიდენტის ერთგული პრეფექტი ვარ, აბა, მაშინ ნახეთ ჩემი ფეხქვეშ გაგდება, წარმოგიდგენიათ რა დღეს დამაყრიან? ეს, ზვიადის კუდი, ესაო, და... მაგრამ მე ვინ მიცნობს დედაქალაქში, უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ერთ-ერთი პატარა მთიანი რაიონის პრეფექტი ვარ, პრეზიდენტის დასაცავად ბიჭები ჩამოვიყვანე, ვდგავართ ფეხმოუცვლელად უზენაესი საბჭოს შენობის წინ და ვიდგებით მანამ, ვიდრე საჭიროა...

ახლა აქეთ, მოწინააღმდეგეთა მხარეს გადმოვიარე, ცნობისმოყვარეობამ გადმომიყვანა და, მე მეჩვენება, რომ ამ მართლაც გახელებულ, გავეშებულ და გაბოროტებულ ბრბოს, ვიღაცის და ვიღაცების უჩინარი ხელები მართავენ კულისებიდან, დემოკრატია და სამშობლოს დამოუკიდებლობა კი არ ადარდებთ, არამედ პირადი ამბიცია, „უჩემოდ ვინ იმღერეთამდე“ დაყვანილი ქვენა მიზნები, ჭამამდე და მონელებამდე დასული გულის ამრევი მისწრაფება, „ხომ გაგამწარეს“ შემართება და მოღალატეობრივი მიზანდასახულობის სისრულეში მოყვანა...

ეს, ე. წ. ხალხი, ეს, ე. წ. თბილისური კოლონიური ელიტა, ეს ქართული კოკობზიკობითა და კუდაბზიკობით გამაძღარი, ბრბოდქცეული, უსახური ხალხი, დღემდე მხოლოდ წუთისოფლის მოჭმით რომ ცხოვრობდა, სულ რაღაც, რვა

თვის წინ ზარ-ზეიმით აირჩევს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას, მათივე ნება-სურვილით გააკერპებს, გააღმერთებს მას... და ახლა... ცდილობს დანა გამოუსვას ყელში საკუთარ რჩეულს... სხვის ჩექმებში გამოწყობილნი, სხვისივე ავტომატებითა და ტანკებით მისდგომიან კართან, რათა სისხლში ჩაახრჩონ ჯერ კიდევ ახალფეხადგმული დამოუკიდებლობა და ჯვარზე გააკრან დამოუკიდებლობის მომტანი ადამიანი, რომელმაც ყველაფერი გაიღო იმისათვის, რომ მონობის უღელი სამუდამოდ მოეშორებინა მშობლიური ხალხისა და ქვეყნისათვის...

ამ ფაშისტმაო, ამ დიქტატორმაო, ამ ჩაუშესკუმო, ამ სისხლისმსმელმა მოძალადემო სუნიანი მეგრელებითა და დაუბანელი სოფლელებით გაავსო დედაქალაქიო...

ვუსმენ ჩუმად მოსაუბრეებს, ვუსმენ გამომსვლელებს, ვუსმენ ამ მართლაც გაარისტოკრატებულ მდაბიოებს, ბოღმის ღადარში გამომცხვარ ტეტიებს, ვუსმენ ჩაბანძებულ, ჩაბინძურებულ, „ოვნებად“ და „ოვიჩებად“ ქცეულ წითელ ინტელიგენციას, ყოველთვის სამშობლოზე უკეთესად რომ ცხოვრობდნენ და...

მეცოდება ზვიად გამსახურდია... მერაბი მაინც იყოს ცოცხალი.

1 ოქტომბერი, 1991 წ.

რაიონული გაზეთის რედაქციაში რომ ვმუშაობდი, რედაქტორმა დამავალა, რაიონში არსებული სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობის თაობაზე საგაზეთო სტატია მოამზადე, შაბათის ნომრისთვის გქონდეს დასაბეჭდადო.

მე და რედაქციის მძღოლმა, ავტომანქანით ერთ-ერთი სოფლის ხავსიანი ყორეების აღმართი ავიარეთ და დაწყებითი სკოლის ეზოში გავჩერდით. სკოლაცა და ბიბლიოთეკაც ერთ შენობაში იყო განთავსებული.

შენობის პირველი სართულის ფანჯარაში გამოყოფილი ღუმლის მილიდან კვამლი გამოდის, ეტყობა, დაგვინახა მასწავლებელმა და ვიდრე კარს შევაღებდით და შენობაში შევიდოდით, თავად დაგვასწრო, კარი გააღო და ეზოში შეგვეგება...

ჩემს წინ თითქოს ისევ ის სასწაული იდგა, საოცარი ღიმილით, ნამდვილი ოქროსთმიანა, არამიწიერი, ჯერ კალმით აღუწერელი და ფუნჯით დაუხატავი. მის ჰაეროვან ღიმილს ლოყებშეფაკლული ფერებიდან გაჩენილ-დავანებული სიმორცხვეც უხდებოდა და რაღაცნაირი, მორიდებული სითამამეც. მე – მისი ხიბლით მონუსხული და ელდადაცემული, შტერივით ვუმზერდი ამ, ბუნების მიერ ყველაზე სრულქმნილ არსებაში – ქალში გასხივოსნებულ ქალღმერთის სიდიადეს და ქალღმერთში გაფანტულ ქალურ კდემამოსილებას, ეს იყო ჩემთვის ყველაზე მშვენიერი, შთამბეჭდავი და შთამაგონებელი ქმნილება მათ შორის, ვინც კი ოდესმე მინახია თუ შევხვედრივარ მზისქვეშეთში...

რისი რენესანსის გიგანტთა მადონები, ისინი ნიამორთან აჩრდილებად გამოჩნდებოდნენ.

ნიამორის ლანდი დღესაც, ამდენი ხნის მერეც დამდევს, დამყვება მარადიულ თანამდევად და არ მასვენებს.

აგერ, ახლა, საიმდღეოდან საამდღეომდე, გაუჩინარებული და შორეულ წყვდიადში გადაფრენილი წელიწადების შემდეგ, როცა პრეფექტი ვარ და რაიონის მოსახლეობასთან ყოფითი პრობლემების მოგვარების მიზნით შეხვედრას ვაპირებ, რამდენიმე წუთით გავეპარები ყველას, მივალ ისევ იმ პატარა სკოლაში და სულ სხვა მასწავლებელს ნიამორის შესახებ შევეკითხები. ნიამორი დიდი ხანია ქალაქში გადავიდაო-მეტყვის...

...და მე მას, შემთხვევით, იქნებ განგების ნებითაც, სიყვარულის და წყევლის ქალაქში, ეკლესიის ეზოში შევხვდები, ოღონდ...

ნინა ჩხაიძე

* * *

ზიხარ, შენთვის, ასე ფიქრობ,
რაღაც მოგდევს დიდი ცოდვა,
თორემ ვინ გაგიბედავდა?!
ამდენ წყენას, ამდენ ბოდვას!
ოდა-ოდა,
ხმა ყვებოდა –
ქარი დაძრწის უსახელო,
მომხვევია გულზე წამლად,
ცხენს ვაჭენებ უსაბელოს...
ზიხარ შენთვის, ასე ფიქრობ,
რაღაც მოგდევს მადლიც დიდი,
ჩამოღვენთილ თვალებს შორის
რომ დაიდო მშვიდად ხიდი...

* * *

დიდი დრო გავიდა.
ვიჯექი,
ვფიქრობდი,
როდიდან დაიწყო,
ან როდის დამთავრდა...
ნეტა შემეძლოს დანახვა მაგ სულის,
ასე რად დამძიმდა, მოწყდა და დავარდა...

ალიონს?! ვფიქრობდი შევხვდები კიდევაც!
მას მოვერევი! მოვუწყობ დაისსაც!
ღვთისმშობელს თურმე ლოცვა უძღვნია,
დამშვიდდებაო, დაიშლის ამასაც...

დიდი დრო გავიდა.
ის იჯდა,
ფიქრობდა,
როდიდან დაიწყო,
ან რატომ დამთავრდა.
ნეტავ, შეეძლოს ჩემი ხილვა და
შეეძლოს ისევ მითხრას „მიყვარხარ“.

* * *

მიდის დრო და მიაბიჯებს
ჩემი გულის ყველა მიჯნა,
არ მაცადა სიხარული,
იარა და ზედ მაბიჯა...

მე არ მინდა ბევრი რამე,
მყოფნის საკმარისი მხოლოდ,
ერთი გოგო – ჩემი შვილი,
გურია და ეს სამშობლო.

* * *

გუშინ დავჯექი და
ასე გადავწყვიტე –
აღარ გავუბედო ჩემს თავს გაბრაზება.
ყველა დახურულ კარს ისევ გავაღებ და
ეს ცხოვრებაც ისევ ისე დალაგდება.
ცოტა დაიცადე,
ჩემო დედოფალო,
გზები ისე ჩნდება, როცა რამე გინდა,
როგორც დახვეული გორგალიდან ბოლოს
ერთი წვრილი ძაფის ღერი გამოჩნდება.

* * *

დილაადრიან წამოვდგებით მე და სხეული
და დავიბარებ ბალიშებთან,
რომ დავბრუნდები.
თოვს,
ტრიალებენ ფანტელ-ფანტელ სინანულები,

მთელ თვეს ვანდომებ ამოსუნთქვას,
დღეებს ვუნდები.

უჩემოდ მიდის ჩემი ხელის ხუთივე თითი
და ფანჯრის მინა მიმეკრობა ხელის გულებზე.
თოვს.
ეცემიან ფანტელები ყველა ჩასუნთქვას,
თოვს.
ფანტელები სინანულად სხედან ღრუბლებზე.

* * *

ჩემი სხეული მუზეუმია
გამოუფენელი სევდის...

მე არ მინდოდა მომეგლიჯა ციდან ვარსკვლავი,
მაგრამ ყოველთვის ვუყურებდი სარკეში ჩემს თავს
და მიხაროდა გზა რომ მქონდა გასაკვალავი...

ჯერ ყველაფერი წინ არის.

მზე გადავტეხე და ჩავიგუბე თვალის გუგებში,
იქნება ასე მაინც მოვახერხო, გავათბო ვინმე.
მე არ მინდოდა მომეგლიჯა ციდან ვარსკვლავი,
მაგრამ ვხედავდი ჩემს ანარეკლს, წერტილს და მძიმეს...

* * *

ღამეა,
წყვდიადი,
ნისლები დარბიან,
არ წყდება ხმაური მანქანის ბორბლების,
თუ წაიქეცი შენ თვითონ ადექი,
ფრთები შეისხი ასფალტს თუ შორდები.
ორ დღეში,
ორ დღეში ივიწყებ ყველაფერს,
თითქოს არასდროს მოგდევდნენ სვავები
და არასოდეს მოუკლავთ არავინ,
არც ჯვარს უცვიათ იესო წამებით.
ღამეა,
წყვდიადი,

ნისლები ირევა,
კატების კნავილი აყუჩებს მანქანებს,
ნუ მომაჩვენებ თითქოს გჯეროდეს,
ყველა სტრიქონის, რასაც შენ მაბრალებ...

აჰესტა ბორო

გადავიტანე ილდა და
გადავიტანე მთელი ზამთარი.
როგორ მიჭირდა ყინვის გაძლება,
არავინ იცის,
მე შენ გითხარი.

მე ვარ აჰესტა,
ღამის სანთელი,
თუ გაზაფხული არ მოდის ისევ,
სახლს მივამაგრებ კედლებს დაწვენილს
და დაობებულ დარაბებს პირქვე.

გადავიტანე ილდა ძვლივს.
სულ გამოვცალე ყინვის სასმელი.
თუ გაზაფხულის მოსვლა ისევ ჭირს,
ხარჭა გავხდები, სულთნის დამსმელი.

* * *

ჩემი ღმერთი შენსას არ ჰგავს –
კლდეებიდან თოვს.
მე ვემსგავსები ბალახებში მოსრიალე გველს,
ობოლს,
მწოლს...
თუ ვინმე მკითხავს საით მიდის უტრაფარეტო გზები,
წავალ, ჯერ მე გამოვცდი და მერე მას მოვუყვები.
ჩემი ღმერთები არ ჰგვანან შენსას –
იკარგებიან სხვებში.
ხელშესახები, მშვიდი ხალხია,
ნაცრის-და-ხაკისფერში.
ზოგჯერ დღეებიც ისე გამირბის,
როგორც რითმები ლექსში...
და თვალს ვაყოლებ ბოლო სიბნელეს,
სანამ მზე შევა ეშხში.

* * *

ლექსებს არა და
ისე ელიან შენგან სიმშვიდეს,
როგორც უეჭველ გამოდარებას.
და არ გაძლევენ ფიქრები საშველს,
გარს გეხვევიან,
როგორც ნარკომანები ერთადერთ იმედს,
სარგებლის მომტანს.

ჩემი ნათურა,
მწერებით რომ გამოტენა მთელი ოთახი,
ისევ ანთია.
ზუსტად ასეა – როცა ასხივებ სიხარულით,
როცა შენ ბრწყინავ ბედნიერებით,
ამ შუქს ერევა ბოღმა და შური,
რომ გეხვევიან ფარვანებივით.
და მე შუქს ვაქრობ.
ველოდები, დაიძინონ ფარდის კუთხეში
და ვაკლებ ჩემ თავს ბედნიერებას.

ქარია.
ცივა.
სოფლის უბეში,
ფეხის გათრევით მიბარბაცებს ჩემი ნუგეში...

* * *

მგონია დავრჩი მარტო სამყაროს,
ვერლიბრებს შორის ეულად მწოლი...
გინდათ სახლიდან ისევ ამყაროთ
და დამავიწყოთ ჩემივე როლი...
ტრიალებს სცენა პრიალა ბროლის
და რიტმი დოლის,
სურნელი ბოლის...
ხმები არ მყოფნის
უბრალოდ ყოფნის
უცილობელი სიკვდილი მოდის...
ვგავარ დიანას,
ჰერას
და გეას,
გორგონას თავზე ამოსულ გველებს,

სულის სიღრმემდე მარტოა წვიმა,
ვეღარ გრძნობს გაწვდილს საშველად ხელებს...
ისე მახელებს,
ისე მახელებს,
ამ შემოდგომის ჭირვეულობა,
დარდის ნისლისფერ ატოტვებს შორის
ძველი იარის მტკივნეულობა...
მე უსათუოდ დავრჩები მარტო,
როგორც ჭიუხში მქროლი სიკვდილი.
ქარაფებს მიღმა საქართველოა
და აქეთ მე ვარ ღონემიხდილი...

* * *

და როგორც არავინ აკითხავს ძველ სახლს,
ისე არაფრად აგდებენ ტკივილს,
რომელიც დგას და არც კი მოძრაობს,
რომელიც დგას და სიჩუმეს ტირის.

* * *

ზიხარ და ფიქრობ.
წამი არ გადის,
თან რომ არ ახლდეს სინანულები.
ცას მიუჯაჭვავს თოვლის ფიფქივით,
ჩემი სიტყვები, გაყინულები.

იწერს მეზღაპრე მთელ ჩემს ცხოვრებას,
ვერ აკლებს ტკივილს, ვერ აცლის სევდას.
– იყო და არა იყო რა, თანაც,
ისეთი გოგო, თვით მზე რომ ერქვა.

* * *

ვარ დაღვრემილი,
ჩამოღვრილი,
როგორც სანთელი.
საყვარლებიდან გამოვარჩევ აპრილს და ივნისს.
ნათელ-დაფენილ ჩემს ეზოში ვითვლი ღამურებს
და შემოფრენილ ფანჯრებიდან ქალების ღიმილს.
ვარ დაღვრემილი,

დაღვენთილი როგორც სანთელი,
მე ვეღარ ვწვდები ჩემს იმედებს გაფენილს თოკზე.
ხელის მტევანზე მოვიზომებ პლანეტის სარტყელს
და წამოვწვები ხავსმოდებულ, წამლიან მოლზე.

* * *

როგორც დაჭრილი ყარყატის ფრთები,
ჩემი ჩასუნთქვაც ისე მძიმეა...
დიორამაა სიცოცხლის წლები,
სივრცით ისეთი, როგორც მღვიმეა.
როგორც დაჭრილი ყარყატის ფრთები,
ჩემში არსებაც ისე ორია.
ერთი პატარა გოგოა რქებით,
მეორე – თეთრი, როგორც თოლია...
ამ სამყაროში ორნი ვართ მარტო,
და ამიტომაც ისიც ჩვენია.
გადმოვაბრუნოთ პლანეტა, მარტო,
მოცდა აპრილის ცოტა ძნელია.
როგორც დაჭრილი ყარყატის ლოცვა,
ჩემი სურვილიც ისე წრფელია.
გამოიმეტე უბრალო კოცნა,
სიკვდილის ცოლი, ვარ ოფელია.

* * *

ნოემბრის ოთხია.
წვიმაა მზიანი.
თითქოს და ეკალმა ცას ხელი მოხვია.
გრიფონი გამოჩნდა უშნო და ფრთიანი,
წვიმაა ისეთი, მოსვლა რომ არ უნდა.
ნოემბრის ოთხია.
ვერლიბრებს ვერევი.
ვუკვეთავ ყველაზე ძვირიან ალკოჰოლს.
შორს, ჩემი მხრიდან ათას ას ნაბიჯზე,
ვუყურებ შემოსულ ქალბატონს, გალუმპულს.
ნოემბრის ოთხია.
წასულან სტუმრები.
პირიქით მაციებს მხურვალე პლედები.
რაღაც მეტია საჭირო, რომ გავთბე.
რაღაც მეტია, ან უკვე ვბერდები.

ლაშა ბაგრიდუა

აპირემა

გადაუნახავთ, ებრაელებს, გადასანახი,
იაპონელი, კვლავ, არიგებს არიგატოებს.
შენ კი, უზბეკი გიმტკიცებს, რომ მისი ალაჰი
ერთადერთია, ვინც რჩება და არ მიგატოვებს.

ინდოელები „ჩაი“-ს დათვლით არ იღლებიან,
იტალიელებს აუღიათ ნაგვის ბიზნესი...
მექსიკელებმა (პერანგებით ყვავილებიან),
სიფხიზლეები, უმიზეზოდ, გაგიმიზეზეს.

რუსი არაყით და ამაყად იხსენებს წარსულს,
„შავი ორკესტრი“, მარკეტებთან, უკრავს სიბნელეს,
ბომბდამშენებზე საუბარი, საერთოდ, არ სურთ
წვერგაპარსულ და ჰალსტუხიან უკრაინელებს.

ღიპი დაეტყოთ, თეთრკანიან, პოლიციელებს,
გაგაშავებენ, დაუხვდები ისევ, თუ რქებით...
მიმტანებმა კი, ეს ღიმილი, ვერ მოიცილეს,
მათთვის, ბანალურ კომპლიმენტებს, ქსოვენ თურქები.

როცა მორჩები, შეეცდება, ვიცი, ჩინელი
გოგო, რომ, გულით, დაგეხმაროს, ფეხზე ჩაცმაში.
არ დაანებო, თორემ მერე ვერ მოინელებ,
თუ დაიჟინა, დაეთანხმო უნდა არც მაშინ!

იმუქრებიან დადუღებით დედის გლანდების:
იუბილარი, მისი ძმა და ვინც ითამადა.
აქ კი, ზედმეტი განმარტებით, არ დავკავდები,
ვინ იქნებიან, რა თქმა უნდა, იცი თავადაც.

მიისაკუთრეს უსახელო ქუჩა სომხებმა,
ბერძენს, საწმისი, ოქროსი აქვს და ვერ იყენებს.
ფილიპინელებს პაკიაო უყვართ, ხომ ხედავ?
სძულთ ბაიდენი, რესპუბლიკელ ამერიკელებს.

ბრიტანელები გადაღალეს პარადიგმებმა,
უფრო სუსტია „კენსინგტონ“-ზე კაპილარები.
ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება –
ოქროს საკნიდან ვერასოდეს გაიპარები!

მეასედი

გამოვეშურე შენი თმების მირაჟებიდან,
ჰგვანან ხეები ხეივნების კაპელდინერებს.
რკინის ფანჯრები უძილობით იტანჯებიან,
ფარდებს ფერადი საიდუმლო აბედნიერებთ.

რასაც გიყვები, ჩემი ამბის მეასედია,
თავს ჩამოიხრჩობს გიგანტური დამტენით ღამე.
არამზადები ზამთრებისთვის ემზადებიან,
მე, შემოდგომებს, რატომ შევრჩი ამდენი ხანი?

გადაირევი... ყველაფერი გადასარევად
არის და ახლა აღარ ვითრევ ჭაობიდან ფეხს.
როგორ ვცხოვრობდი, სამ, უშავეს კატასთან ერთად,
შენ კი, ვერც ერთი გადაკარგვა, ვერ შეგითანხმე.

ქარი საკუთარ თავს და სიზმრებს როგორ არწევდა
ვნახე – მე თვითონ ქარითა ვარ ნაკარნახევი.
ბოლოს რომ შევხვდი, არც ზღვა იყო ჩემში,
არც სევდა და ამიტომაც ვიუარე, აღარ გავყევი.

მინდა, უეცრად, ჩემი ზღვიდან, ცამეტი მზე რომ
იშვას, მშვიდობა გამერიოს და ცოტა ომიც...
ნახონ, როგორი სუნთქვა ვიცი – საბედისწერო,
მერე დაიწვან მარტოწყალას საცოდაობით.

ძველ ძვლებს დავმარხავ, ძველ კოშმარებს და ძველ მიმიკებს,
ძველი ნისლების, ძველ სიჩუმეს, ხმებში აღვადგენ.
მაგრამ, ბოლო დროს, სულყველაფერს, რაზეც ვიფიქრებ,
ვიღაც იყენებს, ოსტატურად, ჩემ წინააღმდეგ.

ღამე მოვიდა და ავუღე ალღო, მაშინვე,
ჩემი, ცისფერი ძღვენი, მაინც არ ეყოთ მიწებს.
შარვლის ჯიბეში ბოლო ღერი აღმოვაჩინე,
უეჭველია, ნახევარს, რომ ქარი მომიწევს.

საწვიმარი

ეს, ღირებული მოღრუბლვები, როგორ მომბეზრდა,
ან საიდან წვიმს, ასე მწარედ, ასე ულევად.
რა უღიმღამო ღამეები ყეფენ ღობესთან,
ვერ მოიყვანეს გაზაფხული ასეულებმაც.

აწი ლექსები, ფილტვებშივე, გამიწყალდება,
მოვიკატუნო ახლა თავი უნდა კრეტინმა.
ბარემ კატებიც გადამკიდონ ბარიკადებმა;
უშენობები გამოუშვან ბუნაგებიდან.

ამოდიოდეს, ჩემი ზღვიდან, ცოტა მეტი მზე,
შეიძლებოდეს ყველაფერი, ხომ შეიძლება?
ოცდამეშვიდე საღამოა ვცოდავ ზედიზედ,
რა მოკლე დროში გამოფინეს დროშები წლებმა.

თუ გამოვიდა, რა თქმა უნდა, ადრევე მინდა,
რომ გამოვიდე სანგრებიდან; ნანგრევებიდან.
რომ ჩავალაგო ყველა სახლი, ყველა ბარგი და
რომ გავიპარო, სათითაოდ, ყველა სარკიდან.

ამ, ცრუ მცდელობებს, ერთ აბზაცში ასე ვათავსებ –
მონახევრეა, ვინაიდან, ახლა ცდა ბედის.
მჭამენ ეჭვები, გეგონება, ასი ათასი
უთო თუ დამრჩა ჩართული და ისე წავედი.

ფეხზე დგომას კი, ვიწყებ ფეხზე დაკიდებიდან:
როცა ივახშმებთ, ეს ფეხები, მაგიდაზე რომ
დავაწყო მინდა. მართლა მინდა და კიდევ მინდა,
ჩემს დაუწერელ კანონებზე რამე დავწერო.

მხოლოდ, უნიჭო კოშმარების ნახვის, ნიჭი მაქვს
და შემიძლია, შევუჭამო ქალაქს სიცივე.
ერთის კი არა, ათასობით მერცხლის ჭიკჭიკმაც
ვერ მოიყვანა გაზაფხული. ხვალაც იწვიმებს.

დნობა

ისმენს ფანჯრების მსჯელობებს,
ნისლებში დადის, წრეა.
წერა რომ რამეს შველოდეს,
მიატოვებდა წერას.

საკუთარ თავთან ვიზიტმა
გადაუგლიჯა სუნთქვა.
ბლუზი ძალიან იზიდავს,
მაგრამ არასდროს უთქვამს.

ის ჭამდა მხოლოდ კულისებს,
და მხოლოდ ღამე ეცვა.
ახლა სარკეებს უმიზნებს,
და აღარასდროს – ზეცას.

მზე თვალია და ცა – მოწმე,
რომ თოვლი იყო, ერთ დროს.
იცის, რომ უნდა წამოწვეს
და დნობას უნდა ენდოს.

ქარტეხილების შვილობილ
მიწას ღეჭავდა, წეღან.
წერა რომ რამეს შველოდეს
მიატოვებდა წერას.

გამშრალი მიწით ისვრება,
ცხრამთა დაკითხა მერვედ.
კედლის საათის ისრები
მაინც უშლიან ნერვებს.

ღამე – ველური ინდიკა,
რეფრენად ისევ ხავსი.
როცა სიკვდილზე მიდიხარ,
სიცოცხლითა ხარ სავსე.

კოშმარებისკენ იჩქარის
და შეთხელებულ ჭადრებს
გამოუხურა ჭიშკარი –
იქნება, აღარ ჩანდნენ.

აღარც გიგანტურ შენობებს
შეჰყურებს ალმაცერად,
წერა რომ რამეს შველოდეს...

დავშორდეთ მოდი

დავშორდეთ მოდი...
მიზეზი გვაქვს ასი ათასი
არ გენანები, მე ხომ ვატყობ
(არ ვიმჩნევ მაგრამ)
საყვედურს, ცრემლებს ციცქნა გულში ასე ათავსებ
და ქორწინებაც მე თუ მკითხავ უკვე აზრს კარგავს...
ვხედავ თანდათან, რაც დრო გადის განაღვლებ აღარ
თუნდაც ეპოქამ შენს სუსტ პოეტს სისხლი ადინოს,
მე არ მგონია გავუმკლავდე ოცნებებს მაღალ
მოვრჩეთ, ასე ჯობს საყვარელო, კარგად! Adios!
რა დაშავდება პირობითად რომ იყოს ასე:
მე ლექსებს ვწერდე, შენ დაღლილი რომ გვერდით მეჯდე?
იცი? ტყუილია... იცი? მოვრჩეთ... არა აქვს ფასი,
რომ არათითზე ვატარებდეთ ოქროსფერ ბეჭდებს...
შენ არც კი მისმენ რომ გიკითხავ დანაჯღაბნს რაღაც
მე – ცოცხალ სევდას, ყოველ ღამით ვალს მადებს ღმერთი,
მომხსნი კედლიდან, გადამაგდებ, როგორც ძველ ნახატს
იცი? გამისკდეს ლამისაა ფეთქვისგან მკერდი...
ფიქრს ვატან უკვე ჩემი გულის უდიდეს სექტორს
ხედავ ზამთარი ბატკნებივით ხეებს რომ პარსავს?
ან რა აზრი აქვს ჯიბეში რომ ფურცელი მეგდოს?
ჩემი ლექსები? – აშკარაა კიდია მასას...
მახსოვს ვხვდებოდით ტრიუმფალურ (ფაზისის) თაღთან
თუ მოგენატრა ოდნავ მაინც – ძალიან კარგი,
მაგრამ ცხოვრებამ გადაწყვიტა და დროა ნაღდად
რომ ჩვენ ორიდან დღეს ერთ-ერთმა ჩააწყოს ბარგი...
ჰო, სწორედ ახლა, ნუღარ გიკვირს, ვუცადოთ ვის კი?
ან რა აზრი აქვს ამიხსენი სულელურ ლოდინს?
შენ შენი სახლი გელოდება, მე – ჩემი ვისკი
ჰოდა მშვიდობით, კიდევ გეტყვი დავშორდეთ მოდი...
ნუღარ უჩივლებ (რომ გჩვევია) ფორტუნას, იღბალს
დიდი ხანია (ხომ ესეა?) რაც ამ დღეს უცდი,
მაგრამ მე ვიცი, ამ მასკარადს, ამ ნიღაბს მიღმა
ცისფერთვალება გოგონა ხარ, ბავშვივით სუსტი...
ქალაქს ღრუბელი ბადრაგივით სულ თავზე ადგას

გახშირდა თითქოს ჩხუბის შემდეგ სენტიმენტები,
გულის დამალულ, ჩაბნელებულ კუთხეში სადღაც
რატომღაც მაინც ისე ძლიერ მეიმედები...
სადარბაზოში ვეწევი და გარეთ ქარია
სანამ ჩაქვრები ლექსებს გეტყვი თამბაქოს ფერფლო,
სამწუხაროა ეგზომ, თუმცა, ჩემო მარიამ,
ხანდახან შენთან სამეტყველო ენასაც ვერ ვფლობ...
ბუნტისთავივით ამ სიჩუმეს მხარს მაგრად გავკრავ
მინდა ფიქრები უმოწყალოდ ახლა დავსერო,
დავშორდეთ მეთქი, თუმცა არის აქ ერთი „მაგრამ“
ანუ, ბოლომდე მომისმინე... ანუ... ასე რომ:
გულის სიღრმიდან მოვარდნილი ბოლო ხმაც მტოვებს
(ლბება სიმკაცრე, ისე როგორც ცივ წყალში ჩვარი)
დავშორდეთ მოდი – გეფიცები ჯერ არც ერთ პოეტს
ჯერ არც ერთ მათგანს უწერია მეორედ ჯვარი.



შაქრო ფუტკარაძე

* * *

ჩემი სიმღერა ჩემი მთებია,
ჩემი სახლ-კარი ტყე და ველია,
საბნად მახურავს თელის ტოტები
ბალიშად მიდევს ნორჩი ფოთლები.
მათბობს მზის სხივი ამომავალი,
მთებზედა ნისლებს რომ აფრქვევს მძივებს
ჯერ კიდევ ბევრი არის სავალი
სანამ ბოლომდის აზიდავს ჩრდილებს.
დღე გათავდება, ჩამოღამდება,
ვარსკვლავთა ჯარი იწყებს ანთებას,
ჩამოხსნის ფარდებს, გამოლაგდება
და ცეკვა-ცეკვით ცეცხლის დანთებას.
ძილ-ბურანში ხარ, გესმის შრიალი,
მღერის ბუნება ტყე და ველია,
იქ სიყვარული არის ზიარი
აქ კი სიმღერა ჩემიც შენია.
ჩემი სიმღერა ჩემი მთებია,
ჩემი სახლ-კარი ტყე და ველია...
მთიელის სული აქაც მრგებია
და კერე-კუჩხე ყველგან ჩემია.

* * *

ტყის განაპირას პატარა სარკმლით
ღამის სათევი მიდგას ფიცრული,
გულს დაიამებ აქ ერთი ნახვით
აქ ერთხელ მოსვლაც არ არის რთული
მოდი მესტუმრე ამჯერად ტყეში,
„ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა“,

ჩანჩქერი მღერის იქ სადღაც ხევში
მღერის, გუგუნებს მთელი ხეობა.
ხეობას ამას მარეთი ჰქვია,
იქ მისასვლელი გზა კი ერთია,
შარად ბიბინებს ენძელა, ია
და სიყვარული ისიც ბევრია.
ტყის განაპირას სადღაც ლელვანში
სახლი მიდგია ღამის სათევი,
მუხლმოკეცილი მე მის ძებნაში
მე სიყვარულით ბევრჯერ დავთვერი.
ბოლავს ბუხარი თიხით ნაშენი,
ელავს კოცონზე მიდგმული კეცი.
ღმერთო, დალოცე კუთხე ნაქები
მარეთის ხევი, ხევი ნაფიცი!

* * *

გზის გასაყართან დგახარ, შესცქერი,
მაღლა აწეულ მშვენებას, ტყიანს,
რა სოფელია ამას ვერ ხვდები
სანამ არ ნახავ თოვლიანს, მზიანს.
გზის გასაყართან ყალაიბონია,
თამარის დროის ნაშენებია.
დიდი ძალა და ფასი ჰქონია –
სანამ არ ნახავ არა გცოდნია.
აქედან თვალი გაგირბის ზევით,
მაღლა აწეულს ხედავ მშვენებას,
სანამ არ ნახავ, არ მიხვალ ფეხით
მანამ ვერ შეძლებ მის მოფერებას.
გზის გასაყართან დგახარ, შესცქერი,
ჭალებს, ყანებით მობნეულია...
თვალ შემოავლე ცისკრის ფერებით
ულამაზესი – იქ სოფელია.
ოჭიაყელიდან გადმოსახედი:
თვალს დაუჯერე – მშვენიერია!
ულამაზესი სოფლის სახელი
მაჭახლელ კაცის დარქმეულია.

ალექსანდრე კაკიაშვილი

ჩემი მეგობარი ყორანი

იმ დღისით, ამომავალი მზის ქვეყანაში მზეს ამოსვლა ეძნელებოდა. თითქოს ცდილობდა მსოფლიო მზის გარეშე დარჩენილიყო, რადგან მეტისმეტი სიმძაფრით განეცადათ მარტო კაცისა და მისი ერთგული მეგობრის, შავი ყორნის დაუჯერებელი მეგობრობის ამბავი. ამბავი, რომელსაც დღესაც კრძალვითა და მორიდებით თხრობენ ფუძის მთას მიმდგარი, დაკარგული სულები.

კუნძულ ჰონსიუსზე, მთის ქვეშ არსებული საკრალური და მისტიკური ტყე, ფაქტიურად ამ ისტორიის მშობელი გახლდათ. სწორედ, ამ კუნძულის დამსახურებაა, რომ ამ ისტორიამ აქამდე მოაღწია.

სადღაც ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ჰონსიუსს პირველი შეცდომილი სული ეწვია და სამარადჟამოდ მის წიაღში დაიდო ბინა. მას შემდეგ, მრავალი მიმბაძველისა თუ უბრალოდ ცხოვრების არსს მოკლებული ადამიანის განსასვენებლად იქცა, ეს მარტოობის სავანე. სავანე, სადაც დრომ არსებობა შეწყვიტა და ჟამთასვლის მედგარი მცველი ჰონსიუსიდან გააძევა. მას მერე, არც ერთი გაზაფხული არ მოწეულა ისე, რომ აოკიგაჰარა ასაგაოს მშვენიერებით დამტკბარიყო. იასამნისფრად მოეცვა ირგვლივ არემარე და ტყის განაპირად მზის პირველ სხივს დალოდებოდა, რათა აოკიგაჰარასთვის შაკუჰაჩზე „დილის დიდებად“ აღვლენილიყო.

არც კინმოკუსეის დიდებული სინარიჯისფრე და აღარც შიბაზაკურას სივარდისფრე აღარ უნახავს, ღვთისგან მიტოვებულ კუნძულ, ჰონსიუსს. ყველაფერი რაც კი აოკიგაჰარას ასე საოცრად ამშვენებდა, სადღაც გამქრალიყო და მიწის წიაღში სამუდამოდ მიმალულიყო. ფუძის მთას ამოფარებული კი ბინდსა და ხშირი ტყისაგან ნაწყალობელ უმზისხივობას მოეცვა. აქა-იქ თუ გამოილაშქრებდა სიბნელის წინააღმდეგ მოლაშქრე, მამაცი მზის სხივი, თუმცა მედგრად და შეუპოვარად აღმართულ ხეთა ტყვეობაში აღმოჩენილი, უმალ ფერმკრთალდებოდა და ბედს უნებლიეთ ნებდებოდა. ისიც გაბაცებული და ნელ-ნელა ბინდად ნაკურთხი აოკიგაჰარას გულში იმარხებოდა. რთულია, ამ ტყეში მყოფს, ცის არსებობა გერწმუნათ, რადგან მის სანახავად ამ ტყის დატოვება მოგიწევდათ, რაც მეტად წარმოუდგენელი და შეუძლებელიც კი იყო თუ კი იქ თქვენი სურვილისამებრ აღმოჩნდებოდით. როგორც აღმოჩნდა მარტოხელა ჰირომიცუ. ის პირველი შეცდომილი სული, რომელიც აოკიგაჰარას ნაწილი და ამ ისტორიის სათავე გახდა.

ეს ამბავი კი ასე დაიწყო. ხმაურიან ტოკიოს გამოქცეულმა ჰირამიცუმ გადაწყვიტა, რომ კუნძულ ჰონსიუზე, ბუნების წიაღში დაედო ბინა და საკუთარ თავთან განმარტოებულს სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე, ფუძის მთის ძირას მდებარე ტყეში „აოკიგაჰარას“ გულში ეცხოვრა. ძველი დროის სამახსოვროდ და გარდასულ დღეთა მოსაგონრად, მხოლოდ რამდენიმე ნივთი გაიყოლა. ნივთებს შორის კი რაც ყველაზე მეტად ეძვირფასებოდა, ეს მისი გარდაცვლილი სატრფოს, ჰირო-

კოს სურათი, მისსავე მიწერილ წერილთა მთელი შეკვრა და შაკუჰაჩი გახლდათ. ბედს მინდობილი ჰირომიცუ, პირველი რამაც მოხიბლა, ეს აოკიგაჰარაში არსებული გარემო იყო. გარემო, სადაც არანაირი ადამიანური ნიშანწყალი არ იგრძნობოდა. არც ნაჩვევი ხმაური და არც ამ ხმაურისგან მოჰგვრილ ფიქრთა შემაძრწუნებული თარეშიც კი არ იგრძნობოდა. განსაკუთრებულად უყვარდა საღამოს ჟამს თავის ხის ქოხთან, ვეებერთელა ქვაზე შემოსკუპება და შაკუჰაჩზე დაკვრა. თითოეული გაჟღერებული ნოტი ხიდან – ხეში, ფოთლიდან – ფოთოლში სახლდებოდა და ტყის ისედაც მისტიკურ რეალობას მეტისმეტად ამძაფრებდა. ამ სცენის შემხედვარეს არ შეიძლებოდა არ გეფიქრათ, რომ დედამიწის ზურგზე ამოზრდილ კუნძულზე თითქმის ყველა მცენარე ცოცხალი და სულქმნილი იყო.

სწორედ, რომ ამ ჯადოსნური ჰანგების დამსახურებით დაუმეგობრდა ჰირამიცუს, მისი ერთადერთი და განუყრელი მეგობარი, ღამის მდევარი შავი ყორანი. შაკუჰაჩის ჟღერადობით მოხიბლული, ტყის გრძნეული, მის სიახლოვეს მოფრინდებოდა, ერთხანს მის თავზედ განაგრძობდა ფრენას და როდესაც ჰირამიცუ ტრფობის პარტიის შესრულებას შეუდგებოდა, ყორანი ფრთას იმორჩილებდა და მხარზე ეშვებოდა. გგონიათ, თავად არ ჰყვებოდა ამ მელოდიას? პირიქით! ყოველი ახლად ამომღერებული ნოტის გაგონებაზე ცდილობდა ემღერა მაგრამ ხმას ამოყოლებულ ხრინწს, შაკუჰაჩის ტკბილხმიანობას ვერ უხმატკბილებდა და ნისკარტს გულდათუთქული ხურავდა. მერე თავს ჩაღუნავდა, დადარდიანებული, ჰირამიცუს მხარზე თავს ადებდა და გულში ნაბულბულარი და ნაიადონარი ხმით მღეროდა. მღეროდა დაკარგულ, გაუმართლებელ და გარდაცვლილ სიყვარულზე, რომელთან შეხვედრასაც ჰირამიცუ და შავი გრძნეული, შაკუჰაჩის საშუალებით ლამობდა, თუმცა ამ აუხდენელ სურვილს ვერც ერთი ვერას გზით ვერ თმობდა.

უტყვად და უანგაროდ დამეგობრებულ ეულ სულთა იდილია ნელ-ნელა ბუდისტი ბერის წარმოსახვით ნირვანას აღწევდა და მათ შორის არსებული უხილავი კავშირი დღითი დღე ძლიერდებოდა. ტყის შავი გრძნეული, იმდენად მიეჩვია ჰირამიცუს, რომ მასზე ზრუნვის სურვილიც კი გაუჩნდა. ცივ ზამთარში, გაუსაძლისი შიმშილისთვის თავის დასაღწევად გადანახული სარჩო, მასთან ნისკარტით მიჰქონდა და უზღვავი ბედნიერებით მოსილი გაუჩერებლად ეყრანტალებოდა. ჰირამიცუს კი, მისი ყოველი ამოყრანტალებული სიტყვისა ესმოდა და ხვდებოდა უტყვად მოუბარი მეგობრის თითოეულ სიტყვას. ჰირამიცუ, განა ყორნის დახმარების იმედად იყო დარჩენილი? არა! ისიც, რა თქმა უნდა, თავისი წილი სარჩოდან აპურებდა ტყის გრძნეულს, მაგრამ ამ ფრინავი სიკეთის შემხედვარე გაოცებას ვერ მალავდა. როგორ შეეძლო ამ მოყრანტალე და ყველასთვის საძულველ ფრთოსანს, მკერდში აძგერებულ ერთციდა გულში, ამდენი სიკეთე დაეტია და უშურველად გაეცა მეგობრისთვის ის რაც კი ებადა.

ყორნის სიკეთით მოხიბლული ჰირამიცუ თანდათან ადამიანური არსის მთელი დიდებულებით ივსებოდა და არა, მხოლოდ სხეულით ადამიანი, არამედ სულქმნილიც ადამიანდებოდა. ასეა, როდესაც სიკეთეს სწორედ იმ ადამიანისგან იღებ, ვინც უქონელია. ის თავისთავად და უანგაროდ იღებს ყველაფერს და დაუშურებელი სიკეთით გივსებს გულს. მერე ფიქრდები, თუ როგორ შეეძლო მას გაეღო ყველაფერი რაც გააჩნდა და თან ისე, რომ ისედაც უარაფროდ მყოფს, ახლა უკვე უპოვარს გაღებული სიკეთით უზღვავი ბედნიერება ეგრძნო. მგონია, რომ კეთილშობილობის მთელი სიდიადე, სწორედ ამ შეგრძნებაშია. განცდაში, რაც ბედნიერებას შობს და რაც სულიერი საზრდოთი ამარაგებს, დამშეულ და ადამიანობა გადაგვარებულ სხეულს. უცნაურიც კია, რომ არამოამბნეს, არა ადამიანსა და ნაკლებად განვითარებულ ფრთოსანთ ეს ინსტიქტად შერჩენილი ადამიანობა გულში კელაპრად უგიზგიზებთ, ხოლო მათზე განვითარებით მრავალი საფეხურით მაღლა მდგომ ადამიანთ, უანგარო სიკეთეში სარწმუნებლად და ამ სიკეთისგან მიღებული ბედნიერებით ტკბო-

ბისათვის, სწორედ ასეთ „არაადამიანთა და განუვითარებელთა“ მაგალითი გვჭირდება რადგან უფლისმიერი სიკეთე შევიმეცნოთ და გავისისხლხორცოთ.

ნამდვილი მეგობრობის არსიც ხომ ესაა? სიხარულით გასცე და არ ელოდო გაცემულის უკან დაბრუნებას. გაბედნიერებდეს, რომ შენს მიერ გაღებული სიკეთე მისთვის მშველელად მივლენილი ღვთის წყალობაა და არა გამოყენებითი ჩანაფიქრი, რაც სრულიად ემიჯნება როგორც მეგობრობის, ასევე სიკეთის მთელ არსს. კი, ხშირად ასეცაა, რომ მეგობრად წოდებულნი, მხოლოდ მიღებით კმაყოფილდებიან და თან ამას ხმამაღლადაც ამბობენ, რომ მათ არ შეუძლიათ შენი გაგება, მაგრამ რადგან შენგან გაცემის მოლოდინი აქვთ, თვალსაც გიხვევენ, რომ შენ მისი მეგობარი ხარ. განა შეიძლება ამგვარი ფიქრით შეურაცხყო ყორანი, რომელიც ჰირამიცუს კეთილდღეებისთვის, იმის გამო, რომ მისი მეგობარი ცივ ზამთარს მშიერი არ დარჩენილიყო, უკანასკნელ სანოვაგესაც კი იმეტებდა და ნისკარტით მასთან სიხარულით მიჰქონდა. მერე რა, რომ ყრანტალებდა?! ის ხომ სწორედ ასე გამოხატავდა სიხარულს და არნაბულბულარი, მაგრამ ყრანტალს ამოყოლებული ხრინწით უფლის მიერ ნაბოძები სიკეთის ქმნის შეგრძნებით გაბედნიერებული, უფალსვე მადლობდა!

ყველაზე მეტად გაზაფხულს ეტრფოდა. როგორც კი გაზაფხული დგებოდა და ხის ტოტებს კვირტი ასკდებოდა, მყისვე ფრთათა ხშირი ქნევით გაფრინდებოდა ბურუსს ნაუღლი ტყიდან და ფუძის მთის წვერს მიაშურებდა. ერთხანს ასე გულამომსკდარი იფრენდა და მთის სილამაზით დამტკბარი, მომოსა და კიკუ-შიდარე-ზაქურას ყვავილით ნისკარტნამშვენი, ჰირამიცუსთან ბრუნდებოდა. არა იმის გამო, რომ გაზაფხულის დადგომა ყვავილთა მშვენებით მიელოცა, არამედ იმისთვის, რომ ეს ყვავილები ჰირამიცუს სატრფოს, ჰარუკოს სურათთან დაეწყო და მისი სულისათვის ღვთის წინაშე „ეყრანტალა“. გრძნობდა თუ რამხელა სიყვარული გააჩნდა მის მეგობარს სატრფოს მიმართ და მეგობრის ტკივილის შემხედვარეს თავადაც სტკიოდა ჰარუკოს გარდაცვალება. ხშირად მის სურათთან საათობით იჯდა. დაჟინებული მზერით უცქერდა, ბოლოს ერთს ამოიყრანტალებდა და ხის ტოტზე გადაფრენილი დარდის ბუდეში იბუდებდა.

ვინ იცის? იქნებ მასაც უყვარდა? იქნებ მასაც თავისი „ჰარუკო“ ჰყავდა და მისი დაკარგვით მიყენებულ იარას ასე იშუშებდა. ან იქნებ ეს მისთვის განცდილი სიყვარულის ის პირველი სხივი იყო, რომელმაც აოკიგაჰარას წიაღში, ჰირამიცუს გამოჩენისას შემოაღწია და ყორნის გულიც ამგვარად ააძგერა.

და თუ ასეა, საკრალურიცაა რადგან სიყვარულზე მის მიერ შექმნილი პირველი შთაბეჭდილება დარდისა და სევდის მომგვრელი გამოდგა. ალბათ, თვლიდა კიდეც, რომ სიყვარულის არსებობის შემთხვევაში, ეს გრძნობა აუცილებლად გულგატეხილობითა და სიკვდილით უნდა დასრულებულიყო. შესაძლოა ასეცაა და ამიტომაცაა, რომ შავი გრძნეული ასე მძაფრად განიცდიდა ამ გრძნობის სიავეს. გრძნობის, რომელიც ჰარუკოს გარდაცვალებით სრულდებოდა. თავისებურად ცდილობდა კიდეც, ამ განცდისა და დარდისაგან გარსშემორტყმული მეგობარი დაეცვა. როგორც კი ჰირამიცუს, ჰარუკოს სურათთან მჯდომს დაინახავდა მყისვე მასთან მიფრინდებოდა. ხან მხარზე, ხანაც თავზე დააჯდებოდა და გაუთავებელი ყრანტალით ცდილობდა მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. შეღონებული ჰირამიცუ, გაჯავრებული იგერიებდა მომაბეზრებელ ყორანს და არც კი ფიქრობდა თავს რატომ აბეზრებდა?! გაბრაზებულს ქოხიდან, წერილთა დასტა გამოჰქონდა. სიფრთხილით შეხსნიდა ხოლმე თოკით შეკრულ კვანძს და გარდასულ დღეთა მოსაგონრად წერილთაგან ერთ-ერთს არჩევდა. სწორედ ამ დროს მშვიდდებოდა ცის შავი გრძნეული და მორჩილად უსმენდა ჰირამიცუს მიერ წაკითხული წერილის შინაარსს. ალბათ იფიქრებთ, რომ საიდან? ან რა უნდა გაეგო ყორანს? მაგრამ მერწმუნეთ სწორედ აქ შეცდებით. თქვენსავით არც ჰირამიცუს სჯეროდა ამის. სანამ თავად არ დარწმუნდა წერილის კითხვისას.

იმ ღამით, ქოხის წინ სახელდახელოდ დანთებულ კოცონთან მჯდარმა ჰირამიცუმ, როდესაც შაკუჰაჩზე სევდანი მელოდიის დაკვრა დაასრულა და გრძნეულს თვალთ ცრემლიც კი მოადგა, ადგა და ქოხიდან ჰარუკოს გამოგზავნილ წერილთა დასტიდან ერთ-ერთი წერილი გამოიტანა წასაკითხად. ყორანს წერილის დანახვაზე წრიალი დაეტყო და მყისვე სასმენად მომზადებული, ჰირამიცუს მხარზე ჩამოჯდა.

კოცონის სინათლეზე მიშვერილ წერილში კი ჰარუკოს ნაწერი იკითხებოდა:

ჩემს შიდარეს, ჩემს უსაყვარლეს, ჰირამიცუს

აგერ უკვე მეორე გაზაფხულია, რაც უშენოდ ვხვდები ზაქურას ყვავილობას. ჩვენც ხომ სწორედ, მისი ყვავილობისას გავიცანით ერთმანეთი და ამიტომაც მეტად მტკივნეულად აღვიქვამ უშენოდ მის აყვავებას. ახლა, ამ წერილსაც აყვავებული ზაქურას ხის ძირას მჯდომი გწერ. ნიავის ყოველი შემობერვისას ხიდან ყვავილები რიგ-რიგობით ცვივა და ფურცელს ეფინება. ისე ეცლება კვირტს, როგორც უშენოდ გატარებული ყოველი დღე და მიწას მარტოობისთვის განწირული ეფინება. ვცდილობ ფურცელს დაფენილი თითოეული ყვავილი მუჭში მოვიგროვო და წარმოვიდგინო, რომ უშენობას ამით დავჯაბნი მაგრამ ვაი, რომ ვცდები და ეს მარტოობაც სამარადჟამოა. არა, არ იფიქრო, რომ დავნებდი! ან ბრძოლის უნარი არ გამაჩნია. მე, უბრალოდ უშენობა მიმძიმს და ვერ ვეგუები თვალუწვდენელ ჰორიზონტზე სისხლისფერი მზის ამოსვლას. გახსოვს? დაგპირდი კიდეც, რომ, მხოლოდ შენს გამო ვიცოცხლებდი და ეს ასეცაა. ყოველდღე გაუთავებლად ვიბრძვი იმისათვის, რომ მარტოობის გაუსაძლის მარწუხს აგარიდო. არ ვიცი, გავიმარჯვებ თუ არა, მაგრამ იცოდე, რომ როგორც არ უნდა მიჭირდეს, მცდელობას არ დავიშურებ, ჩემო შიდარე, თუკი სიკვდილთან უთანასწორო ბრძოლაში ვერ გავიმარჯვებ, მხოლოდ ერთს გთხოვ. ყოველ გაზაფხულზე აყვავებული ზაქურას ხის ქვეშ მდგომმა მისურვილე და მისი ნაზი ყვავილით ჩემი სურათი შეამკე...

ემოცია მოძალებულმა და ყელში ბურთგაჩხერილმა, ჰირამიცუმ როგორც კი თხრობა შეწყვიტა, მისი მხრიდან აფრთხიალებული ყორანი შურდულივით მიჰქროდა ფუძის მთის წვერისკენ. ატირებულ და გულამომჯდარ ჰირამიცუს არც კი ეფიქრნა თუ რისთვის გაფრინდა ცის შავი გრძნეული მანამ, სანამ უკან არ დაბრუნდა და ზაქურას ყვავილით ნისკარტნამშვენმა, ჰიროკოს სურათი არ შეამკო. თქვენ კი ეჭვობდით ჩემი გრძნეულის უმეცრებაში, ის კი სიყვარულნაგრძნობი, სულდამშვენებული და ჰარუკოს სურათის წინაშე თავდახრილი უხმოდ ქვითინებდა.

რაც დრო გადიოდა ჰირამიცუს მარტოობა მით უფრო უძნელდებოდა. ყორანის, შაკუჰაჩის, წერილებისა და ჰარუკოს სურათის ამარა დარჩენილი დროის მიერ ნაუარყოფალ წამებს ძლივსღა უმკლავდებოდა. ბევრჯერ გაიფიქრა კიდეც, რომ მარადისობად ქცეულიყო, მაგრამ ყოველ ჯერზე შიში და გაუბედაობა ხელს უშლიდა. ცის გრძნეულს კი ეგონა, რომ მის ერთადერთ მეგობარს, მეგობრის მიტოვება ეძნელებოდა. ამ ფიქრში დარწმუნებული ყორანი კი წამით არ შორდებოდა მის სანუკვარ ჰირამიცუს და ყოველი მცდელობისას გაშმაგებული კორტნიდა ხის ტოტზედ ჩამოკიდებულ ბაწარს. კორტნიდა მთელი მონდომებით, გაავებით რათა გადაეჭრა ეს სიკვდილის მარყუჟი და მეგობარი გადაერჩინა. ის კი არ იცოდა, რომ მის მეგობარს უბრალოდ ვერ გაებედა და სიკვდილისა შეშინებოდა.

არ ვიცი, რომ სცოდნოდა, იქნებ მიეტოვებინა კიდეც, იქნებ ძალ-ღონეც არ დაეხარჯა მის გადასარჩენად. მეგობრის უმეგობრობით გულდამძიმებული ფუძის მთის მწვერვალისკენ გაფრენილიყო, თუმცა მაინც მგონია, რომ დიდსულოვნებას გამოიჩენდა, აპატიებდა და კვლავ მის მხარზე

შემოსკუპებული თავს ყელზე სანუგეშებლად მიადება. ვინ იცის, ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელიც იმ „არაადამიან“ ფრთოსანს უკავშირდება, რომლის ინსტიქტიც კი ადამიანურ არსს აღემატებოდა.

ერთადერთი, რაც ცის გრძნეულს არ შეეძლო, ეს ჰირამიცუსგან წასვლა და მეგობრის ღალატი იყო. ამიტომაც ერთგულად და უანგაროდ თავს დასტრიალებდა. სუსხიან ზამთარშიც კი მისი ქოხის სიახლოვეს დაფრინავდა და მთელი ღამის განმავლობაში ტყის მტაცებელი ბინადრებისგან იცავდა მეგობრად შერაცხულ ჰირამიცუს. მშიერი მგლის ხროვის გამოჩენაზე ხრინწმორეული ჩხაოდა და მათთვის თვალის გამოკორტნასაც არ უშინდებოდა. გაწვრთნილი ძაღლივით ესარჩლებოდა ქოხს მოდგარ ცხოველთ და მედგრად და უშიშრად იცავდა მეგობრობის წმინდათა-წმინდა გრძნობას, მაშინ როცა ქოხში გამოკეტილი ჰირამიცუ, შიშისგან კრთოდა.

და როდესაც მომდგარ მომხვდურთ უკან გააბრუნებდა, გულდამშვიდებული ქოხის წინ დაგდებულ ვეებერთელა ქვაზე შემოსკუპდებოდა. აი, იქ სადაც ჰირამიცუ, შაკუჰაჩზე სევდისფერ მელოდიას აჟღერებდა. ქვაზე მჯდომი ყორანი თვალმოუშორებლად გასცქეროდა ქოხს. ერთი-ორს წამოიყრანტალებდა, ალბათ მეგობრის სანუგეშოდ. ვინ იცის? იქნებ კუდამოძუებულ მგელთა ამბითაც ირთობდა თავს და ბოლო ყრანტალზე ნისკარტს ქვაზე ალესავდა. შესაძლოა ამით ჰირამიცუს ანიშნებდა კიდეც, რომ სანამ ის იქ იყო, არაფრის შეშინებოდა. ვინ უწყის? ან ვის გამოუცნია? ცის გრძნეულის შავ-ბნელ ფიქრთა სარბიელი...

წელს წელი მისდევდა, თუმცა ყოველი გათენებული დილა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს. ცვლილებისა და იმედის ნიშანწყალიც კი არ შეინიშნებოდა. ამგვარი სიმძიმით შემოსილ, აოკიგაჰარას გულში სისხლად მდენი სევდა ჰირამიცუს არსებობის დასასრულს მოასწავებდა.

მისთვის იმ წელს, უკანასკნელად გაზაფხულდა. უკანასკნელად გაყვავილდა კიკუ-შიდარე-ზაქურა, უკანასკნელად შეამკო ცის გრძნეულმა, ჰარუკოს სურათი მომოსა და შიდარ-ზაქურას ყვავილით. უკანასკნელად ატირდა კადომაცუ და უკანასკნელმა ფიფქმა დაიდო ბინა უღმერთოდ დარჩენილ ჰონსიუსზე.

ჰირამიცუმაც თავის ძველისძველი კიმონო იმოსა, გარდასულ დღეთა მოსაგონრად შემორჩენილ წერილთა დასტა ქოხიდან გამოიტანა, ქოხის წინ კოცონიც ააგიზგიზა, ყინვისაგან შეჭირხლულ ქვაზე შემოჯდა და შაკუჰაჩიც უკანასკნელად აატირა!

და როდესაც შაკუჰაჩი ბოლო ნოტმაც მიატოვა და ჰანგი სივრცეში გაიფანტა, ჰირამიცუ ფეხზე წამოდგა. შაკუჰაჩი კოცონში ჩააგდო და წერილთა დასტაც მისი ცეცხლის ალში გახვია. იქვე მდგარ, ცამდე აღმართულ კადომაცუსთან მივიდა, კიმონოზე ობი შეიხსნა და კადომაცუს ტოტზე შეაბა...

როგორ არ ეცადა გამძვინვარებული ცის გრძნეული, რომ მეგობარი გადაერჩინა, მაგრამ საკორტნელად მიმსკდარი ობს ვერას აკლებდა. ბოლოს, როცა უკვე ჰაერში სიკვდილი გამეფდა, ყორანმა ერთი შეიფრთხიალა, ჰირამიცუს მხარზე მჯდომი ცისკენ გაქანდა და კადომაცუს წვერს მიღწეული, შურდულივით დაეშვა ყინვისაგან შეჭირხლულ ქვაზე.

თქვენ? ისევ იტყვით, რომ ჩემი ცის გრძნეულს ადამიანური არაფერი გააჩნდა და ვერც ვერას ხვდებოდა? სასოწარკვეთილმა და უმეგობროდ დარჩენილმა ფრთოსანმა თავი სიკვდილისთვის გაიმეტა, მაგრამ ვერას დიდებით ვერ მოახერხა დაეთმო მეგობრობა. გრძნობა, რომელიც ასე დიდებულს ხდიდა მის შავ-ბნელ ფიქრებს.

მას მერე, არაერთი მიმბაძველი სტუმრობს კუნძულ ჰონსიუს და აოკიგაჰარას გულში უკანასკნელად უკრავს შაკუჰაჩზე, თუმცა მარტოდმარტო და უმეგობროდ დარჩენილი.

ეს ამბავიც, ასე იყო.

ამბავი, რომელიც მე გამოვიგონე!

ვარდნა

რთულია, სხვას, რომ მოეყოლა შესაძლოა არც მე დამეჯერებინა. პირველი რასაც გულში გავივლებდი, არამიწიერი სამყაროსადმი, მთხრობლის არაორდინალური დამოკიდებულება და უფრო ზუსტად, მისი სიგიჟისადმი მიდრეკილება იქნებოდა. ან უბრალოდ ჩავთვლიდი, რომ თხრობას მიწისგან უარყოფილი სხეული განაგრძობდა.

აშკარა იყო, რომ მისი გონებრივი თვალსაწიერი, მხოლოდ ირეალური სამყაროს ზღვარს მიღმა სულდგმულობდა და იმ ყოფიერებით მოტივირდებოდა, რასაც შეუცნობელი სიამე ერქვა. არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა სახით იქნებოდა აღქმული. ერთადერთი, რაც ამ სიამეს პროვოცირებას უწევდა, ეს წარმოსახვითი შეგრძნებები იყო და ხილული ხილვა მუდამ თან ახლდა. ამ ხილვის წყალობით კი სხვა სამყაროს მეგზურად, ყოველჯერზე საკუთარ სულს ირჩევდა.

განა შემთხვევით? არა! განზრახ და შეგნებულად. თვლიდა, რომ მის მიერ შექმნილ მიკროსამყაროში, მხოლოდ საკუთარ სულს გადაარჩენდა. ეგოიზმით განმსჭვალულს არ შეეძლო საკუთარი სულიც კი ისე გარდაესახა, რომ ამ გარდასახვის დიდებულება შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

არც მიკვირს, მე ხომ მისი, ის უხილავი შთამაგონებელი არსება ვიყავი, ვინც მას, ხილული ხილვისას, მუდამ შეუმჩნევლად თან სდევდა. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, ხან რა სახის ილუზიაში ვამოგზაურებდი, ხანაც რა სახის. მეტიც, გამოგიტყდებით და მას, როგორც მარიონეტს, ისე ვექცეოდი. მომწონდა კიდეც მისი ამგვარი ყოფის ხილვა და არცთუ ისე ურიგოდ ვერთობოდი.

განსაკუთრებით, მისი ადმიანური სისუსტეებით ვტკბებოდი და ვცდილობდი ყველანაირი ხერხით დამეკნინებინა, მაგრამ არა ჩემით, არამედ მისით. მასვე გაჩენოდა სურვილი, რომ თავისივე ხელით მოეკლა უფლისგან ნაბოძები ადამიანური საწყისი და წინასწარი შედეგით გამიზნულ თამაშში ამყოლოდა.

მართალია, ამ თამაშის დასასრული დაწყებისთანავე ვიცოდი, მაგრამ მომწონდა... მომწონდა თუ როგორ ვჯობნიდი, როგორ დგამდა ჩემთვის ნაცნობ ნაბიჯებს და როგორ მარცხდებოდა, ისე რომ თავი გამარჯვებულად ეგრძნო.

ეს შეგრძნება კი მთელი ამ თამაშის გვირგვინი უნდა ყოფილიყო. მისი სული იმ სრულყოფილ მატერიად უნდა ქცეულიყო, რომლის მიღმაც, მხოლოდ და მხოლოდ შიშველი სიცარიელე იარსებებდა. აი, სწორედ მაშინ დასრულდებოდა ეს თამაში და ჩემწილ სარგოს ღირსეულად დავეპატრონებოდი.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ყოველთვის მსურდა ისეთი ადამიანი მეპოვნა, ვინც ამ თამაშში შეეცდებოდა გზიდან გადაეხვია და ჩემი დამარცხება ეცადა, მაგრამ როგორც წესი ყველა მათგანი მორჩილად თამაშს ამჯობინებდა.

წინასწარ შერჩეულ ადამიანებთან, უხილავი სამყაროს იმ კარით ვჩნდებოდი, რაც მათ წარმოსახვაშიც პირდაპირ წარმოუდგენლობას წარმოადგენდა. ჩემთვის კი უბრალო პორტალი იყო. პორტალი, ჩემსა და ადამიანს შორის. ყოფილა შემთხვევები, თავი ვერ შემიკავებია და მათ წინაშე ხილულადაც გამოვჩენილვარ და მათი შიშნარევი, განცვიფრებული მზერითაც კი დავმტკბარვარ, მაგრამ ყოველთვის წამიგია. თამაშის დაწყების მცდელობისთანავე ღვთისა ურწმუნიათ და გამრიდებიან, ან უბრალოდ მოსიარულე გვამს დამსგავსებიან. მე კი მათი, ეს მდგომარეობა სარგებელს არ მაძლევდა გარდა იმისა, რომ მათით წამიერად ვერთობოდი.

ძირითადად ისეთი ტიპის ადამიანთ ვარჩევდი, რომელნიც სასოწარკვეთილების კლდის პირს მიმდგარიყვნენ და ვერ გადაეწყვიტათ გზა როგორ გაეგრძელებინათ. მე კი, მხოლოდ ის მევალებოდა,

რომ მათთვის მებიძგა და იმედგაცრუების უფსკრულში შეუბრალებლად გადამეჩეხა. შემდგომ კი მხსნელად ვევლინებოდი, მათ ტკივილს ვამძაფრებდი და ამ სიმძაფრისთვის იოტისოდენ ოცნებასაც ვიმეტებდი.

გამომდინარე იქიდან, რომ მათთან გამოჩენა ხილულად არ შემეძლო და მაინც მათთან კონტაქტი უნდა დამემყარებინა, ასეთი რამ მოვიფიქრე. რასაც შემდგომში „ფსიქოზი“ უწოდეს და სხვათა შორის მისი მკურნალობაც დაიწყეს, იმ ადამიანებმა, რომელთაც არ უწყიან, რომ ეს „დაავადება“ კი არა, არამედ არამიწიერ არსებებთან კომუნიკაციის ერთადერთი გზაა. გზა, რომელიც მათთვის რთულად აღქმადი დარჩება, ვიდრე მათთან თამაშით რომელიმე ჩემნაირი არსება არ დაინტერესდება.

დაავადებად შერაცხული ფსიქოზის წყალობით შემეძლო, ადამიანთათვის უხილავად, რაც მსურდა ის შთამეგონებინა ისე, რომ ჩემი არსებობა ვერც კი შეემჩნიათ. გამოგონილი ჰაბიტუსით შიშად ვევლინებოდი და მათ გონებას ამ გზით ვეპატრონებოდი. ჩემში საუცხოო შეგრძნებას იწვევდა მათი დამაჯერებლობა. ჩემ მიერ შეთავაზებული აზრისა თუ წარმოსახვის გათავისება და შემდგომ მათი განხორციელება. თქვენთვის გაუგებარი და შეუგრძნობელი შეგრძნება მეუფლებოდა. გამარჯვების, მიზნის მიღწევისა და სიამაყის წარმოუდგენელ რეგისტრს ვგრძნობდი. ამ შეგრძნებებთაგან, რაც ყველაზე მეტად მასულდგმულებდა, ეს თვითკმაყოფილების განცდა იყო. ისეთი სიმძაფრით იპყრობდა უგულო სხეულს, რომ ჩემეული ბედნიერებით აღვსილს, ხარხარიც კი ამიტყდებოდა.

მიღწეული მიზნიდან არცთუ დიდი დრო იყო გასული, რომ კვლავ ახალი თამაშის წამოსაწყებად მოვემზადე და გეზი, რა თქმა უნდა, სასოწარკვეთილების კლდისკენ ავიღე. კლდესთან მისული განცვიფრებას ვერ ვმალავდი. ჯერ აქამდე მსგავსი რეალობის მოწმე არ გავმხდარვარ. არც მაშინ როდესაც სამყაროში ომები მძვინვარებდა. იყო შიმშილი და თვითგადარჩენით შეპყრობილი ადამიანები საკუთარ პირმშოსაც კი მსხვერპლად სწირავდნენ, მაგრამ ასეთი რეალობა? რაც ახლა ვიხილე, არ ვიცი, არ მახსენდება. უშველებელი კლდის წვერზე მრავლად იდგა ადამიანთა ჯგრო და სასოწარკვეთილებას მიცემულნი, თამაშის დაწყებასა და იმედგაცრუების უფსკრულში გადაშვებას, მოუთმენლად ელოდა. მცირე ხნით ისიც კი გავიფიქრე, რომ რწმენამ დედამიწა დატოვა და აღქმული დასასრულის დასაწყისი დაწყებულიყო, მაგრამ ამაზე დროის დაკარგვის არც სურვილი და არც გუნება არ მქონდა, რადგან წინ თამაში მელოდა. თამაში, ადამიანთა სულის დასაპატრონებლად.

კლდის პირს შორით მონაქროლი ნიავივით შევეხიზნე და ადამიანთა თვალიერება დავიწყე. გუმანით ვხვდებოდი მათი სასოწარკვეთილების მიზეზს. როგორც ყოველთვის, ყველას ერთი საერთო მიზანი აერთიანებდა, რაც შეიძლება მალე დაესრულებინათ ყოფიერება და გაუსაძლისი ყოფისგან თავი დაეღწიათ. რატომღაც არც ერთი მათგანი მოსალოდნელ შედეგზე არ ფიქრობდა. მათ უბრალოდ ის სურდათ, რომ ყველაფერი დასრულებულიყო, ტკივილი გამქრალიყო. ყველას თავის სასოწარკვეთის მიზეზი გააჩნდა. მათ შორის მრავლად იყვნენ, ხელმოცარულები, რომელნიც საკუთარ ბედ-იღბალს წყევლიდნენ და ყველაფერს ღმერთს აბრალებდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთნი, რომელნიც ღალატით, დაუცხრომელი ტკივილით, გაწირული ადამიანისადმი გაუნელებელი დარდით, სხვისი სიცოცხლის მოსპობით და სიცოცხლის გასაგრძელებლად საჭირო მიზანდაკარგული მდგომარეობით, სასოწარკვეთას მისცემოდნენ.

თუმცა მსგავსი ტკივილის მქონე ადამიანებთან თამაშის წამოწყება, მობეზრებული მქონდა. რაღაც ახალს დავეძებდი. შეუცნობელს, რათა ამ თამაშით გაცილებით მეტი სიამოვნება მიმეღო და აზარტის წყალობით ამ თამაშის მთელი სიამე ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე შემეგრძნო.

ამ მიზეზით ოლაიამდე, სწორედ რომ, ჩემმა გუმანმა მიმიყვანა. სასოწარკვეთილების კლდის პირას, ახალგაზრდა, უმშვენიერესი ქალი იდგა. ქალი, უზადო სხეულით, რომელიც იმ დაწყევლილ

ადგილს, მისსავე მშვენიერებით გაცილებით დიდ წყევლას უვლენდა და მოწეულ წყვდიადში ოქროსფრად ელვარებდა. აქამდე მსგავსი მიზიდულობის განცდა არ მქონია, მივხვდი, რომ ის ჩემი თამაშისთვის განკუთვნილი, ღირსეული ობიექტი იყო და მისგან გაცილებით დიდ სიამოვნებას მივიღებდი.

ნიავივით შევეხიზნე მის თმას და თმის შრიალს შთამაგონებელი სიტყვა შევაპარე:

– დასრულდა.

ოლაიას გონება ერთიანად დაიძაბა. არსაიდან მონაქროლმა ქარმა, შორიდან მოტანილი სიტყვა შთააგონა და შემდგომი ნიბიჯის გადადგმისკენ უბიძგა. წამით დააპირა კიდეც, მაგრამ უმალვე შეჩერდა. ეს ის უჩვეულო ყოყმანი იყო, რამაც განმაცვიფრა. აქამდე, ამ შთაგონებით ვინ იცის რამდენი ადამიანისთვის ხელი მიკრია და უფსკრულში გადამიგდია, მაგრამ ამჯერად ქალის ყოყმანმა შემძრა. შემეშინდა კიდეც საკუთარი იმედგაცრუების მსხვერპლი არ აღმოვჩენილიყავი და მონდომებით, ისე როგორც არასოდეს, მთელი მონდომებით ყურში ჩავჩურჩულე:

– გადახტი, ოლაია. გადახტი...

და, ვიხილე გრძნეულთა სულისკვეთებით გაჯერებული სიტყვის შეცნობილი ძალა, რომელმაც თეთრ საღამურში შემოსილი ოლაია აიძულა ქარის ჩურჩული დაეჯერებინა და დამნებებოდა.

არა, ვარდნით, არა, სისწრაფით, არამედ ნელა, ტაატ-ტაატით ნებდებოდა იმედგაცრუების უფსკერო უფსკრულს და აღთქმული თამაშიც იწყებოდა. ახლა, მხოლოდ ჩემს ოსტატობაზე იყო დამოკიდებული, თუ ჯილდოდ რას მივიღებდი. უფსკრულში ჩაკარგულ ოლაიას, გზადაგზა ნიავად ვეკროდი და მასთან საუბარს ასე ვახერხებდი. მინდოდა ის, იოტისოდენი იმედი ჩამეთესა მის გულში, რომლის რწმუნების შემდგომაც სრულ სიცარიელეში აღმოჩნდებოდა და მე ღირსეულად გავიმარჯვებდი. ვცდილობდი თავდაუზოგავად და ქარს ნაყოლებ სიტყვებს, დროდადრო მის ყურზე ჩამოშვებული თმის კიდეზე ვმარხავდი.

– ნუ გეშინია, ოლაია.

– ცოტაც და ყველაფერი დასრულდება.

– მე შენთან ვარ, ოლაია.

– მხოლოდ მე მენდე, ძვირფასო.

– მე, მე დაგიამებ ამ ტკივილს, ოლაია.

ის კი, გრძნეულებით ჩაგონებულ რწმუნებას აყოლილი, მორჩილად მინდობილი, ტაატ-ტაატით განაგრძობდა უფსკრულში ფრენას და გარდასულ დღეთა სიავეს უკან იტოვებდა. მეც, თვითკმაყოფილი თვალს ვადევნებდი ამ ვარდნას და მჯეროდა, რომ გამარჯვებამდე, მხოლოდ მისი სულის კვდომაღა მაკლდა. ვერ წარმომედგინა, თუ ყველაფერი ელვის სისწრაფით შეიცვლებოდა და ოლაია, საკუთარ თავში უკანასკნელ ძალას მოიკრებდა. ძალას, რომელიც ვარდნისგან იხსნიდა და უპირობოდ განწირული, სულის კვდომისგან გადაარჩენდა. მის გულში მოულოდნელად აღმოცენებულმა რწმენამ, თავისი გაიტანა. ოლაიას, სიცოცხლისთვის აუცილებელი მიზანი შესძინა და ვარდნაც შეწყვიტა. გაოგნებული და სიბრაზით აღვსილი ვცდილობდი, რომ მისთვის გადამეფიქრებინა. რწმენის მარცვალიდან აღმოცენებული ნორჩი ყლორტი გამეთელა და კვლავ სიცარიელისთვის გამეწირა.

მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ყოველი მცდელობა ამაო იქნებოდა. რას ვიფიქრებდი, რომ ოლაიას რწმენის სიმტკიცე, ასე ერთიანად დამჯაბნიდა და ჩემივე შექმნილ თამაშში, მევე დამამარცხებდა.

მართალია, რწმენის ძალის შესახებ უამრავი რამ მქონდა ნანახი და მოსმენილი, მაგრამ ამგვარი სიძლიერის მომტანი თუ იქნებოდა, ჩემ გრძნეულ ფიქრთა ორომტრიალშიც ვერ წარმომედგინა.

საჭირო იყო, ეს შეუცნობელი ძალა და ამ ძალის რეალური მიზეზი როგორმე შემეცნო. ქარად მივლენილი, ამას ნამდვილად ვერ შევძლებდი, ამიტომ ოლაიასთვის უწყინარი რეალობა გამოვიგონე. მისი წარმოსახვით ვისარგებლე და მარადიულად ნაქცევი წამით, თვით დრო შევაჩერე.

დროის სარტყელს მიღმა, იქ სადაც შეუცნობელი მყოფადობა ილუზიურ თვითმყოფადობას ქმნიდა, ოლაია იმედის ხავსს ეჭიდებოდა. შენიღბული იერსახით და გამოგონილი ჰაბიტუსით, ამ იმედის სანახავად, მის წინაშე წავრსდექი.

ეს ჩემი, ის პირველი გადაწყვეტილება იყო, რამაც უგულო სხეულში, გულისძგერა მაგრძნობინა და ერთიანად გამაოგნა. ქალი, უზადო მშვენიერებით აღვსილი, მთელი ძალით ჩასჭიდებოდა ახლადგადაჭრილ ჭიპლარს და ნებსით მოკლული პირმშოს სულის საამებლად ლოცულობდა. მაშინვე მივხვდი, მისი რწმენის სიძლიერეს და წითლად გარსშემორტყმულ ბურთში ქვითინი დავიწყე. ისე მძაფრად ვგრძნობდი მკერდში დანაცრული გულის მკვდრეთით აღდგომას, რომ მისი მძლავრი ფეთქვისას ისიც კი ვიფიქრე, რომ გრძნეულად დაბადებული, თანდათან ვადამიანდებოდი და ადამიანური ტკივილის სიმძაფრეს ვეგუებოდი.

საკუთარ თამაშში დამარცხებულს სასჯელად, ოლაიას სულის გადარჩენა, წილად მხვდა. კვლავ ქარად ქმნილმა ნიავის მკლავებზე დავიწვინე რწმენით აღვსილი ოლაია და იმედგაცრუების უფსკრულიდან ამოვათრიე. სასოწარკვეთილების კლდის პირს თვალი უკანასკნელად მოვავლე და ოლაიასთან ერთად დედამიწაზე ყველაზე მადლმოსილ და ყველაზე დარდმოსილ ალაგს დავსახლდი.

მას მერე, ამ სამყოფლის ერთგულ მცველად ვიქეცი, მაგრამ ჩემი გრძნეული სული მაინც ვერ დავთმე. უსხეულოდ, ქარად განსხეულებული, ყოველ სისხამ დალას დავივლი ხოლმე, ამ სამყოფელში დადარდიანებულ სულთა ოთახებს და ჩვეულად, მაგრამ ახლა უკვე უწყინრად ვეჩურჩულები.

რთულია, სხვას რომ მოეყოლა, შესაძლოა, არც მე დამეჯერებინა. პირველი რასაც გულში გავივლებდი, არამიწიერი სამყაროსადმი, მთხრობლის არაორდინალური დამოკიდებულება და უფრო ზუსტად მისი, სიგიჟისადმი მიდრეკიდება იქნებოდა. ან უბრალოდ ჩავთვლიდი, რომ თხრობას მიწისგან უარყოფილი სხეული განაგრძობდა.

ახლა კი იცით, ამ თხრობის სინამდვილე და მიწისგან უარყოფილი სხეულის მქონე მთხრობლის არსებობის შესახებ. ეს თქვენი ნებაა, რას დაიჯერებთ და რას არა?!

მე მხოლოდ ის შემიძლია გაუწყოთ, რომ ოლაია გარდაუვალ ვარდნას, არა სურვილმა ან იმედმა, არამედ რწმენამ გადაარჩინა!!!

ლეილა ხინთიბიძე

მომღერალი ყვავილები

(ზღაპარი)

„იყო და რა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“.

ერთ ქალაქში, ერთ ლამაზ სახლში ერთი ოჯახი ცხოვრობდა. მარათალი რომ ვიყო, ვიტყვი, რომ ამ ქალაქში მრავალი ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ მე დაწვრილებით ერთის ამბავი ვიცი და ის უნდა მოგითხროთ.

ამ ოჯახის თავკაცი, მამა ბატონი ლეონი იყო, დედა დიასახლისი – ქრისტი. დედ-მამა ხარობდა ულამაზესი ქერაკულულებიანი ვაჟით, მეთიუთი. დედა ჩაიხუტებდა გულში შვილს, ამოიოხრებდა და მიესიყვარულებოდა – მეთ, ჩემო ერთადერთო, მიყვარხარ. თან ესიყვარულებოდა, თან თვალები ცრემლებით ევსებოდა. ბიჭს უკვირდა დედის ცრემლები, მაგრამ არაფერს ეკითხებოდა.

ერთხელ, ღამით, მშობლებს ეგონათ, მეთიუს სძინავსო და დაიწყეს ლაპარაკი მეთიუს ტყუპისცალ ნატიზე, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა.

მეთიუ აღელვებული წამოვარდა ლოგინიდან და მშობლებიც იძულებული გახდნენ მოეთხროთ ბიჭისთვის დაკარგული დის ისტორია.

* * *

ეს მოხდა ცამეტი წლის წინ. მეთიუ და ნატი მაშინ ორი წლისანი იყვნენ. პატარები მშობლებმა ქალაქის განაპირას, პარკში წაიყვანეს სასეირნოდ. პარკი ძალიან ლამაზი იყო, იქ ულამაზესი ყვავილები ხარობდა და მარადმწვანე ხეებით იყო დაბურული. განსაკუთრებით ატრაქციონების ნაირსახეობა მოსწონდათ პატარებს.

მშობლები აყვავებული იასამნების ჩრდილში დადგმულ ძელ-სკამზე ჩამოსხდნენ და თვალ-ყურს ადევნებდნენ მეთის და ნატის. ბავშვები ხალისიანად თამაშობდნენ. ხანაც კოტრიალებდნენ ხავერდოვანი ბალახებით დაფარულ მინდორზე. ხარობდნენ ლეონი და ქრისტი თავიანთი პატარებით და ვარდებისა და იასამნების სურნელით თავბრუდახვეულები მომავალზე ოცნებობდნენ.

მოხდა საშინელი რამ. მოულოდნელად ყურისწამღები გურხუნის ხმა გაისმა და ერთბაშად ჩამობნელდა. ჩამობნელდა ისე, რომ თვალთან თითსაც ვერ მიიტანდით. მშობლები ანგარიშმიუცემლად იქეთკენ გაქანდნენ, სადაც შვილები თამაშობდნენ. მეთიუ! ნატი! – ყვიროდნენ ისინი და ხელის ცეცებით ეძებდნენ პატარებს. მეთიუ წამიერად იპოვეს, მაგრამ ნატი? სადა ხარ ნატი, ხმა გაგვეცი – გაჰკიოდა გამწარებული დედა. პასუხად მხოლოდ გოგონას გულისწამღები ტირილი ისმოდა. მერე

ტირილის ხმაც შეწყდა და ისევ განათდა. ნატი არსად ჩანდა. გოგონა სადღაც გამქრალიყო. თავზარდაცემული და გაოგნებული მშობლები ვერ გარკვეულიყვნენ რა მოხდა.

სად არ ეძებეს დაკარგული გოგონა. ყველა საგამომძიებლო ორგანო ჩარიეს საქმეში. ეძებდნენ ნატის ოჯახის ახლობლები, მეგობრები, ნათესავები. საქმეში პრესა და ტელევიზიაც ჩაერთო. მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. დაკარგული გოგონას კვალს ვერავინ მიაგნო. ისე კი ქალაქის მაცხოვრებლები წლების მანძილზე ლაპარაკობდნენ იმ უეცარი ჩამობნელების შესახებ.

მას შემდეგ წლები გავიდა, მეთიუ თხუთმეტისა გახდა. იმის გამო, რომ მისთვის გუნება-განწყობილება არ გაეფუჭებინათ, არაფერს უყვებოდნენ დაკარგული დის შესახებ. მშობლები ამ ხნის მანძილზე გულში იკლავდნენ დარდსა და ნაღველს.

* * *

მეთიუ მეტად გონიერი ბიჭი გაიზარდა. მთელ სკოლაში გამორჩეული მოსწავლე იყო. ამაყობდნენ მშობლები თავინთ ვაჟით.

ახლა, როცა ნატის არსებობის შესახებ გაიგო, მოსვენება დაკარგა მეთიუმ. მაგრამ გულში გაივლო – ყველაფერს გავაკეთებ, რათა დაიკო ვიპოვოო.

ქალაქში ლეონისა და ქრისტის ოჯახს ყველა პატივს სცემდა. სიკეთეზე სიკეთითვე პასუხობდა ყველა. მეთიუმ ბოლომდე გაისიგრძეგანა რომ ქალაქის მაცხოვრებლები არაფერს დაუშავებდნენ უმტერო ოჯახს. აქ, რაღაც სხვა ძალებია ჩარეული, ფიქრობდა ბიჭი და საიდუმლოს ამოხსნას ცდილობდა. სკოლიდან დაბრუნებული, გაკვეთილებს მორჩებოდა თუ არა, კომპიუტერთან იჯდა. კოსმიურ სამყაროსაც სწავლობდა და ანომალიურ მოვლენებზეც ამახვილებდა ყურადღებას. ცდილობდა აეხსნა, პასუხი მოეძებნა ყველა უცნაური მოვლენისათვის.

ერთხელ, მეთიუს გულმა უკარნახა, რომ დის ძებნა იმ სკვერიდან დაეწყო, საიდანაც დაიკარგა. დედამ ის ადგილიც უჩვენა, სადაც ბოლო წუთებში თამაშობდა და-ძმა.

ირგვლივ ყვავილების ბაღი გადაშლილიყო. ბაღი სამოთხეს ჰგავდა. რა ფერის და სახეობის ყვავილი არ ხარობდა აქ. მეთიუ ყველაზე მეტად შროშანების მწკრივმა მოხიბლა, და ჰოი საოცრებავ! სწორედ შროშანების ცქერაში იყო გართული, როცა მოულოდნელად ისევ ჩამობნელდა. მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი მოვლენა იყო. ისე, როგორც იმ ცამეტი წლის წინათ. მერე ისევ განათდა და ყმაწვილმა შენიშნა, რომ შროშანები ნაზად ირხეოდნენ და საოცარ მელოდიას გამოსცემდნენ. მეთიუ გაოგნებული უსმენდა მომღერალ ყვავილებს. გაოცებული ხელითაც შეეხო მათ. შეეხო და მაშინ უფრო ხმამაღლა ამღერდნენ.

ბიჭმა ირგვლივ მიმოიხედა. უნდოდა ვიღაცისთვის გაეზიარებინა თავისი გაოცება, მაგრამ ახლოს არავინ ჩანდა. ისევ ჩამობნელდა და ჩამობნელებას გრუხუნიც მოჰყვა. გრუხუნის ხმა ციდან მოდიოდა და მეთიუმაც ცას მიაპყრო მზერა. გარკვევით გაარჩია, რომ რაღაც მთვარისმაგვარი სფერო წრეს ურტყამდა და დაბლა ეშვებოდა. ლუსკუმა სიბნელის ფონზე ოქროსფრად ანათებდა სფერო.

კოსმიური ხომალდია! – გულში გაივლო ბიჭმა. საოცარი ის იყო, რომ ხომალდი სწორედ იმ ადგილის მახლობლად დაეშვა, სადაც მეთიუ იდგა. გაიხსნა რაღაც ხუფის მაგვარი და ხომალდიდან გადმოვიდნენ უცნაური არსებები. ზოგი გოლიათი, ზოგი უფრო ტანმორჩილი... ისე დადიოდნენ, იფიქრებდით მიწაზე ფეხს არ აკარებენ, დაფრინავენო.

ერთი მათგანი, რომელიც შედარებით ტანმორჩილი იყო, მეთიუს მიუახლოვდა და თვალებში ჩახედა. ბიჭმა უცხოპლანეტელის თვალებში სითბო შენიშნა. ეს სითბო გულში ჩაეღვარა, რაღაც იმედისმაგვარი ჩაუსახა და შიშიც მოეხსნა. უცხო არსება მეთიუს ენაზე ალაპარაკდა.

– მე სი ვარ, უცხოპლანეტელი, გვაინტერესებს როგორი ხალხი ცხოვრობს თქვენს პლანეტაზე. ჩვენ მხოლოდ კეთილი ზრახვები გვამოძრავებს. ბოროტი ადამიანებით დასახლებულ პლანეტებს ვებრძვით, რადგან ბოროტი აურა კოსმოსს საფრთხეს უქმნის.

მეთიუმ სი თავის ოჯახში მიიწვია, მაგრამ მიპატიჟებაზე უარი მიიღო. ამჯერად ჩვენი პროგრამა სულ სხვა ხასიათს ატარებს. მეორე სტუმრობისას აუცილებლად გეწვევითო.

მეთიუ შეეცადა მისამართი მიეცა მოწვეული სტუმრისათვის, მაგრამ ამაზე სის გაეცინა და ბიჭს უთხრა – მე უკვე გონით დაგაფიქსირე. მისამართი საჭირო არაა, ისე გიპოვიო.

სი მეთიუს გამოეთხოვა და თავისი ხომალდის ეკიპაჟს შეუერთდა. კარგა ხანს იდგნენ ისინი ერთად და რაღაცაზე მსჯელობდნენ. თან უცნაური, კაშკაშა აპარატით რაღაცას აფიქსირებდნენ. წამიერად სიბნელე გაქრა და არც ხომალდი ჩანდა.

მეთიუ ისევ თავის ადგილას იდგა. აღარც შროშანები მღეროდნენ. ყველაფერი თავის საწყის მდგომარეობას დაბრუნებოდა... მხოლოდ ის იყო, რომ გაოგნებული ბიჭი კარგა ხანს ვერ დაძრულიყო ადგილიდან.

* * *

მეთიუ მოერიდა მშობლების შეშფოთებას და ეს ამბავი დაუმალა. ამ ადგილას სიარულს კი მოუხშირა. ბიჭის მოსვლა და ყვავილების ამღერება ერთი იყო.

ერთხელ მეთიუმ დედას მომღერალი ყვავილების შესახებ უამბო. დედამ ეს უბრალოდ შვილის ფანტაზიას მიაწერა. მაშინ ბიჭმა დაჟინებით სთხოვა მშობლებს წაჰყოლოდნენ ამ უცნაური მოვლენის დასადასტურებლად. მშობლები დათანხმდნენ. მაგრამ მეთიუ სახტად დარჩა, როცა ყვავილები მათ უბრად შეხვდნენ, თითქოს პირი შეიკრეს.

ლეონი და ქრისტი შეაშფოთა მომხდარმა. მათ იფიქრეს, რომ მეთიუს მოჩვენებები დაეწყო და მკურნალობას საჭიროებსო. ბიჭი ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა მშობლები სინამდვილეში. ამიტომ გადაწყვიტა უცხოპლანეტელებთან შეხვედრის ამბავიც მოეთხრო. სამწუხაროდ, არც ეს დარჩა საკმარისი მტკიცებულებად.

დაღონდა მეთიუ, მაგრამ აბა რას გააწყობდა. მშობლებთან საუბარმა მეტად დააფიქრა და გულში გაივლო, ნეტავ საერთოდ არ გამემხილა რაც თავს გადამხდაო.

იმ ღამით, ფიქრებით დაღლილ-დაქანცულს გვიან ჩაეძინა. ჩაეძინა და მომღერალი შროშანები არ დაესიზმრა?! ხედავს სიზმარში, რომ ერთ ულამაზეს თეთრ შროშანს ფეხი აუდგამს, ბალერინას მწვანე კაბა ჩაუცვამს, პუანტებზე შემდგარა და პირდაპირ მეთიუს წინ შედგა. ესეც არ აკმარა და ეუბნება – მოდი, აუცილებლად მოდი პარკში. გულისყურით მოგვისმინე და სიმღერებში ნატის ადგილსამყოფელს გაგიმხელთო.

რომ გაიღვიძა, მეთიუ ოფლში იყო გაღვრილი... მთელი ღამე არ ეძინა. ერთი სული ჰქონდა გათენებამდე. სიხარული მოჰგვარა იმის გახსენებამ, რომ კვირა დღე იყო და სკოლაში წასვლა არ სჭირდებოდა.

დილით ჩვეულებისამებრ მოწესრიგდა, ისაუზმა და მშობლებისაგან პარკში გასეირნების ნებართვა აიღო.

* * *

შროშანები სიმღერით შეეგებნენ მეთიუს. ბიჭი თითქოს სულით ყვავილებში შესახლდა, სმენად იქცა და გაირინდა.

ჰოი, საოცრებავ! მართლა საოცრებავ!

აი, რა მოისმინა ბიჭმა შროშანების ჩურჩულით ნამღერი:

ჩვენ ვართ გულთმისნები,
მთელ სამყაროს ვხედავთ,
ვიცით საიდუმლო,
მაგრამ თქმას ვერ ვბედავთ.
ნატის ახლაც ვხედავთ,
რაღა გითხრათ მეტი,
სი სულ მალე მოვა,
მშვიდად იყავ მეთი.

მეთიუ გაოცებული იყო და გახარებულიც იმის გამო, რომ საოცნებო დაიკოს იპოვიდა.

სამი დღე-ღამე ელოდა ბიჭი სის კოსმიურ ხომალდს. მესამე ღამეს, ზუსტად სამ საათზე ცა გაიხსნა და ხომალდი მეთიუს საძინებელი ოთახის ფანჯარასთან შედგა. ისევ გაიხსნა ხომალდის ხუფი, საგანგებოდ დატოვებულ ღია ფანჯარაში სი შეფრინდა. მეთიუ სიხარულით შეხვდა სანატრელ სტუმარს. სის უკვე მოესწრო კეთილი ბიჭის შეყვარება და სითბო შეაფრქვია.

მეთიუმ სცადა, მოეთხრო ნატის თავგადასავალი, მაგრამ უცხოპლანეტელმა შეაჩერა – არ არის საჭირო, შენი აზრის წაკითხვა უკვე მოვასწარი. გონებრივ პროგრამაში ყველაფერი აღრიცხული მაქვს და ადგილსამყოფელი დავადგინე. მოემზადე, ხუთ წუთს გაძლევთ და მერე ერთად გავფრინდებითო.

მეთიუმ მშობლები გააღვიძა. მოულოდნელობისა და გაოცებისაგან მათ ხმის ამოღებაც ვერ შეძლეს. მეთიუმ მათ სი გააცნო და შეეცადა დაემშვიდებინა საბრალონი. დრო არ ითმენდა. ოთხი წუთი უკვე გასულიყო. მხოლოდ გამომშვიდობება შეძლო მშობლებთან... გაოგნებული ლეონი და ქრისტი, მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონს, როცა ხომალდის ხუფი დაიხურა და მეთიუ უცხოპლანეტელებთან ერთად ზეცაში გაუჩინარდა.

* * *

ხომალდი იმ პლანეტაზე დაეშვა, სადაც სი ცხოვრობდა. მეთიუს აუხსნეს, რომ ეს პლანეტა მზის ტყუპისცალად იწოდება, რადგან მზესავით ბრწყინავს. ირგვლივ ენით აღუწერელი სილამაზეა. მზისფერი ურევია ყვავილებში, ხეებში, ცხოველთა ბეწვიც კი მზისფერია. ქალებს ოქროსფერი კულულები გაუშლიათ.

სიმ სახლში მიიწვია სტუმარი. მსგავსი სახლი ცხოვრებაში არ ენახა მეთიუს. იგი სრულიად გამჭვირვალე იყო, სრულიად უცხო ხილი, სასმელი თუ საჭმელი მიართვეს სტუმარს. ეს უკვე სხვა თემაა და ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, რადგანაც მეთიუს მიზანი თავისი დაიკოს პოვნა იყო. მთავარი კი ისაა, რომ პლანეტის ყველა მცხოვრები ლამაზები, გულკეთილები, ზრდილი და განათლებული არსებები იყვნენ.

სიმ თათბირზე პლანეტის უხუცესები მოიწვია, მათი ასაკი 500 წელს აღემატებოდა. მათ წინამძღვრად უხუცესი სახელად დუ აირჩიეს, მეთიუ ხომალდში ჩასვეს და თეთრი პლანეტისკენ აიღეს მიმართულება. გზაზე მეთიუმ ისეთი საოცრებები და სილამაზეები ნახა (რომლის მოყოლას ახლა აღარ გავაგრძელებ), რომ სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრება. თეთრ პლანეტელებს თვალებიც კი თეთრი ჰქონდა. მთელი პლანეტა სითეთრით ბრწყინავდა. მათ აღიარეს, რომ დედამიწიდან მართლაც წამოიყვანეს პატარა გოგონა, სახელად ნატი. მათი სურვილი იყო, რომ ეს გოგონა თეთრი პლანეტის დედოფალი გამხდარიყო. როცა ხომალდის ეკიპაჟის სტუმრობის მიზეზი გაიგეს, წინააღმდეგობა არ გუწევიათ. ისინი გაუძღვნენ სის და მეთიუს ნატისთან. რამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს, ნატი ცხოვრობდა თეთრი შროშანის გულში, ეს იყო მისი სახლი. ირგვლივ სხვა შროშანები და

თეთრი ვარდები გაშლილიყვნენ. მათ საოცარი სურნელი ჰქონდათ. ნატის ზრდა შეჩერებულიყო. მან როგორც კი დაინახა თავისი ძმა, იმ წუთში მოირბინა, ჩაეხუტა და მიმართა სახელით. მეთიუ გაკვირვებული იყო, თუ როგორ იცნო ნატიმ იგი, სიმ აუხსნა, რომ ეს ამ პლანეტის ატმოსფეროს დამსახურება იყო. აქ დროც სხვანაირად იყო განაწილებული. ნატი ახლა დედამიწაზე 16 წლის იქნებოდაო, აქ კი 3 წლის არისო.

ისინი გამოემშვიდობნენ თეთრ პლანეტას და გამოეშურნენ დედამიწისაკენ. გზაში საოცარი რამ ხდებოდა – რაც უფრო უახლოვდებოდა ხომალდი დედამიწას, მით უფრო სწრაფად იზრდებოდა ნატი. წინდახედულ სის შესაფერი ასაკის ტასაცმელი წამოეღო ნატისთვის.

დედამიწაზე ხომალდი მომღერალ ყვავილებთან დაეშვა და ყვავილებიც ულამაზესი მელოდიით შეეგება მათ. მშობლები და არა მარტო მშობლები, მთელი ქალაქი ზეიმობდა ნატის დაბრუნებას დედამიწაზე.

მომავალ შეხვედრამდე ბავშვებო!
ჭირი არსად, ლხინი ყველგან,
ქატო არსად, ფქვილი ყველგან.

კოალა და ციყვი ბუთქა

(ზღაპარი)

ლამაზ, დაბურულ ტყეში, ერთ მშვენიერ დღეს, ტანმაღალი, ტოტებძლიერი მუხის ხეზე ბინა დაიდო კუდბათქუნა ციყვმა ბუთქუმ და თავის შვილებთან ერთად მშვიდად და არხეინად ცხოვრობდა.

ერთხელ, მეზობელ ტყეში, ვიღაცის დაუდევრობით ხანძარი გაჩნდა. საბრალო ცხოველებმა, რის ვაივაგლახით, თავი დააღწიეს შექმნილ უბედურებას და სხვა ტყეში, სხვა ცხოვებელის გარემოცვაში ჩასახლდნენ. აქ, სხვებთან ერთად კოალაც ცხოვრობდა, როგორც ზღაპრის წიგნები გვატყობინებენ, კოალა ძალიან ზარმაცი არსებაა. როგორც ყველა ზარმაცი, ისიც ნელა მოძრაობს, უღიმღამოდ, სვენებ-სვენებით. თუკი 10-15 წუთი საკმარისი აღმოჩნდა დანარჩენი ცხოველებისათვის სახიფათო, ხანძარმოდებულ ტყეს გაცლოდნენ, ჩვენი კოალა ამ გადაადგილებას სამი დღე მოუნდა.

ამგვარი უნიათობისათვის, სოფლის ბავშვებმა, კოალას ზოზინა შეარქვეს.

* * *

ერთ დილით, როცა მზე კარგა ხნის ამოწვერილი იყო, კარგა გამოძინებული კოალა, შიმშილის გრძნობამ შეაწუხა და სასუსნავის საძებრად ტყის შუაგულისკენ გასწია.

ზოზინა ზოზინ-ზოზინით მიიკვლევდა გზას და რატომღაც სიმღერის ხასიათზეც კი დადგა, მაგრამ შეშინდა – ვაითუ, ლომებმა და მგლებმა გაიგონ ჩემი ხმა და მათი ლუკმა გავხდეო.

ამის კარგად გაფიქრება და გააზრება ვერცკი მოასწრო, რომ გააფთრებული ლომების წინ აღმოჩნდა. აღრიალდნენ ლომები – ეს რა გემრიელი ლუკმა ჩაგვივარდა ხელშიო. აღრიალდნენ და მოსაკლავად ტორებიც მოუღერეს, მაგრამ სად იყო და სად არა, მანგუსტი გამოჩნდა და კუდამოძუებული ლომები უკან გაბრუნდნენ.

ზოზინამ, როგორც იქნა, შეაღწია ტყის სიღრმეში, მიიხედ-მოიხედა და ბუთქუს მეზობლად, მაღალ მუხაზე დაიწყო აცოცება. მას უნდოდა აქ დაბინავებულიყო.

ბუთქუმ ერთი კი გადმოხედა ზარმაცუნას, და ხელი ჩაიქნია – ამ ზოზინასაგან არაფერი გამოვა. გვერდით მშრომელი, სიცოცხლის მოყვარული, მხიარული მეზობელი მინდოდა, ამ ზოზინასაგან არაფერი გამოვა, მაგრამ რა უნდა ვქნა, ბედისწერამ რაკი ეს მარგუნაო.

* * *

ზოზინა ხეზე დაახლოებით ორი დღის განმავლობაში მიცოცავდა. ყოველი ნაბიჯის შემდეგ, ათ წუთს შეისვენებდა-ამოისუნთქავდა, ტყეს გადახედავდა, მზის სხივებს გაუღიმებდა, ბალახების ჩურჩულს მოუსმენდა.

თქვენ როგორ ფიქრობთ ცუნცულებო? ამ ხნის მანძილზე ზოზინას არ მოშივდებოდა? რა თქმა უნდა, შიმშილმა, ერთი საათის შემდეგ, თავი უკვე შეახსენა; მაგრამ იმდენად ზარმაცი იყო, რომ ქვემოთ ჩამოსვლას, შიმშილი ამჯობინა.

რაღა ბერვი გავაგრძელო, ბუთქუ და ზოზინა თანხმობით, კეთლმეზობლურად ცხოვრობდნენ. როცა ბუთქუ, შვილებისათვის, საკვების მოსატანად წავიდოდა, ულუფა ზოზინასთვისას მოჰქონდა. ამასთან იგი კარგად ხედავდა, ზოზინა სანოვაგის მოსაპოველბად თავს საერთოდ არ იწუხებდა, ეს მართლა ზოზინა ისე გათავხედდა, რომ ციყვის მოტანილ საჭმელს ცალი თვალით, უმადურად გადახედავდა, თეფშს ფეხით გაწევდა და კეთილ ბუთქუს იქედნურად მიმართავდა – ეს რა ნაგავი მოგიტანია, უკანვე წაიღე და შენს შვილებს მიართვიო.

მოთმინებასაც ხომ თავისი საზღვარი აქვს, ისევე, როგორც ყველაფერს. ბუთქუმ ითმინა, ითმინა და ბოლოს, უმადურ ზოზინას ჩაუნისკარტა – წადი, წადი, შენ თვითონ იზრუნე შენი სადილისთვისო.

საყვარელო ბავშვებო, ხომ გაინტერესებთ ზოზინას რეაქცია ბუთქუს სიტყვებზე?

და აი, რა მოხდა: ზოზინამ იფიქრა, რომ ბუთქუ აშინებდა – როგორ თუ გაბედავს და საჭმელს არ მომართმევსო. მაგრამ მოტყუვდა ჩვენი ზარმაცუნა – ბუთქუ, თავისი სიტყვის ერთგული დარჩა.

* * *

შავი დღეები დაუდგა ზოზინას – არ იცის, რა ქნას? ხის კენწეროდან ჩამოცოცება ეზარება. ბუთქუს, საჭმელი უკვე აღარ მიაქვს.

იფიქრა, იფიქრა, იფიქრა ზოზინამ და აი, რა მოიფიქრა: წავალ, ციყვს მოვუბოდიშებ, შემოვირიგებ და ნუგბარი არ მომაკლდებაო. მაგრამ ციყვი ძალიან გონიერი ცხოველია ბავშვებო. იგი მიუხვდა ჩანაფიქრს ამ ზარმაცუნას და უთხრა: შენი საჭმლისთვის შენ თვითონ იზრუნე, ჩვენი დახმარების იმედი ნუ გექნებაო.

იქვე, მოპირდაპირე მხარეს, ხის ფუღუროში ორი ფეხსაცმელი ცხოვრობდა. გაგიკვირდათ, არა?

აი, საქმე რაში იყო: ფეხსაცმელები ერთ ზარმაც კაცს ეკუთვნოდა, სახელად – უსაქმურას. იგი ფეხსაცმელებს არ უვლიდა. არასოდეს წმენდდა, არ გაამზეურებდა. ლაკით გაპრიალებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მოისროდა მათ იქეთკენ, სადაც ტალახიანი გუბე იდგა და მერე არც კი მოიკითხავდა.

საბრალო ფეხსაცმელები სულ გაჭუჭყიანებულები და გაუბედურებულები იყვნენ, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, გაქცეოდნენ ამ ფეთხუმ კაცს და ასეც მოიქცნენ. მათ თავი მოიწესრიგეს – ტალახი მდინარეში ჩამოირეცეს, მდინარის ნაპირას მზეს მიაცხუნეს სველი ტანი და მანამ შრებოდნენ, სანამ ლაპლაპი არ დაიწყეს. ბოლოს, ტყეში, ხის ფუღუროში შეძვრნენ.

ფეხსაცმელებს შეებრალათ ზოზინა და მიიღეს გადაწყვეტილება, მისთვის ყოველდღიურად საკვები მიეწოდებინათ, ასე გრძელდებოდა კარგა ხნის განმავლობაში. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მათაც მობეზრდათ ამ უსირცხვილო, უმადური ბიჭის სამსახური და თავი მიანებეს.

ყველასგან ზურგშექცეული, უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა ზოზინა. რის ვაი-ვაგლახით ძლივს ჩამოცოცდა ხიდან და ყველა მეორე გამვლელ ნადირს ავალდებულებდა, მისთვის სადილი მიეტანათ.

გაოცდნენ ტყის ბინადარნი – ეს რა უზრდელი და უსაქმური ვინმე ყოფილაო. ჩვენ შენი მოსამსახურეები ხომ არა ვართო, ყოველდღე რომ ხელებში მოგვჩერებიხარო. ციყვს შვილები ჰყავს სარჩენი, ფეხსაცმელები ძლივს გამოექცნენ უსაქმურ პატრონს და თავშესაფარიც თვითონვე იპოვეს; ჩვენ, თითოეულს, ჩვენი ოჯახები გვაქვს, კეთილი ინებე და თავს თვითონ უპატრონეო.

ზოზინა უმალვე მოეგო გონს. იგი მიხვდა, რომ მათხოვრობით ვერაფერს მიაღწევდა და ცხოველების პატივისცემასაც დაკარგავდა.

ჩაიქნია საბრალომ ხელი და დაიწყო სურსათის მოპოვება.

როცა ყველამ დაინახა, რომ ზოზინა გამოსწორდა, სურსათის მოპოვებაშიც გაუწიეს დახმარება და საჭმლის მომზადებაშიც.

ზოზინა ჩაება შრომის ფერხულში. მას უკვე ზოზინასაც აღარავინ ეძახდა. „ბატონო კოალა“ – ასე მიმართავდნენ ტყის ბინადარი მეგობრები. ისიც, ყველასთვის ყოველგვარ საქმეში ხელის გამმართავი იყო. როცა ცხოველები სანადიროდ წავიდოდნენ, თავიანთ პატარებს ზოზინასთან ტოვებდნენ.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
წვიმამ უკვე გადაიღო.
ის ფეთხუმი კაცი არ ჩანს,
უსაქმურაც გამქრალიყო.
კარგის მთესველს მზე ათბობდა,
ბოროტება არსაც იყო.
ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო!..

ᲓᲐᲘᲐᲜᲐ ᲓᲘ ᲕᲠᲘᲛᲐ

ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ

უარი – ძლიერ მამაკაცებს, ტანზე მსუბუქად შემოსილებს,
ნელი ნაბიჯებით რომ გადიან სამზარეულოს,
თბილები და სულელები.
უარი – საკუთარ თავს, მძინარე ბავშვის გვერდით
კნუტივით მწოლიარეს, მაცდურად გაღიმებულს.
უარი – მოკლე კაბებს. ღრმა ამოსუნთქვებს.
უარი – გვერდზე ეჭვით გახედვას,
გაიგეთ თუ არა ჩემი წაკითხული ლექსი.
უარი – მყუდრო ბაღებს და წინა ეზოებს.
ჩემი კატები არასოდეს გასუქდებიან.
მე ალბათ არავინ ჩამაცმევს მაისურს.
ვერასოდეს ვისწავლი მაკიაჟს.
ვერ შევძლებ მშვიდად ყოფნას იმ მანქანაში,
რომელსაც სხვა მართავს.
უარი – წრეზე სიარულს.
უარი – ჭადრაკის დაფიან ლინოლიუმს.
უარი – ჭურჭლის სარეცხ მანქანას და სხვა დანარჩენსაც.
უარი – ყვავილებს და მიმზიდველ ფეხებს.
უარი – სევდიან ლექსებს ქორწინებაზე.
ქარი ის არის, რაც მამაკაცები არიან.
ხოლო ჩემი ლექსები ზღვაა.
ბავშვები მაღლობზე ამოსული ბალახებია ან ხეები,
ისინი იქ რჩებიან და არსად მიდიან.
უარი – ცისარტყელებს.
ამ წყლის ფრინველებს, რომლებსაც ჰგონიათ

რომ უნიათო ჩაყვინთვით დიდ თევზს მოიხელთებენ.
შეგიძლიათ ფსონი დაუდოთ ჩემ უშფოთველობას,
რომ ყველა მოსახდენს მშვიდად შევხვდები.
ყველა ჩემი მოგონება ერთად აიყარა.
არ ვიცი სხვებმა რა დაუშავეს ერთმანეთს,
არ ვიცი რაში შევცდით, მაგრამ მე ყველა ნაწერი დავწვი,
სადაც შენს თვალებს და ღიმილს ვაწყდებოდი.

სიმღერა ჯერ არ დაბადებულისთვის

ჩემო სიყვარულო,
როცა შემოგაგდებენ ამ სამყაროში,
შენ აღმოაჩენ ერთ პოეტს,
რომელიც მუდამ ნაკლული იყო.

ვერ დაგპირდები, რომ
ჩემს ხელში არ მოგშივდება,
ან არ მოიწყენ ამ ქაოსურ და მსხვრევად გლობუსზე.

მაგრამ ჩემო პატარავ, მე შემიძლია
დაგანახო რომ სიყვარული
სავსებით საკმარისია, გულის
სამუდამოდ დამსხვრევისთვის.

საღამო ტაოს ხეობაში

როგორ მოვაღწიეთ აქამდე?
ჩემი ძვლები მეკითხებიან.
ქვიშიან ხეობაში თეთრად გაწოლილან და საკუთარ თავს უცქერენ.
მათ არ მოსწონთ ეს ყველაფერი.

მთვარე, რძისფერი თავისქალა, მიტოვებული სახლის მიღმა ზის,
სახლი კი დნება.
ის ნაწილ-ნაწილ მინდორი ხდება.

რომელია სარეველა?
ბაღი ნელ-ნელა მიცოცავს წინ,
ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ გამოქვაბულში, ტალახით სავსე ქვის იატაკზე.
აქ მხოლოდ ერთი ფუფუნებაა, წყალი მოდის.

რევოლუციური წერილი #87

ჩვენ იშვიათი ველურები ვართ,
როგორც მთის მგლები,
ჩვენი გული წმინდაა და
ამავე დროს სულელი,
რადგან საკუთარ ნებას მუდამ
ორმოში ვაგდებთ.

რევოლუციური წერილი #90

უძველესი ისტორია
ქალები განერთხნენ მიწაზე, რათა შეეჩერებინათ ბულდოზერები,
რომელიც გამოაგზავნეს უკანასკნელი ზეთისხილების გასანადგურებლად.

ჩრდილი

მე ყინულის ჩრდილი ვარ.
მე ვარ წყალში ჩაჟანგული დანა,
მე ვარ ყინვისგან ამოჭმული მსხლის ხე,
ჩემი მხრებით ავწიე მთები მაღალზე,
მინისგან დაჭრილი ტერფებით მივეშურები
ქარიან ხეებში, სიბნელიდან გამოღწეული.
ოქროსფერ ღრუბელზე გადამახვიეს.
სტვენაში ქუდი დავკარგე.
ჩემი თვალები საჭმელია არწივებისთვის.
ჩემი ყბა აკრულია ვერცხლისფერი მავთულით.
ხშირად ვიწვოდი და ჩემი ძვლები სასუპე გახდა.
მე ვარ უზარმაზარი ქვის ქანდაკება კლდეზე გამობმული.
მე შეუჩერებელი ქარბორბალა ვარ.
მე უშიშრად ვიმზირები დამტვრეული კარადებიდან.

ინგლისურიდან თარგმნა **ეკა ჭითავამ**



სტივენ კრეინი

* * *

ეს ყველაფერი ჩემამდე იყო
ეს ყველაფერი ჩემამდე იყო,
თოვლი, ყინული
და მწველი ქვიშა.
ამ განსაცდელში,
მე მაინც შევძელი
უსაზღვრო მშვენიერების დანახვა.
მე დავინახე მისი სილამაზე,
როგორ სეირნობდა ხეების ჩრდილქვეშ.
როცა გაოცებით შევხედე,
მხოლოდ ის დარჩა და მის ირგვლივ
ბრწყინვალება.
ამ განცვიფრებით, უცებ გაჩნდა მასზე ოცნება.
ასე თანდათან ჩემთან დაბრუნდა
თოვლი, ყინული და მწველი ქვიშა.

შენ მე გიყვარვარ

შენ მე გიყვარვარ
და მეც მიყვარხარ.
მაგრამ შენ ახლა ცივი და გაუბედავი ხარ.
დიახ, ასეა მაგრამ ძვირფასო,
როცა ვესწრაფვი შენ სიახლოვეს,
ადამიანთა ათასი აზრი,
ჩემი მშფოთვარე არსებობა,
ჩემი ცხოვრება
ამ სამყაროს მწარე ნაღველს თავზე მაფენს, როგორც საქორწილო ფატას
და ეს არ მიკვირს, ყოველ ნაბიჯზე ცრემლი ხმაურობს, ვერაფერს ვბედავ.

თუ სიყვარული მხოლოდ თავისთავს ყვარობს,
არც სამყაროა და არც სიტყვა,
ყველაფერი დაკარგულია.
მასზე ფიქრები
ოცნებაში დავაბინავე.
გიყვარვარ?
მე მიყვარხარ.
შენ ახლა ცივი და გაუბედავი ხარ,
მაგრამ ძალზე ძვირფასიც ხარ.

მე გავიგონე შენი სიცილი

მე გავიგონე შენი სიცილი
და ამ სიხარულში, მე განვსაზღვრე ჩემი ტკივილის წონა.
ვიცანი ჩემი მარტოობა,
მარტოსულობა ამ სიყვარულში,
საბრალო, ათრთოლებული სიყვარული.
ერთხელ პატარა მოჩვენებამ მომინახულა,
შუაღამისას, ჩვენ ორნი ვგავდით ცეცხლით გადამწვარ კარავის ნარჩენს.

მე დავინახე კაცი, რომელიც მისდევდა ჰორიზონტს

მე დავინახე კაცი, რომელიც მისდევდა ჰორიზონტს,
სწრაფს და მბრუნავს.
წუხილმა მძლია და მივეახლე,
„ამაოა ეს ყველაფერი“
„შენ ვეღარ შეძლებ“
„შენ ტყუი“ აღრიალდა ის და გაიქცა.

მარტოხელა სიყვარული

სიყვარულმა მარტომ იარა.
კლდეებზე მას მოჰკვეთეს ნაზი ფეხები.
მაყვლის ეკლებმა დაკაწრეს მისი სათუთი მკლავები.
მასთან მოვიდა თანამაგზავრი,
მაგრამ ვაი რომ ვერ დაეხმარა,
რადგან მას ერქვა გულის ტკივილი.

* * *

მითხარი რატომ ვამჩნევდი
შენთან სხვა
სიყვარულის ჩრდილს?
ეს სინამდვილეა თუ ის სამჯერ დაწყევლილი მოგონებაა შესაძლო ბედნიერების?
დასწყევლოს ღმერთმა თუ კი მკვდარია,
დასწყევლოს ღმერთმა თუ ცოცხალია.
მისი საზიზღარი აჩრდილი მხეცივით იჭრება ჩემსა და სიმშვიდეს შორის.

მე ვიყურები

მე ვიყურებ აქაც და იქაც,
ვერსად ვხედავ ჩემ სიყვარულს.
ალბათ იმიტომ, ახლა ის ჩემს გულშია.
გულწრფელად, არ გამაჩნია საყვედური,
ის შეიძლება მართალზეც მართალი იყოს,
ის არსადაა ისეთი კარგი,
როგორც ჩემს გულში.

სამყარო და ადამიანი

ადამიანმა უთხრა სამყაროს:
„ბატონოვ ჩემო, მე ვარსებობ“

„თუმცა“ უპასუხა სამყარომ
„ამ ფაქტით მე ვერაფერს მავალდებულებ“

* * *

დავდიოდი უდაბნოში და ვტიროდი,
„ო, ღმერთო წამიყვანე აქედან“
უცებ ხმა გაისმა: „ეს არაა უდაბნო“
მე კი ვტიროდი: „როგორ თუ... ქვიშა, სიცხე, ცარიელი ჰორიზონტები...“
ხმა კი კვლავ განმეორდა:
„ეს არ არის უდაბნო“.

მე - სიბნელეში

სიბნელეში მყოფმა
ვერსად ვნახე ჩემი სიტყვები,
ვერც სურვილები,
უცებ კი საოცარი შუქი გამოჩნდა: „შემომიშვი ისევ შენს სიბნელეში“

ანგელოზები

რამდენიმე ანგელოზი დედამიწას მიუახლოვდა.
მათ დაინახეს სავსე ეკლესია.
ხალხი, მცირე, შავ ნაკადებად
მიდი-მოდიოდა.
ანგელოზები საგონებელში ჩავარდნენ,
ისინი ვერ მიხვდნენ რატომ ძრწოდა ხალხი ამგვარად და
რატომ სურდათ დიდხანს დარჩენა იქ.

დიახ, მე მაქვს ათასი ენა

დიახ, მე მაქვს ათასი ენა
და მასზე ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი
ტყუილი დევს,
მე იმ ერთ სიმართლეს ვესწრაფვი მუდამ.
თუმცა მას არ შეუძლია ჩემი სურვილების მელოდია გააჟღეროს,
რადგან მკვდარი დევს ჩემს ენაზე.

ინგლისურიდან თარგმნა **ეკა ჭითავამ**

შორენა
მახაჭაძე

პოეზიის იუბილე – დავით თედორაძე – 75

„სამშობლოში სამში ორი
ყვარყვარეა თუთაბერი,
გმირობაში ჩაგეთვლება,
პატიოსნად თუ დაბერდი“ –

ეს სიტყვები პოეტ დავით თედორაძეს ეკუთვნის და ის ზუსტად შეესაბამება იმ მოქალაქისა და ერისშვილის პიროვნულ პორტრეტს, ვინც დარჩა ბოლომდე მართალ კაცად, უამრავი ეპოქა, მთავრობა, თანამდებობა მოიარა, მაგრამ ქაოსისა და ნგრევის, ტრადიციულ ეთიკურ ღირებულებათა გაუფასურების პერიოდშიც არაფერი არევია, თავისი ზნეობრივ-მამულიშვილური პრინციპებიდან არ გადაუხვევია, მუდამ გამოირჩეოდა ადამიანური ურთიერთობების მაღალი კულტურით, მტრისა და მოყვრის გარჩევის უნარით, უშურველობით, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან მათ ენაზე საუბრის ნიჭით. შემთხვევით არ თქვა შემოქმედის 75 წლის იუბილეზე ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა როი აბუსელიძემ: აჭარაში მამათა და შვილთა დაპირისპირება მწერლებს შორის არ ყოფილა და ეს საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარის – დავით თედორაძის – დამსახურება გახლავთო.

დავით თედორაძემ აქცია ახალი თაობის ხელოვანთათვის აჭარის მწერალთა სახლი მშობლიურ კერად, სადაც ყველა ნიჭიერი პოეტისა და პროზაიკოსისთვის ღიაა კარები. უფრო მეტი, მისივე ძალისხმევით შეუნარჩუნდა ამ კოხტა, ქათქათა სახლს ტრადიციული სტატუსიც და კიდევ უფრო დამშვენდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბატონმა დავითმა ღირსეულად განაგრძო მისთვის ესოდენ სათაყვანო და მისაბაძი დიდი ფრიდონ ხალვაშის ტრადიცია, უდაოდ, ის მისი ღირსეული მემკვიდრეა, როგორც პოეტი და როგორც აჭარის მწერალთა თავკაცი.

ამაზე ასე დაწვრილებით იმიტომ დავიწყე საუბარი, რომ დავით თედორაძის პიროვნება და შემოქმედება ძალიან ჰგავს ერთმანეთს: ორივე მართალი, გულწრფელი, სადა და გულიანია, ორივე, უპირველესად, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ბედზე მოფიქრალია, ორივეს ეჯავრება ყალბი, თავმოსაწონებლად ნასესხები უცხო-მოდური სამკაულები ლექსისა. დღეს უკვე შეგვიძლია შევაჯა-

მოთ ის დიდი გზა, პოეტმა და მოქალაქემ – დავით თედორაძემ რომ გაიარა, თუმცა გასავლელი, გასაკეთებელი, სათქმელი და ლექსად ჩამოსაქნელი კიდევ ბევრია.

მაშ ასე, ქართული კლასიკური ლექსის სინათლე და გამჭვირვალება უმთავრესი დამახასიათებელია დავით თედორაძის შემოქმედებისთვის, მისთვის მთავარია არა გარეგნული ეფექტურობა, არამედ სათქმელის სიღრმე და მკითხველამდე მისი უცდომლად მიტანა, მის ლექსს საკეკლუცოდ არ სცალია, რადგან საფიცარი საქართველო მუდამ გასაჭირშია. ამ კუთხითაც ძალიან ჰგავს დავით თედორაძის პოეზია ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებას. ერთ-ერთ წერილში ბატონი დავითი ამბობს: „ფრიდონის ლექსები გამრჯე ხარივით ეზიდება სამშობლოს ჭაპანსო“, სხვაგან კი უზუსტესი და მოხდენილი მეტაფორებით ასე ახასიათებს აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვისა და გენის უპირველეს ჭირისუფალს:

„მე ვინც მიყვარს –
არ ბერდება,
არ აცვდება კურთხეული დიბა,
საქართველოს მტერთან მტრულად აენთება,
საქართველოს მტერს თვალებით თიბავს...“

დავით თედორაძის პოეზიაში რამდენიმე უმთავრესი კონცეპტი გამოიყოფა, მათ შორის უპირველესი და უმთავრესია საქართველო, რომელსაც რამდენიმე კონოტაცია გააჩნია. ის იწყება პირმომცინარე ერგეს სანახებიდან და „საყელოზე ზღვამიბმული“ ბათუმიდან, ისინი არიან პოეტისთვის სიყვარულის უპირველესი მასწავლებლები და მთავრდება ორადგახლეჩილი სარფის, მარადიდის, მაჭახლის, ბორჩხის, ართვინისა და ტაო-კლარჯეთის ცრემლით, ალბათ, ამიტომაც აღიქმება დავით თედორაძის პოეზია სამშობლოზე თქმულ ერთიან საგალობლად; საქართველო, მისი ავ-კარგიანი წარსული და დიდი წინაპრები, მისი შფოთიან-წუხილიანი აწმყო, როცა „შევეგუეთ სარფში წერტილს..., ენგურს გაღმა დასმულ მძიმეს...“ და მისი, მიუხედავად ყველა სატკივარისა, მაინც მზიან-ღიმილიანი მომავალი – არის პოეტის მარადუკვდავი მუზა, მისი მკურნალიც, მისი ჭრილობების მომშუშებელი მალამოც, მისთვის ცოცხლობს და იღვწის მშობლიური ფესვებიდან ამოზრდილი ხელოვანი, ვის სტრიქონებშიც ასე ძალუმად იგრძნობა ქართული მიწის სუნთქვა:

„მწარეა შენი ტკივილი,
გრძნობა ამუნჯებს ენას,
ნეტავ მალამოდ მაქცია,
შენს მკერდზე დასაფენად“.

ამიტომაც ასე ელოლიავება თითოეულ ქართულ სიტყვას და კვლავ და კვლავ გვახსენებს აქსიომატურ ჭეშმარიტებას, რომ ქართული ენა ქართველთა ეროვნული იდენტობის უპირველესი განმსაზღვრელია, „ენა სამშობლოს გულია“, რომ ქართულმა ენამ აჭარაში ქართველობა გადაარჩინა, ამიტომაც სავსებით გასაგები და მისაღებია დავით თედორაძის მკაცრი ტონი, როცა ის ეროვნულ გრძნობას მოკლებულ უღირსებოთაგან კატეგორიულად მოითხოვს:

„არ არსებულა,
არ თქმულა,
ზღვა ამოევსოს მდინარეს,
მელაპარაკე ქართულად, –
გუმბათი ეტყვის მინარეთს“.

მით უმეტეს, რომ აჭარა ის მხარეა, სადაც:

„ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში“.

ამ შუქს ტბეთის დიდი, სულის მაცხოვნებელი ტაძარი არ აძლევდა ჩაქრობის საშუალებას, ის ჩირაღდანივით უნათებდა, ღვთაებრივი ფარდაგით იფარავდა ქართველ მრევლს, მის იმედად იდგა ერგე, კირნათი და მარადიდი:

„უფლის კვართით დაწინდულ
საქართველოს შვენოდი,
წუხდი,
ჟამით დაბინდულს
გარბევდნენ,
ვერ გშველოდი“.

ასე დაარბიეს და ჩაუქრეს შუქი ძველი დიდების მოწმე იშხანს, ხახულს და ბანას... მართლაც, სულისშემძვრელი ტკივილით წერს პოეტი, ქვაც ატირდება მათი გაპარტახების მნახველი:

„ქვაც იტირებს,
ამდენი ხნის უმირონო,
უკურთხები,
ჩაქცეული გუმბათები,
ჩალეწილი ჩუქურთმები“.

როგორც ვთქვით, დავით თედორაძის პოეზიაში უმთავრესი კონცეპტის „საქართველო“ ერთ-ერთი კონოტაცია უკავშირდება ხაკისფერი ღობით ორად გაყოფილ ქართულ სოფლებს, სარფს, ის ხან ერთი სისხლის ერთგულ წაწლებად წარმოუდგება პოეტს, ხან – დაკარგულ ნაკრძალად, რომელ-საც ცრემლის გარეშე ვერ გაიხსენებ:

„...და ვგრძნობ, ამ მიწის დიდი ვალი მაქვს.
...სარფი – ტკივილი, სარფი – სიზმარი,
და გაფრთხილება ჩვენი მარადი...
მე გუშინ, ძმებო, სარფში ვიყავი
და სოფელივით დავპატარავდი“.

მიუხედავად ყველაფრისა, დავით თედორაძის ჩვენებურებისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი მზიური ოპტიმიზმითაა სავსე, მას სჯერა, რომ სისხლის ყივილი გააღვიძებს ქართველთა გულს:

„იყო კითხვები,
გახსენება –

პაპის,
დიდედის,
ჭოროხს ეფინა
სასწაული სხივი იმედის“.

ამ ოპტიმიზმის საფუძველს დავით თედორაძეს ბევრი რამ აძლევს: ასე მშობლიური თამარის ხიდი და ყვავილები, ტყუპისცალივით აჭარისწყლის მსგავსი ხეობები და, რაც მთავარია, და ჩვენებურების, მართლაც, ჩვენებური ხასიათი, შემთხვევით კი არ ამბობს პოეტი: „ვცნობ ქართველებს ღიმილზეო“:

„სულ ჩვენებური ხასიათი...
აზავთებული...
სიტყვაც,
პასუხიც,
სათნოებაც,
მზერაც მეფური,
ისე ამშვენებთ,
როგორც მიწას,
ან ხეს – ყვავილი...“

დავით თედორაძე იმერხეველ ქართველებს – „თვალებსაცერა გურჯებს“ – არაერთ მშვენიერ ლექსს უძღვნის, ეფერება, სთხოვს ენისა და გენის ერთგულებას:

„რა კარგები ხართ,
რა საყვარლები,
ასე ამაყად თავი გეჭიროთ,
გადაგერჩინოთ ენა ქართული
და ქართველობა გადაგერჩინოთ.
როგორ გიხდებათ
სიტყვა-პასუხი,
როგორ იმშვენებთ მზერას ზნეკეთილს,
ეგეთი მახსოვს ჩვენი პაპები
და დიდედებიც მახსოვს ეგეთი“.

დავით თედორაძის პოეზიაში წინაპართა ცოცხალი, მომხიბლავი პორტრეტებიც იხატება, ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში, რომელთა სახე და საქმე, სიტყვა და დარიგება მუდამ თან დაჰყვება პოეტს, ამიტომაცაა მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები ასეთი გულშიჩამწვდომი ინტიმითა და სითბოთი სავსე. ლექსში – „ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა“ – უსაზღვრო სიტკბო და სიყვარულია, მასში ლამაზად ჩანს პოეტის ფესვები, ის, რამაც დავით თედორაძე აქცია იმ კაცად და შემოქმედად, რომელსაც ვერანაირი ავბედობა ვერ ჩაუქრობს ადამიანის, სიკეთის რწმენას, ვერ დაავიწყებს იმას, რაც მრავალშვილიან ქართულ ოჯახში შეითვისა: უანგარო სიყვარული, ერთმანეთის თანადგომა, „მეგობრობა გზად და ხიდად“, სიბრძნე და ერისშვილობა:

„ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა,
ჩემი და-ძმების შუქით გამთბარი,
მე კი,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ –
მიახლოვდება ტკბილი ზამთარი“.

დავით თედორაძე ხატავს მამის მომხიბლავ პორტრეტს – „ამაყს, გულუხვს და გულდიდს“:

„მამა იყო ახოვანი,
გუმბათივით აზიდული,
ბაყბაყდევის ძალა ჰქონდა
ზნეკეთილი ბავშვის გულით“.

ბაყბაყდევის ძალა და ბავშვივით გულუბრყვილო, სუფთა გული – კონტრასტულ სახეთა ეს გასაოცარი სინთეზი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე, ამას ემატება მამის სიბრძნე, ავტორიტეტი – „სოფელს მისი ჰქონდა რიდი, სიტყვას მისას ჰქონდა წონა“, მაღალზნეობრიობა და ჩვენ აღარ გვიკვირს, რომ დავით თედორაძემ – მოქალაქემ, მოღვაწემ, შემოქმედმა შეძლო ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების გზის ღირსეულად გავლა, ისე, რომ არ უღალატია ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული ადამიანური ცხოვრების კანონებისთვის. ასეთ ოჯახებში აღზრდილთ არ ემუქრებათ „გაუცხოების სენი“.

დიახ, სამშობლო წინაპრებია, მათი ზნეკეთილი საქმე და სახელია, მაგრამ სამშობლო მომავალიცაა, რომლის საძირკველიც ისევ და ისევ ქართულ ოჯახშია, შვილების სიმრავლეშია, მათ ღირსეულ მამულიშვილებად აღზრდაშია, მათ უნდა ააშენონ, დაამშვენონ, გაალამაზონ და ისევ და ისევ ააღორძინონ დიდი დავითისა და თამარის ლიბოდადებული საქართველო:

„ხვალ უსათუოდ
საქართველო გალამაზდება
ჩემი თეათი,
შორენათი,
ჩემი ირაკლით,
და აღსრულდება ყოველივე, რასაც ვინატრი.
ისევ თეათი,
შორენათი,
ისევ ირაკლით –
იგრძნობს მამული მოჭარბებულ გრძნობას სიახლის“.

ამ ლამაზი იმედიანი სტრიქონებით მინდა დავასრულო ეს საიუბილეო წერილი და ვუსურვო ბატონ დავითს, რომ არასოდეს გაეხადოს „ცეცხლის პერანგი“, არასოდეს ენახოს გორგასალივით ძლიერი ქართული სულის მოდრეკა, კვლავაც გამხდარიყოს „აღმაშენებლის ბოკვრების“ გამრავლებისა და ქართული სისხლის მქუხარების მომსწრე, კვლავაც ედიდგულოს „ჩვენი ქართველობით, ღვთიურით!“

ნაჯყვიარ-უარყოფილი სულის აღსარება

(ნანა ნანო შაინიძის პოეტური კრებული „რიგითი“)

„სულის ჭრილობები რომ სახეზე დამმჩნეოდა, ყველაზე
ნაიარევი ქალი ვიქნებოდი დედამიწაზე, ალბათ...
ჩემი სახე, ჩემივე სულის ნიღაბია!“

ნანა ნანო შაინიძე

„არც გაშლილი ატმის ყვავილებიდან დავბადებულვარ და არც დამსკდარი ბროწეულის სიხასხასე დამყოლია იმთავითვე“ – რაღაც ძალიან დიდი ნაღველისა და იმედგაცრუების გამომხატველ ფრაზად მეჩვენა პირველივე სტრიქონები, რომლითაც ნანა ნანო შაინიძე თავისი ნატყვიარ-უარყოფილი სულის თავგადასავლის თხრობას იწყებს, ეს ტკივილიანი განცდა – ხასხასა ფერებიანი ცხოვრების დღესასწაულის ვერმოხელთებისა – პირველიდან ბოლო სტრიქონამდე მიყვება მის პოეტურ კრებულს, რომლისთვისაც სიმბოლური სათაური შეურჩევია პოეტს: „რიგითი“. მას მრავალგვარი დატვირთვა აქვს – ერთ-ერთია, ალბათ, ისიც, რომ ავტორი ქართული პოეზიის რიგით ჯარისკაცად თვლის თავს, თუმცა ის ადამიანი, ვისაც სხვაზე ფართოდ აქვს თვალები გახელილი, სხვანაირად ხედავს და გრძნობს, უფრო მეტი, შეუძლია ამ ემოციების მკითხველამდე მიტანა, მასში თანაგანცდის გამოწვევა, მისი დაჯერება – ვერაფრით ვერ იქნება რიგითი.



„ძალიან ცუდია, როცა შენ გჯერა და სხვები არ გიჯერებენო“ – (ნანა ნანო შაინიძე, „რიგითი“, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2023:3) *[შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს]* – ესეც პოეტის საწუხარია, თუმცა, ვფიქრობ, მსგავსი შეგრძნებაც წარსულში დარჩა, რადგან ნანო შაინიძის პოეტურ სტრიქონებში მოქცეული, ათასგზის დაფერფლილი და მაინც ფენიქსებრ აღმდგარი სულის აღსარება ხატოვანიცაა, გულწრფელიც და დამაჯერებელიც.

ავტობიოგრაფიული ჩანახატით დაწყებულ პროზაულ სტრიქონებს (რომელთა ლირიზმსა და სინატიფეს, მეტაფორულობასა და შინაგან რიტმს ისინი პოეტური პროზის რანგში აჰყავს ამავე ავტობიოგრაფიის უკვე პოეტურ სტრიქონებში მოქცეული, ვერთქმულ აღსარებად სახელდებული ფრაგმენტები ენაცვლება. პოეტი ქალი ცდილობს თავის სულზე ჩამოფარებული ფარდების გადაწევას, ამ ფარდებს უკან მიმალულ-მიყუჩებული, მზის ხასხასა ფერებზე მეოცნებე მარადიული ბავშვის გაცოცხლებას, იმ დაუღამებელი დღეების ხიბლისა და ჯადოს ხელახლა შეგრძნებას, ალბათ, უფრო – სულში სათუთად გადანახვას, თუმცა პოეტი იმასაც დიდებულად გვაგრძნობინებს, რომ რეალურ ცხოვრებაში რთულია ჩაჟამებული დღეების „არდაღამება“:

„ვიდრე წვიმას ზღაპრებს ვუყვებოდი, დღეები დამიღამდნენ,
მოიკეცნენ,
მხრებზე ვეება მთები ჩამოიყუდეს...
დამძიმდნენ!“ (8)

ეს იწვევს მარადიულ გაორებასა და ამბოხს პოეტის დაჭრილ სულში: „დაუღამებელი დღეების შემნარჩუნებელ“ და ცხოვრების „ალიყურნაჭამ“, მიძინებულ მზეებს შორის (9).

ამ ალიყურის ავტორებს კი რა გამოლევს წუთისოფელში, მით უმეტეს ისეთი ფაქიზი შეგრძნებების, ისეთი ნაზი და იოლად მსხვრევადი სულის ადამიანებისთვის, როგორებიც პოეტები არიან. მათ უდიდესი ნიჭი დაყოლიათ უფლისგან – სამყაროს, ადამიანის უანგარო, თვითშეწირული სიყვარულის ნიჭი და უნარი, თუმცა ამის დამნახავ-მიმღები ბევრი არ გაუჩენია ქვეყნად, ამიტომაც ასე მწარეა იმედგაცრუება, ასე უსაზღვროა უმადურობით გამოწვეული გულისწყვეტა:

„მზეამოწვერილ დილას მოვდევდი შენს ფეხდაფეხ მსახურად
და გმსახურებდი მზის ჩასვლამდე,
გყმობდი...
გაღმერთებდი...
განაყრებდი...
გირეცხავდი...
გილაგებდი
და მეტიც,
გალაგებდი...
მერე ღამესთან ერთად მთვარეს მოვყავდი
შენთან გახელებულ ავაზად და
სისხლს გიდუღებდი,
ფაფარაშლილ ლომს გამსგავსებდი...“ (10)

მაგრამ თუ ღმერთი არასოდეს გისმენს, შენს მორჩილებასა და ერთგულებას, შენს ლოცვასა და მსახურებას გულგრილობით პასუხობს, შენც თავს ნაღალატევად გრძნობ და ირჩევ თავისუფლებას: სიყვარულისგან, ერთგულებისგან, რწმენისგან თავისუფლებას, რომელიც უფრო დიდ მონობად გიბრუნდება – ასეთია ბედისწერის მწარე ირონია, ცხოვრების მიერ დადგმული ფარსი, რომელსაც სულაც არ აწუხებს „დაღლილი სხეულიდან გაქცეული სულის“ (11) თავაწყვეტილი ვნებები.

ნანა ნანო შაინიძის ლირიკაში ყველაზე ცრემლიანი, ტკივილიანი, მრავალი მნიშვნელობით დატვირთული სიტყვა-სიმბოლოა გაუცხოება: საკუთარი მე-სგან, საკუთარი ვერშერგებული ბავშვობისგან, კვლავ და კვლავ თავიდან გამოსაგონებელი სატრფოსგან, ფერებწაშლილი სამყაროსგან, უახლოესი ადამიანებისგან გაუცხოება... უსაშველოდ დამთრგუნველი მაინც საკუთარი სისხლ-ხორცის – შვილებისაგან – გაუცხოებაა. პოეტმა-ქალმა შეძლო ღრმა ემოციით, ერთი მძლავრი კომპოზიტით გადმოეცა დედის ქვესკნელთ უღრმესი სევდა:

„ჰოდა, ჩვენმა შვილებმა
გამიუცხოიავნანეს...“ (11)

შვილებამდე ვერ აღწევს „შვილებისაგან მკვდარი დედების“ „ჩამოსისხლული“ წერილები:

„მე ვიცი, როგორ წერენ
ვერწაკითხულ წერილებს – შვილებს, დედები...
დამპირდი, რომ შენ ეს არასოდეს გეცოდინება“ (33).

სწორედ მაშინ, როცა შენი სულისა და ხორცის ნაწილი გიუცხოვდება, როცა მარტოდმარტო რჩები „ჯერვერნაპატიები დედობისა და სისხლის ყივილის იმედად“ (6), იწყებ სიკვდილზე ფიქრს, სიკვდილზე, რომლის ხელშია ყველა კითხვითი ნიშნის ერთი ხელის მოსმით წაშლა, ყველა ვნებისა

და ფიქრის ერთ წამში არარად ქცევა, სიკვდილმა შემოჩვევაც იცის, გაორებაც, გასამებაც და ვაი მას, ვისაც თვალს გაუსწორებს, ვერანაირი ცრემლის ზღვა ვერ მოალბობს და:

„ცრემლებგამომშრალ თვალის შრეებში,
ნირშეუცვლელი ნიშნისმოგებით
ჩადგა სიკვდილი“ (14).

ხშირად ასეთ დროს სიკვდილს თავად დაეძებს პოეტი, მისი საიდუმლოს ამოსახსნელად ის ჯარშიც წავა რიგით ჯარისკაცად, სიკვდილს შეეჩვევა, დაუზავდება:

„მე იმ დღიდან გავურიგდი სიკვდილს,
ჯარისკაცის ფარაჯა რომ მოვირგე!..“ (16)

ნანა ნანო შაინიძეს აქვს ნიჭი (დავესესხები ბატონ ნიაზ ზოსიძეს) თავისი „თანამოდარდე“ გაგხადოს, შენამდე მოიტანოს ერთდროულად ბედნიერი და უბედური, იღბლიანი და ბედდამწვარი, გათამამებული და მორჩილი, ღვთისმორწმუნე და უღმერთო, ასგზის ნაღალატევ-გაყიდული და მაინც ვერგაბოროტებული, მაინც ვერმოდრეკილი, ვერგამტყდარი ქალის დიდი სევდა და დიდი სიხარული, რომლის ადამიანობის უპირველეს განმსაზღვრელად ისევ და ისევ მიტევებისა და სიყვარულის ნიჭი რჩება. ეს გულწრფელი ემოცია გვიზიდავს, ხდის მის ლირიკას ასე სულის შემძვრელს.

თქვენ ამ კრებულში ვერ ნახავთ მხოლოდ თეთრი ფურცლის შესავსებად დაწერილ რიგით სტრიქონებს – ნაწვალებს, მოგონილს, ვერსიფიკაციული სალტო-მორტალეებით „შთაგონებულს“, ყველა სტრიქონი ქალის ცრემლშია ჩამბალი, მისი გრძნობების ნაღვერდალშია გამოწრთობილი, „მწერლობაც ხომ განცდები და ამ განცდების მახსოვრობაა“ (5):

„რამდენი დარდიც ითვალა ბედმა,
იმდენჯერ ვწერე,
ვშალე
და
ვწერე“ (33).

ნანა ნანო შაინიძის პოეზია თვითგამოტირებაცაა, თვითგანსჯაც, თვითგასამართლებაც, ტყუილად კი არ წერს: „ჩემივ ცოდვების მე ვარ თემიდა“ (71).

მის ლექსებში ხშირად ისმის სულის სასოწარკვეთილი ამოძახილიც:

„მომეშველე!..
წამიყვანე!..
მიპატრონე!..“(78)

ეს უარყოფილი სულის კივილი მიმართულია იმ ერთადერთი ადამიანისადმი, ვისაც ლექსის ლირიკული გმირის გადარჩენა შეუძლია, ვისაც ძალუძს თავისი ყოვლისწამლეკავი, თავბრუდამხვევი ვნების ძალით წარღვნის თავიდან აცილება, ბოროტების სიკეთედ ქცევა, უდაბნოში ვარდების აყვავება, ვარსკვლავების გაბრწყინება (78)... ეს „ტკბილ-მწარე სასჯელად“ მოვლენილი გრძნობაა, მთელი ცხოვრება რომ თან დასდევს და ზოგჯერ ვნებიანი სიგიჟის ძვირფას წუთებს ჩუქნის, უფრო ხშირად კი განშორების ცრემლებით ამდუღარებს, „გულნატყვიარს“ – „წყენის სამარხებით“ ტოვებს, თუმცა „ტკივილისთვისაც... უფლის და ბედის მლოცავია“ (86), რადგან კარგად იცის, რომ ამ წუთი-

სოფელში ბევრი „დაათრევს გაძვალტყავებული სულით კუპრივით მდუღარე ტრაგედიებს“ (90) და „ყველას აქვს თავის დელგმის კარავი“ (47).

ნანა ნანო შაინიძის თქმით, „ადამიანის სულს ორი გასაღები აქვს, ბავშვობა და სიყვარული“ (129), ამიტომაცაა ნაადრევად წართმეული ბავშვობის დარდი მუდამ თან დაჰყვება, ბავშვობის ნაიარევსაც ჩუმად დაატარებს ფეხისგულით, მამის ხავერდოვანი ხმაც შორეულად ჩაესმის, დედაშვილურ ალერსსაც ისაკლისებს:

„ვერასოდეს მოგეფერე, დედა,
ვერ გავუდნე შენს ჭაღარას თოვლი...
მაპატიე, რომ ვერ გიერთგულე,
შენს თმებს ფიფქი შევაფრქვიე ჯარად“... (31)

ნანა ნანო შაინიძე უსიყვარულოდ დარჩენილ ადამიანს კი დარაბებდაგმანულ და კარებაჭედილ, გაციებულ სახლს ადარებს (92), ამიტომაც ასე გადაჯაჭვულია ერთმანეთზე ბავშვობის მოგონებები, მშობლიური სოფლის პეიზაჟები, რომლებიც ულამაზეს ნახატებად იშლება და მიტოვებული სახლების სევდა... ყველაფერ ამას კი მაღალმხატვრულად გადმოგვცემს პოეტი:

„შენი ეზოს ვაშლიც მებრალება,
ხეზე უპატრონოდ დაჩირული,
ყანის ბოლოში რომ ღელე კბეჩს და
მასში მოგონებაც დაძირული...
ვტირი გამოშიგნულ კაკლებსაც და
ღობეს, ალაგ-ალაგ ნაღობარებს,
მხრებში აწურული ნაჭიშკართან
ჩემი ნიშა ხარიც შემომბღავლებს!“ (37)

ოცნებაც შესაფერისი აქვს პოეტს: დარაჯად დაუდგეს სოფელში „უბრად მიტოვებულ ოდებს“, მხოლოდ მშობლიურ წიაღში დაბრუნება, სოფლის წმინდა გარემო და ბავშვობის მოგონებებში განწმენდა თუ დაედება მალამოდ ადამიანების უსაზმანო სიძულვილითა და ორგულობით ათასგზის დაჭრილ სულს, დაუბრუნებს რწმენას მზის მოიმედე, თვალებსევდიან გოგოს, ისევ დაანახებს, როგორ უღიტინებს ხის ფოთლებს ნიავი ყუნწებში და როგორ ხითხითებენ ისინი, როგორ იღვიძებენ თოთო ბავშვებივით კვირტები, ისევ აცისკროვნდება დედამიწა ცისარტყელას ფერებით და აღარ მოუჭერს სხეულზე, აღარ შეუხუთავს სულს:

„ყველა დაობლებულ სახლის საკვამურში,
კვამლი ავუფეთქოთ ღრუბლებს,
ჩავდგეთ წინაპართა ჩვეულ სამსახურში
ცეცხლი არ ჩავუქროთ ბუხრებს...
წამო, შევაფაროთ ჩვენი ბავშვობა,
მთებში ფეხდაუდგმელ ფიფქებს...
იქნებ ის ატმებიც ისევ ავაყვავოთ,
ვინძლო, ავაყვავოთ – იქნებ!“ (49)

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ბევრი იმედგაცრუებისა, თქმული თუ ვერთქმული ტკივილისა, ნანა ნანო შაინიძის პოეზია მაინც იმედით სავსეა. პოეტი ქალის აღსარება კიდევ ერთხელ გვარწმუ-

ნებს, რომ ლირიკა მხოლოდ გულწრფელი ამოძახილია შემოქმედის მიერ განცდილ-გადატანილისა, მხატვრულ სახეებში გარდასახული ფაქიზი განწყობითა და გულშიჩამწვდომი ლირიზმით გამსჭვალული ემოციაა, ნისლივით მორონინე სევდა, შინაგანი თრთოლვა გამორჩეულ ემოციურ მუხტს სძენს სტრიქონებს, ექსპრესიული და ხატოვანია საკუთარი სინდისის წინაშე მარტოდ დარჩენილი ქალის ვერთქმული აღსარება, რაც მთავარია, ნანა ნანო შაინიძეს შესწევს იმის პოეტური ძალა, რომ მკითხველს გადასდოს და შეუქმნას განწყობილება, თავის მხარეზე გადაიყვანოს, დააჯეროს გრძნობის სიწრფელესა და სიმართლეში, ამას შემოქმედი ახერხებს უშუალოდ და ძალდაუტანებლად – სადა და უბრალო, ნატიფი და ნათელი პოეტური სახეებით.

ქუქუნა შაინიძე

ახალი ცისა და ახალი მიწის მონაჯრება „ქარვისფერ ოკეანეში“

თანამედროვე მწერლის გია ტულუშის რომანი „ქარვისფერი ოკეანე“ (გამომცემლობა „წიგნიერი“, 2024) ახალი ცისა და ახალი მიწის მონატრების მძაფრი სურვილითაა გაჟღენთილი. მწერალი, უპირველესად გვიზიდავს თხრობის ორიგინალური მანერით, „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით, აზროვნების სიღრმით, ფილოსოფიური წიაღსვლებით, მრავალშრიანი რეფლექსიებით, სიუჟეტის განვითარებისა და კომპოზიციის აგების ხერხებით. გია ტულუშის რომანი „ქარვისფერი ოკეანე“ თანამედროვე რომანია როგორც თემატიკითა და სტრუქტურით, ისე ფორმატითა და ინტერტექსტობრივი ველების სინთეზურობით. ეს ერთი შეხედვით ფანტასტიკური მონათხრობი, ამბავი, ნარატივი თავისი მითოსურ-ალეგორიული გადათამაშებებით, ფაქტობრივად, გროტესკული რეალიზმის ნიმუშია. მწერალი ირონიული კონტექსტით ჩვენ თვალწინ აცოცხლებს მითოსურ სამყაროს, რომლის ალეგორიული გადმომხატვრულებით, სიმბოლური ქალაქის ფენრირის ცხოვრებისეული რეალიების ფონზე აღწერს თანამედროვე ეპოქას. ქალაქის სიმბოლური სახელდება, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ აურჩევია ავტორს. როგორც ცნობილია, ფენრირი სკანდინავიური მითოლოგიის ერთ-ერთი ღმერთის ლოკის შვილი იყო. იგი მითიური არსებაა, ძალიან წააგავს მგელს, თუმცა მგელთან შედარებით გაცილებით დიდი და შემზარავია. სკანდინავიური მითოლოგიიდან ვიგებთ, რომ მგელი ფენრირი კლავს სკანდინავიური მითოლოგიის ღმერთს – ოდინს. ხოლო ღმერთ ოდინის შვილი კლავს ფენრირს... ეს მითოსური პარადიგმა ხორციელდება „ქარვისფერ ოკეანეში“, ოღონდ არა უბრალოდ მითოსური მოდელის გადმოტანით, არამედ თანამედროვე რეალობით გაჯერებულ მხატვრულ სახეებში. რომანი დამაჯერებლად აღწერს ცივილიზაციისა და კულტურის კონფლიქტს, გვაჩვენებს გლობალური რობოტიზაციის პროცესში ადამიანისა და ადამიანურობის განწირულობას. „ქარვისფერი ოკეანე“ ტექნიკური სინგულარობის ჭრილში განჭვრეტს თანამედროვეობისა და არც თუ ისე შორეული მომავლის კონტურებს, რომელიც ხასიათდება თავისი ანტიჰუმანურობითა და ნეგატიური ამბივალენტურობით, რაც ადამიანურობის ამოცარიელების სახით გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომანში წარმოდგენილი დრო, კულტურისა და ადამიანურობის, სიყვარულისა და ღმერთის სიკვდილის, სულის დამდოვრების თვალსაზრისით, არის

ერთი დიდი ანტიგმირული ეპოქა, კულტურის შთანთმქმელი გიგანტური ფენრირი – „ტექნოკრატიული ღამე“, რომელიც არავინ იცის, როდის გასინათლდება. რომანის მიხედვით, მელეტისა და მელისას შვილი, უსინათლო დემოდოკე (შდრ.: ბრმა მომღერალი ჰომეროსის პოემების მიხედვით. ფეაკელთა მეფის, ალკინოეს სასახლის უსინათლო მომღერალი. აედი დემოდოკოსი, რომელიც მღერის ოდისევსის თავგადასავალს.), ქმნის ახალ მითოსს, ახალ კოსმოგონიას, რომელიც „ქარვისფერი ოკეანის“ ღრმა ქაოტურობიდან უნდა ამოიზარდოს. ახალი ცისა და მიწის დაბადების მძაფრი სურვილი ავტორის მიერ ტექსტის შესავალშივეა გაცხადებული: „უფალო, გამაფაქიზებელო სინათლევ, დანაწილდი ჩემში და გადმონიავდი უნატიფეს სიტურფედ, ბობოქარ მრისხანებად და შეუცნობელში ხეტიალის დაუურვებელ წყურვილად. მე მოვედი შენამდე განბანილი ცოდვათაგან და სიამაყით გევედრები, შემიტყუე შენი თვალების დიდ აფეთქებასავით ამომზევებულ სიკაშკაშეში. „სანამ შენამდე მოვაღწევდი, ვინ არ სახლობდა ჩემში: კუთხეში მოკუნტული, კანკალატანილი ბავშვი, მოღრიალე ტირანი, დაცარიელებული სურა, მაგრამ შენამდე მაინც სისავსით მოვფარფატდი, რათა დავიამო სული და სამყაროს ვაუწყო ამ სიტკბოების დიდებულება“ (ტუღუში: 2024:3). ან კიდევ: „ბოლოს და ბოლოს მონიავდეს ერთ მუშტად შეკრული წყალი, მიწა, ჰაერი, ცეცხლი და აღავსოს ყოფნა უბოროტო, დაუშრეტელი ნეტარებით“ (ტუღუში: 2024:4). ტექსტში მრავალი მინიშნებაა ახალი სამყაროს, ახალი ცისა და მიწის, ანუ ახალი ღვთაებრივი ცნობიერების დაბადების აუცილებლობისა. მწერალი ახალგაღვიძებული ლივლივა ტალღების ფონზე წმინდა ცნობიერების (არაფრის) დონიდან, მზესთან (ყველაფერთან) შესახვედრად ამზადებს პერსონაჟს: „ზღვა ემბრიონული, უშობელი მოგონებიდან ნელ-ნელა იღვიძებდა და მასთან ერთად მელეტიც მზესთან შესახვედრად ემზადებოდა. წყალი მის სხეულს ელოლიავებოდა, ეფაქიზებოდა, ატივტივებდა და მზის ყოფიერებად ამოფანტვასთან შეგებებისკენ მოუხმობდა“ (ტუღუში: 2024:7) (შდრ.: „მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“; დაბ. თ. I). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რომანის მხატვრულ ქსოვილში მრავალი საოცრად მიმზიდველი ფერია: ქარვისფერი, ნარინჯისფერი, შინდისფერი, მაგნოლიის ფოთლისფერი, ზაფრანისფერი, კირისფერი, კოწახურისფერი, ძოწისფერი... ამ ფერთა ნაზავით უნდა მოიქსოვოს ახალი უბოროტო სამყარო. რომანში ყურადღებას იქცევს მოძრაობისა და ცვალებადობის (არა განვითარების) ტემპი (და არა რიტმი), რასაც მტკივნეულად აღიქვამენ პერსონაჟები (მელეტი, ანტონი). ეს აჩქარებული, ქაოტური ტემპი ერთი მხრივ ვლინდება თხრობის დინამიკაში, როდესაც ყველა პერსონაჟი, ყველა ამბავი, პარალელურ რეჟიმში, თითქმის ათქვეფილ მდგომარეობაშია წარმოდგენილი, მეორე მხრივ, დაჩქარებული ტექნიკური საშუალებების (მფრინავი ტაქსები, ლიფტები და სხვ.) ფონზე ადგილი აღარ რჩება განცდისათვის, მონატრებისათვის: „ანტონმა კარი მძიმედ შემოაღო, ვაშლი დივანზე მიყარა და გაიფიქრა, ყველაფერი რა სწრაფად მოძრაობს და სულს მიხუთავს, რადგან ანისიასთან ხანგრძლივად ყოფნას მაიძულებსო; ახლა, ძველ ეპოქაში რომ მეცხოვრა, სანამ ცოლ-შვილს საკვებით მოვამარაგებდი, ხომ მომენატრებოდნენო“ (ტუღუში: 2024:22). ამ ირონიული კონტექსტის მიღმა უსიყვარულობისა და მოყირჭების მონსტრი იმალება, რომელიც მთელი სისრულით ააშკარავებს თავს, როცა ანტონი ყოველგვარი განცდის გარეშე, უცერემონიოდ მიაბარებს მიწას (და არა დაკრძალავს) ანისიას, თავის თანამეცხედრეს, რომელმაც ზღვის ტალღებს მისცა თავი. სიმბოლურია ისიც, რომ როცა ანტონი რამდენიმე დღით თავისუფლდება ლოკისგან, ვისთანაც იგი რობოტების ელმომარაგების საქმეს ემსახურებოდა და მონასტერში მიდის, მონასტერს უეცრად მოვარდნილი მეწყერი ჩაყლაპავს (ღმერთის სიკვდილი) და ანტონის დაღუპვის ცნობას ლოკი აწვდის დემოდოკეს, რომელსაც დაითანხმებს რობოტების წარმოების პროგრამისტად აყვან-

აზე. მწერალს მრავალგვარი მინიშნებით მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ტექნიკური პროგრესის გზას, სულიერების გარეშე, ვერ მიყვავართ ჭეშმარიტებამდე: „მელეტი უნივერსიტეტისკენ მიუყვებოდა გზას და ფიქრობდა: `ნეტავ, პროგრესს თუ აქვს დასასრული? ვარაუდობდა, რომ აზრები განუმეორებელნი და ულევნია, ანუ უსასრულოა პროგრესიც, მაშ, შეჩერებაც არ არის მიზანშეწონილი. გადავეშვათ კოსმოსურ უდაბნოებში და ვიხილოთ ყველაფერი, რაც არ გვინახავს. ისიც დანამდვილებით ვიცი, რომ არც არაფერი გვინახავს" (ტუღუში 2024:23). ჩვენ კი ვნახეთ (კი არადა დავლანდეთ, როგორც უსინათლო დემოდოკემ) „ქარვისფერი ოკეანის" შეუცნობელი სიღრმე, რომლის ქაოტურობიდან ველოდებით „მოციმციმე ვარსკვლავის" (ნიცშე) აღმოცენებას. ვნახეთ ტბა, რომლის ირგვლივ „თეთრი აგურისფერზე ქორწინდებოდა და რაღაც ახალი, უცხო ფერი იბადებოდა. ჩამავალი მზისფერი თითქოს ნისლად იღვრებოდა და თოვლს ედიდგულებოდა, ის ხომ მაინც ფერი იყო, მიუწვდომელი და ფიქრებივით ხელშეუვლებელი" (ტუღუში 2024:35). შევიგრძენით მწერლისეული სტილის სინატიფე, ესთეტიკური განცდით გავიოცეთ მეტაფორული აზროვნების სილამაზე-სიღრმე და შევცბით, შევძრწუნდით იმ სინამდვილით, რომელიც უცერემონიოდ ჩამომდგარა ჩვენ წინაშე და მითიური ფენრირივით ლამობს ჩვენს ჩაყლაპვას. წავიკითხეთ, ვნახეთ, შევძრწუნდით. ეს შეძრწუნება კი კათარზისის ნიშანია და მწერლის ინტენციაც აქეთკენაა მიმართული. ყოველი ახალი ტექსტი ხომ იმ მიზნით იწერება, გავხდეთ იმაზე უკეთესი, ვიდრე მის წაკითხვამდე ვიყავით.

ნანა
ანთაძე

ფიქრები წიქარაზე

„თუკი ზღაპარი, საერთოდ ღირს წაკითხვად, მაშინ ის
იმსახურებს ზრდასრული ადამიანებისთვისაც დაიწეროს!“
ჯ. რ. რ. ტოლკინი

„წიქარა“ ყველასათვის ცნობილი ქართული ხალხური ზღაპარია. ისტორია ბიჭისა და ხარის საოცარი მეგობრობისა, თავისთავად მშვენიერია, მაგრამ განსაკუთრებულად თავისი ატიპიურობის გამო დამამახსოვრდა. ზღაპრებში ჰეპი-ენდს მიჩვეული ბავშვისთვის, მოულოდნელი და მტკივნეული იყო მისი სევდიანი დასასრული.

ხალხურ ფოლკლორში ხშირად გვხვდება ერთი და იმავე ტექსტის რამდენიმე ვარიანტი. ზღაპრის ორიგინალურ ვერსიაში წიქარა კვდება, თუმცა, ბედნიერდასასრულიანი ვერსიაც არსებობს. როგორც ჩანს, ვიღაცამ ვერ გაიმეტა საყვარელი პერსონაჟები სასიკვდილოდ და ზღაპარს ფინალი შეუცვალა.

მხატვრული ნაწარმოების დასასრული მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც განსაკუთრებულ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე და მისგან მიღებული შთაბეჭდილებაც დიდხანს მიჰყვება.

მკითხველები თავიანთი ცხოვრებისეული თუ ესთეტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე განსხვავებულნი არიან. შესაბამისად, განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ ხელოვნებასა და ლიტერატურას: ზოგს ურჩევნია, ბედნიერი დასასრული ჰქონდეს ნაწარმოებს, ზოგი კი ცხოვრებისეული სიმართლის ჩვენებას ანიჭებს უპირატესობას ნაწარმოების დასასრულში, როგორი მწარე და ტრაგიკულიც უნდა იყოს იგი.

ჩემი აზრით, ზღაპრის ორიგინალური, უჰეპიენდო ვერსია ბევრად უფრო ღირებულია მკითხველისთვის.

ისიც საკითხავია, არიან კი ასეთი ზღაპრები ნამდვილად უჰეპიენდო? ზღაპარი ხომ ერთი დიდი მეტაფორაა. იქნებ კარგად რომ დავაკვირდეთ, უფრო ღრმად რომ გავიაზროთ, სულ სხვა რამ დავინახოთ. იქნებ დიდებმა ხელახლა ვცადოთ ზღაპრების წაკითხვა.

„ელასა, მელასა,
კოკა მეკიდა ყელასა,

მთქმელსაც და გამგონებელსაც
ღმერთი გფარავდეთ ყველასა“.

რამდენჯერ წაგვიკითხავს ზღაპრების დაბოლოებათა დალოცვის ეს უცნაური ფორმულა?!

რას ითხოვს იგი მკითხველისგან?!

ან ყელთან ახლოს მყოფი კოკა რა უნდა უნდა იყოს?! თუ არა მკითხველი, მსმენელი, რომელიც მზაობას გამოხატავს მთქმელის მოსასმენად, სიბრძნის დასაუფლებლად. ჭურჭლის მაცოცხლებელი სითხით შესავსებად.

კარგ მთქმელს ყოველთვის სჭირდებოდა კარგი გამგონებელი. გულისყურით მსმენელი.

ეს მკითხველის ის მდგომარეობაა, რომელსაც ნებისმიერი ავტორი ისურვებდა.

ვფიქრობ, „წიქარა“ასეთი გულისყურით წასაკითხი ზღაპარია, ამიტომაც გიზიარებთ ჩემს მოსაზრებას მის შესახებ.

ზღაპრის დასაწყისი ტრადიციულია.

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი; ჰყავდათ ერთი ვაჟი. კაცი მალე დაქვრივდა, ვაჟიც დაობლდა, დარჩა პატარა. სახლისა და შვილის მოსავლელად ვაჟის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ვაჟი დედინაცვლის ხელში ჩავარდა. უდიერი დედინაცვალი ჰყავდა. მუდამ სცემდა პატარა ვაჟს და აყენებდა ცეცხლის კალოში. დედინაცვალს მეგობარი ჰყავდა. ქმარმა კი არ იცოდა, ვაჟმა იცოდა, დედინაცვალსაც გულით იმიტომ უნდოდა ვაჟის მოშორება.

კაცს ერთი ხარი ჰყავდა, სახელად წიქარა. ვაჟსა და წიქარას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. მუდამ დადიოდა ვაჟი წიქარასთან, აძოვებდა იმასაც და თვითონაც ერთობოდა. დედინაცვალი კი დროს ელოდა, რომ ვაჟი როგორმე მოეშორებინა. ერთხელ მოიავადა თავი და დაიწყო ტყუილად კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა:

– რა გიშველისო?

ცოლმა უთხრა:

– შენი შვილის გულ-ღვიძლის მეტი ვერაფერი მიშველისო.

მამა ცოტა შეწუხდა ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ რომ მეტი ღონეც არა ჰქონდა! ირჩია ცოლი შვილსა და დაკვლა დაუპირა“.

როგორი შემზარავი ამბავია არა? ხომ ძნელია წარმოდგენაც კი იმისა, რომ მამამ შვილი ასე გაიმეტოს?

მაინც რისი თქმა სურს მთქმელს? რაზე მიგვანიშნებს? რას ვაკეთებთ ადამიანები ისეთს, რაც შვილის მკვლელობასა და მისთვის გულ-ღვიძლის ამოცლის მაგიურ რიტუალს უტოლდება? ან დედინაცვალს რატომ სჭირდება მაინცადამაინც ადამიანის გულ-ღვიძლი და არა სხვა ორგანო, მაგალითად – ტვინი?

ცხადია, მამა და შვილი ზღაპარში პირობითი ცნებებია. ავტორი შესავალ ნაწილში ორი, თანაბარ სასტარტო პირობებში მყოფი ადამიანის შესახებ გვესაუბრება. ისინი ერთნაირ გარემოში ცხოვრობენ. ტალანტის გამრავლების, განვითარების ერთნაირი საშუალება ეძლევათ. ორთავეს გვერდით ჰყავს მისანი ხარი წიქარა – ღმერთი, შემწე შრომასა და ბრძოლაში. ორივეს ეძლევა დრო, ცხოვრების შედარებით მშვიდი პერიოდი, თავიანთ შესაძლებობებში გასარკვევად და მომავლის დასაგეგმად. მამას ერთგული მეუღლე ჰყავს. შვილს – მზრუნველი დედა.

მაგრამ წუთისოფელში სად არის მუდმივი ჰარმონია? როდის გაკეთებულა ღირებული საქმე დაბრკოლებების გარეშე?

ჩვენს მიზნებსა და ოცნებებს უამრავი გამოცდა ელით, სანამ საქმედ იქცევიან. აწმყო კი დედინაცვლად ექცევა ხოლმე ყველაფერს, რის გამოც შენი მოსვლა ამქვეყნად ღირდა.

აწმყო ხშირად მოითხოვს ადამიანებისგან, დასჯერდნენ დღევანდელ კვერცხს და უარი თქვან ხვალინდელ ქათამზე. არგუმენტებს კიდევ რა დალევს იმედის გასაცრუებლად.

– აი, ხომ ხედავ კვერცხი რეალურია, წინ გიდევს, აიღე... ქათამი კი ან იქნება ხვალ და ან არა... ღირს ჯერ არარსებულის გამო რეალურზე უარის თქმა? ისე არ მოხდეს, რომ აღარც კვერცხი დაგრჩეს და აღარც ქათამი...

კონტრარგუმენტი, რომ მოთმინებაა საჭირო, ის ქათამი მართლაც გეყოლება ხვალ და კვერცხსაც დადებს, არადამაჯერებლად გამოიყურება. რომც გჯეროდეს, როდის მოხდება არც ის იცი... ბევრი მიზეზია დასანებებლად და ცოტა გზის გასაგრძელებლად. დღევანდელი კვერცხი მაცდურია. ადამიანი კი – სუსტი. ჩვენ ხომ აქ ვცხოვრობთ აწმყოში... დღეს და ახლა. დღეს გვინდა ყველაფრის მიღება.

უკან რომ მოვიხედოთ და გავიხსენოთ რაზე ვოცნებობდით, ვინ შეგვეძლო ვყოფილიყავით ჩვენი უნარების მიხედვით, ნეტა რამდენმა მივაღწიეთ მიზანს?

რამდენს გვეყო ძალა, არ შეგვშინებოდა მომავლის და გულ-ღვიძლი არ გამოგვეცალა მისთვის?

ჰო, ლაჩარი, ხარბი ადამიანის ბედზე გვიამბობს ზღაპარი, რომელიც სიმხდალის გამო იმ მცირედს სჯერდება, რასაც დღევადელი დღე სთავაზობს. აწმყოს კაცია და დღევანდელი კვერცხის მისაღებად, მზადაა საკუთარი მომავალი გაანადგუროს. კაცი, რომელმაც ტალანტის გამრავლებაზე, საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოყენებაზე უარი თქვა, დასაღუპადაა განწირული, უფსკრულის კუთვნილებაა. განწირულია მისი უბადრუკი სურვილი, სასურველი აწმყოს შენარჩუნებისა. ამიტომაც იღუპება სამარცხვინოდ, წყეულ ღორზე ამხედრებული:

„ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ღორი ვაჟს დაეწევა, მაგრამ გადააგდებს ვაჟი სალესავს და აიმართება საშინელი თვალუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. ჭრის ღორი, ჭრის, რაც ძალი და ღონე აქვს, აკეთებს კლდეში საკიბურებს და ადის ზევით. შუა ადგილში რომ მივიდა ღორი, ჩააჭრა კლდის ფხას ფეხი და თავისი მხედრით უფსკრულში კი ჩაინთქა... წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც“.

ერთი სიტყვით, მამის გზა უფსკრულში დასრულდა. მეორე გზაზე კი, ზღაპრის ყველაზე საინტერესო ნაწილი გვიამბობს. ეს წიქარასა და ვაჟის ამბავია – კაცის ღმერთთან დაახლოების ისტორია.

ძველ ხალხთა მითოლოგიაში ხარს ხშირად აიგივებდნენ ღმერთთან. ხარი აპისი – მემფისის ღმერთი იყო. ოსირისი და ზევსიც ხშირად იღებდნენ ხარის სახეს. ქართული ფოლკლორიც რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ხარის სახეს, ამაზე თავად ეს ზღაპარიც მეტყველებს.

ცხადია, წიქარაც ღმერთს განასახიერებს ზღაპარში. ღმერთს, რომელიც დაჩაგრულს ნუგეშად ევლინება, ცრემლებს სწმენდს. ღმერთს, რომელიც მზადაა ადამიანის გადასარჩენად თავი გაწიროს.

ღმერთი – წიქარა თან ჰგავს და თან არა ბიბლიურ ქრისტეს. ავტორი მას ამ ცხოვრების, წუთისოფლის ღმერთად გვიხატავს. იგი არავის პირდება მარადიულ სიცოცხლეს სამოთხეში, თუ კარგად მოიქცევა. ავტორი არაფერს ამბობს ტექსტში სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე. მხოლოდ სიკვდილის გარდაუვალობაზე საუბრობს. ჩვენ მხოლოდ იმის არჩევა შეგვიძლია, როგორ მოვკვდეთ. წყეულ ღორზე ამხედრებული თუ ღმერთთან ერთად გავიაროთ ცხოვრების გზა, სამოთხის სიტკბოც აქ ვიგემოთ და ჯოჯოხეთიც აქვე გავიაროთ.

ადამიანის ღმერთთან ურთიერთობას თავისი საფეხურები აქვს.

პირველი – ღმერთის უპირობო ნდობაა.

„გამომყევით და ადამიანთა მებადურებად გაქცევთ!“ – მოუწოდებს იესო უბრალო მეთევზეებს – სიმონს, ანდრიას, იაკობსა და იოანეს... ისინიც ტოვებენ ბადეებს, ნავებს და დაუეჭვებლად მიჰყვებიან.

„წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი, შემაჯექ და წავიდეთო“ – უხმობს წიქარა ვაჟს და ისიც უსიტყვოდ ენდობა.

გზის დასაწყისში ყოყმანი დაუშვებელია!

თუ პრობლემებს თვალს უსწორებ, ისინი შენი მოკავშირეები ხდებიან და ზრდა-განვითარებაში გეხმარებიან და სულ ადვილად იტოვებ უკან. მაგრამ თუ აზვიადებ, არგუმენტებს ეძებ, რატომ არ უნდა აკეთო შენი საკეთებელი საქმე, ისინი წინ გეღობებიან. ადამიანის წარმოსახვას თავისუფლად შეუძლია უბრალო სავარცხელი უღრან ტყედ წარმოიდგინოს, ერთი ბოთლი წყალი – აბობოქრებულ ზღვად და სალესავი ქვა – სალ კლდედ.

გზის დასაწყისში დაბრკოლებებზე არ უნდა იფიქრო! მხოლოდ რწმენას შეუძლია სამშვიდობოს გაგიყვანოს. ამის შემდეგ გადადის ადამიანი ცხოვრების მეორე საფეხურზე – გამარჯვებით ტკბობის ეტაპზე. ამის შემდეგ ეძლევა კუთვნილი ჯილდო სალხინო და საჭირო სალამურები.

„იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ გაიყვანა ვაჟი ერთ ტრიალ მინდორზე, იქ ერთი ისეთი ალვის ხე იდგა, რომ იმისი წვერი ცასა ხევდა, შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი – საჭირო, ერთი – სალხინო, და უთხრა:

– მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრებზე, ვძოვ, დავირჩენ თავსა, შენ აქ იჯექ; გაგიჭირდეს, დაუკარ საჭირო სალამური და მაშინვე აქ დავიბადები; გილხინდეს, დაუკარ სალხინო სალამური, საჭმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცაო.

გამოეთხოვა და წავიდა წიქარა. ვაჟი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს...“

როგორ ჰგავს აქ აღწერილი გარემო ბიბლიურ ედემსა და ადამის უზრუნველ ცხოვრებას სამოთხეში... ისმის სალამურის საამური ხმა, ირგვლივ ყვავილების სურნელია, პეპლები და ჩიტები ხარობენ. მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვება ვაჟს, ალვის ხე არ უნდა დატოვოს და არავის ენდოს. მაგრამ სად შეუძლია ადამიანს სამოთხის შენარჩუნება... ან დალხენილი ცხოვრება ვისთვის შეურჩენიათ და უპატიებიათ, მას რომ აპატიონ. რა გამოლევს ქვეყნად შურიან მეცხვარეებს და კუდიან დედაბრებს? არც ხელმწიფეებს მოსწონთ, მათ გარეშეც რომ ბედნიერად გრძნობს თავს ვინმე. არ უყვართ ამ სოფლის თავადებს თავისუფალი და ლაღი ადამიანები. მშიერმუცელა მონები ურჩევნიათ.

ვერ ინარჩუნებს ადამიანი ბრძოლით მოპოვებულ სამოთხეს. აბრუებს სალხინო სალამურის ხმა. სულ, სულ ტყუილად უდევს გვედრით საჭირვარამო სალამური როგორც გაფრთხილება, როგორც შეხსენება ღმერთის არსებობისა. არ ენატრება დალხენილ ადამიანს ღმერთი...

„წაიყვანეს ხელმწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში ვაჟს გამოეღვიძა, ნახა თავისთავი დატყვევებული და დაღონდა. დაიწყო ტირილი. ინატრა თავისი სალამურები, მაგრამ იმისი სალამურები ალვის ხეზე იყო ოხრად დარჩენილები“.

ძალიან საინტერესო მეტაფორაა ცხრაკლიტულში ვაჟის დატყვევება. საკრალური რიცხვი ცხრა ხშირად გვხვდება ზღაპრებში (ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ცხრა ზეცა... და ა. შ.), სამჯერადი გასამების გზით ცხრიანი თავისთავში დაუსრულებელ ციკლს მოიცავს.

შემთხვევითი არ არის, რომ ცხრაკლიტულში ჩაკეტვის შემდეგ ვხედავთ ვაჟის სხვა სახეს. სწორედ აქ ვხვდებით, რომ არც ისეთი სუფთა და უცოდველი ყოფილა, როგორიც ზღაპრის დასაწყისში გვეგონა. მასზე ძლიერები თუ ჩაგრავდნენ, თავადაც იმეტებდა თურმე მასზე სუსტებს. ყვავებს ქვებს ესროდა, ბეღურებს ბუდეებს უნგრევდა.

ცხრაკლიტული დაცემის, დამდაბლების, ცოდვების შეხსენებისა და სინანულის ადგილია.

ცხადია, ზღაპარი მხოლოდ ადამიანის გარედან ჩაკეტვაზე არ გვიყვება. ყველაზე რთული ადამიანის გულის ცხრაკლიტულის გახსნაა. იგი თვითმფრინავის შავი ყუთივითაა, ყველა მის საიდუმლოს ინახავს. ცოცხალი კაცი მის გახსნას არაფრით დათანხმდება. არ სურს, ვიდრე ცოცხალია, ბოლომდე გაშიშვლებული სულით დაინახონ.

წარმოიდგინეთ, რასაც ვფიქრობთ, რასაც ვმალავთ, რაც ჩვენს გულსა და ქვეცნობიერშია ყველაფერი რომ გამოიფინოს, ვინმე შეგვიყვარებდა?! ასეთ შემთხვევაში სარტრის პიესა „ცხრაკლიტულში“ აღწერილ სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით და ერთმანეთის ჯალათები გავხდებოდით.

სარტრის აღწერილ ჯოჯოხეთში ყველაზე დიდი სასჯელი ადამიანებისთვის ერთმანეთთან ურთიერთობაა, მაშინ როცა ყველაფერი იციან ერთმანეთის შესახებ. აქ სარკე, რომელიც ცოცხლებს მოთვინიერებული გვყავს, არ არსებობს, საკუთარი თავის დანახვა მხოლოდ სხვის, სიძულვილით სავსე თვალებში შეგვიძლია. სხვის თვალებში კიდევ ძალიან, ძალიან პატარები ვჩანვართ...

სწორედ, ამიტომ არის ადამიანის გული მეცხრე კარის შელეწვა რთული, თვით ღმერთისთვისაც კი... ამ საიმედოდ დალუქული შავი ყუთის გასახსნელად, ადამიანის შინაგანი ჯოჯოხეთის ცეცხლის ჩასაქრობად, ღმერთი ჯვარს უნდა ეცვას, წიქარამ თავისი გვამი თაგვებსა და ყვავ-ყორნებს უნდა მიუგდოს საჯიჯგნად. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება კაცის ნამდვილი ურთიერთობა ღმერთთან. ამის შემდეგ ძველებურად ვეღარ იცხოვრებს ადამიანი, დიდხანს ვერ გაერთობა სალხინო სალამურის ტკბილი ხმით... აუცილებლად მოენატრება ღმერთი.

„არის ვაჟი ალვის ხეზე, უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა. ბოლოს, მოაგონდა წიქარა, მოუნდა იმისი ნახვა, დაუკრა საჭირო სალამური, დაუკრა, მაგრამ არსად არის წიქარა! ელის ვაჟი წიქარას, მაგრამ არსადა ჩანს წიქარა! დაღონდა ვაჟი. ჩამოვიდა ძირს, დაუკრა საჭირო სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა. იმის ცოდვით ბალახნი ტიროდნენ, პეპლებიც აღარა ფრინავდნენ და ცრემლსა ღვრიდნენ, ხეებიც აღარ ინძრეოდნენ. უკრავდა სალამურს და ცივ კლდეებსაც ცხელი ცრემლები სდიოდათ. უკრავდა სალამურს და შავი ყორანი კი ნალეშარი საითღაც მიეშურებოდა... წავიდა ვაჟი, ეძება წიქარა. და, ბოლოს, მინდორში მკვდარი იპოვა. შავ ყორანს და უგვანო სვავ-ყაჯირებს თვალები დაეთხარათ. დასტირა ვაჟმა წიქარას, დასტირა ცხარედ. აღარც სალხინო და აღარც საჭირო სალამური არ დაუკრავს, შეძვრა წიქარას გვამში და მოკვდა იმასთან“.

ჩვენს წინ უკვე გაზრდილი, დაბრძენებული კაცი დგას, რომელიც მზად არის საკუთარი სიცოცხლე, ქრისტეს მოციქულებივით დათმოს, ჯვარს ეცვას, ოღონდ ღმერთთან დარჩეს. იცის, რომ ღმერთთან ყოფნა უმსხვერპლოდ ვეღარ მოხერხდება და ეს მსხვერპლი ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

წიქარას გვამში შეძვრომა ადამიანის განღმრთობაზე, მასთან მარადიულად შერწმის საოცარ ამბავზე მიგვანიშნებს.

კვდება ღმერთი... კვდება სიკვდილის შიშდაძლეული ადამიანიც... მაგრამ მანამდე შენს თვალწინ იქმნება შედევრი. მომაკვდავი გედის სიმღერა – რექვიემი. დიდებული და დაუვიწყარი. საუკუნეებს დაუვლის ჟრუანტელად საჭირო სალამურის ხმა.

განა ამისთვის არ ღირდა სიცოცხლე და სიკვდილი?

ესეც ჰეპი-ენდია, ოღონდ ისეთი ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს რომ ახასიათებთ. რომელთა გმირები უამრავ განსაცდელს გადიან, მრავალ ხორციელ ტკივილს უძლებენ, ყველა დაბრკოლებას გადალახავენ... ბოლოს კი აღწევენ მთავარ მიზანს, განწმენდილები მიდიან უფალთან, რომელთან ყოფნაც ასე სურდათ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
კოკა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ღმერთი გფარავდეთ ყველასა.

ჯერართქმული სიმართლე

ერთი მშვენიერი დღე, ანუ მთავარი, გარდამტეხი ამბავი ლიტერატურულ ნაწარმოებებში უმეტესწილად მოგვიანებით დგება. მანამდე ავტორი პერსონაჟებს გვაცნობს, მათ შინაგან სამყაროში გვახედებს, მათთან ერთად გავდივართ ცხოვრების გზას.

თუმცა ზოგიერთი მწერალი ცივი შხაპის ეფექტს ირჩევს. თხრობის დასაწყისშივე შემოგაფეთებს იმ ერთ მშვენიერ დღეს, უცნაურ ამბავს უცნობი ადამიანის შესახებ და დაუვიწყარ განცდას გიტოვებს.

„გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამამისმა ყინულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად“ – იწყებს თხრობას მარკესი.

ან აურელიანო ბუენდია ვინაა, ან რატომ უნდა დახვრიტონ, იმსახურებს ამას, არ იმსახურებს, წარმოდგენა არ გაქვს, მაგრამ შენც გრძნობ იმ ყინულის სიცივეს, შენც ელოდები განაჩენს გაყინული...

„ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ შფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის საწოლში რაღაც საშინელ მწერად ქცეულიყო“ – გიყვება კაფკა და შენც ფხიზლდები.

არ იცი ვინ არის გრეგორ ზამზა, მაგრამ ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. ადამიანი ხომ არის? მწერად როგორ ან რატომ გადაიქცა? შეშფოთებული და დაინტერესებული იძირები უცნობი კაცის უცნობ ისტორიაში.

სწორედ ასეთივე განცდას ტოვებს ქართული ხალხური ზღაპარი „ჯერართქმული სიმართლე“.

თავდაპირველად სათაური გაინტრიგებს. რა უნდა გითხრან ასეთი არგაგონილი ასი ტყუილისა და ერთი სიმართლის სამყაროში, რით უნდა გაგაოცონ. მერე იწყებ და შესავალშივე გატყდება თავს ის „ერთი მშვენიერი დღე“, ამბავი კაცის უცნაური მეტამორფოზისა.

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი სახელგანთქმული მონადირე. ერთხელაც ჩვეულებრივ წავიდა სანადიროდ, ბევრი იარა, ბევრი კლდე-ღრე დათელა, მაგრამ ვერაფერი ინადირა. გამობრუნდა შინისაკენ ხელცარიელი და დაღლილ-დაქანცულმა ერთ მდინარის პირას შეისვენა.

უცბად ველზე ირემი გამოჩნდა, ერთი ორჯერ შეიკუნტრუშა, ტოტიანი რქები შეარხია და ძოვა დაიწყო, მონადირემ წამოუწვერა თოფი, ესროლა და გააგორა. რაკი სამწვადე გაუჩნდა, ხის ძირას ცეცხლიც დაანთო და ირმის გატყავებას შეუდგა. გატყავებისას როგორღაც უნებურად თავზე გადააბოტა და ლამაზ ქალად გადაიქცა.

დაღონდა მონადირე ძალიან – რა ვქნა, ქალადქცეული ხალხში როგორღა გამოვჩნდეო, მაგრამ დაღონებითა და წუხილით თავს ვეღარაფერი უშველა. აიყარა სანადირო იარაღები – თოფ-სასწრაფო, ქამარ-ხანჯალი, იქვე ხეზე დაჰკიდა და გასწია უცხო ქვეყნისაკენ“.

მაინც რა დააშავა მონადირემ ასეთი? რით იყო ის ერთი დღე სხვებისგან გამორჩეული?

ამის გასაგებად ავტორის თამაშის წესები უნდა მიიღო... ჯერ მთელი ნაწილებად უნდა დაშალო და მერე ისევ გააერთიანო. თითოეული სახე-სიმბოლო ცალ-ცალკე უნდა გაშიფრო სიზმარივით.

ზღაპრის მთავარი პერსონაჟი მონადირეა. რაკი სახელი მოუპოვებია, გამოდის წარსულში ნადირობა მისი პროფესია, შემოსავლის მიღების ძირითადი წყარო ყოფილა. მონადირეობა თავისთავად გულისხმობს, რომ ადამიანი უკვე არსებული რესურსის მომხმარებელია. ბუნებაში არსებული რესურსები კი ამოწურვადია.

საზოგადოება, რომელიც ახალს არ ქმნის, არ თესავს, არ ამრავლებს და მხოლოდ მზამზარეულს სჯერდება, დასაღუპადაა განწირული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას, მტაცებელი მხეცებისგან განსხვავებით, ადამიანს ზომიერების გრძნობა ღალატობს.

ჩინგიზ აითმათოვს „საქონდაქრეში" საინტერესოდ აქვს აღწერილი ჯერ მგლების და შემდეგ ადამიანების ნადირობა საიგებზე. თურმე მგლები გაცილებით ჰუმანურები და ლოგიკურები ყოფილან. მხოლოდ იმდენს მოინადირებენ, რამდენიც გამოსაკვებად სჭირდებათ. მონადირებული ცხოველი სხვებზე სუსტია, ძლიერებს გადარჩენის შანსი რჩებათ. დროსაც შესაბამისს არჩევენ სანადიროდ, გამრავლების პერიოდში საიგებს თავს არ ესხმიან. ადამიანები კი ნამდვილ სასაკლაოს აწყობენ. დაუნდობლად ანადგურებენ მთელ ჯოგს.

მომხმარებლის ბუნება ხარბია. ყოველთვის იმაზე მეტი სურს, ვიდრე არსებობისთვისაა საჭირო და აუცილებელი. ამიტომაც, ნადირობის მითოლოგიური ქალღმერთები (არტემიდე, დიანა, დალი და სხვ.) აკონტროლებდნენ მონადირეებს. გარკვეულ შეზღუდვებსა და ლიმიტს უწესებდნენ. წესით, მონადირეს ბევრი კლდე-ღრის დათელვის შემდეგ რომ ხელი მოეცარა და ნანადირევის გარეშე ბრუნდებოდა სახლში, ზეცის მინიშნებად უნდა მიეღო. მაგრამ ინტუიცია დაბლაგვებული აქვს. არ ესმის ბუნების ენა და არღვევს მის დაუწერელ კანონს. მოკლული ირმის თავზე შემთხვევით გადაბოტება, სწორედ ამაზე მიგვანიშნებს მეტაფორულად.

ირემი მითოლოგიისა და ფოლკლორის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ზღაპრებსა და თქმულებებში იგი ზებუნებრივი ნიჭის მატარებელი და ღვთაებრივ სამყაროსთან დაკავშირებული ცხოველია. ირმის რქები, სიმბოლურად სიცოცხლის ხეს განასახიერებს, ტანი – მიწას, ბეწვები – აბიბინებულ ბალახს მიწაზე. მისი მოკვლით მონადირემ ცისა და მიწის კავშირი დაარღვია. ღმერთების ნების წინააღმდეგ წავიდა.

ვინც ზეცის ნების წინააღმდეგ მიდის, ლოგიკურია, რომ უნდა დაისაჯოს, მაგრამ ქალად გადაქცევა რატომ არის სასჯელი?! რატომ იცვლება მამაკაცური საწყისი დედაკაცურით, „იანი" – „ინით"?!

ძველი ჩინური წარმოდგენის თანახმად, სამყაროში არსებობენ ერთმანეთისაგან განუყოფელი საპირისპირო ძალები ინი და იანი. ინი არის ქალური, ხოლო იანი მამაკაცური საწყისი. ყველა მამაკაცს აქვს მდედრობითი, არაცნობიერი ასპექტი – ინი და ანალოგიურად ქალს, მამრობითი – იანი. ამის წარმოსადგენად, დაგვეხმარება გავიხსენოთ ინისა და იანის სიმბოლო, სადაც წრის ერთი მხარე თეთრია, მეორე კი – შავი, თუმცა ორივეს ზედ საპირისპირო ფერის წერტილი აქვს. ეს ორი საპირისპირო საწყისი ერთმანეთს ავსებს და აბალანსებს.

მამაკაცური საწყისი ზეცასთან, მზესთან არის დაკავშირებული. მისი ფერი თეთრია. სითბოსა და სინათლის გაცემას, თესლის, მარცვლის გაღებას გულისხმობს. ქალური კი მიწას, შავს განასახიერებს, მარცვლის მიღებასა და გამრავლებას გულისხმობს.

მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ მამაკაცში ქალური საწყისი იმძლავრებს და გაცემის წყურვილს პროდუქტის მიღების, მომხმარებლის სურვილი გადაამეტებს?! მაშინ შავი, ქალური საწყისი იზრდება, მამაკაცურ თეთრ ფონს თანდათანს ავსებს. ქალად გადაქცევა ზღაპარში ნიშნავს, რომ თუ არსი შეიცვალა, გარსიც შესაბამისი უნდა იყოს. უნდა მონადირეს მხოლოდ მიმღები, მომხმარებელი იყოს?! კი ბატონო, იყოს ნება მისი, ოღონდ ბარემ გარსიც შეიცვალოს, სხვისგან მიღებულის გამრავლების, თესლის აღმოცენების უნარიც უნდა მიიღოს. დაე, სხვა იყოს მისი ხელმწიფე და პატრონი! დაე, ქალის გარსში გამოავლინოს თავისი საუკეთესო მამაკაცური თვისებები. იანს – მზეს ემსგავსოს, სითბო და სიყვარული გასცეს.

„ამ ქალის ქება მეფესაც გაგონილი ჰქონდა და შვილს უარი არ უთხრა. მაშინვე გაგზავნა კაცები, მოაყვანინა ქალი და თავის შვილზე ჯვარი გადასწერა. წლის თავზე ვაჟიშვილი გაუჩნდათ.

ერთხელ ქალმა თქვა, მოდი წავალ და ჩემს იარაღებს, ხეზე რომ დავკიდე, ჩემს შვილს მოვუტან და ვაჩუქებო. წავიდა და მივიდა იმ ადგილას, სადაც ირემი მოკლა. ნასა: ირემიცა და იარაღებიც ისევ თავიანთ ადგილებზე არიან. გადააბოტა ქალმა ირემს შუა წელზე, რომ იარაღებს მისწვდომოდა და უცბად ჭაკ ცხენად კი გადაიქცა. გამობრუნდა ცხენი ჭიხვინით და მოვარდა თავის სახლში. მთელი სასახლე ფეხზე დამდგარი დახვდა, მეფის რძალს დაეძებდნენ, რა იცოდნენ, რომ ეს ჭაკი ცხენი მათი რძალი იყო. დაიჭირეს და თავლაში შეაგდეს.

გავიდა ხანი, ცხენი ცხენია, მაგრამ ჭკუა-გონება ადამიანისა აქვს, მეფეს უკვირს ამ ცხენის გონიერება, თქვა, ამისი ჯიში თუ არ გავამრავლე, არ იქნებაო, და ერთი შერჩეული ულაყი მოუყვანა, დამაკდა ცხენი და წლის თავზე ხვადი კვიცი გააჩინა. გაიზარდა კვიცი და ისეთი რაში დადგა, რომ, ბადალი არ მოეძევებოდა.

ერთხელ მეჯინიბე შეჯდა ჭაკ ცხენზე და წყლის დასალევად წაიყვანა. გზაზე უცბად მათრახი გადაჰკრა. ითაკილა ჭაკმა მათრახის დაკვრა, გადმოაგღო მეჯინიბე, თვითონ მინდორში გაიჭრა და შემთხვევით მოკლულ ირემს გადაახტა. გადაახტა და ახლა ძუ ძაღლად გადაიქცა. გაიქცა მაშინვე მეფის სასახლისაკენ, მთელი სასახლე ახლაც ფეხზე დამდგარი დახვდა: მეფის ჭაკს დაეძებდნენ და ის კი არ იცოდნენ, რომ მეფის ჭაკი ცხენი სწორედ ის ახლად მოსული ძუ ძაღლი იყო.

ძაღლმაც ისეთივე გონიერება გამოიჩინა, როგორც ცხენი იყო, და ხელმწიფესა და მთელ ოჯახს ისიც ისევე შეუყვარდათ. ხელმწიფემ თქვა, ამ ძაღლის ჯიში თუ არ გავამრავლე, არ იქნებაო, და ერთი შერჩეული ხვადი ნაგაზი მოჰგვარა.

დამაკდა ძაღლი და წლის თავზე სამი ლეკვი დააგდო. გავიდა ხანი, ამასობაში ხელმწიფის შვილიშვილიც გაიზარდა და სანადიროდ სიარული დაიწყო. ყოველდღე შეჯდებოდა თავის საყვარელ რაშზე, მოუხმობდა ძაღლებს და გასწევდა“.

ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული, ერთ დღესაც დაუბრუნა სამყაროს ვალი მონადირემ, თავის წიაღში, ინში გამოზარდა განახლებული მამაკაცური საწყისი (ვაჟი, ცხენი და ძაღლი) დაიბრუნა თავისი პირვანდელი სახე, ღმერთს კი მადლობა შესწირა.

თავის არსს, დანიშნულებას რომ ჩასწვდება ადამიანი, ძველებურად ვერ იცხოვრებს. ეს უკვე პროგრესის, ზრდის მეტამორფოზაა. ახლა იგი სრულყოფილია. კაციცაა და დედაც. დედაცაა და კაციც. ინი და იანი ერთ მთლიანობადაა ქცეული.

ხომ დაუჯერებელია, მაგრამ სიმართლეა. ისეთი სიმართლე ოქროს ქვაბში წყალს რომ უცეცხლოდ აადუღებს. შვილს დაეხმარება და მომავლის შესაქმნელად გამოადგება.

„– დამიჯერებთ თუ არა, რომ მე ამ ჭაბუკის დედა ვარო?

თქვა თუ არა ეს მონადირემ, ქვაბქვეშ მაშინვე ცეცხლი გაჩნდა.

მონადირემ განაგრძო:

– იქნებ არც ის დამიჯეროთ, რომ ამისი რაშიც ჩემი ნაშობიაო?

ამ სიტყვებზე ცეცხლი უფრო გაძლიერდა და წყალი გაცხელდა.

მონადირემ განაგრძო:

– ეგ კიდევ არაფერი, საქმე ის არის, რომ ამისი სანადირო ძაღლებიც ჩემი გაჩენილები არიანო,

მონადირემ დაასრულა და ქვაბში წყალიც ადუღდა. ამ ამბავმა ყველა განაცვიფრა, თვითონ ხელმწიფის შვილიშვილიც გაოგნებული იდგა. მონადირემ დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი და ხალხმაც საბოლოოდ ირწმუნა.

უფლისწულმა მხურვალედ გადაკოცნა მონადირე, მერე ქალი წამოიყვანა და დიდი ქორწილიც გადაიხადა“.

ჭირი – იქა, ლხინი – აქა,
ქატო – იქა, ფქვილი –აქა.
ჩიტი გაფრინდა ცხრა ფრთანი,
ასი ტყუილი, ერთი მართალი.

რომელია უფრო დიდი

„მთვარის ჩრდილი ბარს ეფინა ქარგად,
მაშინ, როცა სადღაც ხმაა თარის,
ყველაფერი არის ძლიერ კარგად –
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“.

გ. ტაბიძე

შესაძლებელია ერთდროულად ყველაფერი „ძლიერ კარგად“ და თან „ძლიერ ცუდად“ იყოს?! ხედავენ ადამიანები ერთსა და იმავე მოვლენას ერთნაირად?!

მსგავს კითხვებზე ეძებს პასუხს ქართული ხალხური ზღაპარი-გამოცანა „რომელია უფრო დიდი“.

„ერთი ბუღა ცხოვრობდა. ისეთი უზარმაზარი იყო, წინა ფეხები ზღვას გაღმა ედგა, უკანა – ზღვის გამოღმა.

ერთხელაც არის, სად იყო, სად არა, მოფრინდა ორბი, აიტაცა ეს ბუღა და ავარდა ცაში. კარგა ხანი იფრინა, მაგრამ ვაკე ადგილი ვერსად იპოვა, რომ ბუღა ზედ დაედო და შეეჭამა. ბოლოს ვიღაც მეჯოგე შეამჩნია. ხედავს, მეჯოგეს იმოდენა რქამოტეხილი ვაცი მოჰყავს, ავდარში მის წვერქვეშ თავის ჯოგიანად შეეფარები. ორბმა ნადავლი ამ ვაცის მოტეხილ რქაზე დადო და ხორცს ძიძგნა დაუწყო.

ჭამაში გართულს ერთი ბეჭი ძირს გადმოუვარდა. სწორედ ამ დროს მეჯოგემ ცას შეხედა, წვიმამ ხომ არ გადაიღოო და ბეჭი შიგ თვალში ჩაუვარდა...

მწყემსებმა ბეჭს აქეთ-იქიდან მოსდეს კომბლები, რის ვაივაგლახით ამოაგდეს თვალიდან და ცხრა მთას იქით გადაისროლეს.

გავიდა დრო. იმ ბეჭზე ერთი დიდი სოფელი გაშენდა. მალე ბეჭს მელია შემოეჩვია. ხრავს მელია ბეჭს და მთელ სოფელს ხან აქეთ უზამს პირს, ხან – იქით. სოფლელები გაოცებულები არიან – ეს რა უცნაური ამბავი გვემართება, დღეს აღმოსავლეთისაკენ გვაქვს კარ-ფანჯარა, ხვალ – დასავლეთისაკენა.

ერთხელაც დაუდარაჯდნენ და რას ხედავენ, სულ მელიას ოინები კი ყოფილა! მაშინვე მოკლეს მელია, ცალ მხარეს გაატყავეს და იმ ტყავისაგან დიდმა თუ პატარამ, ყველამ ქუდი შეიკერა. მერე მელიას გადაბრუნება სცადეს, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. ამ ამბავში რომ იყვნენ, გზად ობოლმა და-ძმამ ჩამოიარა. დამ ნახევრად გატყავებული მელია რომ დაინახა, თითისტარი მოსდო, თვალის დახამხამებაში მელია მეორე მხარეს გადააბრუნა, გაატყავა და ტყავი ძმას საქუდედ მოაზომა, მაგრამ ბიჭს ტყავი კეფაზედაც არ გასწვდა“.

ზღაპარი გაზვიადება-დაკნინების, ჰიპერბოლა-ლიტოტესის შენაცვლების თამაშს გვთავაზობს. აქ რაც ძალიან დიდია, თან პატარაცაა. მარჯვნიდან შეხედავ უდიდესია, მარცხნიდან – უმცირესი.

ბუღა, რომელსაც წინა ფეხები ზღვის გაღმა ედგა და უკანა გამოღმა, ზღაპრის სხვა ვერსიით, შვიდ გორაზე ბუზებს კუდით იგერიებდა, შესაძლებელია მეტაფორულად ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე მიგვანიშნებდეს. იმ დროზე, როცა საქართველო ძლიერი და ერთიანი იყო. ცხადია, ეს ჰიპერბოლაა. რეალურად, საქართველოს არასდროს ჰქონია მოცული დიდი გეოგრაფიული არეალი. თავის საუკეთესო პერიოდშიც კი პატარა ქვეყანა იყო. ეს ჩვენი თვალი აღიქვამს დიდად დღევანდელ საზღვრებთან შედარებით, თორემ ორბისთვის, მტრისთვის ისეთი პატარაა, თავისუფლად შეუძლია აიტაცოს და ვაცის მოტეხილ რქაზე დაატიოს... ორბის ხედვა ლიტოტესურია და ილიას „მგზავრის წერილების“ რუსი აფიცრის დამოკიდებულებას მოგაგონებს: „აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდამ რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა“. გაზვიადებულია ვერძის სახე-სიმბოლოც, ავდარში წვერქვეშ ჯოგის შეფარება.

ძალიან საინტერესო მხატვრული სახეა გადარჩენილ ბეჭზე სოფლის აშენება. ნაწილის ისევ მთელად ქცევა. ძველად, როდესაც პერგამენტი და საწერი ქაღალდი ჯერ კიდევ არ არსებობდა, წერა-კითხვას ხარის ბეჭზე ასწავლიდნენ ბავშვებს, ეს სოფელიც წარსულის ცოდნაზეა დაფუძნებული და კვლავ აღდგენილი საქართველოს სახე-სიმბოლოა.

ასეთი წვალებით გადარჩენილ ქვეყანას რომ მელიასავით შემოუჩნდება და ძირის გამოთხრას დაუწყებს, ამგვარი ადამიანებიც ყველა დროის პრობლემა და სატკივარი იყო. საითაც მათ კეთილდღეობას დასჭირდებოდა იქით შეუტრიალებდნენ ქვეყანას პირს. ხან დასავლეთისკენ, ხანაც – აღმოსავლეთისკენ. სოფელს მელიაზე გაზვიადებული წარმოდგენა აქვს – ედიდება, მელიას კი პირიქით ეპატარავება სოფელი თვალში და ერთ რიგით საკბილოდ აღიქვამს.

მელია ამ სოფლის დიდი უბედურებაა და მის მოშორებასაც ყველას გაერთიანება სჭირდება.

დიდი მნიშვნელობის მოვლენა, ტრაგედია, ბრძოლა დაძლევის შემდეგაც არ კარგავს თავის წონას. მკვდარი მელიაც ემძიმება სოფელს. მეორე მხარეს ვერ ატრიალებენ და ნახევრად ატყავებენ. მისი ტყავის, უბედურების ნახევარიც კი საკმარისია მათთვის, ვინც იმ დროს მოესწრო, მუდამ მტკივნეულად ახსოვდეს და ქუდად ეხუროს ეს ამბავი.

მეორე მსოფლიო ომი მსოფლიოს უახლესი ისტორიის ყველაზე დიდი უბედურება იყო თავისი მასშტაბით. 60 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოხლე შეიწირა. მასწავლებელი მყავდა ომის მონაწილე, სახენაიარევი კაცი. ნატყვიარი ლოყაზე, მგონი ყველაზე მსუბუქი სახსოვარი იყო, რომელიც ომმა დაუტოვა. ომის დასრულებიდან 35 წლის შემდეგაც იმ რეალობაში ცხოვრობდა. გვაფრთხილებდა გერმანიას არ ენდოთ, ისევ ომს დაიწყებსო. ჩვენ გვეღიმებოდა. იმიტომ არა, რომ ემპათიის უნარი გვაკლდა. არა, ეს მას ეხურა მელიის ტყავის ქუდად მწარე მოგონებები. ჩვენ იმ ომს არ შევსწრებივართ. როგორ შთამბეჭდავადაც არ უნდა ასახონ წიგნებსა და ფილმებში, შეუძლებელია რაც შენი თვალით არ გინახავს, მისი ბოლომდე გათავისება. ჩვენთვის მეორე მსოფლიო ომი, მაინც ისტორიის ფურცლად რჩებოდა. ამოჰკრავს თითისტარს პატარა გოგო და ამოატრიალებს მეორე მხარეს მკვდარ მელიას. გადაშლი ისტორიის ფურცელს და აღარაა ომი.

მელიის ტყავის მეორე ნახევრიდან პატარა ბიჭის ქუდიც აღარ გამოდის. არ არის ობოლი და-ძმა წარსულის ხსოვნით დამძიმებული. მომავლის ხალხია. ამიტომაც არის ნახევარი მელია დიდი და მეორე ნახევარი პატარა. ისევ ჰიპერბოლა და ისევ ლიტოტესი. იმ ჩიტივითაა, დიდ ქვაბში რომ ვერ ეტევა და პატარაში ლაღად არის.

ტექსტის დასაწყისში ავტორი თითქოს შესადარებელ ობიექტებად ბუღას, ვაცს და მელიას გვთავაზობდა, მაგრამ მალევე ხვდები რომ აზრი არა აქვს მათ შედარებას. ყველაზე საინტერესო და

საყურადღებო სახე აქ ადამიანის თვალია. იგი წარმოადგენს ხილვისა და ნათლის სიმბოლოს, შედეგად, თვით ცნობიერებას. ჩვენი ნაწილია, რომელიდანაც სამყარო იწყება.

თვალი სრულყოფილი ორგანო არ არის, მას ოპტიკური ილუზია ახასიათებს და ხშირად ადამიანის მხედველობის სისტემა შეცდომაში შეჰყავს არსებულის არასწორი წარმოსახვით. „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთი პერსონაჟი, ქალბატონი თიკო ო-ნი, საინტერესო ფრაზას ამბობს: „როგორც უნდა ვეცადო, მაინც ისე გამომდის, რომ საცრიდან გავცქერი სამყაროსო“. ალბათ, ყველას გვახასიათებს ინფორმაციის „გაცრა“, მისთვის ფილტრის დაყენება და ისე მიღება.

პირველი მანძილის ფილტრია. ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა სხვადასხვაგვარად აღიქმება იმის მიხედვით ახლოს არის თუ შორს. მაგალითად, ადამიანის თვალი მთვარესა და საზამთროს დაახლოებით ერთნაირი ზომის ობიექტებად ხედავს.

მეორე დროს განზომილებაა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღსაქმელი მოვლენა წარსულში მოხდა, ახლა ხდება თუ მომავალში უნდა მოხდეს. ამის მიხედვით საგრძნობლად იცვლება მისი ზომა და გავლენა.

მესამე ფილტრი კი ადამიანის განწყობას გულისხმობს მოვლენისადმი და იმის მიხედვით ამცირებს ან ზრდის მას, ვის ეხება – ჩვენ თუ სხვას, სარგებელი მოაქვს თუ ზიანი. ყველაფერი ჩვენს სუბიექტურ ხედვაზეა დამოკიდებული.

თვალს დიდი ძალა აქვს. რთულია, რასაც ხედავ არ დაიჯერო და სიმართლე არ გეგონოს. რთულია ადამიანი დააჯერო იმაში, რომ ილუზიაშია, რაღაცას არასწორად ხედავს, მცდარად იგებს. ამიტომაც მოითხოვს მისი გადარწმუნება, ობიექტურ რეალობაში დაბრუნება, უდიდეს ძალისხმევას. ამიტომაც არის კომბლებით, ორმოცი უღელი ხარ-კამეჩით და რის ვაივავაგლახით თვალში ჩავარდნილი ხარის ბეჭის ამოღების ტოლფასი.

რა თქმა უნდა, საყურადღებოა, რომ ზღაპარი მთლიანად მითოსურ მოტივებზეა აგებული. ბუღა-ხარი, ვაცი და მელია ღვინის, თრობისა და სულიერი შვების მომგვრელი ღვთაების დიონისეს (აგუნას) ზოომორფული იპოსტასებია. ამაზე მეტყველებს მისი სიკვდილი, ნაწილებად დაშლა და კვლავ აღდგომა-გამთლიანება, ამ კუთხითაც შეიძლებოდა მსჯელობა საკითხზე, მაგრამ პირველად რაც მომაფიქრდა, იმ აზრს ვუერთგულე ბოლომდე. მეც სუბიექტური ვარ. მეც ჩემი საცრიდან ვუყურებ სამყაროს.



ოთარ
გოგოლიშვილი

გურიის 1841 წლის აჯანყება

1841 წელს გურიაში მოხდა გლეხთა დიდი აჯანყება, რომელიც სამნახევარ თვეს, 22 მაისიდან (ახალი სტილით 4 ივნისიდან) სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. ეს აჯანყება მიმართული იყო გლეხთა აუტანელი ექსპლოატაციის, მძიმე გადასახადების, ცარიზმის მიერ შემოღებული რუსული დესპოტური მართვის სისტემის, ბატონყმური წყობილების, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი არ იყო განკერძოებული მოვლენა, თავისი არსით ობიექტურად უერთდებოდა მთელი რუსეთის გლეხობის ბრძოლას დამყარებული ბატონყმური ცხოვრების წესის წინააღმდეგ და საერთო დემოკრატიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი სახელოვანი, გმირული ეპიზოდი იყო.

მართალია, ეს აჯანყება იყო სტიქიური, ნათელ, სწორ პროგრამასა და ხელმძღვანელობას მოკლებული, რამაც განაპირობა მისი მარცხი, მაგრამ მაინც შეასრულა მნიშვნელოვანი პროგრესული როლი. იგი ეკუთვნის იმ აჯანყებათა ნაკადს, რომლებაც შეარყია ბატონყმობისა და ცარიზმის ბურჯები.

აჯანყება ასე დაიწყო. 1841 წლის მაისში აკეთის უბნის მსაჯული თავადი ბარათაშვილი ახალი ფულადი გადასახადის აკრეფას შეუდგა, გადასახადს რუსული ფულით თხოულობდნენ. მოსახლეობამ, რომელსაც არ გააჩნია ასეთი ფული, უარი განაცხადა გადასახადის გადახდაზე; 24 მაისს გადასახადის ამკრეფმა ოჯახებიდან ძალით წაიღო საოჯახო ნივთები, სამეურნეო ინვენტარი.

გლეხობის მოთმინების ფიალა აივსო. ჭანჭათელი გლეხების ჯგუფი – ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიების მეთაურობით თავს დაესხა გადასახადის ამკრეფ გოგოსი დოროძეს, წაართვა აკრეფილი ფული და ნივთები. შემდეგ გლეხებს შეუპყრიათ აკეთის ნაცვალი, რომლისთვისაც ნახევარი წვერი გაუპარსავთ და ჭანჭათიდან გაუგდიათ. უბნის მსაჯული ბარათაშვილი თავად გაეშურა გლეხთა დასაპატიმრებლად (აჭარის სამუზეუმო გაერთიანების ხელნაწერთა ფონდი, №220, ფურც. 16-18).

ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიებმა შეკრიბეს აკეთისა და ლანჩხუთის გლეხები და შეადგინეს 300-კაციანი ფირალთა რაზმი, 28 მაისს გლეხთა რაზმი კვლავ მიადგა ბარათაშვილის ბინას, გლეხებმა სთხოვეს მსაჯულს მაზრის უფროსისათვის გადაეცათ მათი მოთხოვნები:

1. გაეუქმებინათ ახალი გადასახადი. 2. არ დაესაჯათ აჯანყების წამომწყები გლეხები. 3. გადაეყენებინათ აკეთის ნაცვალი.

მაზრის უფროსი იაცენკო მისულა აკეთში ჯარისკაცთა ასეულით, მტკიცედ მოუთხოვია გადასახადის ფულით გადახდა.

გლეხთა მღელვარების მოთავენი ტყეში დაიმალნენ.

30 მაისს ახალი გადასახადის შეტანაზე უარი განაცხადეს სოფელ ვანის გლეხებმა, იქაც მივიდა მაზრის უფროსი. გლეხთა მღელვარება გრძელდებოდა ლანჩხუთში. მაზრის უფროსმა ლანჩხუთში წასვლა ვეღარ გაბედა, დაბრუნდა ოზურგეთში.

აკეთში გლეხთა აჯანყება გაგრძელდა, გლეხთა რაზმმა კურსი აიღო ოზურგეთისკენ. აჯანყება მოედო გურიის სხვა სოფლებსაც.

ლიხაურის თემში აჯანყებულებს წინამძღოლობდნენ გლეხები ოთარ და ნიკოლოზ თოიძეები, გოჩა გორდელაძე და სხვები, ასკანაში – მამუკა ანთაძე და მუხარბეგ დოლიძე, შემოქმედში – გოგია და როსტომ მამინაშვილები, ჯვარცმაში – იორდანე პაიჭაძე, გუბაზეულის ხეობაში – ბუღარა მამალაძე (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით სცსსა), ფ. 229, აღწ. 1, საქ. 1496, ფურც. 25).

აკეთიდან წასული გლეხთა რაზმი მივიდა შემოქმედში. გლეხებმა იქ მოსალაპარაკებლად მიიწვიეს მაზრის უფროსი, რომელმაც აჯანყებულებთან მისვლა არ იკადრა. შემოქმედიდან გლეხები გაემართნენ ლიხაურისკენ, სადაც მათ შეუერთდნენ იქაური აჯანყებულები გოჩა გორდელაძის, ოთარ და ნიკილოზ თოიძეების, აზნაურ ს. გოგოლიშვილისა და სხვების მეთაურობით. ლიხაურიდან ჯანყის მონაწილენი გადავიდნენ დვაბზუში, ჩახერგეს გზები, შემდეგ გაემართნენ გურიანთასაკენ. მაზრის უფროსმა თავადს, მაიორ გიორგი ნაკაშიძეს უბრძანა ცეცხლის გახსნა აჯანყებულების წინააღმდეგ. დაიწყო შეტაკება, რომლის დროს მოკლეს სახაზინო გლეხი როსტომ მჟავანაძე, ელიზაბედ გურიელის ყმა – გოგია მენაბდე, დაჭრეს ყმა დიონისე ჭანუყვაძე, გლეხობა გაიფანტა.

9 ივნისს განახლდა აჯანყება აკეთში, შემდეგ მთელ გურიაში. აჯანყების ჩაქრობა დაევალა ახალციხის სამხედრო ოლქის უფროსს, პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკის, რომელიც დაუქვემდებარეს საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორ კახანოვს. 12 ივნისს ოზურგეთში ჩამოვიდა გენერალი კახანოვი. 13 ივნისს დაღესტნიდან დაბრუნდა გურიანთაში მდგარი ჯარების უფროსი პოლკოვნიკი ბრუსილოვი. მ. არღუთინსკი გაბრუნდა ახალციხეში.

გლეხობა თითქოს მიწყნარდა. 16 ივნისს გურიიდან წავიდა გუბერნატორი კახანოვი.

მალე გლეხობა კვლავ ამოქმედდა. 17 ივნისს ასკანელმა გლეხებმა განაცხადეს უარი ახალი გადასახადის შეტანაზე. 20 ივნისს ჯანყი კვლავ გაძლიერდა შემოქმედში მებატონე ელისაბედ გურიელის რეპრესიული მოქმედების წინააღმდეგ. 21 ივნისს, სოფელ ჯვარცმიდან საჯავახოსკენ გაემართნენ აჯანყებულნი, რომელთა რიგები გზადაგზა იზრდებოდა. 1500-მდე კაცს ითვლიდა გლეხთა რაზმი იორდანე პაიჭაძის მეთაურობით (იქვე, ფურც. 29-31).

გუბერნატორი კვლავ ჩამოვიდა გურიაში, მოიარა მღელვარე სოფლები. ამჯერად გლეხებმა შეასრულეს მისი ბრძანება, დაიშალნენ. მოძრაობა მინელდა.

გამოსვლები განახლდა ივლისის დასაწყისში. 4 ივლისს თხილვანელმა გლეხებმა განაცხადეს უარი ახალი გადასახადის გადახდაზე. მათ სწრაფად გამოეხმაურნენ აკეთელი გლეხები. შემდეგ მოძრაობა გურიაში კვლავ მიწყნარდა, მაგრამ იმ პერიოდში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა იმერეთში.

ივლისის დამდეგს ხელახლა აჯანყდნენ ოზურგეთის უბნის რიგი სოფლების გლეხები, 26 ივლისს სოფელ ხვარბეთში შეიკრიბა 200-მდე შეიარაღებული გლეხი, მათ მიჰყვნენ გურიანთის, ლიხაურისა და სხვა სოფლების გლეხები.

მაზრის უფროსი იაცენკო 1 აგვისტოს მივიდა გურიანთაში, აჯანყებულებს უბრძანა დაშ-

ლილიყვნენ, მაგრამ უმრავლესობა არ დაემორჩილა (იური სიხარულიძე, გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, ბათ., 1956, გვ. 19-20).

აჯანყებულთა ერთი ნაწილი გაიგზავნა გურია-იმერეთის საზღვარზე, რათა გზა ჩაეკეტა გურიაში მიმავალი სამხედრო ძალებისათვის. მეორე ნაწილი დაიძრა შეკვეთილისკენ, რომელსაც ეწოდებოდა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე.

8 აგვისტოს გურიაში შეიარაღებული აჯანყება აზვირთდა.

9 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ბრუსილოვი 200 კაცის თანხლებით გაემართა ოზურგეთიდან შეკვეთილისაკენ. გოგორეთთან აჯანყებულთა 500-კაციანი რაზმი სამღვთოელო (ზემო ნატანები) აბესა ბოლქვაძის მეთაურობით. ბრუსილოვმა აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა კაპიტანი გაბაშვილი, მაგრამ მოლაპარაკება არ მოხერხდა. გაჩაღდა ბრძოლა, აჯანყებულებმა უკუაქციეს, დაამარცხეს ბრუსილოვის რაზმი. ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი აბესა ბოლქვაძემ, რომელიც ისტორიკოსი ჩუდოვინის ცნობით დაიჭრა კიდეც.

გოგორეთის ბრძოლაში გამარჯვებამ ხელი შეუწყო აჯანყების გაძლიერებას, მის გაფართოებასა და განვითარებას.

აჯანყებულთა ერთმა რაზმმა 200 კაცის შემადგენლობით ხელთ იგდო ჩოლოქის საგუშაგო. გლეხთა ერთმა ჯგუფმა აზნაურ გოგია ქარცივაძის მეთაურობით დაიკავა ნატანების საგუშაგო. მალე აჯანყებულებმა მთლიანად დაიკავეს სამხრეთ-დასავლეთი გურია, ხოლო აღმოსავლეთ გურიაში აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა ოზურგეთ-ქუთაისის საკომუნიკაციო ხაზი (იქვე, გვ. 22.).

სამხრეთ-დასავლეთ გურიაში აჯანყებულებმა 10 აგვისტოს იერიში მიიტანეს შეკვეთილში წმინდა ნიკოლოზის სიმაგრეზე, რომლის აღების შემდეგ ფოთისაკენ გაემართნენ.

გურიაში რეაქციული ძალების მისაშველებლად 18 აგვისტოს ფოთიდან გამოვიდა დავით დადიანი. იმავე საღამოს მისი ხელმძღვანელობით სამეგრელოს 500-კაციანმა მილიციამ შეძლო აჯანყებულთა უკუგდება მალთაყვიდან. ორი დღის ძლიერი ბრძოლის შემდეგ კი დაიკავა გრიგოლეთი. როგორც ისტორიკოსი ნ. მურავიოვის გადმოცემა ადასტურებს, აჯანყებულები მოწინააღმდეგეებს მიმართავდნენ „რისთვის მოდიხართ თქვენ ჩვენზე? თქვენთანაც იქნება ისე, როგორც ჩვენთან არის, თქვენთანაც აიღებენ გადასახადს“ და სხვა. ასეთ მიმართვას შედეგი გამოუღია: „მეგრული მილიციის გლეხურმა ნაწილმა არ ისურვა წინსვლა და შინ დაბრუნდა“. გრიგოლეთის ბრძოლაში სამეგრელოს მილიცია დამარცხდა. 23 აგვისტოს კი უკან დაიხია ფოთისაკენ.

აჯანყებულებმა გარემოიცვეს ოზურგეთი. ბრიუსილოვის რაზმი საფრთხეში იყო. გარნიზონი შველას ითხოვდა. აჯანყების ჩამქრობ ექსპედიციას სათავეში ჩაუყენეს პოლკოვნიკი მ. არღუთინსკი.

16 აგვისტოს ნაგომარში მივიდა იმერეთის პოლიცია პოლკოვნიკ წერეთლის ხელმძღვანელობით, მაგრამ გზა ვერ განაგრძო, რადგან ნასაკირალის გადასასვლელზე გამაგრებულნი იყვნენ აჯნყებულნი. მილიციამ უკან დაიხია და მოახერხა პორუჩიკ ლევინსკის რაზმთან შეერთება.

ოზურგეთის ასაღებად აჯანყებულთა იერიშის დაწყება გაჭიანურდა. აჯანყების წინამძღოლებს შორის ერთსულოვნება არ იყო.

მეორე მხრივ, გახშირდა მილიციელთა გადასვლა აჯანყებულთა ბანაკში, განსაკუთრებით 27-28 აგვისტოს ღამით. სწორედ ამ მომენტში თავი იჩინა თავადაზნაურობის მისწრაფებამ – ესარგებლათ აჯანყებით თავიანთი დაკარგული პრივილეგიების აღსადგენად.

აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა თავადი დავით გუგუნავა, რომელიც ოზურგეთის იერიშის დროს იდგა ერთ-ერთი რაზმის სათავეში. ლანჩხუთიდან რაზმით უნდა მოსულიყო დავით გურიელი – პოეტ მამია გურიელის მამა.

აჯანყების მთავარი წინამძღოლი გახდა თავადი ამბაკო შალიკაშვილი. იგი 1794 წელს და-

ბადებულა სოფელ ვანში. დასახლებულა სოფელ შემოქმედში, მსახურობდა მეფის არმიაში, იყო პრაპორშჩიკი. გლეხთა აჯანყების დაწყებისას იგი ოზურგეთის მილიციაში ყოფილა, შემდეგ ავადმყოფობის მიზეზით გამოსულა იქედან და აჯანყებას ჩადგომია სათავეში (სცსსა, ფ. 548, აღწ. 1. საქ. 5709, ფურც. 62).

აჯანყებულთა იერიში ოზურგეთზე წარუმატებლად დამთავრდა, ვერ განოხორციელეს ერთდროული შეტევა ყველა მხრიდან. დაქსაქსულად მოქმედებდა ოზურგეთში გამაგრებული ჯარი. შეიარაღებით სჯობდა აჯანყებულთა რაზმებს.

9 სექტემბერს დილის 9 საათზე ოზურგეთში მივიდა აჯანყების ჩასახშობად დიდი შეიარაღებული ექსპედიცია. მ. არღუთინსკის მეთაურობით, გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა, აჯანყებულები დამარცხდნენ (საქართველოს ისტორია, თბ., 1956, გვ. 424.).

მ. არღუთინსკის გურიაში ახლდა და დამსჯელ ექსპედიციაში მონაწილეობდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი. როგორც ელ. მაღრაძე აღნიშნავს, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანის „გენიალური დისშვილი, სრულიად სამართლიანად საყვედურობდა ბიძას უდანაშაულო გურული გლეხების სისხლის დაქცევას. შემდგომში გარკვეულ სინანულს გრძნობდა თვით გრიგოლ ორბელიანი. რომელსაც გაეხარდა აჯანყების დაპატიმრებული მონაწილეების გათავისუფლება (სცსსა, ფ. 648, აღწ. 1. საქ. 709, ფურც. 90-100.).

აჯანყების მონაწილე შეიარაღებული გლეხთა რიცხვი 7200 კაცს აღწევდა. აჯანყების დროს ბრძოლებში გმირულად დაიღუპნენ აბესა ბოლქვაძე, გიორგი ვადაჭკორია და სხვები.

ქუთაისში 1842 წლის 3 თებერვალს დაიწყო და 13 მარტს დამთავრდა სამხედრო სასამართლო პროცესი აჯანყების აქტიური მონაწილეების წინააღმდეგ. მთავარმმართველმა გოლოვინმა დაამტკიცა მკაცრი განაჩენი 34 ბრალდებულის შესახებ.

განაჩენი ასეთი იყო: პირველი თანრიგის, პირველი ხარისხის დამნაშავეებად სცნეს თავადი ამბაკო შალიკაშვილი, აზნაური ქაიხოსრო გუგუნავა, აზნაური სიმონ ჭყონია. მათ ერთმეოდათ ყოველგვარი უფლება და იგზავნებოდნენ ციმბირში საკატორღო სამუშაოებზე. ასევე ციმბირში იგზავნებოდნენ მეორე თანრიგის მესამე ხარისხის დამნაშავე ალექსანდრე ნაკაიძე, პირველი თანრიგის მეორე და მესამე ხარისხის დამნაშავე გლეხები: ესიკა მამულაიშვილი, გოგია ჯიბლაძე და სხვები. ისინი შპიცრუტენებით დასაჯეს, შემდეგ იგზავნებოდნენ ბობრუისკის პატიმართა ასეულში 10 წლის ვადით. მეორე თანრიგის პირველი ხარისხის დამნაშავენი ენუქა ვადაჭკორია, გოგია ვადაჭკორია და სხვები შპრიცრუტენებით დასჯის შემდეგ 10 წლის ვადით იგზავნებოდნენ სევასტოპოლის პატიმართა ასეულში, ხოლო ათანასე ვადაჭკორია, ნიკოლოზ ვადაჭკორია, დავით მეგრელიძე – ბრესტ-ლიტოვსკში (იური სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36).

არ გაუსამართლებიათ თავადი დავით გუგუნავა, აზნაური ათარმიზა თოიძე და სხვები, რომლებიც ბოლომდე არ მიყვნენ აჯანყებას.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ პროგრესული როლი მაინც შეასრულა. მას საპატიო ადგილი უჭირავს ცარიზმის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მატიანეში. ამ აჯანყებამ მეფის ხელისუფლებაც კი აიძულა გამოეტანა სათანადო დასკვნები. გამოიგზავნა კომისია მდგომარეობის შესამოწმებლად. ამ შემოწმების შემდეგ სენატმა უარყო რუსეთის გუბერნიების წესები საქართველოში ბრმად გადმოღების მეთოდი და შეიმუშავა ახალი წესები.

რუსეთის ხელმწიფეც – ნიკოლოზ პირველი იძულებული გახდა შეეცვალა სამხედრო სასამართლოს განაჩენი. ა. შალიკაშვილის გარდა, ყველას აპატია დანაშაული. ა. შალიკაშვილი კი ციმბირში კარგა ხანს დარჩენილა. შემდეგ იგი რუსეთის იმპერატორს კატორღიდან გაუთავისუფლებია აღმოსავლეთ ციმბირის გუბერნატო-

რის ს. მურავიოვის შუამდგომლობით, რადგან ადრე ა. შალიკაშვილს ს. მურავიოცი სიკვდილისაგან უხსნია კავკასიაში სამსახურის დროს.

სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ საზღვარგარეთ გადახვეწილ აჯანყების აქტიურ მონაწილეებსაც: თავად მიხეილ მაქსიმელაშვილს, აზნაურებს სიმონ გოგოლიშვილს და გიტო გოგრიკიძეს, გლეხებს გოგია გორდელაძეს, როსტომ სიხარულიძეს, მაქსიმე ხუხუნაიშვილს. ისინი დაბრუნებულან სამშობლოში (იქვე, გვ. 49).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის სამუზეუმო გაერთიანების ხელნაწერთა ფონდი, №220, ფურც. 16-18.

2. საქართველოს ისტორია, თბ., 1956.

2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, (შემოკლებით სცსსა), ფ. 229, აღწ. 1, საქ. 1496, ფურც. 25.

4. სიხარულიძე იური, გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, ბათ., 1956.

5. სცსსა, ფ. 548, აღწ. 1. საქ. 5709, ფურც. 62.

6. სცსსა, ფ. 648, აღწ. 1. საქ. 709, ფურც. 90-100.

საშა დეკვეიშვილი

ხარიტონ ახვლედიანი – 120
სამუზეუმო საქმის დიდი ორგანიზატორი

ვისაც თავის დროში სამაგალითოდ უცხოვრია,
ის ყველა დროში ცოცხლობს.

გოეთე

შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და სამუზეუმო საქმის ამაგდარის ხარიტონ ახვლედიანის დაბადებიდან (1904 წ. 25/VIII–1992 წ. 16/XII) 120 წლისთავი.

ადამიანის პირუთვნელი მსაჯული დროა. იგი არკვევს რამდენად მდგრადია მისი სახელი. დრომ და ისტორიამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა აჭარის წარსულის მკვლევრის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ხარიტონ ახვლედიანის ცხოვრება. ასეთი ადამიანების ხსოვნა, როგორიც იგი იყო, ახლა ძალიან სჭირდება ჩვენს ქვეყანას, რადგან XXI საუკუნეში პატრიოტები ნაკლებადაა. საჭიროა ისეთი მოღვაწეები, რომლებიც დღენიადაგ ეროვნულ ფასეულობებზე იფიქრებენ, ქვეყნის სამსახურში ჩადგებიან. ხარიტონ ახვლედიანმა ეს მოახერხა, თუნდაც იმ ეპოქაში, როცა სამშობლოს ცნებას საბჭოეთში მეტ-ნაკლებად აკნინებდნენ, როცა ეროვნულობა ძირითადად კომუნისტური პარტიის ერთგულ მსახურებას ნიშნავდა.



ხარიტონ ახვლედიანი ყოველთვის ამბობდა, რომ „აჭარელი, სარწმუნოების მიუხედავად, არის ქართველი და იქ, სადაც იქნება საქართველო, უნდა იყოს აჭარა“. იგი იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც წილად ხვდა მოეხვეჭა პირველი პროფესიონალი ისტორიკოსის სახელი აჭარაში, რაც სამართლიანად დაიმსახურა. მის ყველა წიგნში აჭარის ისტორიული წარსული წარმოდგენილია სამხრეთ საქართველოს და მთელი ქვეყნის ისტორიასთან ორგანულ კავშირში.

ძნელად თუ მოიძებნება მეორე მოღვაწე იმ პერიოდის აჭარაში, რომელსაც ისე სწრაფად დაეწყოს წერა საზოგადოებრივი ცხოვრების ავკარგის სამხილებლად, როგორც ეს ხარიტონ ახვლედიანმა მოახერხა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იგი ასრულებდა ორთაბათუმის თემსაბჭოს რწმუნებულის, მუშათა და გლეხთა კლუბის გამგის, ამ დაწესებულების ორგანოს – „მახინჯაურის ხმა“-ს რედაქტორისა და პროპაგანდისტის მოვალეობას. მისი პირველი სტატია გაზეთ „ფუხარა“-ში დაიბეჭდა 1926 წელს. 1930 წლიდან კი გაზეთ „კომუნისტში“ აქვეყნებს წერილებს.

1931 წელს ხარიტონ ახვლედიანმა თბილისის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის განხრით დაიწყო სწავლა. თავისი სწავლისა და ცხოვრების გამოცდილებით პირველივე დღეებიდანვე მიიქცია ყურადღება პროფესორების, უნივერსიტეტის მაშინდელი სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის: სიმონ ჯანაშიას, ბიძინა რამიშვილის, სერგო დანელიას, შალვა ნუცუბიძის, ალექსანდრე ნამორაძის, ეროდიონ სურგულიძის და სხვების, რომლებიც მისი პედაგოგები იყვნენ და თითოეულ მათგანთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

ხარიტონ ახვლედიანის ნიჭსა და მონდომებას ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა და ნიკო ბერძენიშვილმა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1936-1938 წლებში იგი ბათუმის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა. 1938 წლის თებერვალში დაინიშნა და 1943 წლის მაისამდე მუშაობდა აჭარის მხარეთმცოდნეობის, ხოლო 1943 წლიდან 1989 წლამდე აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად. პარალელურად იყო აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების უფროსი (1949-1953).

ხარიტონ ახვლედიანი ერთ-ერთი პირველი ისტორიკოს მკვლევარია, რომელმაც სხვადასხვა არქივებსა და მუზეუმებში მოძიებული საარქივო დოკუმენტების, წყაროების გამოყენებით ფართოდ გააშუქა სამხრეთ საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლის აქტუალური პრობლემები. ამ მხრივ ფასდაუდებელია მისი წიგნები: „აჭარის ისტორიიდან“ (1944), რედაქტორი პროფესორი სარგის კაკაბაძე; „აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში“ (1946), რედაქტორი აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი; „აჭარის ბიბლიოგრაფია“; „სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“ (1956); „სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი“ (1972); „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (1978); „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია“ (1960) და სხვ.



ხარიტონ ახვლედიანი და გიორგი ლეონიძე

ხარიტონ ახვლედიანის შრომები, მონოგრაფიები, სტატუსები საქართველოს ისტორიის, ბიბლიოგრაფიის, მუზეუმმცოდნეობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრობლე-

მებზე (XX საუკუნის 60-70-იანი წლები) მნიშვნელოვანი წვლილია მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

განსაკუთრებით დიდია ხარიტონ ახვლედიანის ღვაწლი სამუზეუმო საქმის განვითარებაში. 50-ზე მეტი წელი იგი წარმატებით ხელმძღვანელობდა აჭარის სახელმწიფო მუზეუმს – ერთ-ერთ უძველეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით მუზეუმმა მოიპოვა დიდი წარმატებები. სახელმწიფო მუზეუმების მეთაურ მუზეუმად ითვლებოდა წლების განმავლობაში დასავლეთ საქართველოში, ამიტომ აჭარის გარეთაც ხშირად ეწეოდა მეთოდურ საქმიანობას.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი 1930 წლის 25 იანვრიდან იმყოფებოდა სამხედრო ხაზინის ერთსართულიან შენობაში (გურიის შესახვევი №4, შემდეგ ი. ჯინჭარაძის, ახლ. ხარიტონ ახვლედიანის ქ. №4). თუ რას წარმოადგენდა იგი

ნიკო ბერძენიშვილი და ხარიტონ ახვლედიანი

იმ დროს, ამის შესახებ 1937 წელს აჭარის ა.რ. მთავრობის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში მუზეუმის ხელმძღვანელობა წერდა:

ხარიტონ ახვლედიანი და აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია გონიოში. 1957 წ.

„ყველაზე სამწუხარო მოვლენად უნად ჩაითვალოს, რომ მუზეუმში არ არის წარმოდგენილი აჭარის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და კულტურა... მუზეუმი არ აწარმოებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას“. დასკვნით ნაწილში კი ვკითხულობთ: „აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საბჭოთა კავშირის 800 მუზეუმთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი და პრიმიტიულია“.

ასეთი მუზეუმის დირექტორად 1939 წელს დაინიშნა ხარიტონ ახვლედიანი. მაშინ იგი 34 წლისა იყო. საჭირო იყო თავდაუზოგავი მუშაობა, კადრების შერჩევა.

სულ მალე მუზეუმმა დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. მოეწყო სამი ძირითადი გამოფენა: ბუნების, ისტორიის, ეთნოგრაფიის.

1939 წლიდან მუზეუმმა ხარიტონ ახვლედიანის ხელმძღვანელობით დაიწყო სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა, რომელთა მიზანი იყო აჭარის გმირული წარსულის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ბუნებრივი სიმდიდრის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგებში მოპოვებულ წარმატებათა შესწავლა. კომპლექსური და თემატური ექსპედიციების დროს შეგროვდა უნიკალური ექსპონატები, იშვიათი ხელნაწერები და ფოლკლორული მასალა. დიდი მუშაობა იქნა გაწეული აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების შესასწავლად.

სამუზეუმო მნიშვნელობის ექსპონატებზე დგებოდა კარტოთეკები, სამეცნიერო პასპორტები და ნაერთი კატალოგები, სხვადასხვა თემაზე იწერებოდა შრომები. ამაღლდა მუზეუმში სამეცნიერო-კვლევით მუშაობის დონე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებამდე (1958) მუზეუმი იყო აჭარაში ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი საგანმანათლებლო დაწესებულება. პირველი კრებული გამოვიდა 1955 წელს სახელწოდებით: „მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში“. 1957 წლიდან კრებულს „შრომები“ ეწოდა. მუზეუმი მხოლოდ თავისი სამეცნიერო შესაძლებლობებით არ შემოიფარგლა, შემოიკრიბა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე მომუშავე მკვლევრები. ამავე დროს მუზეუმი ცალკეულ გამოცემებსაც აქვეყნებდა.

სამუზეუმო საქმიანობაში ხარიტონ ახვლედიანმა ერთ-ერთმა პირველმა შემოიღო მოძრავი გამოფენები, რასაც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და შემდეგ დაინერგა კიდეც მუზეუმებში საკავშირო მასშტაბით.

მუზეუმმა ხარიტონ ახვლედიანის თავკაცობით ძალა მოიკრიბა, გაამდიდრა სამეცნიერო ფონდი. იგი დაკომპლექტდა ახალი ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, თანამედროვეობის ამსახველი მასალებითა და სხვ. დაძაბული მუშაობის პერიოდში მის გვერდით იდგნენ მეცნიერთანამშრომლები: ვ. იაშვილი, ს. ჩხაიძე, ნ. ჩიჯავაძე, შ. რუსიძე, დ. მამფორია, ვ. კოხრეიძე, ა. ქათამაძე, ლ, შარაძე, ე. ჩხაიძე, ე. მახარაძე, ე. სოკოლოვი და სხვ. დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოღო. მუზეუმში თანდათან იმატა დამთვალიერებელთა რიცხვმა და იგი აჭარაში კულტურის ერთ-ერთ მძლავრ სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერად იქცა.

1955 წელს დაიწყო და 1957 წელს დასრულდა ერთსართულიანი მუზეუმის ნაგებობაზე მეორე სართულის დაშენება, რამაც საშუალება მისცა გაფართოებულიყო ექსპოზიციები, გამდიდრებულიყო ახალი კოლექციებითა და იშვიათი ექსპონატებით. ძირეულად შეიცვალა მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო მოძრაობა სახალხო მუზეუმებისა და მუზეუმ-ფილიალების შესაქმნელად. ენთუზიასტი ადამიანების ინიციატივას მხარი დაუჭირა აჭარის სახელმწიფო მუზეუმმაც. მუშავდებოდა თემატური გეგმები და იხილებოდა სამეცნიერო საბჭოზე. თანამშრომლები მიდიოდნენ ადგილზე, ეხმარებოდნენ ექსპონატების შეგროვებასა და მეცნიერულ დამუშავებაში. სამეცნიერო ფონდის ფოტოთეკის განყოფილებიდან აწვდიდნენ ისტორიულ ფოტოებს. აქტიურად მონაწილეობ-

დნენ ექსპოზიციების მოწყობაში. ასე შეიქმნა ახალშენის, ქობულეთის, ზედა ჩხუტუნეთის, ხულოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები, ბობოყვათის მუზეუმ-გალერეა და სხვ.

ხარიტონ ახვლედიანის დამსახურება დიდია ლექციები-პროპაგანდის საქმეშიც. იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აჭარის ყველა რეგიონსა და სოფელში გამოდიოდა შინაარსიანი ლექციებით, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობდა მოსახლეობაში, რადგან მისი სჯეროდათ, როგორც ცოცხალი მემატიანისა. სამუზეუმო საქმიანობაში ჩაბმული ჰყავდა ყველა თანამშრომელი.

ხარიტონ ახვლედიანი ითვლება სამუზეუმო საქმის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში. მან უამრავი ახალი მეთოდი შემოიტანა სამუზეუმო საქმიანობაში, რაც ყურადღების გარეშე არ დარჩენილა – საბჭოთა კავშირის სამინისტრომ იგი განსაკუთრებული მოღვაწეობის გამო შეიყვანა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებული სამუზეუმო სამეცნიერო საბჭოს წევრად საქართველოდან.

ხარიტონ ახვლედიანის დამსახურებაა მუზეუმს რომ მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა აქვს. იგი მოსახლეობასა და ნაცნობ-მეგობრებში სისტემატურად აგროვებდა უნიკალურ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს.

ხარიტონ ახვლედიანს წლების მანძილზე ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მწერლებთან. ისინიც სიყვარულით და პატივისცემით მოიკითხავდნენ ამ უანგარო სპეტაკ ადამიანს, რაც კარგად ჩანს მათ მიმოწერაში. ქართველ მეცნიერთა მიერ გამოგზავნილი წერილები დაცულია მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ხარიტონ ახვლედიანის პირად ნივთებთან ერთად. წერილები სავსეა პატივისცემით, მხარდაჭერით, ბევრი საინტერესოა შინაარსითაც. ისინი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი ავტორებია: ნიკო ბერძენიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სერგი მაკალათია, ავთანდილ იოსელიანი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ახვლედიანი, მირიან ძველაია, ვალერიან ჯიქია, იური სიხარულიძე, იოსებ და შამშე მეგრელიძეები, ვარლამ დუნდუა და სხვ.

ხარიტონ ახვლედიანს მინიჭებული აქვს აჭარის მეცნიერებების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებები. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით, სიგელებითა და დიპლომებით.

2005 წლის 6 აპრილს აჭარის სახელმწიფო მუზეუმს ისტორიკოს ხარიტონ ახვლედიანის სახელი მიენიჭა, რაც მეცნიერულ მემკვიდრეობასთან ერთად საწინდარია იმისა, რომ მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ნ., ახვლედიანნი, თბ., 2012.
2. დავითაძე ალ., ისტორიკოსი ხარიტონ ახვლედიანი, მუზეუმის შრომები, VI, ბათ., 1974.
3. ლორთქიფანიძე მ., სტატია გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, №169, 2014.
4. რურუა ი., მოჭირნახულე მრავალტანჯული მიწისა, ბათ., 1975.
5. სიხარულიძე ი., ხარიტონ ახვლედიანი, ბათ., 1974.

ლელა დუმბაძე

სულის სიმაღლე

ნელი დუმბაძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ წიგნში „ღვთის ტაძრის სულიერი ბინადარი“ ლუბა ბიბილეიშვილი წერს: „ქუთაისი – ქართული სულისკვეთებით გაჯერებული ეს კოლორიტული ქალაქი სტუდენტი გოგონასთვის „რომად და ათინად“ იქცა. სწორედ აქ, ამ ქალაქში შეახვედრა განგებამ იგი „მარად ჭაბუკად“ გარდასახულ ქართული ლექსის რაინდს – ლადო ასათიანს“.

ლადოს ხიბლავდა მეგობარი ქალის უბიწოება, სულის სიმაღლე, რომანტიკული ხედვა, თხემით ტერფამდე ქათქათა სიწმინდე, იდეალისტობა.

ლადო ძიებაშია. ეძებს მეგობარს, რომელიც „ქალიც იქნება და ადამიანურ გრძნობათა მატარებელიც... ვეძებ ასეთ სასურველ მეგობარს და ვეძახი მას ჩვენ ეკლიან გზაზე... მაგონდება თქვენი ლიანა ლორდია, რომელიც განმკურნავი წამალი რამ შეიქმნა ჩემთვის, რომელიც მამხნევებს და მეძახის მიუწვდომელის მისაწვდომად“ – წერდა ის 1935 წელს იმ დროისთვის ფრიად პოპულარულ მწერალ ქალს – საფო მგელაძეს.

ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები იმხანად ძალზე გატაცებულნი იყვნენ საფო მგელაძის ნაწარმოებით „ლიანა ლორდია“. ნელი დუმბაძე „ლორდიანელთა“ მოძრაობის სულისჩამდგმელი ყოფილა. ლადომ მწერალ ქალს წერილი გაუგზავნა, სადაც წერდა: „...თქვენს წიგნებს სიხარულით ვკითხულობთ. თქვენს ლიანას ჩვენი სასწავლებლის გოგონები და ვაჟები აღმერთებენ, ჩემი მეგობარი ნელი დუმბაძე უდავოდ ლიანას განსახიერებაა“.

შემდეგ წერილში ლადო წერს: „თქვენი „ლიანა ლორდია“ უბით დამაქვს, სულიერი ტკივილების დროს მამხნევებს... გრძნობებს მიასკეცებს... ამ წინააღმდეგობის დახლართული სიყვარულის წიგნში გრძნობათა კოშკია ნაშენი... როგორი დამათრობელნი არიან ეს გრძნობები!“

მაგრამ საინტერესოა, რომელ სქესში აღმოჩნდება ასეთი ორმხრივ შემკული ადამიანი უფრო ჭარბად – ქალთა თუ ვაჟთა სქესში.

მინდა ამონარიდი მოვიყვანო გრიგოლ რობაქიძის „ფალესტრადან“:

„სქესი ყველაფერშია... სიტყვაშიაც კი... სქესში წარმოშობაა და გაქრობა... მამა შობს შვილს და კვდება... ამ შვილსაც იგივე ხვედრი მოელის – და ასე: დაუსრულებელ... ამ დენაში რჩება გვარი, პიროვნება კი კვდება... პიროვანი მარცხდება და იმარჯვებს უპიროვნო... ასე ყველგან... მაგრამ არის ერთი გამონაკლისი; ეს ადამიანია, სიყვარულით ჭირვეული... სიყვარული პიროვნების გზნებაა... სიყვარულში ადამიანს აღარ უნდა სქესით გაგრძელება... მას უნდა სრულიქმნას საყვარელთან ერთად“...

ნელი და ლადო სრულიქმნენ. ლადომ ნელის უკვდავება მიუბოძა. აკი წერს კიდეც პოეტი:

„შენ ღრუბლების ფერია ხარ, ნელი“.

ან:

„ჰაუ, რამდენი ღამე ვათიე,
ჰაუ, რა გვიან მე შეგიცანი,
მინდა დღეიდან „შენ“ არ ვიხმარო,
რადგან ყოფილხარ სულის ყვავილი“.

როცა ჩვენ ვერ ვხედავთ ადამიანის სულს, მის ჭეშმარიტ არსებას, იგი ნაწილია ღვთაებრივისა; როცა ჩვენ ვამბობთ – ღმერთი უფრო მიყვარს, ვიდრე საყვარელი ადამიანი, ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანში სულიერი უფრო გვიყვარს, ვიდრე სხეულებრივი.

სიყვარული ღმერთის თაყვანისცემაა, რომელიც ღვთაებრიობისკენ ისწრაფვის. სიყვარული პოეზიაა, რომელიც ცხოვრების სიხარულისგან იბადება. სიყვარული სიმღერაა, ზეიმია – ყოველგვარი მიზეზის გარეშე.

ᲥᲝᲠᲝᲮᲘ 4

2024